კვირის პალიტრა

ყველაკვირეული ჟურნალი

№ 24 (269) ◆ 12–18 ივნისი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

„გადმოვაბრძანოთ“ ხელისუფლება ჯავშნიანი მანქანებიდან და ფეხებზე, რაც ხდება სინამდვილეში

– დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეს საგანგებო მდგომარეობა...

– „ტასისში“ ჩვენს დელეგატებს ისე იღებენ, როგორც ბანდიტებს, ქურდებს.

– პრეზიდენტი და სპიკერი გაიძახიან – „აბრეშუმის გზა“ ვართო... ყველაფერი შეჭმულია და დაკარგული... 33.3

ვინც სადე ავზომპაზს „დააკაკანებს“, უნდა მივაზოვოთ საზღვარი და გამოვიქცეთ?

33.7

– მე, პირადად, იმ მესაზღვრეების გვერდით არ დავდგებოდი, ვინც მაშინ ფიფქვნთან პოსტი მიატოვა და გამოიქცა...

– გესროლეს? – ესროლე! შენი მამული დაიცავი. ეს ისეთი ელემენტარულია, რომ მრცხვენია კიდეც ამაზე საუბარი...

დაიშლება საზღვრის დაცვის დეპარტამენტი?!

ყველაზე უიღბლო პოლიტიკოსი – შალვა ნათელაშვილი 33.31

მკითხველის ოქტინგი

საქართველოში ერსაც ესვრიან და ბერსაც(!)

ზვიად გამსახურდიას ყოფილი მოძღვარი სასწაულებრივ გადაურჩა სიკვდილს.

– განსაზღვრული ჰქონდა, რომ იქვე მოვეკალი... მანქანა ბორდიურთან გავაჩერე... ჩემი გადმოსვლა იყო და დამიშვა პირდაპირ სახეში – დაახლოებით სამი მეტრიდან მესროლა... სახეში მომხვდა... სასწაულით ვარ გადარჩენილი – საკონტროლო გასროლა აღარ გაუკეთებია, ეგონა – მომკლა... 33.8



ინტერნეტში აფხაზების სერვერი გაანადგურეს!

იქნებ ამ ერთხელ მაინც მოვიგოთ საინფორმაციო ომი ქართველებმა

... აფხაზეთის დედაქალაქი ქუთაისი იყო...

...1812 წელს აფხაზეთში ქართველებზე მეტი ლატვიელები და ესტონელები ცხოვრობდნენ...

ქართველთა და მათი პრეზიდენტის „თაყვანისმცემელი“ აფხაზები მსოფლიოს ამცნობდნენ ამგვარ „ჭეშმარიტებას“ – დიახ, ამცნობდნენ, რადგან „ძიპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ – აფხაზების სერვერები ქართველმა ბიჭებმა გაანადგურეს. 33.5

10 ივნისს ბრიუსელში საზეიმოდ გაიხსნა ევროპის XI ჩემპიონატი ფეხბურთში. გახსნის ცერემონიიდან ორიოდე საათის შემდეგ მასპინძლებმა ჩემპიონატის პირველი გამარჯვება იზეიმეს... 33.29

თბილისში „სატელეფონო ხექსის“ სერვისი უკვე არსებობს!

საუბარი ფასიანია... წუთი 49 თეთრი ღირს... რადგან გვირეკავენ, ესე იგი ვჭირდებით, თორემ ისე რატომ შეითხელებენ ჯიბეს... რაც მუშაობა დავიწყე, ტელეფონი არ ჩერდება – კლიენტთან შეხვედრის უფლება არ მაქვს, ანუ ეს სხეულით ვაჭრობა არ არის. 33.27

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐ:

„საგალლო – სალალო“

გააღალებს თქვენს პაკეტებს – გვერდი პაკეტა მკითხველებისათვის.

33.13

„მე არ ჩამოვცილდები პრეზიდენტს... ეს მათი ნაგვრაა, ვინც ეს პროვოკაცია დაგეგმა... ჩემნაირი კაცები არ გაიქცევიან, თუნდაც მათრახი დამკრან ზურგზე...

– მე არ მტკივა, ბატონო პრეზიდენტო!

33.6

ბაკურ გულუა

ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐ

ᲕᲔᲠᲘᲜᲐ

...ყველამ იცის და უპირველესად პოლიციის ხელმძღვანელებმა, რომ ყველა პოლიციელი უკანონო გზით შოულობს ფულს...

...პირველი სიტყვა მინისტრმა უნდა იქვას... პროკურატურაც წილშია...

...ვენაცვალე მორფინისტებს, ფულზე არ ლაპარაკობენ და უპრობლემოდ იხდიან...

– გენერალიც გავხდებოდი, მაგრამ ეიღაც „ნაბიჭვრებს“ არ გავუტოლე თავი...

...ჩვენს პალაჩს – „სიკვდილას“ ეჭემიტანილს რომ მიუგდებდი, ხელს იმაზეც კი მოაწერინებდა – ბრუტუსი ვარ და იულიუს კეისარი მე მოვკალიო. 33.8,10

შპს „ევროამერიკან“-ი

VGA

ხმარებაში მყოფი IBM 486 და Pentium-ის ტიპის კომპიუტერები

კომპლექტშია: სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა

IBM 486 კომპლექტის მინიმალური ფასია 110$

Pentium კომპლექტის მინიმალური ფასია 190$

დანარჩენი კომპლექტების ფასები დამოკიდებულია პარამეტრებზე. ანგარიშსწორება შესაბამისი კურსით ლარებში.

მის: ქ. თბილისი, ფიროსმანის ქ. №23 ☎94-28-33

ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. 18 ☎2-21-16

ქ. გორი, ჭონქაძის ქ. №11

საქორწილო კაბების უახლესი კოლექცია პარიზიდან

საქორწილო სალონი „ლ'ამფორი“

[illegible]

ფირმა „ბერმუხა“

ბრტყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესაუბლიკის ზერიზორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

ALLIGATOR SERVIS

გთავაზობთ ავტომობილებზე სიგნალიზაციის, შუშის ამნევების, მაგნიტოფონის მონტაჟს

შელავათიან ფასად

გარანტია 3-5 წლამდე

მის: ვაჟა-ფშაველას 37

ტ: 899-50-31-52

საკვირაო

ტელეკინოვიზორ 12-18 ივნისი

33.14-15

Вечерняя Неделя
КОММАНДОС
ЧАСТНАЯ ЖИЗНЬ
ТЕЛОХРАНИТЕЛЬ
За РУБЕЖОМ
МОСКОВСКИЕ НОВОСТИ
Newsweek
FOCUS
общая газета
DER SPIEGEL
КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА
AVIK
stern
СЕГОДНЯ
МОСКВА
ИЗВЕСТИЯ
Труд
СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО
АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ
Иностранец
LE FIGARO Magazine
MATCH
ТВ ПАРК
ЛИЦА
ОГОНЁК
daily
Le nouvel Observateur
ИТОГИ

თქვენი „კვირის პალიტრა“ უკვე 32 გვერდიანია!

ლტოლვილები ეჯდომარე აქციით იმუქრებიან!

ბოლო პერიოდისათვის ყველაზე გრანდიოზული გამოსვლა მოაწყვეს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ლტოლვილებმა, რომლებიც ჯერ პარლამენტის, შემდეგ კი კანცელარიის შენობასთან უთვლიდნენ წყევლა-კრულვას ყველას, ვისაც კი ხელისუფალი, პარლამენტარი და თანამდებობის პირი ჰქვია. დევნილები თვეობით გაუცემელ პენსიებსა და შემწეობების მიღებას ითხოვდნენ. ათასამდე ლტოლვილი განსაკუთრებით აღგზნებული იყო იმითაც, რომ წინა დღეს სასტუმრო „ივერიის“ სარდაფში უწამლობითა და არასრულფასოვანი კვების გამო გარდაცვლილა აფხაზეთიდან ლტოლვილი ანატოლი ხვინგია. იგი აფხაზეთის ომში იბრძოდა და ის მეომარი გახლდათ, რომელმაც სოხუმის თავზე საქართველოს ეროვნული დროშა ააფრიალა. გარდაცვლილს ნათესავები არ ჰყავს და დევნილებმაც შემოწირულობების წყალობით აუგეს წესი 52 წლის მამაკაცს, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ავადმყოფობდა, გამკითხავი კი არავინ ჰყავდა... უწინარესად ხელისუფლება!

რაც შეეხება ლტოლვილებს, ისინი აფხაზეთში დაუყოვნებლივ დაბრუნებასაც ითხოვდნენ და თან ჰპირდებოდნენ კანცელარიიდან გამოსულ ჩინოვნიკებს — დაგვაბრუნეთ აფხაზეთში და ბიუჯეტსაც ჩვენ შეგივსებთ და ცოლ-შვილსაც გირჩენთო. ჩინოვნიკები თავჩაქინდრულნი უსმენდნენ ამ შეგონებას და, როგორც იქნა, ერთი თვის პენსიას დაჰპირდნენ ლტოლვილებს. ამ ინფორმაციას ლტოლვილები უკმაყოფილო ყიჟინით შეხვდნენ და კატეგორიულად მოითხოვეს მრავალთვიანი დავალიანების გასტუმრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი მჯდომარე აქციის დაწყებით იმუქრებიან... პარლამენტის წინ!

სოციალურს ეროვნული პრეზენზიებიც ერთვის

გაუცემელმა პენსიებმა, ხელფასებმა და სოციალურმა სიდუხჭირემ გამოიყვანა გარდაბნის ქუჩებში იქაური აზერბაიჯანელი მოსახლეობაც, რომელმაც ერთობ „საშიში“ ლოზუნგების ფრქვევაც დაიწყო! აზერბაიჯანელები ადგილობრივ ხელისუფლებას ადანაშაულებდნენ იმაში, რომ ეროვნულობის ნიშნის გამო მათ სამსახურებში არ იღებენ და რომ უპირატესობას ქართველებს ანიჭებენ(!)... მართალია, გამგეობის წევრები იფიცებოდნენ, რომ ეს არ შეესაბამება სიმართლეს და აზერბაიჯანელებიც ისეთივე უფლებებით სარგებლობენ, როგორითაც ქართველები, მაგრამ ამან დემონსტრანტებზე არავითარი გავლენა არ იქონია და გაისმოდა ხმები, რომ საჩივარი გაეგზავნათ შევარდნაძისა და ალიევისათვის, რათა აღარავინ გაბედოს აზერბაიჯანელთა შრომითი უფლებების დარღვევა... აზერბაიჯანელები იმასაც ამბობდნენ, რომ გამუდმებულ თავდასხმებს განიცდიან ქართველების მხრიდან(!).

ინციდენტი ნინოწმინდაში

ნინოწმინდაში ერთმანეთს დაერივნენ ძველი და დაუძინებელი მტრები — ამ რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში გენზელ მკოიანი და რაიონის პოლიციის სამმართველოს უფროსი რობერტ ჯაგასპარიანი. ეს ის ჯაგასპარიანი გახლავთ, რომელიც მისივე მტკიცებით, სასტიკად სცემეს მკოიანის მომხრეებმა. ამჯერად კამათი მკოიანის სადეპუტატო კაბინეტში ატყდა და მკოიანის თქმით, მას შემდეგ, რაც ჯაგასპარიანმა თავისი შვილის დახმარებით თავ-პირი დაამტვრია დეპუტატს, ამ უკანასკნელმა შესაშინებლად ორჯერ გაისროლა ჰაერში. თავის მხრივ, ჯაგასპარიანი ირწმუნება, მკოიანს ჩემი მოკვლა სურდა და იარაღიც დამიზნებით მესროლა, მაგრამ ამაცილაო. პოლიციის უფროსი დეპუტატს ადანაშაულებს მაფიურ საქმიანობაში, რომელსაც იგი საქართველო-სომხეთში ეწევა და მოითხოვს დეპუტატისათვის იმუნიტეტის მოხსნას. ნინოწმინდაში შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ჯგუფი იძიებს ინციდენტს.

აღმოაჩინეს 5 თვის წინ გარდაცვლილი

სანზონაში, საკუთარ ბინაში მეზობლებმა აღმოაჩინეს ხუთი თვის წინ გარდაცვლილი 47 წლის სვეტლანა გლაზოვა. მეზობლებმა, რომლებიც შეჩვეულნი იყვნენ მარტოხელა გლაზოვას დიდი ხნით გაქრობას, ამჯერად საეჭვოდ მიიჩნიეს მისი გაუჩინარება. ეჭვს აძლიერებდა გლაზოვას ბინიდან გამოსული გახრწნის სუნიც. ფანჯრიდან შესულ მეხანძრეებს ბინაში ქალის გახრწნილი და ჩონჩხად ქცეული ნეშტი დახვდათ. მეზობლების თქმით, გლაზოვა ალკოჰოლს ეტანებოდა და კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა.

აფხაზური კონტრაბანდა ერგნეთისას აჯობებს

დღითი დღე მასშტაბურ ხასიათს იძენს აფხაზეთიდან ენგურსაქეთ შემოსული კონტრაბანდა, რომელიც როგორც ჩანს, ტოლს არ დაუდებს ერგნეთისას. აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ენგურისკენ კონტრაბანდულ ტვირთებს აფხაზ მაფიოზებთან კავშირში მყოფი ქართველი პარტიზანებიც აცილებენ, ანუ ისინი, რომლებსაც არანაირი ურთიერთობა აღარ აქვთ გალის რაიონში მოქმედ ქართველ პარტიზანებთან. ამასთან, სადღეისოდ ვერ ხერხდება იმ დაახლოებით 75 შემოვლითი გზის გაკონტროლება, საიდანაც ეს ტვირთები შემოდის ზუგდიდის რაიონში. დევნილი ხელისუფალნი იმასაც ამტკიცებენ, რომ კონტრაბანდაში აქტიურად არიან ჩართულნი რუსი მშვიდობისმყოფლები, რომლებიც გვარიანად ითბობენ ხელს. საგულისხმოა, რომ ამ კონტრაბანდული ტვირთების მნიშვნელოვანი ნაწილის „რეალიზება“ ქუთაისსა და თბილისში ხდება.

ენგურჰესს — რემონტი, სოფელს — დაბომბვა

ენგურჰესსზე გერმანელი სპეციალისტების დახმარებით მიმდინარე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისას, გერმანელთა ინიციატივით კაშხალიდან წყლის გაშვებამ ენგურის ადიდება გამოიწვია და სოფელი კორსანტია კინაღამ წალეკა. მდინარემ მოშალა გზები და 30ჰა-მდე სახნავ-სათესი ფართობი და თხილის ბაღები დატბორა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ უსახსრობის გამო უარი თქვა მდინარის ჯებირის გამაგრებაზე!

ევროსაბჭო უკმაყოფილია

ასრულდა წლების მანძილზე ნავარაუდევი საშიშროება და საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს იმიჯს პირველი ოფიციალური ბზარი გაუჩნდა. ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარმა ხოსე რობლესმა ოფიციალურად და საჯაროდ განაცხადა, რომ უარყოფითად აფასებს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობას. აი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მიერ ნალოლიავებ-ნაფერებ და საამაყო ევროსაბჭოში მალე მაგრად შეგვახურებენ ევროპელებიც და „მეგობარი“ რუსებიც... ხოსე რობლესი თავის დასკვნებს ევროსაბჭოს გენერალურ ასამბლეას ამ დღეებში წარუდგენს. დასკვნაში კი შავით თეთრზე წერია: „ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, საქართველოში მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.“ სხვათა შორის, დაახლოებით მსგავსი რამ ეწერა იმ დასკვნაშიც, რის საფუძველზეც ევროსაბჭომ ამ ორგანიზაციაში წევრობა შეუჩერა ბელორუსს. რობლესის თქმით, განსაკუთრებით სავალალოა სამართალდამცავთა მხრივ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები. ამასთან, ევროსაბჭოს კომისრის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ყველაზე დაუცველი ფენის — ლტოლვილთა სოციალური მდგომარეობა! რობლესი იყო პანკისის ხეობაში, ზუგდიდსა და სოხუმში, ხოლო ბათუმის იზოლატორში დღემდე გამომწყვდეული „შეწყალებული“ თენგიზ ასანიძის შესახებ, კომისარმა განაცხადა, რომ იგი პატიმრობიდან დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს!

რაც შეეხება ჩეჩენ ლტოლვილებს, რობლესმა პარადოქსული დასკვნა გამოიტანა: მისი თქმით, პანკისის ხეობაში ჩეჩნები გაცილებით უკეთეს პირობებში ცხოვრობენ, ვიდრე საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მყოფი აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ლტოლვილები! რობლესმა საყვედური გამოთქვა საქართველოს გენპროკურატურის მიმართაც და განაცხადა, რომ მან გადაცემა „60 წუთის“ მიმართ დაარღვია ინფორმაციისა და სიტყვის თავისუფლების პრინციპები.

კანონი კანონია

მაშინ, როდესაც რობლესი ზემოთ ნათქვამ სიტყვებს ამბობდა, გენპროკურატურაში არც რობლესი და არც ევროსაბჭო აღარ ახსოვდათ... მიშა სააკაშვილის და მისი რეფორმატორების გარდა! საქმე ის იყო, რომ გენპროკურატურას ამ უწყებაში მოსალოდნელი რეფორმების (უწინარესად, პროკურორთა გამოცდების) საკითხების განსახილველად ეწვივნენ სწორედ სააკაშვილის ამქრის წევრები და რეფორმატორებად მიჩნეული ზურაბ ჟვანია და იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე გია მეფარიშვილი! პროკურორებით სავსე დარბაზმა არა მარტო იერიში მიიტანა სტუმრებზე, არამედ მიწასთან გაასწორა სააკაშვილი და მისი რეფორმაც(!). ტრიბუნაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ პროკურორები და თითქოს ეჯიბრებოდნენ კიდეც სააკაშვილის რეფორმის განქიქებაში. თავად გენპროკურორმა კი პირდაპირ განაცხადა: „პროკურატურის რეფორმის საკუთარი ვარიანტის ჩაგდების შემთხვევაში, ის თანამდებობას დატოვებს!“ ჟურნალისტი თეიმურაზ კვირკველია კი პირდაპირ დაემუქრა სააკაშვილს და კიდევ 10-14 რეფორმატორს და ბრძანა: (სტილი დაცულია) „სანამ მიხეილ სააკაშვილი იქნება საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი, მანამდე გავაკეთებ ყველაფერს, რათა ეს პიროვნებები არ დარჩნენ იქ, როგორც პიროვნებები და პოლიტიკური მოღვაწეები... უკვე დაწყებული მაქვს საამისოდ მუშაობა ჩემს თანამოაზრეებთან ერთად, გამოვცემთ გაზეთს, იქმნება სერიოზული მოძრაობა „ინტელექტუალური ცენტრის“ სახელით. შევკრებთ ჩვენს ქართველ ინტელიგენციას, დავაყენებთ ფეხზე და აბა, მაშინ გველაპარაკოს სააკაშვილი, თუ ვინ არის კორუმპირებული და მაშინ მე მას დაველაპარაკები, თვითონ როგორ და რა დოზით არის კორუმპირებული...“ (ვრცლად იხ. გვ. 6).

ნარკოგიკების ლეგალური ბრუნვა დარეგულირდება

შსს-სა და ჯანდაცვის სამინისტროს ავტორობით პარლამენტში ორი კანონპროექტი იქნა წარდგენილი. კანონპროექტთა შეჯერებული ვარიანტი ითვალისწინებს, რომ ნარკოტიკების, ფსიქოთროპული საშუალებების (სიბაზონი, დიაზეპამი, ელენიუმი) ლეგალურ ბრუნვას ჯანდაცვის სამინისტრო, ხოლო არალეგალურ ბიზნესს შსს უნდა აკონტროლებდეს. გარდა ამისა, უნდა შეიქმნას ეროვნული კომპეტენტური ორგანო, რომელიც მთელ ამ სფეროს გაუწევს კოორდინაციას.

კანონპროექტი ნარკომანიით დაავადებულთა ნებაყოფლობით, სავალდებულო და იძულებით მკურნალობასაც ითვალისწინებს. თუმცა ნარკომანიის სენით შეპყრობილთა იძულებითი მკურნალობა, რაგინდ კეთილშობილური საქმეც არ უნდა იყოს, ეწინააღმდეგება პარლამენტის მიერ ახლახან მიღებულ კანონს პაციენტის უფლების დაცვის შესახებ. ამ საკითხზე, ალბათ, პარლამენტარებს სერიოზული მსჯელობა მოუწევთ.

დაბოლოს, ყველაზე მთავარი ის გახლავთ, თუ ვის უნდა ჰქონდეს მონოპოლია ნარკოტიკების შემოტანაზე. კანონპროექტის მიხედვით, უშუალოდ ნარკოტიკების შემოტანაზე მხოლოდ სახელმწიფოს აქვს მონოპოლია, ხოლო ფსიქოთროპული ნივთიერების იმპორტი ლიცენზირების შემდეგ შესაძლებელია კერძო პირმაც განახორციელოს.

ელჩები რწმუნებათა სიგელებს გადასცემენ

(ბლექ სი პრესი) 13 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს რწმუნებათა სიგელებს გადასცემენ 10 სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელები, რომლებიც შეუდგებიან საქართველოში თავიანთი მოვალეობების შესრულებას — კუბის ელჩი პალმაროლა კორდერო, მოლდოვას ელჩი ალექს ანდრიევსკი, ნიდერლანდების ელჩი ჰიტინგა ვან დე სანტი, ჩრდილო კორეის ელჩი პაკ ი ჩცნი, ირლანდიის ელჩი დევიდ დონაჰიუ, კვიპროსის ელჩი ჩალალამბროს იონადისი, პაკისტანის ელჩი ასმა ანისა, ნორვეგიის ელჩი ოლაფ ბერსტაფი, ესტონეთის ელჩი ტიიტ ნაბერი და შვეიცარიის ელჩი ვალტერ ფერნინგი.

ელჩებს ასევე შეხვდება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი.

გვექნება სასტიკი... მაგრამ რეალური ბიუჯეტი

მთელი კვირის მანძილზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მოდიოდა ინფორმაციები მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლების შესახებ. პენსიებს და ხელფასებს ითხოვდნენ ქუთაისში, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, თბილისში, ხაშურში და ა. შ. პარალელურად, ახალი ფინანსთა მინისტრი გამალებით ამუშავებს უკვე... ახალი ბიუჯეტის პროექტს მიმდინარე წლის მეორე ნახევრისათვის(!). როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დადის ხმები, რომ წლის მეორე ნახევრის ბიუჯეტი იქნება სასტიკი, მაგრამ... შედარებით რეალური.

წინამძღვარს ბრალს სდებენ

კვლავ არ არის სიმშვიდე სულიერ ცხოვრებაშიც. ამჯერად ჭიათურის ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში მრევლმა და იქვე არსებული დედათა მონასტრის მონაზვნებმა არ შეუშვეს ახალდანიშნული წინამძღვარი მამა ბართლომე. მას ბრალს სდებენ მრევლისაგან ფულის გამოძალვასა და იმაშიც, რომ მამა ბართლომე ქადაგებს, — ცხონდებიან მუცლიდან მოწყვეტილნიო (ანუ აბორტის შედეგად დაღუპული ნაყოფები), რაც სახარების წინააღმდეგ არის მიმართული. მამა ბართლომე ამას აბსურდს და ცილისწამებას უწოდებს და აცხადებს, რომ ეს არის ღვთის განგებულების საქმე და მე არ ვერევი ამ საქმეშიო. საქართველოს საპატრიარქო, ჯერჯერობით, არანაირ შეფასებას არ აძლევს მომხდარ ინციდენტს.

დისბალს გააუქმებენ?!

ქვეყნის არმიის ერთადერთი და დისციპლინარული ბატალიონი, რომელიც ვაზიანშია და, რომელშიც დეზერტირობისათვის სასჯელს იხდის 27 ჯარისკაცი, აჯანყდა და აჯანყდა მართლაც რომ გაუგონარი და აღმაშფოთებელი ფაქტის გამო. აჯანყებისა და, პარალელურად, საპროტესტო შიმშილობის მიზეზი შეიქნა ავადმყოფი ჯარისკაცი, რომელიც აგერ უკვე თვეზე მეტია... სისხლისგან იცლება(!). ბატალიონის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ავადმყოფი ჯარისკაცი გააგზავნეს გვარდიის ჰოსპიტალში, რომელიც ფასიან მკურნალობაზე გადასულა და ანემიით დაავადებული ჯარისკაცი უკან გამოუსტუმრებიათ. მეტიც, შიმშილობის დაწყებისთანავე ყველა ჯარისკაცი ერთ ოთახში გამოუკეტავთ და იმათაც, უჰაერობისა და სიცხისგან რომ არ დამხრჩვალიყვნენ, ფანჯრები ჩაუმსხვრევიათ... ჯარისკაცთა რამდენიმე მშობელმა, რომლებმაც წერილებით გაიგეს თავიანთი შვილების მდგომარეობა, დაუყოვნებლივ მიაშურეს დისბატს. მათ რიგებს სხვა ჯარისკაცების მშობლებიც მიემატებიან და სავარაუდოა, რომ ბუნტი უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს.

საქმეში ჩაერია ელენე თევდორაძე, რომელიც კატეგორიულად მოითხოვს დისბატის გაუქმებას. მოელიან, რომ ეს, ფაქტობრივად, საპატიმრო ივნისის ბოლოსთვის დაასრულებს არსებობას, ხოლო მსჯავრდებული ჯარისკაცები კი სამხედრო ნაწილებს დაუბრუნდებიან.

პრძენება ისტორიის გაყალბებას გვთხოვს

(ბეა) ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარმა ხოსე რობლესმა სოხუმში ვლადისლავ არძინბასთან შეხვედრისას აღშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ გალის რაიონში აფხაზური ადმინისტრაცია საშუალებას არ აძლევს ქართველ ბავშვებს ქართულად ისწავლონ საშუალო სკოლაში. სეპარატისტთა ლიდერმა რობლესს უპასუხა, რომ აფხაზური ადმინისტრაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში მისცემს ქართველ ბავშვებს გალის რაიონში ქართულად სწავლის უფლებას, თუ გაერო შეიმუშავებს სპეციალურ (ქართულენოვან) ისტორიის სახელმძღვანელოს, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ აფხაზეთს საქართველოსთან ისტორიულად არაფერი აკავშირებს.

არძინბას თქმით, აფხაზეთის ხელისუფლება არ დაუშვებს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე (გალის რაიონში) ქართველები ისტორიას სწავლობდნენ თბილისში გამოცემული „სეპარატისტული“ სახელმძღვანელოებით, ვინაიდან მათში „გაყალბებულია აფხაზეთის ისტორია“, კერძოდ, „საქართველოს ისტორიის“ არსებული სახელმძღვანელოს ავტორები ამტკიცებენ, „თითქოს აფხაზეთი სტალინ-ბერიამდეც საქართველოს ნაწილი იყო“.

ქვანიას ჰალსტუხი აუქციონზე

(ბეა) საქართველოში პირველად ქართველ პოლიტიკოსთა პირადი ნივთების აუქციონი გაიმართა. აუქციონზე გამოტანილი იყო ზურაბ ჟვანიას, მიხეილ მაჭავარიანის, მამუკა გიორგაძის ჰალსტუხები. გიორგი ბარამიძის კეპი, თენგიზ ჯგუშიას კანარის კუნძულებზე ნაყიდი საფულე, ირაკლი წერეთლის მედალიონი და ძეწკვი, ვახტანგ რჩეულიშვილის დახატული ნატურმორტი. წარმოდგენილ იქნა აგრეთვე წიგნები, პერანგის შესაკრავები, ჯაბა იოსელიანის ბაფთა, რომელიც პარლამენტის პირველ სხდომაზე ეკეთა (იგი 25 ლარად გაიყიდა) და ა.შ.

აუქციონზე, ძირითადად, ახალგაზრდები მივიდნენ, თავად ნივთების მფლობელები კი (თემურ ჟორჟოლიანის გარდა) არსად ჩანდნენ.

ყველაზე მაღალ ფასად, 100 ლარად გაიყიდა გოგი თოფაძის მოვერცხლილი ლუდის კათხა, რომელიც მას გერმანიაში აჩუქეს და რომლის საწყისი ფასი 35 ლარი გახლდათ. ვახტანგ ბოჭორიშვილის კალამი, რომელსაც ყველაზე დაბალი საწყისი ფასი (2 ლარი) ჰქონდა, 35 ლარად შეიძინა საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარემ დათო ტყეშელაშვილმა, მანვე იყიდა ზურაბ ჟვანიას ჰალსტუხიც — 35 ლარად. როგორც აუქციონზე ითქვა, ეს სწორედ ის ჰალსტუხია, რომელიც ჟვანიას ერთხელ სააკაშვილმა ათხოვა. დათო ტყეშელაშვილს ამ კურიოზის გამო შეუძენია იგი. არ გაიყიდა და აუქციონის მუზეუმს გადაეცა თამარ ჩხეიძის ჩანთა-დიპლომატი, გურამ შარაძისა და ზვიად ძიძიგურის სათვალეები, აგრეთვე კოკა ყანდიაშვილის თოჯინა „დიდების ზღაპრიდან“.

აუქციონზე შემოსული თანხა ძეგვის ბავშვთა სახლს მოხმარდება. ღონისძიება ჩატარდა ლიტერატურული ჟურნალ „არილის“, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის, სტუდია, „აუდიენციის“, საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ღონისძიების ორგანიზატორი კი საქართველოს საზოგადოებრივი ურთიერთობის ახალგაზრდული ასოციაცია იყო.

„ჩეჩნები ფულზე არ იყიდებიან!“

სენსაციური რეპორტაჟი გაავრცელეს ფრანგმა ტელეჟურნალისტებმა, რომლებმაც მთებში ინტერვიუ ჩამოართვეს ასლან მასხადოვს. რუსეთის მასმედიის მიერ მუსირებული ინფორმაცია მასხადოვის მძიმედ დაჭრის შესახებ, საპნის ბუშტივით გასკდა და ჩეჩნეთის პრეზიდენტი საღ-სალამათი და საკმაოდ მხიარული წარდგა მსოფლიოს წინაშე. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ მასხადოვის „რეზიდენციას“ ამჯერად ღრმა მიწური წარმოადგენს, სადაც სადილს ერთადერთი ჩეჩენი ქალი უმზადებს მასაც და მასთან მყოფ პარტიზანთა ჯგუფსაც.

ინტერვიუში ჩეჩნეთის პრეზიდენტმა დასავლეთის ქვეყნები გულგრილობაში დაადანაშაულა, რომლებისთვისაც უფრო მნიშვნელოვანია რუსეთის ენერგორესურსების ამოქაჩვა და მასთან ურთიერთობა, ვიდრე მცირერიცხოვანი ჩეჩენი ერის უფლებების დაცვა. მასხადოვმა ისიც თქვა, რომ შამილ ბასაევმა ომის დაწყებამდე ბერეზოვსკისგან 1 მლნ დოლარი მიიღო ნაღდი ფულით და იგი ჩემოდნით მიუტანა მასხადოვს(!). ჩეჩნეთის პრეზიდენტს მაშინ უთქვამს, ბერეზოვსკი ფულს ტყუილუბრალოდ არ არიგებს და ეს ცუდი ამბების მომასწავებელიაო, თან დასძინა თურმე, ჩეჩნები ფულს იღებენ, მაგრამ ფულზე არ იყიდებიანო. ასე რომ, როგორც ჩანს, მასხადოვს აუღია ის 1 მლნ დოლარი, ხოლო თუ რატომ, რა მიზნით და რა მოუტანა ამ ფულმა ჩეჩენ ერს, დღეს ეს ყველასათვის ნათელია!

ხელისუფლება როგორმე უნდა „გადმოვაბრძანოთ“ დაჯავშნული მანქანებიდან, გავაცაროთ ქუჩებში და ვანახოთ — რა ხდება!

„ხალხთა ცხოვრება ვერ ეტევა რამდენიმე პირის ცხოვრებაში, რადგან კავშირი ამ რამდენიმე ადამიანსა და ხალხს შორის ნაპოვნი არ არის. თეორია იმის შესახებ, რომ ეს კავშირი ემყარება ხალხის ერთობლივი ნების გადატანას ისტორიულ პირებზე, ჰიპოთეზაა, რასაც ისტორიის გამოცდილება არ ადასტურებს...

რა მოვლენაც უნდა მოხდეს და ვინც არ უნდა ჩაუდგეს სათავეში მოვლენას, თეორიას ყოველთვის შეუძლია თქვას, რომ ასეთი პიროვნება მოვლენას სათავეში იმიტომ ჩაუდგა, რომ ერთობლივი ნება მასზე იყო გადატანილი... მაგრამ ამ თეორიის მიხედვით ისტორიულ კითხვებზე გაცემული პასუხი ჰგავს იმ კაცის პასუხს, რომელიც ხედავს მიმავალ ნახირს, მხედველობაში არ იღებს არც საძოვრის სიკარგეს, არც მწყემსის მოქმედებას და ჯოგის ამა თუ იმ მიმართულებით სვლაზე მსჯელობს იმის მიხედვით, თუ რომელი პირუტყვი მიუძღვის ჯოგს...

„ჯოგი ამ მიმართულებით იმიტომ მიდის, რომ წინ მიმავალი ცხოველი მიუძღვის და ყველა დანარჩენი ცხოველის ერთობლივი ნება გადატანილია ჯოგის ამ წინამძღოლზე“, — ასე გვპასუხობენ პირველი ჯურის ისტორიკოსები, რომლებსაც სწამთ ძალაუფლების გადატანის უთუოობა ერთ პიროვნებაზე...

„თუ განუწყვეტლივ იცვლებიან სათავეში მდგომი ცხოველები და თუ განუწყვეტლივ იცვლება მთელი ჯოგის სვლის მიმართულება, ეს იმის გამო ხდება, რომ იმ მიმართულების მისაღწევად, რომელიც ჩვენთვის ცნობილია, ცხოველები თავიანთ ნებას გადასცემენ იმ ცალკეულ ცხოველებს, რომელთაც ჩვენ ვამჩნევთ. ამიტომ, ჯოგის მოძრაობის შესასწავლად უნდა დავაკვირდეთ ჩვენ მიერ შემჩნეულ ყველა ცხოველს, ჯოგს ყოველი მხრიდან რომ მისდევენ“, — ასე გვეუბნებიან მეორე ჯურის ისტორიკოსები, რომლებიც თავიანთი დროის გამომხატველებად აღიარებენ ყველა ისტორიულ პირს, დაწყებულს მონარქებით და დამთავრებულს ჟურნალისტებით...

...თეორია, ისტორიულ პირებზე მასების ერთობლივი ნების გადატანის შესახებ შესაძლოა, ბევრ რამეს გვიხსნიდეს სამართლის მეცნიერების დარგში, მაგრამ ისტორიის მიმართ, როგორც კი იწყება რევოლუცია, დაპყრობა, შინაბრძოლა, ეს თეორია არაფერს არ გვიხსნის...“

ლევ ტოლსტოი

როგორც წესი, გენიოსის ნათქვამი იმიტომაც არის ჭკუის სასწავლებელი, რომ იგი ისტორიისა და საზოგადოების განვითარების ნებისმიერ, ამა თუ იმ დროს და ეპოქას შეესაბამება. დიახ, თეორია აღარაფერს გვიხსნის, განსაკუთრებით ქართველებს, რომლებისთვისაც ყველანაირ თეორიას და პრაქტიკასაც, ვფიქრობ, დიდი ხანია დაკარგული აქვს ფასი „რევოლუციის, დაპყრობის, შინაბრძოლის“ შედეგად და, შესაბამისად, უმწყემსოდ დარჩენილი ჯოგის, ჯოგის წინ მიმავალი და ყოველი მხრიდან ადევნებული „შემჩნეული“ ცხოველების მსვლელობის კანონით ცხოვრობს. აქედან, დიდი შანსია, რომ მთელი ეს ნახირი პირდაპირ სასაკლაოზე აღმოჩნდეს, სადაც მას მოთმინებით ელიან ადგილობრივი თუ უცხოელი ყასბები... უფრო კონკრეტულად კი, ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრები პოლიტოლოგ

რამაზ კლიმიაშვილს:

— არის მომენტი, რომელსაც მართლა აღარ მიესადაგება არავითარი თეორია. ყველაფერი ვითარდება ისეთ პრიმიტიულ დონეზე, რომ მხოლოდ ბიოლოგებიღა ცდილობენ შეისწავლონ იგი. სამწუხაროდ, ჩვენ ვუახლოვდებით განვითარების იმ დონეს, როდესაც, როგორც ჩანს, ბიოლოგები დაგვჭირდება და არა პოლიტოლოგები და სოციოლოგები. რასაკვირველია, არ მინდა ასე მოხდეს და ისევ ფილოსოფოსებს და, მათ შორის, ერთ-ერთ უდიდესს, ჰეგელს მოვიშველიებ. სწორედ მან ჩამოაყალიბა დიალექტიკა, რომელიც შემდეგ მარქსმა დაამახინჯა, ხოლო თავად მარქსიზმს რაც დამართეს, ესეც ცნობილია, მაგრამ დიალექტიკაში ჰეგელის პოზიცია დარჩა და იგი, ჯერჯერობით, ვერავინ უარყო: „რაც არის დადებითი, გარკვეული მომენტის შემდეგ ხდება უარყოფითი...“ ეს ეხება პიროვნებასაც, რომელიც გარკვეულ ისტორიულ მომენტში შეიძლება იყოს დადებითი მოვლენა, საჭირო და გადამწყვეტი, აღმშენებელიც კი, მაგრამ შემდეგ დადგეს პერიოდი, რომ იგივე პიროვნება თუ პიროვნებები ქვეყნის დამაქცევლებადაც კი გადაიქცნენ, ნამდვილად არ მსურს ლაპარაკი „ჯოგსა და ნახირზე,“ მაგრამ სამწუხარო ფაქტია, რომ ხშირად კულტურით ჩვენზე ძალზე დაბლა მდგომი ქვეყნები და ერები გვჯობნიან; მაგალითად, ინდიელებით დასახლებულ პერუსთან შედარებითაც კი! იქ ასევე 9 აპრილს გაიმართა არჩევნები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მოქალაქეობრივი აზროვნება, ღირსება იქ უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში და ჩვენ უფრო ნახირის დონეზე ვყოფილვართ. ინდიელებმა არ მიიღეს არჩევნების გაყალბებული შედეგები... ქართველობამ კი ჩაყლაპა არჩევნების აბსურდული შედეგები, რომელსაც ენით აუწერელი ნეგატიური შეფასება მისცა დასავლეთმა. ესეც ხელისუფლების ბრალია, რადგან მან გააღატაკა მოსახლეობა და აჰყარა ღირსების გრძნობა, მაგრამ ამით საკუთარ თავსაც გამოუტანა საბოლოო განაჩენი...

— ნათქვამი აქტუალურია, რადგან დღითი დღე იზრდება დაძაბულობა და, გვინდა თუ არ გვინდა, ამას ვერსად გავექცევით. ყველაზე საშიში კი მაინც ის არის, რომ ქუჩებში გამოდიან გაღატაკებული ფენები და ტყუილად ჭორია ზოგიერთ ექსპერტს, პოლიტიკოსს, რომ თუ ეს მასა გამოვიდა ქუჩაში, რაღაც „ლოკალური“ აქციით დაამთავრებს საქმეს. თქვენ მრავალ ქვეყანაში შესწრებიხართ მსგავს მოვლენებს და იქნებ აუხსნათ ჩვენს მკითხველს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამას...

— დასავლეთში არსებობს სპეციალური საგანი „მასების ფსიქოლოგია“, რომელიც ჩვენთან არ ისწავლება. ფსიქოლოგებმა დაასკვნეს, რომ ერთი მიზნით შეპყრობილი შეკრებილი მასები კარგავენ საკუთარი თავის კონტროლს. მსგავსი რამ გვინახავს ფეხბურთის მატჩებზე, როდესაც ადამიანი აღარ მიიჩნევს თავს პიროვნებად, არამედ მასის ნაწილია, და როცა ყველას ერთი და იგივე რამ უნდა — მოიგოს მისმა გუნდმა. მიხეილ ჯავახიშვილმა ერთ-ერთ შესანიშნავ მოთხრობაში აღწერა ახალგაზრდა, სათნო ქალის მდგომარეობა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ლინჩის წესით დასჯაში და შემდეგ შეშლილი მოკვდა... მოკლედ, დადასტურებულია, რომ მასის შეკრებისას გონება აღარ არსებობს და თვით ისეთმა ადამიანებმაც კი შეიძლება დაიწყონ ნგრევა და კვლა, რომლებიც მთელი სიცოცხლე ძალადობის წინააღმდეგნი იყვნენ. საინტერესოა, რომ მასების, ბრბოს ფსიქოლოგიას მეცნიერები ადარებენ ჭიანჭველებს: ცალკეულ ჭიანჭველას გონება არა აქვს, მაგრამ იგივე ჭიანჭველები ყველანი ერთად მუშაობენ — ერთი გონებით. არავინ იცის, როგორ, მაგრამ ფაქტია, რომ თავისი გზით მიმავალი ჭიანჭველები, თუ რაღაც მოხდა, ელვისებურად შეიცვლიან გეზს და ყველანი ერთ გონებას ემორჩილებიან, ე.ი. თითქოს თითოეული ერთი დიდი ტვინის ნაწილაკია, რომელიც საბოლოდ კრავს ერთ დიდ ბრბოს! ასე ხდება მასობრივი არეულობის დროსაც. საქართველო ძალიან ჰგავს ლათინური ამერიკის ქვეყნებს. ნიშანდობლივია, რომ მათ უბადრუკ სერიალებს ასეთი გასავალი აქვს ჩვენში, რადგან ცხოვრების წესით, მდიდრებსა და ღარიბებს შორის გათხრილი უფსკრულით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. დიახ, მე მინახავს მშიერი მასების გამოსვლები ამ ქვეყნებში, როდესაც არა მარტო მაღაზიებს ძარცვავენ და ამსხვრევენ, არამედ, რატომღაც, ბენზინსაც ასხამენ და წვავენ! აშშ-შიც იყო ამ 30-40 წლის წინ მსგავსი გამოსვლები ზანგების რაიონებში. არავითარი ორგანიზება მათ არ ჰქონდათ. ცენტრში კი არ მიდიოდნენ, არამედ თავიანთ ქუჩებსა და რაიონებს ანადგურებდნენ; ანუ ეს ის ვითარებაა, როდესაც ადამიანი ნგრევის სურვილითაა შეპყრობილი და ამ დროს შეიძლება საკუთარი ოჯახიც ამოწყვიტოს. მოკლედ, უცებ გაირკვევა, რომ პოლიტიკა აღარ არსებობს, არმია და პოლიცია დამალულია და ადამიანშიც ცხოველური ინსტინქტები მძვინვარებს...

არც ჩვენ ვართ გარანტირებულნი, რომ აქ მსგავსი რამ არ მოხდება. სწორედ ამას ვერ ხვდება ხელისუფლება, რომ ყველაფერი მიდის ჭიანჭველათა მასის ერთიანი გონებისკენ, რომელსაც ვერც მღებრიშვილის „ომონი“ და ვერც პოლიცია ვერ შეაჩერებს. წამში გასრესენ მათ! ეს საშინელებაა და ამას სიამოვნებით კი არ ვლაპარაკობ, არამედ რეალურად მეშინია უკვე! საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, უცხოეთში რა პროცესებს და ინსტინქტებს ეძლევა ამ დროს გასაქანი. თბილისი, როგორც დედაქალაქი, აღარ იარსებებს... ხოლო გაბოროტებული ხალხი არ გაარჩევს ერთმანეთისგან პარლამენტარს, მინისტრს, ბიზნესმენს, მაღაზიის თუ რესტორან-კაზინოს პატრონს...

— ღმერთმა დაიფაროს და, 1992 წლის რუსთაველის პროსპექტი, ალბათ მოგონება იქნება მაღაზიებგანადგურებულ და ქუჩებდამწვარ ქალაქთან შედარებით... როგორც წესი, მშიერი მასა სწორედ მაღაზიებს, სუპერმარკეტებსა და უნივერმაღებს უტევს...

— რა თქმა უნდა. როდესაც დასავლეთში პროფკავშირებს მუშა-მოსამსახურეთა მასები გამოჰყავთ ქუჩებში, ეს მკაცრად ორგანიზებული აქციაა და არასოდეს გადადის ექსცესებში. პროფკავშირის ლიდერებს აქვთ კონკრეტული მოთხოვნები და, როგორც წესი, აღწევენ მიზანს. ჩვენთან კი, არც პროფკავშირები არსებობს და აღარც პოლიტიკური პარტიები, რომლებიც შეძლებენ ამას. შესაბამისად, ისეთი ანარქია იქნება, დაგვავიწყდება 1991-92 წლები. მაშინ არ იყო დაყოფა მოსახლეობის უმდიდრეს და უღარიბეს ფენებად, სოციალური მდგომარეობა დაახლოებით თანაბარი იყო, მაშინ დაპირისპირება პოლიტიკური, ეროვნული იდეებით მიმდინარეობდა და კონფლიქტი რუსთაველის პროსპექტს არ გასცილებია, თუ არ ჩავთვლით, სამეგრელოს ერთ-ორ რაიონში მომხდარ ამბებს. ეს დიდი ტრაგედია იყო, მაგრამ სოციალური კონფლიქტის შემთხვევაში, ასჯერ დიდი ტრაგედია გველის. ეს ნიშნავს იმას, რომ უცხოეთის ჯარების ჩარევის გარეშე ველარაფერს მოუხერხებენ ანარქიას.

— მართალი გითხრათ, მე უკვე უფრო ჩვენი გაუბედურებული მოსახლეობის იმედი მაქვს, რომ ამას არ გააკეთებს, ვიდრე იმისა, რომ ხელისუფლება გამოასწორებს მდგომარეობას და შეეცდება, თავიდან აიცილოს ქვეყანას კატასტროფა...

— მეც მაგის იმედი მაქვს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ რევოლუცია და ზემოხსენებული ნახირივით არ უნდა აღმოვჩნდეთ ჩვენი „მეგობარ-მეზობელი“ ყასბების ხელში. კორუმპირებული ხელისუფლება კი, რომელსაც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი არაფერი სცხია, ფიქრობს: დაიწყება გამოსვლები? თავში ქვა უხლიათ, აგერ თვითმფრინავი და მისი ჯანიო. ფული, დიდი ხანია, გადანახული აქვთ საზღვარგარეთ. საგულისხმოა, რომ დღეს სასახლეებს უფრო საშუალო დონის მდიდრები იშენებენ საჯაროდ. ძალიან მდიდრებს კი ჰყოფნით ჭკუა, რადგან იციან, რაც მოელით და აღარ ჩანან „აღმშენებლობით ასპარეზზე“. ისინი გაიქცევიან თავიანთი ოჯახებითურთ, რადგან მათი ფსიქიკით საქართველო უკვე განწირულია...

ახლახან მოვიარე დასავლეთ საქართველო. ქუთაისის ჩათვლით, ყველა ქალაქსა და რაიონში დაცარიელებულია ქუჩები. ცხოვრება ჩამკვდარია, ხალხს კაპიკი ფული არა აქვს და მთელი საქართველო მოდის თბილისში, სადაც ასე თუ ისე, შეიძლება პურის ფულის შოვნა. ამიტომ ეს ხელისუფლება როგორმე უნდა გადმოვაბრძანოთ დაჯავშნული მანქანებიდან, გავატაროთ ქუჩებში და ვანახოთ, რა ხდება. თვითონ „ვერ ხედავენ“, რომ არა მარტო ქვეყნის, არამედ მათი ბოლო დღეების ათვლის მრიცხველია ჩართული...

— ბოლო დღეებში, თითქოს რაღაც გეგმები დასახა ხელისუფლებამ მდგომარეობის ოდნავ მაინც შესამსუბუქებლად და თვით ეროვნული უშიშროების საბჭოზე გაიტანა ბიუჯეტის შეუსრულებლობის საკითხი; მაგრამ გაუგებარი დარჩა, რა კონკრეტული ზომების მიღებას აპირებენ. ფაქტია, რომ საქართველო რაღაც განსაკუთრებული ნაბიჯების გარეშე დიდხანს ვერ გაატანს, მით უმეტეს, რომ ადრინდელი ფინანსური ინიექციებიც პატრონს ჩაბარდა...

— სწორედ ამიტომ უნდა გამოცხადდეს დაუყოვნებლივ საგანგებო მდგომარეობა, გნებავთ, ეკონომიკური დიქტატურა! აღარაფერი მუშაობს, ეკონომიკა მოსპობილია, სავალუტო ფონდი კაპიკს აღარ გვაძლევს, ვინც წერა-კითხვა იცის, ხედავს, რომ ბაქო-ჯეიჰანის პროექტში ცენტის ჩადებას არავინ აპირებს. მეტიც, „აბრეშუმის გზას“ ჯავარი დაესვა, რადგან საქართველოს, როგორც კეთრიანს, ისე უვლიან გვერდს გადამზიდავები და უკვე ირანის მიმართულებაზე გადააქვთ აქცენტი. გესმით, რა ხდება? ფუნდამენტალისტური მოლების ირანსაც კი, რომელიც ეზიზღებოდა დასავლეთს, უკვე ჩვენზე წინ აყენებენ. ეს იმიტომ, რომ ირანი სახელმწიფო ბანდიტების ქვეყანა არ არის. ქართველი ხელისუფალნი, დაწყებული პარლამენტით და დამთავრებული ყველა ჩინოვნიკით, თავიანთივე კანონებით ძარცვავენ ქვეყანას. პრეზიდენტი და სპიკერი კი გაიძახიან და გაიძახიან, „აბრეშუმის გზა“ ვართო! კი მაგრამ, თუ „აბრეშუმის გზა“ ხარ, რატომ შეწყვიტა ინვესტიციები „ტასისმა“, რომელმაც ადრე უზარმაზარი ფული ჩადო ამ პროექტში? იცით თუ არა, რომ ყველაფერი შეჭმული და დაკარგულია და „ტასისს“ ჩვენი დანახვაც აღარ უნდა? იცით, როგორ იღებენ ჩვენს დელეგაციებს „ტასისში“? როგორც ბანდიტებს, ქურდებს! არ იცის ეს სპიკერმა და პრეზიდენტმა?! დიახ, ფულის მოცემას აღარავინ აპირებს. დღემდე მოწყალებით ვცხოვრობდით, როგორც მათხოვრები, ამ მოცემულ უზარმაზარ ფულს კი ერთი მუჭა სახელისუფლებო ხროვა იდებდა ჯიბეში. არადა ეს ფული გამოგზავნილი იყო ხალხისთვის, ფაბრიკა-ქარხნებისთვის, ენერგეტიკისთვის... ყველაზე დიდი ფული შემოვიდა აგრარულ სექტორში, მაგრამ სოფლის მეურნეობაში არ ჩადებულა, „გაქრა“. ვინ შეჭამა ეს დიდი ფული, ხომ ყველამ იცის, პრეზიდენტიდან დაწყებული და გენპროკურატურით დამთავრებული? თუ არ იციან, მაშინ რა უნდათ ამ პოსტებზე? რომ ვამბობ, საგანგებო ზომები და ეკონომიკური დიქტატურა უნდა დამყარდეს-მეთქი, ვგულისხმობ იმასაც, რომ შეიძლება ამ ფულის ამოღება და ხალხის დაპურება! არ აკეთებენ... სამაგიეროდ, კვირა არ გავა, რომ ამა თუ იმ კაზინოდან ინფორმაცია არ გამოვიდეს, რა თანხებს ტოვებენ იქ ეს ჩინოვნიკები... ბოლოს და ბოლოს, ვიღაცამ ხომ უნდა დაუსვას პრეზიდენტს შეკითხვა: „თუ ამ მთავრობას ედება ბრალად 300 მილიონიანი და უკვე მეტი გარღვევა ბიუჯეტში, რატომღა დააბრუნე ხელისუფლებაში იგივე ხალხი და რატომ არ გაუშვი ციხეში?“

— ეკონომიკური დიქტატურაო, ბრძანეთ, მაგრამ რა გარანტია გვაქვს, რომ ასეთ შემთხვევაში ნამდვილი დიქტატურის სუნიც არ დატრიალდება, თუნდაც, თბილისის მასშტაბით...

— პინოჩეტმა დიდი საქმე გააკეთა ეკონომიკისთვის, მაგრამ მან ეკონომიკა და პოლიტიკა აურია ერთმანეთში. მე რომ მოვუწოდებ ხელისუფლებას საგანგებო ზომებისკენ, ეს არავითარ შემთხვევაში პოლიტიკას არ უნდა შეეხოს, თორემ მე ხომ ვიცი მაგათი ხასიათი: ოღონდ შანსი მიეცეთ და დაერევიან, უწინარესად, ოპონენტებს, შემდეგ გაზეთებს დახურავენ! გგონიათ, ამის გაკეთებაში ჭკუა შეუშლით ხელს ან თანამდებობა? მოკლედ, უნდა დამყარდეს მხოლოდ ეკონომიკური დიქტატურა, რათა შეაჩერონ ეს ამაზრზენი მასშტაბის კორუფცია, პირდაპირ ვიტყვი — შეაჩერონ ამ ღორების თარეში, რადგან აშკარაა, რომ ვეღარ „ატორმუზებენ“ ფულის პარვისას... ესენი არიან საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებული ქურდები, რადგან მაშინ იდო ფული და საჭირო იყო მისი ჩადება ჯიბეში. კერძო საკუთრების პირობებში კი, რაც ეკუთვნის სახელმწიფოს, ის ეკუთვნის თითოეულ ჩვენგანს და ამ ჩვენსას გვპარავენ! ქართველებს კი ისეთი დამპალი ფსიქოლოგია გვაქვს, რომ ხმას არ ვიღებთ და ვამბობთ: „იპარავს და მერე რა მოხდაო?“ მეტიც, პატივს სცემენ ამ ღიპიან ქურდებს! ეს არის ევროპელობა? ამას მოითმენდა ევროპელი კაცი და შეარჩენდა ვინმეს ხალხის კუთვნილი ფულის კაზინო-რესტორნებში ხარჯვას?

— მოდით ახლა, ამ „ევროპელების“ მიერ გაჩაღებულ დავას, ცემა-ტყეპასაც შევეხოთ, რაც ეროვნების რეკვიზიტის საკითხმა გააღვივა. ვფიქრობ, რომ ამის მიზეზი ან ელემენტარული უცოდინარობაა, ან შეგნებული პროვოკაცია. რეკვიზიტის მომხრეებს არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ, ვთქვათ, საფრანგეთში, გერმანიასა და ინგლისში ყველას უწერია — ფრანგი, გერმანელი, ინგლისელი და ა.შ.

— ტყუიან, სიცრუეა! მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში მსგავსი რამ არ არის. ყველას უწერია მოქალაქეობის აღმნიშვნელი რეკვიზიტი. იმავე საფრანგეთში, როცა წერია „ნაციონალიტე“ ფრანგი, ნიშნავს მოქალაქეობას და არა ეროვნებას. ინგლისში ყველას, შოტლანდიელს, ინგლისელს, ირლანდიელს უწერია — ბრიტანელი, რაც ბრიტანეთის მოქალაქეობას ნიშნავს და არა ეროვნებას. ორი ქვეყანა იყო მხოლოდ, საბჭოთა კავშირი და იუგოსლავია, სადაც პასპორტებში ეწერათ ეროვნება. სწორედ ამან დაანგრია ორივე ქვეყანა და საშინელ ეთნოკონფლიქტებში გადაჩეხა. დღეს მხოლოდ სერბეთშია ეს და ამიტომაც გამოეყო კოსოვო თავისი აღბანელებითურთ! ე.ი. აქაც, ვთქვათ, სომხებს იმიტომ ვუწერთ პასპორტში ეროვნებას, რომ ჯავახეთი ჩამოგვშორდეს? როგორც კი ამას ჩაუწერ, მერე მათ მიეცემათ უფლება ჯერ ავტონომიის მოთხოვნისა, შემდეგ კი იტყვიან, ან ათქმევინებენ საერთაშორისო თანამეგობრობას — რატომ უნდა იყოს სომხეთის საზღვარზე სომხური ავტონომია? მართლებიც იქნებიან: ჩაატარებენ რეფერენდუმს, „თვითგამოერკვევიან“ და წასულია ეს ტერიტორიაც. ამიტომ თქვენი გაზეთის საშუალებით გულისტკივილით და პასუხისმგებლობით ვაცხადებ საზოგადოების წინაშე — თუ პარლამენტმა მიიღო დადგენილება და ეროვნების რეკვიზიტი ჩაწერეს პასპორტებში, რამდენიმე წელიწადში ჯავახეთს წაიღებს სომხეთი! ის სომხეთი, რომელიც მალე შეუერთდება რუსეთ-ბელორუსის კავშირს. თუ არა და, ჯავახეთს რუსეთი წაიღებს — სომხების ხელით! აი, მაშინ, ვინც დღეს ეროვნების რეკვიზიტისთვის იბრძვის, უნდა გავსამართლოთ სასამართლოში! ჩვენი მოსახლეობაც გაუცნობიერებელია ამ საკითხში და ვერ ხედავენ, რომ ეს იდეა ერთადერთი მიზნითაა შემოგდებული — წაიღონ ჯავახეთი!

— „როგორ წაიღებენ?“ ჩვენ ხომ სახელმწიფოებრიობის 3000 წლოვანი იუბილის აღნიშვნას ვაპირებთ? „როგორ გაგვიბედავენ?!“. ისე, ძალიან მაინტერესებს, რა სახსრებით უნდა აღნიშნოს ეს „გრანდიოზული“ ღონისძიება შემოდგომაზე ხელისუფლებამ? ალბათ კვლავ უცხოური „ინიექციების“ იმედი აქვთ...

— ეს კიდევ ერთი მარაზმი! ეტყობა, ხელისუფლებას ამით იმისი თქმა უნდა, რომ საქართველო არის გადაბერებული, მომაკვდავი, რომელსაც ქელეხი უნდა გადაუხადო! შეუძლებელია, ხელისუფლებამ არ იცოდეს, რომ 3000 წლოვანი სახელმწიფოებრიობის ისტორია არათუ საქართველოს, საერთოდ არავის არა აქვს მსოფლიოში, არც შეიძლება ჰქონდეს. 3000 წლის მხოლოდ მუმიები არიან. რა სახელმწიფოებრიობაზე ლაპარაკობენ, გაუგებარია ჩემთვის. ეს აბსურდია და ამით სასაცილოდ ვიხდით თავს. მეტიც, ხელისუფლებას მართლაც გამოჩერჩეტებულ, მარაზმში ჩავარდნილ ერად გამოჰყავს ქართველობა. ეს ფსიქოლოგიურად მოქმედებს ადამიანზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, მოქმედებს ინვესტიციებზეც! რომელ სულელ უცხოელს მოუნდება ინვესტიცია ჩადოს 3000 წლის ქვეყანაში? მე ვიცნობ მათ ფსიქოლოგიას და ვიცი, რასაც ვამბობ! ამასთან, ჩვენს მოსახლეობაში გაუთავებლად მუსირებს აზრი „ქვეყნის აღსასრულზე“ და მე აღარ ვიცი, ყოველივე ამას რა კომენტარი გავუკეთო. ამიტომაცაა, რომ ხელისუფლებაც მხოლოდ იმაზეღა ფიქრობს, კიდევ რა „ინიექციები დაირჭოს“ და შემდეგ გაიქცეს...

ზურაბ მჭედლიშვილი

სულთმოფენობა

მაცხოვრის ამაღლებიდან მეათე დღეს იყო ქრისტეს მოწაფეები ღვთისმშობელთან ერთად იერუსალიმში, ერთ სახლში იმყოფებოდნენ. დღის მესამე საათზე, რომელიც ჩვენი დროით დილის 9 საათს შეესაბამება, მოულოდნელად ზეციდან ხმა გაისმა და მათზე სულწმიდა გადმოვდა ენების სახით. ამ დროს ყოველმა მოწაფეთაგანმა სხვადასხვა ენაზე იწყო საუბარი. ეს იყო ნიშანი იმისა, რომ უფალმა მოციქულებს მისცა ნიჭი და ძალა სახარების მსოფლიო ხალხებისათვის საქადაგებლად. იგი ცეცხლის სახით გარდამოვდა ზეკთ, რათა ჰქონოდა ძალა ცოდვათა დაწვისა, განწმენდისა, სულთა გათბობისა და განცხოველებისა.

იმსანად იერუსალიმში უამრავი უცხოელი იმყოფებოდა და როდესაც თავის მშობლიურ ენაზე მოისმინეს უფლის დიდება, დაასკვნეს, — ღვინით დამთვრალიყვნენ. პეტრე მოციქულმა აუხსნა მათ, — აღსრულდა წინასწარმეტყველ იოელის სიტყვები. ჯვარცმული ღმერთი აღსდგა მკვდრეთით, ამაღლდა და ზეციდან მოუვლინა ნუგეშისმცემელი სულიწმიდა.

პეტრე მოციქულის ქადაგებამ ისეთი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე, რომ ბევრმა ირწმუნა და მოინათლა.

სულთმოფენობას დაარსდა ქრისტეს წმიდა ეკლესია და ამ დღიდან იწყო ქრისტეს სამწყსომ ზრდა.

ანა ჩხეიძე



ფოტოგამოსახვრება: სწრაფი და ხარისხიანი ბეჭდვა

წახალისების სისტემა. ფასდაკლება პროფესიონალებზე და მაგთის აბონენტებზე

ნებისმიერი მობილური ტელეფონები ნებისმიერ ფასად

ა) გარანტია
ბ) აქსესუარები
გ) ჩართვა მაგთი GSM

NOKIA ნოკია

მისამართები:

1. აღმაშენებლის გამზ. 71 (ნოკია სერვის-ცენტრი) საგარანტიო და სერვისული მომსახურება. შეკვეთების მაგიდა. ტელ/ფაქსი: 94-15-66; 899-555-035

2. მარჯანიშვილის ქ. 15, ფოტოსალონი ფუჯი ტელ/ფაქსი: 95-80-03

3. რუსთაველის გამზ. 31, ფოტოსალონი ფუჯი (ცენტრალური ფოსტის შენობაში) ტელ/ფაქსი: 99-53-83

საუკუნის მუსიკოსი აუდიტორიას ეშვიდობება...

— იგი დიდი ხელოვანი, ცოცხალი ლეგენდა და უნიჭიერესი მაესტროა. მას ლომის წილი უძევს ქართული კულტურის პროპაგანდაში. ეროვნებით ბერძენია, მაგრამ სულით ქართველი გახლავთ. მისგან ვისწავლე არა მარტო სადირიჟორო ხელოვნება, არამედ მეგობრობა, ადამიანობა, სიყვარული, — ამ სიტყვებით გახსნა ბატონმა ჯანსუღ კახიძემ ოდისეი დიმიტრიადის გამოსათხოვარი კონცერტი თბილისის მუსიკალურ ცენტრში.

პროგრამაში იყო მხოლოდ ჩაიკოვსკი — მაესტრო დიმიტრიადი ჩაიკოვსკის საუკეთესო შემსრულებლადაა აღიარებული. აუღერდა ფანტაზია „რომეო და ჯულიეტა", სცენა ოპერიდან „ევგენი ონეგინი" (სოლისტი მიშელინა ქობალიანი) და №6 სიმფონია.

ოდისეი დიმიტრიადი — შოთა რუსთაველისა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ღირსების ორდენოსანი, თბილისის, ბათუმისა და ათენის საპატიო მოქალაქე. 7 ივლისს იგი 92 წლის გახდება. მისი ქალიშვილი, ქალბატონი ნანა დიმიტრიადი, კონსერვატორიის საკონცერტმაისტერო დაოსტატების კათედრის გამგეა, უძღვება სპეციალობის კლასსაც. დიდი მაესტროს ცხოვრების შესახებ სწორედ მას ვესაუბრეთ:

— ქალბატონო ნანა, მამათქვენის ოჯახი მუსიკალური ტრადიციის იყო?

— არა. მისი მშობლები კონსტანტინოპოლიდან გადმოსახლდნენ ბათუმში. მამა დაიბადა 1908 წელს, იგი ოჯახში მერვე, უმცროსი შვილი იყო. ვიოლინოსა და ფორტეპიანოზე ბრწყინვალედ უკრავდა. 10 წლისამ დადგა საბავშვო ოპერა. თბილისის კონსერვატორიაში 1926 წელს ჩააბარა საკომპოზიციო განხრით, შემდეგ 1934 წელს ლენინგრადში განაგრძო სწავლა სადირიჟოროზე, გაუკის კლასში. კონსერვატორიის რექტორი იყო გლაზუნოვი, ოდისეისთან ერთად სწავლობდნენ შოსტაკოვიჩი და ბალანჩივაძე.

— როგორ გადაწყდა ოდისეი დიმიტრიადის საქართველოში ჩამოსვლა?

— სადირიჟორო განხრა მამაზე ცოტა ადრე დაამთავრა ევგენი მიქელაძემ, სწორედ მან მოიწვია თბილისში და თავისი საუკეთესო სპექტაკლებიც დაუთმო, მაგრამ... 1937 წელს ევგენი მიქელაძე გადაასახლეს და დახვრიტეს. მამა ყოველთვის აღნიშნავს, რომ იგი იყო „Выдающийся дирижер". მოგვიანებით მამამ თბილისის კონსერვატორიაში პედაგოგიური მოღვაწეობაც დაიწყო, პარალელურად იყო თბილისის სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელი. 1952 წლიდან ისევ ოპერაში გადაინაცვლა. მისი კლასი დაამთავრეს ჯანსუღ კახიძემ, რეზო ტაკიძემ, ანზორ კავსაძემ, თენგიზ ჭუმბურიძემ, ავთანდილ მამაცაშვილმა... მამას ძალიან უყვარს საქართველო, არ არის ქართული ნაწარმოები, რომელიც მას არ შეესრულებინოს აქ თუ საზღვარგარეთ. ამ ბოლო დროს ასაკი აშინებდა, ეგონა, ველარ ჩამოვიდოდა საქართველოში. ერთ-ერთ წერილში მწერდა, — მინდა, როგორც ანთეოსი, კიდევ ერთხელ შევეხო ქართულ მიწასო. მამა, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ტკივილი დაატყდა თავს, მუსიკით ცოცხლობს და ალბათ ეს შეაძლებინებს, რომ 92 წლის ასაკში ისევ ღირსეულად წარუდგეს მსმენელს.

როგორც თავად მაესტროსთან საუბრისას გაირკვა, ჩაიკოვსკის №6 სიმფონიას გამოსათხოვარ კონცერტზე განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა:

ოდისეი დიმიტრიადი: — ჩაიკოვსკი ძალიან მიყვარს. მეექვსე სიმფონიაში მოახლოებული სიკვდილის ჭვრეტაა, მისი შესრულებისას ვცადე, ახალი შტრიხები მომეძებნა. მინდოდა, ჩემთვის ყველაზე საპასუხისმგებლო და საყვარელ ქართულ აუდიტორიას საუკეთესო მუსიკით გამოვმშვიდობებოდი. ეს ჩემი უკანასკნელი საჯარო გამოსვლაა. თბილისი ჩემი მშობლიური ქალაქია. საქართველოში 55 წელი გავატარე, ბოლო დროს საბერძნეთში ვცხოვრობ, მაგრამ ჩემს საქართველოს არასოდეს დავივიწყებ.

ალექსანდრე ბერიძე

ვერეზე ყველაზე ძველი შენობა ლურჯი მონასტერია

იქ, სადაც ახლა ფილარმონიის შენობაა, ადრე იდგა ცოტა უჩვეულო სახლი, მაღალი, ვიწრო ფანჯრებით. მის პირდაპირ ტრამვაი მკვეთრად უხვევდა. ზუსტად ეს ადგილი იყო პირობითად თბილისის მომხიბვლელი უბნის, ვერეს ცენტრი. მას სახელწოდება შესაძლოა მისცა მდინარე ვერემ, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ყველაფერი პირიქით მოხდა, ვინაიდან ვახუშტის ცნობით, ადრე მდინარეს ერქვა სკვირეთი. ოდესღაც აქ იყო მეფეთა სანადირო ულრანი, უსიერი ტყე... სავარაუდოდ, ამ ადგილებში იპოვა ფარნავაზმა განძი...



ქართველთა პირველი მეფე ფარნავაზი 65 წელი მართავდა იბერიას (ძვ.წ. 302-237 წწ). ჯერაც ყმაწვილმა დიდგვაროვანმა, აქტიური მონაწილეობა მიიღო ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლის მმართველად დანიშნული აზოს წინააღმდეგ შეთქმულებაში. აზომ შეიტყო შეთქმულების ამბავი და „თავგასულ" ქართველთა საგანგებოდ დასჯა განიზრახა. დედა შეეუდრა ფარნავაზს, გაქცეულიყვნენ. ჭაბუკი იძულებული გახდა, დამორჩილებოდა მშობელს. იმ ღამეს ფარნავაზმა საოცარი სიზმარი ნახა: დახშულ სენაკში მოხვედრილი ამაოდ ეძებდა გასასვლელს. ამ დროს კვებოში მზემ შემოანათა, სხივთა ბადეში გაახვია ჭაბუკი და სენაკიდან გამოიყვანა. ხელით შესწვდა ფარნავაზი მზეს, მოწმინდა ნამი, პირი დაიბანა და... გაელვიძა.

ამგვარი უჩვეულო სიზმრის ნახვის შემდეგ ჭაბუკმა გადაწყვიტა, საყვარელ სანახებში უკანასკნელად მარტოდმარტოს ენადირა. სკვირეთის ხეობას აუყვა. ქორბუდა შემოეფეთა. მშვილდი მოზიდა! ყიანითელმა ისარმა დაჭრა ირემი და გაფრინდა ცხოველი ქარაფებზე. ფარნავაზი გაედევნა. დიდხანს მისდევდა გულგანწირულ ნადირს და იმ ადგილას, სადაც ახლა ვერეს პარკია, კოკისპირულმა წვიმამ მოუსწრო. მწვანიანში მიმალულ გამოქვაბულს შეაფარა თავი. კედელს მიეყრდნო. ანაზდად ჩამოიშალა ზურგს უკან მიწა და ჭაბუკის ფერხთით დახვავდა აურაცხელი ოქრო, ვერცხლი თუ თვალი პატიოსანი... ფარნავაზმა გაქცევაზე ხელი აიღო. ნაპოვნი განძით ჯარი შეკრიბა და შეაიარაღა, ეგრისის მეფე ქუჯისთან ერთად აუჯანყდა აზოს, დაამარცხა და განდევნა იბერიიდან და მეფედ დაჯდა.

მდინარე ვერეს ხეობაში იყო მშვენიერი ველური ხილის ბაღები, რომელთა ნაყოფი ქალაქელებს XX საუკუნის დასაწყისშიც კი უხილიათ. იმ ბაღებიდან დღეს შემორჩა თუთა და გემოთი იგი გამოირჩევა სხვა ადგილების თუთისაგან...

ვერე პატარა მდინარეა, უწყინარი. ყოველგვარ დამცირებას უხმოდ გადაყლაპავსო, — იფიქრეს ქალაქის მამებმა და გმირთა მოედნის ქვეშ ვერეს თავი მილებში უკრეს. მაგრამ ეს უკვე ვეღარ აიტანა პატარამ, მოთმინების ძაფი გაუწყდა და ორმოციოდე წლის წინ, კოკისპირული წვიმით აბობოქრებული ზღვასავით მოსკდა. მილებმა ვერ გაუძლეს წლის ნაკადს... დაიტბორა ზოოპარკი და იქაც რომ ველარ დაეტია, პირი მტკვრისაკენ იქცია წყალმა.

ზოოპარკის ვოლიერებში დაიხრჩვნენ ლომები, ვეფხვები, დათვები... ამბობდნენ, ღია აუზში მოცურავე ზღვის ლომებმა გაპარვა მოახერხეს და მტკვარში შეცურესო. მაგრამ საეჭვოა, კასპიის ზღვამდე ჩაელწიათ...

რაღაც იდუმალი კავშირია ზოოპარკსა და ცირკს შორის. ცირკიდან ბავშვი მშობლებს სასეირნოდ ზოოპარკში შეჰყავთ ან პირიქით. იქაც და აქაც შეიძლება ნახოთ ცხოველები.

ვერეს (ელბაქიძის) დაღმართზე და ე.წ. „ზარია ვოსტოკას" ტერიტორიაზე ადრე ცირკის შენობები იდგა. თბილისის ცირკის შენობა მაშინდელ საბჭოთა კავშირში საუკეთესოდ იყო მიჩნეული. აქ გამოდიოდნენ გამოჩენილი ოსტატები: დუროვი, კიო (მამა-შვილი), ბუგრიმოვა, ნიკულინი, პოპოვი, ზაპაშნი, კარანდაში...

ცირკის შენობაში პირველად ჩატარდა მოჭიდავეთა საერთაშორისო შეჯიბრება — საქართველოს ნაკრები შეხვდა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს. ომის შემდგომი წლებისათვის ეს უჩვეულო მოვლენა იყო. ჩვენებმა მხოლოდ ერთი ბრძოლა წააგეს, დანარჩენი — მოიგეს. ბრწყინვალედ იჭიდავა ლეგენდარულმა არსენ მეკოკიშვილმა. მან პირველსავე წუთზე ასწია მოწინააღმდეგე, გვარად რუჟიჩკა და ორივე ბეჭით ფაქიზად დადო ხალიჩაზე. ამ ეპიზოდს ახლაც იგონებენ ძველი თბილისელები. აქ პირველად ვნახეთ ამერიკული ცირკი. მსახიობები ბავშვებს გვჩუქნიდნენ ცხოველების ნახატებიან საჰაერო ბუშტებს. ეს საოცრება იყო...

XIX ს-ის პირველ ნახევარში ვერე ქალაქის გარეუბანი გახლდათ. იგი შემდეგ განაშენიანდა და შემოუერთდა თბილისს.

ვერეს ყველაზე ძველი შენობა — ლურჯი მონასტერი — XII საუკუნის ძეგლია. მის ირგვლივ სასაფლაო იყო...

ვერე... ვერა... შეუძლებელია არ გიყვარდეს შენი ქალაქი, მისი უბნები, ყოველი ბაღი, სახლი, ხე... ნამდვილი სიყვარული — მხოლოდ სიხარული არ არის, ეს არის მღელვარება, დარდი, თავგანწირვა, ეჭვიანობა, უანგარობა... მოკლედ, შენი ქალაქი უნდა გიყვარდეს ისე, როგორც 16 წლის პოეტს უყვარს მანდილოსანი...

გალაქტიონ ტაბანაშვილი

ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲐ

ინტერნეტში გავრცელებული აფხაზთა საიტების უმეტესობა განადგურებულია! ამის ინიციატორები და შემსრულებლები ქართველი პროგრამისტები არიან!

აფხაზების მიერ გავრცელებული გაყალბებული ფაქტები წარსულს ჩაბარდა!

ინტერნეტში აფსუების მხოლოდ ერთი საიტიდაა დარჩენილი. ახალგაზრდა პროგრამისტების თქმით, მის განადგურებასაც უახლოეს მომავალში გეგმავენ.

თუ როგორ მოახერხეს ეს ყველაფერი, სერვერის (სიხშირის) გამანადგურებლებთან ქვემოთ მოყავანილ ექსკლუზიურ ინტერვიუში შეიტყობთ.

მოგეხსენებათ, ადამიანი გონიერი არსებაა და მას მაქსიმალურად შეუძლია გამოიყენოს ყველა ის შესაძლებლობა, რაც სასიკეთოდ შეიძლება წაადგეს. ამასთან, მას თავად შეუძლია შექმნას სასურველი ნივთი, ან ისეთი რამ გამოიგონოს, მთელი მსოფლიო რომ გამოიყენებს. ამ უკანასკნელთა რიცხვს განეკუთვნება ინტერნეტი. სწორედ ინტერნეტი გახდა ადამიანთა შორის დაკავშირების, მიწერ-მოწერის საშუალება და თქვენ წარმოიდგინეთ, სასაუბრო ენაც კი. უნიჭო მოწინააღმდეგის შემთხვევაში, ინტერნეტი იძლევა საშუალებას, წამოიწყო და მოიგო კიდეც საინფორმაციო ომი. მისი საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია, იქნება ეს გაყალბებული ფაქტები თუ სხვა, მეტად მომგებიანი და ეფექტურია, რადგან მისი გადამოწმებით თითქმის არავინ ინტერესდება და წაკითხულს რეალობად აღიქვამს.

ზემოაღნიშნული საშუალება ფანტასტიკურად გამოიყენეს აფხაზებმა და ომის დამთავრებიდან დაახლოებით წელიწად-ნახევარში, ინტერნეტში საკუთარი საიტები გახსნეს. მოკლედ, შეიარაღებული ომის შემდეგ, საინფორმაციო ომი დაიწყო (როგორც აღვნიშეთ აფხაზების მიერ), რომელიც ჩვენი ხელისუფლების „წაყრუებით“, დღემდე გრძელდებოდა. შეიძლება იკითხოთ, რატომ გრძელდებოდა, ახლა რა, დამთავრდაო? მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ. მანამდე კი, ორიოდ სიტყვა იმის შესახებ, თუ რა ინფორმაციას ავრცელებდნენ აფხაზები ინტერნეტში — თურმე 1812 წელს, აფხაზეთში, ქართველებზე მეტი ლატვიელები და ესტონელები ცხოვრობდნენ, აფხაზეთის დედაქალაქი ისტორიულად თურმე ქუთაისი იყო(?!).

აფხაზებს გახსნილი ჰქონდათ ასეთი საიტიც — „შევარდნაძის „თაყვანისმცემელთა“ კლუბი“, სადაც აფხაზების და ქართველების წერილები იყო განთავსებული. გარდა ამისა, ჰქონდათ პოლიტიკური, ეკონომიკური გვერდები — თუ როგორ ყალიბდებოდა აფხაზეთის საკანონმდებლო სტრუქტურები, „ქვეყნის“ (ე.ი. აფხაზეთის) ეკონომიკა, იწვევდნენ დამსვენებლებს კურორტებზე. მათი განცხადებით, აფხაზეთში ჩასულ ტურისტს გარანტირებული აქვს უსაფრთხო დასვენება. უფრო მეტიც, თურმე აფხაზეთში სრული სიწყნარეა და საშიშროება, რომ იქ ჩასვლა რისკთანაა დაკავშირებული, ქართველების გავრცელებულია.

დაახლოებით ამ სახის ინფორმაციას ავრცელებდნენ აფხაზები მსოფლიოს მასშტაბით. დიახ, ავრცელებდნენ. სულ ცოტა ხნის წინ, ინტერნეტის ქსელში აფხაზთა საიტები განადგურდა. ამის ორგანიზატორი და შემსრულებელი ქართველი ახალგაზრდების მცირერიცხოვანი ჯგუფი გახლავთ. თუ რატომ გაანადგურეს მათ საიტები, რა მიზნები ამოძრავებდათ და რას აპირებენ სამომავლოდ, ვესაუბრებით ერთ-ერთ მათგანს, რომლის ვინაობასაც გასაგებ მიზეზთა გამო, არ ვასახელებთ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ეს პიროვნება სოხუმელია, თითქმის 8 წელია თბილისში ცხოვრობს, უმუშევარია და თავისუფალ დროს კომპიუტერთან ატარებს — შედეგიც სახეზეა.

— რას იტყოდით აფხაზეთის საიტის შესახებ, როდის შეიქმნა იგი და კონკრეტულად, რა ინფორმაცია ვრცელდებოდა მისი საშუალებით?

— აფხაზებმა საიტი ომისშემდგომ პერიოდში შექმნეს. საქართველოს ხელისუფლებამაც წაყრუებით მწვანე შუქი აუნთო მას: გახსნისას კომპიუტერის ეკრანზე ჩნდებოდა მათი დროშა, გერბი და „პრეზიდენტის“ პორტრეტი. შემდეგ მოდიოდა გვერდების ჩამონათვალი — პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა და ა.შ. რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, იყო აბსოლუტურად გაყალბებული. თითქოს აფხაზები აბორიგენები არიან, ქართველები კი ჩამოსახლებული. მათი ინფორმაციით, აფხაზეთი ჯერ კიდევ 1918 წელს იქნა ოკუპირებული. თითქოს ყოველთვის იდევნებოდა მათი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა. სინამდვილეში, ეს ე.წ. მოძრაობა ყოველთვის რუსეთის კარნახით იმართებოდა. ყოველ ათ წელიწადში ერთხელ აქციებს აწყობდნენ, სულ სხვადასხვაგვარი მოთხოვნებით. ერთი კურსი არასოდეს ჰქონიათ. გაყალბებული იყო 1989 წლის ივნისის მოვლენები, თითქოს ეს აფხაზთა გენოციდის ხელახალი მცდელობა იყო.

— ყველაფერი ეს უკვე წარსულს ჩაბარდა. აფხაზთა საიტები, თავის გაყალბებული ისტორიით, აღარ არსებობს. როგორ მოახერხეთ მათი განადგურება?

— მოგეხსენებათ, მე აფხაზეთიდან ვარ. ეს კი არა, თვენახევარი აღებულ სოხუმში ვიმყოფებოდი. ამჟამად ისევე ვცხოვრობ, როგორც დანარჩენი დევნილები. ვარ უმუშევარი და ერთადერთი, კომპიუტერით ვერთობი. ხშირად მიხდება ინტერნეტში შესვლა. აფხაზების საიტის გახსნისას, სადაც ზემოაღნიშნული ინფორმაციები მხვდებოდა, ყოველთვის ნერვები მეშლებოდა და ხშირად მითქვამს, — როგორ „გულაობენ“ ეს აფხაზები, ნეტავ საიტები გამანადგურებინამეთქი. საინტერსოა, რას ფიქრობდნენ ამის შესახებ ჩვენი ხელისუფალნი. სწორედ მათი უმოქმედობის გამო წავაგეთ საინფორმაციო ომიც. ამიტომ, მე და ჩემმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ, რომ მოგვეძებნა გზა, რომლითაც ჩანაფიქრის განხორციელებას შევძლებდით და ვიპოვეთ კიდეც.

— უფრო ზუსტად, როგორ მოახერხეთ?

— ჩვენ გავანადგურეთ მათი თოთხმეტი სერვერი (სიხშირე). ეს არის ის არხი, რომლებზეც საიტებია განთავსებული.

— მაინც რას ნიშნავს სერვერი, რამდენად შესაძლებელია მისი აღდგენა და რასთანაა დაკავშირებული?

— სერვერი ეს არის სიხშირე. უფრო გასაგებად რომ გითხრათ, საიტის მაცოცხლებელი წყარო. მხოლოდ საიტი რომ გაგვენადგურებინა, მისი აღდგენა 2-3 დღეში მოხდებოდა. სერვერის აღდგენას კი, რამდენიმე თვის გარდა, ასეულ ათასობით დოლარი სჭირდება, რასაც აფხაზეთის მწირი ბიუჯეტი ვერ გასწვდება, თუ ისევ რუსეთის მხრიდან არ იქნა დახმარება. სერვერის მნიშვნელობის უკეთ გასაგებად, გავავლოთ ასეთი პარალელი — წარმოიდგინეთ გადაიწვას, ანუ განადგურდეს რომელიმე ტელეარხის სიხშირე. ფაქტობრივად შეწყდება მაუწყებლობა და ამ არხის გადაცემებს ველარავინ მიიღებს. ასევეა აქაც.



АПСНЫ-ის „ძმობილ“ საიტებს ინტერნეტში ველარ ვიხილავთ

— სანამ შეგხვდებოდით, ბევრი ვიფიქრე, ღირდა ამ ფაქტის გახმაურება თუ გაჩუმება აჯობებდა, რადგან თქვენ სახელმწიფო დონის საქმე გააკეთეთ, რაზეც წესით, უშიშროების სამინისტროს უნდა ეფიქრა. სერვერების განადგურებისას თუ აცნობიერებდით თქვენს ქმედებას?

— გაცნობიერებული, რა თქმა უნდა, მქონდა. როგორც გითხარით, ამისკენ ხელისუფლების უმოქმედობამ უფრო გვიბიძგა — გაუთავებელი მოლაპარაკებები, დელეგაციების აქეთ-იქით სიარული, რაც ერთი ნაბიჯითაც არ სწევს წინ პრობლემას და იგი ფაქტობრივად კონსერვდება. საჭირო იყო ახალი მუხტის შემოტანა. დარწმუნებული ვარ, სტატიის გამოქვეყნებას დიდი რეზონანსი მოჰყვება. იქნებ ამან მაინც გაახსენოს ჩვენს ხელისუფალთ, რომ აფხაზეთის პრობლემა ჯერ კიდევ მოუგვარებელია და ჩვენ, დევნილებს, ჯერაც გვტკივა ეს იარა.

— მართალია ჯერ არა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ შესაძლოა კვლავ აღადგინონ აფხაზებმა სერვერი და შესაბამისად საიტები. თუ გიმეორებთ ამჟამინდელ მოქმედებას?

— აუცილებლად. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გავჩერდებით. რამდენჯერაც აღადგენენ, იმდენჯერ გავანადგურებთ. მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება გავჩერდეთ — თუ აღიარებენ აფხაზები დანაშაულს და ზუსტ ინფორმაციას გაავრცელებენ.

— შესაძლებელია თუ არა, დადგინდეს თქვენი ვინაობა, უფრო ზუსტად ის კომპიუტერი, რომლის საშუალებითაც, მოსდა სერვერის განადგურება?

— ჯგუფის წევრების გარდა, ერთადერთი და ამავე დროს უკანასკნელიც ხართ, ვინც ჩვენი ვინაობა იცის. თქვენი მხრიდან კონფიდენციალურობის დაცვის იმედი გვაქვს...

— ამაში კიდევ ერთხელ გარწმუნებთ.

— რაც შეეხება კომპიუტერის დადგენას, ეს შეუძლებელია. თანაც, სიფრთხილეს თავი არ სტკივა და, თავდაცვის რამდენიმე მექანიზმი გამოვიყენეთ.

— მომავალში რას აპირებთ?

— აუცილებლად შემოვიკრებთ რადიკალურად მოაზროვნე ხალხს და უახლოეს მომავალში შევქმნით ახალ, ჩვენს საიტს, სადაც ფართოდ იქნება გაშუქებული, საქართველოს და, შესაბამისად, აფხაზეთის ისტორია, ასევე იქ მიმდინარე პროცესები. ყოველგვარი შელამაზების გარეშე გავაშუქებთ აფხაზების „საგმირო საქმეებს“. გვსურს გამოვაქვეყნოთ გალში, აფხაზების მიერ დახოცილი 1500-ზე მეტი ადამიანის გვარ-სახელი ფოტოებით. მოკლედ, ვიწყებთ საინფორმაციო ომს.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲨᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲠᲕᲔᲠᲘ ᲒᲐᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲡ!!!

— გამორიცხული არ არის, სტატიის გამოქვეყნების შემდეგ საზოგადოებაში გაჩნდეს აზრი, რომ თქვენ ვილაცის დაკვეთას ასრულებთ...

— ერთადერთი „დამკვეთი“, რომელიც პრობლემის მოგვარებით შეიძლება იყოს დაინტერესებული, ხელისუფლებაა. მაგრამ მას რომ ეს ადარდებდეს, ჩვენ კი არ „დაგვიკვეთავდა“. თვითონ გააკეთებდა ამას და უფრო ადრეც. რადგან სწორედ მას უპყრია ხელთ ყველა სადავე, რომელმაც შეიძლება აფხაზეთი დაგვაბრუნებინოს.

ინტერვიუს ჩაწერის შემდეგ, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსაც დავუკავშირდით, სადაც შემდეგი გვითხრეს: „აფხაზეთის საიტებში ხშირად გვიხდებოდა შესვლა, მათ მიერ გავრცელებულ ინფორმაციებს ვბუჭდავდით. გვაინტერესებდა რას წერდნენ, რადგან საიტს ჩვენც ვამზადებთ, მაგრამ, დაახლოებით ერთი კვირაა, გაქრა მათი ინფორმაციები. სახელის გადარქმევა გამორიცხულია, ჩვენი აზრით, ვიღაც პროფესიონალმა პროგრამისტმა ძლიერი ვირუსი შეუშვა და გაანადგურა. სხვა რა შეიძლება იფიქროს კაცმა, არ ვიცი. სად წავიდა, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ...“

კომენტარი ვთხოვეთ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს **თამაზ ნადარაიშვილს:**

— მე აბსოლუტურად მესმის იმათი, ვინც ეს გააკეთა და ვეთანხმები, რომ ხელისუფლებისთვის აფხაზეთის პრობლემა მეცხრეხარისხოვნად იქცა. სწორედ ამიტომ გავაკეთე განცხადებაც გადადგომის შესახებ. დაგეთანხმებით იმაშიც, რომ წაგებული გვქონდა საინფორმაციო ომიც. სანამ აფხაზები საიტს გახსნიდნენ, მსოფლიო რუსეთისაგან იღებდა ინფორმაციებს აფხაზეთის შესახებ, ხოლო როგორ ინფორმაციებს გაავრცელებდა რუსეთი, ყველას მოგვეხსენება. აღფრთოვანებული დავრჩი თქვენი ნათქვამით. შეიძლება ვერც კი წარმოიდგინოთ, რამხელა საქმე გაკეთდა. ეს უნდა გაგრძელდეს, რათა ყველა მიხვდეს, აფხაზი იქნება თუ რუსი, რომ ქართველი ხალხი, რიგითიდან დაწყებული, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარით დამთავრებული, არ შეეგუება აფხაზეთის დაკარგვას.

— აღნიშნული ახალგაზრდების ჯგუფი თავიანთი საიტის გახსნას აპირებს.

— მისასალმებელია ეს აზრი. მე კიდევ ერთხელ მინდა თქვენი საშუალებით მადლობა გადავუხადო ახალგაზრდებს, ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის წამოწყებისათვის და ჩემის მხრიდან ყველანაირი დახმარება აღვუთქვა.

— რაც ამ ახალგაზრდებმა გააკეთეს, უშიშროების საქმე უფრო იყო. შესაძლოა პროვოკაციულადაც ულერდეს, მაგრამ თქვენ არ გიფიქრიათ აფხაზთა საიტების განადგურება?

— ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ განადგურება შესაძლებელი იქნებოდა. ახლა კი დავრწმუნდი, რომ მთავარია მონდომება. ამ ახალგაზრდების სახით ერთი ნათელი წერტილი გამოჩნდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ თურმე არც ისე სავალალოდაა საქმე, როგორც გვგონია, თურმე დრო ყველაფერს ვერ კურნავს.

როდესაც ჩვენთვის ცნობილი გახდა საიტის — APSNI.ORG არსებობა, კვლავ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს დავუკავშირდით, სადაც გვითხრეს, რომ აღნიშნული საიტი არაფერია იმასთან შედარებით, რაც ABKHAZIA და ARDZINBA იყო. APSNI-ში ვრცელდება ძირითადად სააგენტოების და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების მიერ მიწოდებული ინფორმაციები.

კომენტარისთვის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, **ვახტანგ ყულბაიასაც** დავუკავშირდით:

— ბატონო ვახტანგ, თუ გინახავთ აფხაზთა საიტები?

— საიტებში საკმაოდ ხშირად მიხდებოდა შესვლა, რადგან პარლამენტში მეც მაქვს გახსნილი გვერდი, სადაც შესაბამისად ვავრცელებთ კიდეც ინფორმაციას. რაც შეეხება მათ საიტებს, ეს იყო აშკარა ცილისწამება, დეზინფორმაცია...

— რა მისამართზე შედიოდით საიტში?

— ABKHAZIA.COM და ARDZINBA.COM, სადაც საშინელი ინფორმაციები ვრცელდებოდა...

— ამჟამად აღნიშნული საიტები განადგურებულია?

— დიახ, ამის შესახებ მე მაქვს ინფორმაცია, მაგრამ ვინ ქნა, არ ვიცი. ორიოდ დღის წინ გვინდოდა ინფორმაციის ამოღება, მაგრამ ვერ მოვახერხეთ.

— ჯერჯერობით ინტერნეტში დარჩენილია საიტი „აბსნი“.

— სიმართლე გითხრათ ამ საიტში არ შევსულვარ, რადგან მანდ ძირითადად სხვისი ინფორმაციებია, რომლებსაც აფხაზები იყენებენ.

მასალის მომზადებისას ვცდილობდით პროფესიონალ პროგრამისტსაც დავკავშირებოდით, რათა მკითხველისთვის უფრო დაწვრილებით გაგვეცნო სერვერის მნიშვნელობა და ის გზები, თუ როგორ შეიძლება განადგურებულიყო იგი. თუმცა, შემთხვევით ერთ მეტად მნიშვნელოვან დეტალს მივაგენით — კომენტარი ვთხოვეთ ერთ-ერთი ფირმის წარმომადგენელს, აღნიშნული ფირმა დიზაინერულ საქმიანობასაც ეწევა. როგორც გვითხრეს, თურმე ამ ფირმას სთხოვეს აფხაზებმა საკუთარი საიტების გაფორმება.

ლ.ნ. — ეს იმდენად დიდი ხნის წინ იყო, რომ აღარც მახსოვს. ჩვენ დაგვიკავშირდა ერთი პიროვნება, თუ არ ვცდები დიმა ერქვა, რუსულად ლაპარაკობდა და გვთხოვა საიტის დიზაინი გაგვეკეთებინა. მართლაც, გავაკეთეთ მონახაზი და მის მიერ მოწოდებულ მისამართზე გავუგზავნეთ, მოეწონა კიდეც, მაგრამ შემდეგ შევწყვიტეთ მათთან კონტაქტი.

— რა მიზეზით?

— როდესაც გავიგეთ, რომ საქმე აფხაზების საიტს ეხებოდა და ინტერნეტში გადიოდა როგორც „აფხაზეთის რესპუბლიკა“, უარი განვუცხადეთ.

— ანაზღაურებაზე თუ იყავით შეთანხმებული?

— კი. დაახლოებით 500-800 დოლარზე იყო საუბარი.

— თქვენ მიერ შესრულებული მონახაზი თუ გამოიყენეს?

— მონახაზი კომპიუტერით გავუგზავნეთ. შემდეგ შევედით კიდეც მათ საიტში, მაგრამ განსხვავებული დიზაინი ჰქონდათ, თუმცა, რაღაც ნაწილი მაინც იყო გამოყენებული.

— სერვერის განადგურების შესახებ რას იტყოდით?

— ერთი შეხედვით, სერვერის განადგურება შეუძლებელია. ეს პროფესიონალიზმის გარდა დიდ დროს და ენერგიასაც მოითხოვს. ერთ-ერთი ვერსია, როგორ შეიძლება განადგურებულიყო სერვერი, არის ის, რომ სისადმინმა, ანუ იმ პირმა, რომელმაც საიტები შექმნა, არ გადაკეტა ყველა ხვრელი, ანუ პორტი. ამ ახალგაზრდებმა კი მოახერხეს ერთ-ერთ მათგანში შესვლა, საიდანაც გაანადგურეს სერვერი. მეორე არის ის, რომ მათ მიაღწიეს სუპერ იუზერის ანუ ადმინისტრატორის პაროლამდე, რაც თეორიულად თითქმის გამორიცხულია, და იქიდან გადაწვეს სერვერები. ცოტა არ იყოს დაბნეულიც ვარ, რადგან არასოდეს მიფიქრია იმაზე, თუ როგორ შეიძლება განადგურდეს სერვერი.

— მისი აღდგენა შესაძლებელია?

— ხელახლა მოუწევთ ყველაფრის გაკეთება. მხოლოდ საიტები რომ ყოფილიყო განადგურებული, მას სამიოდ დღეში აღადგენდნენ. საერთოდ, მოწინააღმდეგის სერვერის განადგურება მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია. რუსები და ჩეჩნები სწორედ ამ მეთოდით ცდილობდნენ საინფორმაციო ომის მოგებას. რაც შეეხება ფაქტის აფიშირებას, ვფიქრობ რომ საგანგაშო არაფერია. ქართველებს რომ არც გაეკეთებინათ, აფხაზები მაინც აქეთ გამოიშვერდნენ თითს. სჯობს ჩვენვე ვუთხრათ — ჩვენ ვცოცხლობთ და მაშასადამე ვიბრძვით, ბატონებო! ჩვენც დიდი სიამოვნებით ამოვუდგებოდით ამ ბიჭებს გვერდში, მეტად ეროვნული საქმის კეთებაში.

როგორც ხედავთ, ქართველი ახალგაზრდების წყალობით, წინადადებას — ინტერნეტში აფხაზებს საიტები აქვთ, სადაც გაყალბებულ ინფორმაციებს ავრცელებენ — მხოლოდ წარსულ დროშიღა თუ ვიხმართ. ღმერთმა ქნას, ხელისუფლებმაც მიბაძოს ამ ბიჭებს. ღმერთმა ქნას!

ზურა ქაჩლიშვილი

ABG

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲒᲠᲝ-ᲑᲘᲖᲜᲔᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ევროკომისიის ფინანსური და ტექნიკური დახმარებით შექმნილი ბანკი შესაძლებლობას აძლევს სოფლის მეურნეობის, სურსათის წარმოებისა და ვაჭრობის სფეროში დასაქმებულ ორგანიზაციებსა და კერძო მეწარმეებს ისარგებლონ უფასო საბანკო მომსახურებით. ეს შეღავათი გავრცელდება მხოლოდ მათზე, ვინც მიმდინარე წელს გახდება ბანკის კლიენტი.

ᲓᲐᲒᲕᲘᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘᲗ
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲐ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘᲡ 10
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: 25-08-20; 25-13-52

Tacis

„პროკურატურა ნუ ჰგონიათ მაგათ სასამართლო, ცოტა ფრთხილად იყვნენ...“

მოქკავშირის რეფორმატორულ ჯგუფსა და პროკურატურას შორის დაწყებული პასკვილური ომი ლამის პარლამენტისა და პროკურატურის კონფრონტაციაში გადაიზარდა. რეფორმების გარშემო შექმნილმა ისტერიულმა ფონმა, ხელისუფლების ამ ორი შტოს ურთიერთობა დაძაბა. უფრო სერიოზული ექსცესების თავიდან ასაცილებლად, ზურაბ ჟვანია, გია მეფარიშვილთან ერთად პროკურატურას თეთრი დროშით ეწვია.

ამ დაპირისპირებისა და ურთიერთშეურაცხყოფის ფონზე საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვები. ეჭვი — პროკურატურას ეშინია რეფორმების, ეჭვი — რეფორმატორული გუნდი რეფორმას ანგარიშსწორების მეთოდად იყენებს და ცდილობს, თავისი გუნდის წევრებით ჩაანაცვლოს მისთვის არასასურველი კანდიდატები.

მიხეილ სააკაშვილი პროკურატურაში გამეფებულ შავ ძალას გამოცდებით ემუქრება, პროკუ-

რატურა კი აცხადებს, რომ გამოცდებს არ ჩაატარებს და ის ნომერი, რაც მოსამართლეებს მოუწყვეს, მათთან არ გამოუვათ.

ფაქტია, რეფორმები აუცილებელია, მაგრამ თუ პროკურატურის რეფორმა ვინმეს გამოცდები ჰგონია, ის ცდება. ათასი გამოცდაც რომ ჩაუტარდეთ პროკურორებს, თუ არ გაუმჯობესდა მათი ხელფასები და არ შეიქმნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თუნდაც სუპერპროფესიონალები, სრულიად გაუსვრელი კადრები მიიყვანონ პროკურატურაში, იმაზე მეტს მაინც ვერ გააკეთებენ, რასაც დღევანდელი პროკურატურა აკეთებს.

ჟვანიას პროკურატურაში საკმაოდ მძიმე შეხვედრა მოუწყვეს. პროკურატურამ პარლამენტის თავმჯდომარეს ორი ძირითადი პრეტენზია წაუყენა: . მოსალოდნელ გამოცდებს არ ჩაატარებს მიხეილ სააკაშვილის იუსტიციის საბჭო და . შეწყდეს ლანძღვა-გინება პროკურატურის მისამართით. ამ ძალოვანი უწყების წარმომადგენლებმა მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი პირდაპირ დაადანაშაულეს პროკურატურის წინააღმდეგ მოწყობილ ცილისმწამებლურ კამპანიასა და სახელმწიფოს ძირგამომთხრელ საქმიანობაში. კახეთის რეგიონის პროკურორმა გიგლა აგულაშვილმა განაცხადა, რომ უცხოელები აპირებდნენ პროკურატურისთვის დიდი თანხისა და საექსპერტო ლაბორატორიის გადმოცემას, მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს, რადგან: როგორც მათ დასკვნაშია მითითებული, პარლამენტის მნიშვნელოვანი დეპუტატები წინააღმდეგი წავიდნენ.

რამდენიმე პასაჟი პარლამენტის თავმჯდომარესთან მძიმე შეხვედრიდან: „შევეშვათ უკანა ნაწილის ქანაობას და პატარძლის როლში ნუ აღმოვჩნდებით“ (ლორდი ლებანიძე, პროკურორი), „რატომ ვართ ჩვენ საბჭოელები, თქვენ ყველა დანარჩენი დემოკრატები, ჩვენ ხომ ყველა „საბჭოთა ოაზისის“ პირობებში ერთად გავიზარდეთ“ (ვაჟა ჯანყარაშვილი, პროკურორი), „ნუ ტანჯავთ ადამიანებს უსაფუძვლო ბრალდებებით, იყავით სამართლიანი. ეს თქვენ უბრალოდ გევალებათ“ (გიგლა აგულაშვილი, პროკურორი), „თავისუფლების ინსტიტუტში არიან კარვის კაცები“, რეპლიკა დარბაზიდან.

კიდევ ერთი მომენტი: პროკურატურის თანამშრომლებს ის ფაქტიც აღიზიანებს, რომ შსს-მ მიიღო უფლება, თავად ჩაატაროს შინაუწყებრივი რეფორმა, გამოცდები და ა.შ. თუ კახა თარგამაძეს ენდობიან ამის გაკეთებას, რატომ არ შეიძლება იგივე გააკეთოს ისეთმა პროფესიონალმა, როგორიც ჯამლეთ ბაბილაშვილია? — კითხულობენ პროკურორები.

ახლა რაც შეეხება გამოცდებს: ზურაბ ჟვანიამ ნათლად განაცხადა, — გამოცდებს იუსტიციის საბჭო ჩაატარებს და ეს 1997 წელს პროკურატურის შესახებ მიღებულმა კანონმა განსაზღვრა. ამ განცხადებამ დარბაზში უკმაყოფილება გამოიწვია; თუმცა ხმაურიანი პროტესტის გამოთქმის შესაძლებლობა გენპროკურორმა საკუთარ თანამშრომლებს მოუსპო. საერთოდ, რომ არა ჯამლეთ ბაბილაშვილი, ალბათ ზურაბ ჟვანიას დიდი სიამოვნებითაც დაუსტვენდნენ. სამაგიეროდ, რეპლიკები არ დააკლეს გია მეფარიშვილს. „სააკაშვილი ჩემი მეგობარია“, — განაცხადა მან. „მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვით ვინა ხარ შენ“, — ესროლეს რეპლიკა დარბაზიდან. საერთოდ გია მეფარიშვილის მცდელობამ, არც მწვადი დაეწვა და არც შამფური, დარბაზი გააღიზიანა. გენპროკურორმა ფრიად მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა: „თუ ჩემშია საქმე, თავი დაანებეთ კოლექტივს, მე გადავდგები ჩემი სურვილით, არც დავუპირისპირდები ვინმეს და არც ინტერვიუს მივცემ“. „მაგათაც ეგ უნდათ, ჩვენ ყველანი წავალთ“, ახმაურდა დარბაზი. სხვათა შორის, გენპროკურორის პოსტი რეფორმატორების გუნდს დიდი ხანია სურს და ამაზე კულუარებში უკვე საუბრობენ; ამ პოსტზე შესაძლო კანდიდატად გია მეფარიშვილსაც ასახელებენ. გია მეფარიშვილს თუ მომავალში გენპროკურორის ამპლუაში კოლექტივის მხარდაჭერა სურდა, ამ შეხვედრაზე მწვადი ოდნავ მაინც უნდა დაეწვა.

სხდომის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში ზურაბ ჟვანიამ აღიარა:

— ძალიან რთული შეხვედრა იყო. ნახეთ, როგორი დამუხტული იყო დარბაზი. იმედი მაქვს, ვითანამშრომლებთ და აღმოვფხვრით ხელოვნურ კონფრონტაციას. მთავარია, დავუბრუნდეთ მუშაობის მშვიდობიან კალაპოტს.

ანზორ ბალაუშვილი შეხვედრის შემდეგ ნასიამოვნები ჩანდა.

— ძალიან კმაყოფილი ვარ.

— გამოცდებთან დაკავშირებით...

— გამოცდები არ არის პრობლემა.

— როგორც გაირკვა, გამოცდებს მაინც იუსტიციის საბჭო ჩაატარებს.

— იუსტიციის საბჭო არ არის პრობლემა, მაგრამ რა ფორმით და რა ხერხით, ეს არის გასარკვევი.

— ანუ ამაზე კონსტრუქციულ მოლაპარაკებას ელოდებით ხელისუფლებისგან.

— კი, აუცილებლად.

— პროკურატურის წინააღმდეგ, როგორც თქვენ უწოდებთ, ჯვაროსნული ლაშქრობა ამ შეხვედრის შემდეგ შეწყდება?

— ვფიქრობ, ასე იქნება. ყოველ შემთხვევაში, ასე დაგვპირდა ბატონი ზურაბი.

...ამ შეხვედრის შემდეგ ნაკლებად იმედიანი განწყობა ჰქონდათ უბრალო პროკურორებს.

— ზოგჯერ პურის ფული არა მაქვს და კორუმპირებულს მეძახიან.

— ფიქრობთ, რომ ამ შეხვედრის შემდეგ მსგავსი გამოსტომები შეწყდება?

— არა, ვფიქრობ, რომ ისევ გაგრძელდება.

ლორდი ლებანიძე — რეფორმა უნდა მოხდეს კანონიერად.

— თქვენ არა გაქვთ გია მეფარიშვილის კომისიის იმედი?

— არა, არა გვაქვს მისი იმედი.

— და რას აპირებთ?

— პროკურატურა ნუ ჰგონიათ მაგათ სასამართლო, ცოტა ფრთხილად იყვნენ.

— დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ.

— ჩვენ გაგვაჩნია ისეთი სამართლებრივი ბერკეტები, რომლითაც სახელმწიფოს საკუთარ სიტყვას ვეტყვით.

რამდენად შეეგუება მიხეილ სააკაშვილი კომპრომისულ გადაწყვეტილებას პოკურატურის გამოცდებთან დაკავშირებით და რამდენად შეძლო ზურაბ ჟვანიას თეთრმა დროშამ მშვიდობის ჩამოგდება, არავინ იცის. მთავარი ამ საკითხში სახელმწიფოებრივი მიდგომაა. ანუ პირველ რიგში უნდა გაირკვეს, როგორი პროკურატურა სჭირდება სახელმწიფოს სამართლებრივი ძლიერებისათვის.

ეკა ჯანაშია

„თუნდაც მათრახი დამკრან ზურგზე, მე არ მეტკივა, ბატონო პრეზიდენტო...“

პრეზიდენტი, 7 ახალი მინისტრით გამდიდრებულ მთავრობასთან ერთად, მუშაობას შეუდგა და 7 ივნისს პირველი სხდომაც დაგეგმა. ამ, თითქოსდა უწყინარმა და საქმიანმა პროცედურამ, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ ბაკურ გულუას თავსატეხი გაუჩინა. — მივიდე თუ არ მივიდე? — ეს საკითხი ჰამლეტისეულ „ყოფნა-არყოფნაზე“ უფრო ძნელად გადასაწყვეტი გამოდგა სოფლის მეურნეობის აწ უკვე ექსშეფისთვის. დიდი ფიქრის შემდეგ იგი მაინც წავიდა სხდომაზე. ეტყობა, ბ-ნ ბაკურს არ უყვარს ჯაბანი კაცის მდგომარეობაში ყოფნა და გარისკა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ რისკიანები ყოველთვის არ სვამენ შამპანურს. ბაკურ გულუას მთავრობაში არავინ ელოდა: „მორიდებით შევედი დარბაზში. მივესალმე სახელმწიფო მინისტრს. ჩემს გვერდით მსხდომ ნინო ჩხობაძესა და მერაბ ადეიშვილს მივულოცე და ვუთხარი, — თქვენ შორის კი ვზივარ, მაგრამ ალბათ დროებით-მეთქი. ამასობაში, შემობრძანდა პრეზიდენტი და სიტყვა წარმოთქვა. უნდა მეგრძნო... სავალდებულო ხომ არ იყო, მაინცდამაინც ჩემი გვარი დაესახელებინა? პრეზიდენტმა იკითხა, ვის აქვს საკამათო პარლამენტთანო. მერე კი დასძინა, — ამ კვირაში ახალ მინისტრს შევარჩევო. მივხვდი, რომ იქ ზედმეტი ვიყავი. მინდოდა მეთქვა, — იქნებ წავიდე-მეთქი... პრეზიდენტს ჩემთვის ბოლომდე რომ მოესმინა, ინციდენტი არ მოხდებოდა. ეტყობა, ჩემს გამო ბევრი ნერვიულობა შეხვდა“, — იტყვის მოგვიანებით ბაკურ გულუა.

ბაკურ გულუა წინა მოწვევის პარლამენტში სკანდალურ და არცთუ პოპულარულ მინისტრად მიაჩნდათ. კრედიტების შეჭმის გამო „მოქალაქეები“ არავის გაბუტვიან, მაგრამ რატომღაც გულუას დაემდურნენ და ნიშანშიც ამოიღეს. თითქმის 5 წელი ლამობდა სოფლის მეურნეობის შეფი უმრავლესობის ახალგაზრდული გუნდის გულის მოგებას, მაგრამ ვერაფერს გახდა.

გულუა არ უნდოდა უმრავლესობას და პარლამენტმა მისი კანდიდატურა ჩააგდო. პრეზიდენტმა კი ერთი მინისტრის გამო უმრავლესობას არ აწყენინა და მთავრობის სხდომაზე „სოიას ზეთის მინისტრს“ კარზე მიუთითა: „თქვენ დღეს არ უნდა მოსულიყავით. ეს პარლამენტის აშკარა იგნორირებაა. კანცელარიაში ბევრი ჭორიკანა და სეირის მოყვარულია, უნდათ, მერე თქვან, პრეზიდენტი მხარს უჭერს გულუასო. არ გიჭერ მხარს, რადგან პარლამენტმა არ დაგიჭირა მხარი“, — ასეთი იყო ვერდიქტი, რითაც შევარდნაძემ წერტილი დაუსვა დაუსრულებელ მითქმა-მოთქმას პრეზიდენტისა და პარლამენტის დაპირისპირების შესახებ.

ამ ინციდენტმა ცხადი გახადა, რომ ვიღაცამ გულუა „პროვოკაციაზე წამოაგო“, რადგან მას ორჯერ დაურეკეს კანცელარიიდან და პრეზიდენტის სახელით მთავრობის სხდომაზე მიიწვიეს (ამ ფაქტს არც პეტრე მამრაძე უარყოფს).

იმ დღეს ექსმინისტრი ისევ სოფლის მეურნეობის სამინისტროში დაბრუნდა და მუშაობა გააგრძელა. „კვირის პალიტრა“ ტელეფონით დაუკავშირდა ბაკურ გულუას და რამდენიმე კითხვით მიმართა:

— ბ-ნო ბაკურ, როგორ ბრძანდებით?

— არა მიშავს.

— ალბათ იმედი გაგიცრუვდათ. პრეზიდენტს ძალიან ვჭირდებიო, — ამბობდით. სინამდვილეში კი ასე არ ჩანს.

— ვამბობდი, პრეზიდენტს თუ არ ვჭირდები, არც წარმადგენდა-მეთქი. გლეხი გაზაფხულზე რომ თესავს, მოსავლის აღების იმედი აქვს, მე კი გლეხების მინისტრი ვარ. მიმიხვდით, ალბათ, რისი თქმაც მსურს.

— რატომ გადაიფიქრა პრეზიდენტმა თქვენი კანდიდატურის მეორედ წამოყენება?

— მან თვითონვე ახსნა, — ხომ აქვს საზღვარი ადამიანის გამო უსიამოვნებებსო. ეს იმას ნიშნავს, რომ უმრავლესობა არ თმობს პოზიციებს და ისევ ბაკქანალიაა მოსალოდნელი. პრეზიდენტი თავის უმრავლესობასაც უფრთხილდება და მეც.

— ეი. პრეზიდენტი პარტიის შიგნით განხეთქილებას მოერიდა?

— რა თქმა უნდა. პრეზიდენტისთვის უმრავლესობაა სერიოზული დასაყრდენი და როგორ შეიძლება, მან ეს ძალა ერთი მინისტრის გამო დაშალოს. იმ დღეს, როცა ჩემი კანდიდატურა ჩააგდეს, პრეზიდენტმა თქვა, — მეორედ წარვადგენო. ამას მოჰყვა ძალიან მძაფრი რეაქცია მოქკავშირში — ფრაქციებს შევქმნით, დავიშლებითო. პრეზიდენტი ვალდებული იყო, მიზანშწონილად მოქცეულიყო. ახლა ალბათ, ასეა საჭირო, ხვალ კიდევ შეიძლება სხვანაირად მოიქცეს პრეზიდენტი.

— ეს ყოველივე ხომ არ ნიშნავს იმას, რომ პრეზიდენტს თავისი ინტერესები ვეღარ გააქვს პარლამენტში?

— მან თვითონ თქვა, არ გამხარებია გულუას კანდიდატურის ჩაგდება. პარლამენტს თავისი უფლებები აქვს, მაგრამ ასეთი ფაქტები არ უნდა გახშირდესო. ბავშვიც მიხვდება, რომ ჩემი კანდიდატურის წარდგენამდე შეუძლებელია პრეზიდენტს კონსულტაციები არ ჰქონოდა უმრავლესობასთან, დეპუტატებთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან.

— თუ თქვენი კანდიდატურა პარლამენტთან შეთანხმებული იყო, რატომ ჩაგაგდეს?

— მიმდინარეობს ცოცხალი ორგანიზმის ფორმირება. ამ დროს ზოგჯერ შეცდომებიც ხდება, ზოგი ჭკუას სწავლობს, ზოგს იცილებენ. მჯერა, ხვალ სხვანაირი ატმოსფერო იქნება.

— ცხადია, ვიღაც გიპირისპირდებათ მოქალაქეთა კავშირიდან. თქვენი აზრით, ვინ?

— ის, ვისაც ქვეყნის, ასევე უმრავლესობის დაშლა, პრეზიდენტის დასუსტება და საქართველოს დამონება უნდა.

— ვის გულისხმობთ?

— ქვეყანაში დესტრუქციული ძალები გათამამდნენ, რომელთა მიზანია, შეავიწროვონ პრეზიდენტი, შეუტიონ ყველაფერ ქართულს, ხალხი დააბეზღავონ. ვერ ხედავთ, როგორ მომრავლდა ურჯულოება? მარტო პრეზიდენტს კი არა, პატრიარქს და სრულიად საქართველოს უჭირს.

— დესტრუქციულ ძალად ვის მოიაზრებთ?

— წინა პლანზე, ეკრანებზე ეგენი გამოდიან, მათ უკან კი დამკვეთები დგანან.

— რატომ არ მპასუხობთ, ვის გულისხმობთ ამ პიროვნებებში, ალბათ, ჟვანია-სააკაშვილის გუნდს, არა?

— რატომ მეკითხებით ამას, პროვოკაციას მიწყობთ?!. არ გიპასუხებთ ამ კითხვაზე და საერთოდ, შევწყვეტ თქვენთან საუბარს, კარგად ბრძანდებოდეთ...

ამ სიტყვებით სოფლის მეურნეობის ექსმინისტრმა ყურმილი დაგვიკიდა, აღარ ისურვა ჩვენთან საუბრის გაგრძელება. მისი ინტერვიუდან ძნელი არ არის გარკვევა, ვინც არის მისი გულისწყრომის ადრესატი.

გულუა თანამდებობიდან მიდის, მაგრამ კვლავ პრეზიდენტის ერთგული რჩება: „მე არ ჩამოვცილდები პრეზიდენტს. ეს მათი ნატვრაა, ვინც ეს პროვოკაცია დაგეგმა. მე უღალატო, ერთგული კაცი ვარ და ჩემნაირი კაცები არ გაიქცევიან, თუნდაც მათრახი დამკრან ზურგზე... მე არ მტკივა, ბატონო პრეზიდენტო“.

გულუას წასვლით მოქკავშირის ახალგაზრდული ბირთვი კმაყოფილებას ვერ მალავს. „კინაღამ გავიდა გულუა, მაგრამ გადავრჩით,“ — ამბობს გია ბარამიძე. პრეზიდენტი კი უკვე მინისტრობის ისეთ კანდიდატს ეძებს, რომელსაც პარლამენტის აქტიური მხარდაჭერა ექნება. კულუარული ინფორმაციით, ასეთი პიროვნება უკვე მოიძებნა — ახალგაზრდა ბიზნესმენი, „ქართუს“ ჯგუფის ყოფილი პრეზიდენტი ლაშა ძიძავა, რომელიც თურმე არჩევნების დროს აქტიურად უჭერდა მხარს მოქალაქეებს.

იზო რიკაძე

როდესაც სექსი ბედნიერებად იქცევა

როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს სრულფასოვანი სექსი და რამდენად ხანგრძლივი შეიძლება იყოს სექსუალური აქტი?

ამგვარი ინტერესი სრულიად ბუნებრივი და მნიშვნელოვანია განურჩევლად სქესისა.

სექსუალური აქტის ხანგრძლივობა აბსოლუტურად ინდივიდუალურია და დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის ყოფით, რელიგიურ, გეოგრაფიულ და ნაციონალურ ფაქტორზე. ითვლება, რომ აფრიკელები სექსს დღეში რამოდენიმე საათს უთმობენ, მაშინ, როდესაც ევროპელის საშუალო მაჩვენებელი მხოლოდ 18 წუთია. სამწუხაროდ, საერთო სტატისტიკა ამ თემაზე არ არსებობს. სამაგიეროდ მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ იმ მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლიობის მაჩვენებელი, რომლებიც კვირაში თუნდაც 3-ჯერ ამყარებენ სექსუალურ კავშირს, თითქმის ყოველთვის მაღალია. ამავე დროს ძლიერი სქესის ყოველი მესამე წარმომადგენელი ამ „სიცოცხლის ელექსირის“ იგნორირებას ახდენს. ეს კეთილი ნებით არ ხდება.

სექსუალური აქტივობის დაქვეითება და მისი სავალალო შედეგი-იმპოტენცია, გამოწვეულია ძალზე რთული ორგანული და ფსიქოლოგიური მიზეზებით.

ორგანულ მიზეზებს მიეკუთვნება სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული პროსტატიტი, შარდსასქესო ორგანოების მწვავე და ქრონიკული ანთება და სხვა.

პოტენციის დაქვეითების ან იმპოტენციის დროს საგანგაშო სიხშირეს აღწევს დეპრესიის უმძიმესი ფორმები და თვითმკვლელობებიც კი.

გამოსავლის უსისტემო ძიება ხშირად ამძიმებს სიტუაციას. საჭიროა ამგვარი პრობლემის მქონე ადამიანმა ზედმიწევნით და კონკრეტულად იცოდეს, თუ სად მიიღებს იგი ნამდვილად კვალიფიციურ და სწორ დახმარებას.

ამიერკავკასიის არცთუ ისე მცირე კონტინგენტისათვის ცნობილია გამოსავალი: თბილისში არსებული სამედიცინო ცენტრი „მედი“. აქ აქტიურად იყენებენ მსოფლიოში უკანასკნელ მიღწევათა ბაზაზე დაფუძნებულ დიაგნოსტიკის და მკურნალობის თანამედროვე მეთოდებს.

ცენტრი გთავაზობთ პათოლოგიის სწრაფ წარმოჩენას, კომპლექსურ გამოკვლევას და სწორ კორექციას. გარდა ამისა, პაციენტის ორგანიზმის თავისებურებების და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ირჩევა მკურნალობის ინდივიდუალური, ერთადერთი სწორი კურსი.

დიაგნოსტიკას, მკურნალობას და კონსულტაციებს ატარებენ უმაღლესი კატეგორიის სპეციალისტები, მათ შორის უცხოეთის წამყვანი კლინიკებიდან მოწვეული ექიმები.

სამედიცინო ცენტრი „მედი“ წარმატებით წყვეტს პრობლემებს შემდეგი მიმართულებით:

- მწვავე და ქრონიკული პროსტატიტი.
- წინამდებარე ჯირკვლის ადენომის ადრეული სტადიების და კიბოს ადრეული დიაგნოსტიკა.
- ყველა სახის სექსუალური დარღვევები და პათოლოგიები.
- პოტენციის დაქვეითება. ერექციის არქონა.
- ნაადრევი ეაკულაცია.
- სექსუალური შესაძლებლობების და სქესობრივი ფუნქციის ხარისხის გაუმჯობესება.
- დიაგნოსტიკისათვის გამოიყენება სამედიცინო ტექნიკის უახლესი მიღწევები.

სამედიცინო ცენტრი „მედი“ იცავს თავისი პაციენტების სრული კონფიდენციალობის მკაცრ წესს, აქ იციან ძლიერი სქესის სუსტი მხარეები, ამიტომ ყურადღებით და პატივისცემით ეკიდებიან ყველას, ვისაც დახმარება ესაჭიროება.

მოსაწყენია ამქვეყნად ცხოვრება, როდესაც ინტიმურ ცხოვრებას მხოლოდ უსიამოვნება მოაქვს. ბედნიერებისა და ჰარმონიის მისაღწევად არც ისე ბევრია საჭირო

მთავარია გადადგათ პირველი ნაბიჯი.

ი. ჭავჭავაძის გამზ. N70

სამედიცინო ცენტრი „მედი“

25-02-02 22-42-73

„საზღვრის დაცვის დეპარტამენტი შესაძლოა დაიშალოს“

ჩვენ გვნერენ!

„წავიკითხე თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული სტატია, სადაც „კომპეტენტური პირები“ აცხადებდნენ, რომ ფიქვნთან დაკავშირებით ეძებენ რაღაც რუკას, რითაც საზღვრის იმ მონაკვეთს დაიბრუნებენ. დანამდვილებით ვიცით, რომ არაფერსაც არ ეძებენ. რუკაც ნაპოვნი აქვთ და შესაბამისი დოკუმენტებიც. გთხოვთ, ბოლოს და ბოლოს გაგვარკვიოთ, ფიქვნი ჩვენია თუ რუსების და საერთოდ, იქნებ აგვიხსნათ, რა მდგომარეობაა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დანარჩენ მონაკვეთებზე? წინასწარ გიხდით მადლობას“.

„კვირის პალიტრის“ მკითხველები
— ს. კარტოზია, მ. დოლიძე

ბოლო ხანს საქართველოს საზღვრების ირგვლივ ატეხილმა განგაშმა საზოგადოების ფართო მასების ყურადღება მიიპყრო. საზღვრებთან დაკავშირებით მასალის მომზადების პროცესში დავრწმუნდით, რომ შატილის საზღვართან შექმნილი პრობლემა ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც რეალურად ხდება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სხვადასხვა მონაკვეთზე. ვინ არის დამნაშავე? — ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, რომლებიც მოვალენი არიან, განსაზღვრონ სახელმწიფოს სასაზღვრო პოლიტიკა; თვით აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც ვალდებულია, შეასრულოს თავისი ფუნქცია-მოვალეობები და დაიცვას სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესები სასაზღვრო სივრცეში თუ, უბრალოდ, ცალკეულ პასუხისმგებელ პირთა დაუდევრობა, ზერელე დამოკიდებულება და ა.შ. რა ხდება საქართველოს მეზობელი სახელმწიფოების სასაზღვრო ზოლში? რა არის ჩვენი და რა სხვისი? როდის გაირკვევა სადავო, ე.წ. ნეიტრალური ტერიტორიების ბედილბალი? ამ და სხვა უამრავ კითხვაზე საპასუხოდ „კვირის პალიტრა“ იწყებს ჟურნალისტურ მოკვლევას. შეეცდებით, შეძლებისდაგვარად მოგაწოდოთ ალტერნატიული მოსაზრებები და კომენტარები ნებისმიერ ზოგად თუ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით. ჩვენი რესპონდენტები იქნებიან ყველანი, ვინც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება სახელმწიფო საზღვრის საკითხებს. პირველი მასალის თემატიკა ზოგად სასაზღვრო პრობლემების და, ამასთან, ერთი კონკრეტული განცხადების საფუძველზე შევარჩიეთ.

არცთუ დიდი ხნის წინ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხეიძემ გააკეთა სკანდალური განცხადება დეპარტამენტის შესაძლო დაშლასთან დაკავშირებით. ამის მიზეზად მან ფინანსური გაჭირვება და ამის გამო დეპარტამენტის კვალიფიციური კადრების მასობრივი გადინება დაასახელა (განცხადებას წინ მართლაც უსწრებდა რამდენიმე თანამშრომლის მიერ უწყების დატოვების ფაქტები). ამან საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეზონანსი და, სხვათა შორის, გარკვეული ეჭვებიც აღძრა. გაჩნდა კითხვა — მხოლოდ ფინანსებია შესაძლო დაშლის საბაბი თუ არსებობს კიდევ სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები? ამაზე კომენტარს ყველაზე უკეთ, ცხადია, თავად განცხადების ავტორი გააკეთებდა. სწორედ ამ მიზნით სასაზღვრო დეპარტამენტის თავმჯდომარეს თავის რეზიდენციაში ვესტუმრეთ, მაგრამ... „კვირის პალიტრის“ სამ სხვადასხვა შეკითხვას ბატონმა ვალერიმ სამივეჯერ ერთადერთი პასუხი გასცა: ფინანსები! ფინანსები! ფინანსები! დანარჩენ შეკითხვებზე კომენტარს გენერალი ვალერი ჩხეიძე მომავლისთვის დაგვპირდა.

ავთანდილ ცქიტიშვილი — გენერალ-მაიორი, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილი შტაბის უფროსი:

— ვალერი ჩხეიძეს არავინ ჰკითხავს დეპარტამენტის დაშლა-არდაშლას. ის ნაპოლეონ ბონაპარტე არ არის, რომ ეს საკითხები გადაწყვიტოს. რაც შეეხება ფინანსურ გაჭირვებას, სასაზღვრო დეპარტამენტს ისეთივე პრობლემები აქვს, რაც ნებისმიერ სხვა უწყებას საქართველოში, მაგრამ გარწმუნებთ, დეპარტამენტი გაცილებით უკეთ გადაწყვეტდა ამ საკითხებს, თუკი ფინანსური გადანაწილების მხრივ უფრო ყაირათიანი მიდგომა იქნებოდა. არ უნდა იყიდო, ბატონო, მილიონ ნახევრად და ორ მილიონად ის, რაც 500-600 ათასი დოლარი ღირს; არ უნდა იყიდო ჩამოწერილი ჯართი, რომლის ნაწილიც სარეცხი „ტაშტებივით“ ყრია დღეს ფოთის აკვატორიის პორტში და მათი მოცილება ალბათ უფრო ძვირი დაჯდება, ვიდრე შეძენაში დაიხარჯა. რაც შეეხება კადრების გადინებას, ცხადია, ეს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობითაც არის განპირობებული, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი და მთავარი მიზეზი. პრობლემა ძირითადად იცით რაში მდგომარეობს? — ნორმალური ურთიერთდამოკიდებულების დეფიციტია დეპარტამენტში. მუშა ადამიანს არ აფასებენ. საკმარისია, ვინმემ სიმართლე თქვას, მაშინვე ატყდება სკანდალი, ერთი ვაი-უშველებელი. თავმჯდომარეც დაიძახებს — „уволить!“ და ამით დამთავრდება ყველაფერი. თუ ასეთი გაჭირვებაა და დეპარტამენტი დაშლის პირსაა მისული, რატომ თვითონ ვალერი ჩხეიძე არ მიდის სამსახურიდან? მიდიან პროფესიონალები და მოდიან არაპროფესიონალები. მიდიან სამხედროები და მოდიან უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრები, რომლებსაც სამხედრო წესდებაც კი არა აქვთ წაკითხული. როდესაც თანამდებობაზე დავინიშნე, პირველი, რაც გავაკეთე, ის იყო, რომ სასაზღვრო ძალების შტაბში ჩამოვაყალიბე საატესტაციო კომისია. ამან დეპარტამენტის თავმჯდომარე ძალზე განარისხა — თქვენ აქ რაღაც ძალიან „გაგულავდითო!“ არადა, იცით, ეს კომისია რას ემსახურებოდა? ნებისმიერი პირი — ზემდეგი თუ სხვა — სამსახურში მიღებამდე აბარებდა, ასე ვთქვათ, გამოცდას, რომელსაც თოთხმეტ-თხუთმეტი კაცი ესწრებოდა. ამით გამოვრიცხეთ, ჯერ ერთი, ქრთამის შესაძლო აღებმიცემა სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით, მეორეც — შემთხვევითი ხალხის მოხვედრა სასაზღვრო ძალებში და ა.შ. მაგრამ ასეთი რამ ხელს არ აძლევდათ.

— რამდენად რეალურია სასაზღვრო დეპარტამენტის დაშლის შესაძლებლობა?

— ერთი მითხარით, ვის აძლევს ხელს, რომ დეპარტამენტი დაიშალოს? ვის წისქვილზე ასხვრეს წყალს ასეთი განცხადება? დაუკვირდით და მიხვდებით, რაშია საქმე — ემოციურია ეს განაცხადი, წინასწარ დაგეგმილი თუ რა არის...

— მაინც როგორ ფიქრობთ, რა არის?

— უბრალო ლოგიკიდან გამომდინარე ვიმსჯელოთ. ნახეთ, კაცო, რა ხდება: დისციპლინა არ არის, შეიარაღება არ არის, დიდი შემართებითა და პომპეზურობით შექმნილი ფლოტი მთლიანად დაიშალა, გემები აღარ გვაქვს, გერმანიაში მომზადებული ეკიპაჟის ნახევარზე მეტი სამსახურიდან დაითხოვეს. საზღვრებზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება — ქაოსი და გაუგებრობაა. ყველაფერი კი ამოფარებულია შირმას, რასაც ეგენი რეფორმას უწოდებენ, მაგრამ, გარწმუნებთ, ის, რაც ხდება, რეფორმა ნამდვილად არ არის.

— ეი. გამორიცხული არ არის, რომ ერთ მშვენიერ დღეს ასეთი შინაარსის განცხადებაც გაკეთდეს — სასაზღვრო დეპარტამენტი დაიშალა!

— დეპარტამენტს დღეს რომ ხელმძღვანელობა ჰყავს, ასეთი ხელმძღვანელობის ხელში შეიძლება ქვეყანაც კი დაიშალოს. არასოდეს ვყოფილვარ სულით ხორცამდე ბოლშევიკი, მაგრამ... შევიდოდა ერთი ბოლშევიკი 1.500-2.000 ჯარისკაცში, ერთსაათიანი აგიტაციის შემდეგ კი ეს ჯარისკაცები ყრიდნენ შაშხანებს და მუშათა და გლეხთა მხარეზე გადადიოდნენ. ასე დაიშალა ერთ-ერთი საუცხოო იმპერიის საუკეთესო არმია — ის ენამ დაშალა. ჰოდა, კიდევ წიხლის დაჭერა კი არ უნდა ისედაც გამწარებულ და გაბოროტებულ ოფიცერს. აუხსენი, რომ გვიჭირს, დაეხმარე, რაღაც მეურნეობები შექმენი, მოაჩვენე თავი, რომ შენც გიჭირს და ისიც გაგიგებს, არ წავა და არ გიღალატებს.

— რა მდგომარეობაა დღეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრებზე?

— რა მდგომარეობაა და — სავალალო! საქართველოს საზღვრების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის დემარკირებული და დელიმიტირებული. არის ძალიან ბევრი სადავო ტერიტორია, მაგრამ, სამწუხაროდ, ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ამ საკითხებისადმი ქართულ მხარეს პრინციპული დამოკიდებულება აქვს და ყველაფერს აკეთებს, რათა უახლოეს ხანში პრობლემა ჩვენს სასარგებლოდ მოაგვაროს. 1997 წლის ბოლოს სექტემბერ-ოქტომბერში წავედი მივლინებით აშშ-ში. ეს იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი მივლინება — მას მერე არსად აღარ მიშვებდნენ. მანამდე ხშირად გვქონდა ხოლმე კამათი მე და ვალერი ჩხეიძეს იმაზე, საჭირო იყო თუ არა საზღვრების დაცვა სამხედრო ძალის გამოყენებით. ის ამბობდა — ჩვენ დავდგამთ აქ სადღაც შუქურას, რომელიც შეუერთდება ცენტრს, მაგალითად სამეგრელოში. იქიდან ამავე შუქურის მეშვეობით ყველა ინფორმაცია ჩამოვა თბილისში და ამით დავაფიქსირებთ ამა თუ იმ მოვლენას სახელმწიფო საზღვარზეო. ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხთან მიმართებაში აბსოლუტურად განსხვავებული გახლდათ. მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ საზღვრები სწორედ მესაზღვრეებმა უნდა დაიცვან. ის კი მიმტკიცებდა — ეს არის ძველისძველი აზროვნება, არქაიზმი და „ჯულბარსის და კარაცუპას“ (კარაცუპა — ლეგენდარული მესაზღვრე და მისი ძაღლი) მეთოდი, საჭიროა საკითხს სხვაგვარად მივუდგეთო. ამერიკაში კი აი, როგორ ხდება საზღვრის დაცვა. წამიყვანეს საზღვრის ყველაზე რთულ, აშშ-მექსიკის მონაკვეთზე. დავიარე საზღვრის დაახლოებით 200-250 მილი. დასავლეთ სანაპიროდან აღმოსავლეთ სანაპირომდე მათ გავლებული აქვთ 8 მეტრი სიმაღლის მესერი, ყოველ 250-300 მეტრში მესაზღვრეთა პატრული დგას და 24 საათის განმავლობაში საზღვრის რადიოელექტრონული დაცვა მიმდინარეობს. რა, ამერიკას არ შეუძლია, რომ დადგას ეს შუქურები, რადიოსალოკაციო სადგურები, კომპიუტერული სისტემა და ა.შ., მაგრამ მათი საზღვრები სწორედ მესაზღვრეების მეშვეობით არის გამაგრებული. მათ მიაჩნიათ, რომ საზღვარი სწორედ იარაღიანმა კაცმა უნდა დაიცვას. საქართველოს კი დღესდღეობით არაფერი აქვს პრეზიდენტის სახელის გარდა. თუმცა, სამხედრო ფლოტიც გვაქვს. დიახ, ის შეღებილია, ტივტივებს, მაგრამ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ „ტივტივა ფლოტი“. თავისი საბრძოლო ამოცანების შესრულება მას საკმაოდ უჭირს. საერთოდ, საზღვარი — ეს არის პოლიტიკა, ხოლო მესაზღვრემ უნდა განახორციელოს სახელმწიფო პოლიტიკა სახელმწიფო საზღვარზე. ერთი მითხარით, სად ვიცავთ სახელმწიფო პოლიტიკას, საზღვრის რომელ მონაკვეთზე?

— როგორც ვიცი, დეპარტამენტმა შეიძინა ცხენები, რათა მთაში მესაზღვრეებს გადაადგილება გაადვილებოდათ, მაგრამ შემდგომ დანიშნულებისამებრ არ იქნა გამოყენებული. ვისი ინიციატივა იყო, საერთოდ, ამ ცხენების შეძენა?

— არ ვიცი, ვისი ინიციატივა იყო, მაგრამ რომ მოვედი, ჩამოვარდა ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ შეძენილი იყო ცხენები. ცხენები ძალიან მიყვარს, ამიტომ დეპარტამენტის თავმჯდომარეს ვუთხარი, ამ საქმეს მე მოვაგვარებ, წავალ, ცხენებს ვნახავ, ამოვარჩევ და ჩამოვიყვან-მეთქი.

— საიდან უნდა ჩამოგეყვანათ?

— უნდა ჩამოგვეყვანა ყულარის ცხენთსაშენი ქარხნიდან. თითო ცხენში გადახდილი იყო დიდი თანხა — დაახლოებით 2.500-3.000 ლარი. თვითონ ცხენების რაოდენობა იყო 14 თუ 15. ერთი სიტყვით, წავედით მე და საველტერინარო სამსახურის უფროსი ამ ცხენების სანახავად. ეს იყო შესანიშნავი ჯიშის ლამაზი ცხენები, მაგრამ ისინი ნამდვილად არ აკმაყოფილებდნენ იმ მოთხოვნებს, რომ სასაზღვრო ჯარებისთვის გამოსადეგი ყოფილიყო. ამიტომ, ვინაიდან ფული უკვე გადახდილი იყო, წამოვიყვანეთ ისინი და დავაბინავეთ იპოდრომზე იმ მიზნით, რომ შემდგომში გამოვიყვანდით ცხენებს, შევქმნიდით პატარა ბაზას, ამ ცხენებს გავყიდდით, შემოსულ ფულს რაიმე მეურნეობის განვითარებას მოვახმარდით და რაღაც მოგებას ვნახავდით, მაგრამ შემდგომ ამით აღარავინ დაინტერესდა.

— რა ბედი ეწიათ იმ ცხენებს?

— ცხენები აღარ არის, გაიყვანეს და ზოგი სად არის დაფანტული და ზოგიც — სად.

— ვინ გაიყვანა, მოიპარეს?

— არა, კი არ მოუპარავთ, დეპარტამენტმა ვერ მოუარა და ვერ შეინარჩუნა. ჯერ ლილოს სასწავლო ცენტრში გადაიყვანა, ზოგი ბალანსიდან ბალანსზე გადასცეს, ზოგი დაარიგეს, ზოგიც მთაში გაუშვეს. ხომ წარმოგიდგენიათ ინგლისური ჯიშის ცხენები მთაში! ეს ამდენი ფულიც ასე დაიკარგა.

— დეპარტამენტიდან თქვენი წამოსვლა, თუ არ ვცდები, კიდევ ორი თანამშრომლის წამოსვლას დაემთხვა. ასეთი გადაწყვეტილება ერთად მიიღეთ?

— მე გენერალი ვარ, თანაც დიდი ხნის გენერალი და ყველა გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად ვღებულობ. არავის არაფერს ვუთანხმებ, არც ოჯახს, არც მეზობელს, არც მშობელს და მით უმეტეს, არც თანამშრომელს. რომ წამოვსულიყავი და თან მეთქვა, აბა წავიდეთ, დავტოვოთ დეპარტამენტი-მეთქი, ეს უკვე საბოტაჟი იქნებოდა. მე კი ამის გამკეთებელი არ ვარ იმიტომ, რომ დეპარტამენტი არც ჩხეიძისა და არც ცქიტიშვილის საკუთრებას არ წარმოადგენს. ხომ იცით, სტალინმა რა თქვა — ჰიტლერები მიდიან და მოდიან, გერმანელი ხალხი კი რჩებაო. თათბირზე რომ არ დაგიძახებენ, შენ გარეშე რომ გადაწყვეტენ იმ საკითხებს, რომელიც შენი გადასაწყვეტია, აბა რას იზამ? მე შემეძლო ძალიან ცუდად წამოვსულიყავი, მაგრამ, სხვათა შორის, ედუარდ შევარდნაძეს და ნუგზარ საჯაიას ვეცი პატივი და იქ აყალმაყალი არ ავტეხე. კაბინეტის კარი დავკეტე და ყველას ვამცნე — ამ სავარძელს მიბმული კი არა ვარ, მივდივარ და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ-მეთქი. ახლაც არ ამოვიღებდი ხმას, მაგრამ თავს გაუვიდათ. რას ჰქვია, დეპარტამენტი დაიშალოს? — მაგის შექმნილია, რომ დაშალოს?

რევაზ გაგუნია — პოლკოვნიკი, სასაზღვრო ძალების მოტო-სამანევრო ჯგუფის ყოფილი უფროსი:

— რატომ გააკეთა ასეთი განცხადება ბატონმა ვალერი ჩხეიძემ, ეს მისი პირადი პრობლემაა. შიგნით აღარ ვიცი, რა ხდება, მაგრამ გარედან რასაც ვუყურებ, მგონი უკვე დაშლილიც არის.

— გაკეთდა განცხადება, რომ დაუფინანსებლობის გამო დეპარტამენტს ტოვებენ კვალიფიციური კადრები. უხელფასობის გამო სამშობლოს დაცვაზე უარის თქმა ცოტა უხერხულად ხომ არ ულერს?

— იცით, რას გეტყვით? თვეობით ვმუშაობდით უხელფასოდ, მაგრამ არავინ კადრულობდა, ეთქვა, რომ ფული არა მაქვს და ვერაფერს გავაკეთებო — ქვეყანას სჭირდებოდა და ვაკეთებდით.

— ეი. ფინანსები მხოლოდ მიზეზია და მეტი არაფერი?

— მთავარია ხალხს ხელმძღვანელისა სჯეროდეს და უფულობის გამო განზე არავინ გაგიდგება.

— თქვენ რატომ წამოხვედით დეპარტამენტიდან?

— ჩემი წამოსვლის მიზეზი, ასე ვთქვათ, კომპლექსურია. აი, ავიღოთ მაგალითად ფოთი, სადაც საკმაოდ დიდხანს ვიმუშავე. ფოთი არის კონტრაბანდის ძირითადი ბუდე, მაგრამ რასაც კი ხელი მოვკიდეთ, ყველგან ხელზე დაგვარტყეს. დეპარტამენტის ხელმძღვანელობისგან დაჟინებით ვითხოვდი, რომ შეექმნათ ჩვენთვის მუშაობის მინიმალური პირობები. ელემენტარულად მოწესრიგებულიყო მექანიზმი — ვისაც ამა თუ იმ დარღვევაზე დავაკავებდით, გადასახადის სახით რაღაც დაწესებული გადასახადი გადაეხადა. ამ ფულს ჯიბეში ხომ არ ჩავიდებდით — ბიუჯეტში შევიდოდა. დავაკავებდით გემებს, კონტეინერებს, რომლებიც ისეთი საქონლით იყო დატვირთული, რომლის გატარებაც არ შეიძლებოდა, მაგრამ... თავდაპირველად კი ატყდებოდა აყალმაყალი, მაგრამ მერე ყველაფერი ჩაიფარცხებოდა. სიმართლე გითხრათ, წამოსვლას არ ვაპირებდი. არც არავინ წავიდოდა უფულობის გამო. ძირითადი მიზეზი იყო არასწორი საკადრო პოლიტიკა და პიროვნული ურთიერთდამოკიდებულებები. აუცილებელი არ არის, რომ ადამიანს რაიმე ჯილდოთი აუმაღლო ტონუსი. საკმარისია მხოლოდ ადამიანური მიდგომა. გარდა ამისა, არაპროფესიონალებით აივსო სასაზღვრო დეპარტამენტი — მეპურე რომ პოლკის ხელმძღვანელობას დაიწყებს, როგორ ფიქრობთ, იმ პოლკს საშველი დაადგება? რაც შეეხება სასაზღვრო სანაპირო დაცვას, დღესდღეობით ის ძალიან დიდ ფულთან არის დაკავშირებული. აღარ გავშიფრავ, რა და როგორ ხდება, მაგრამ ეს რეალობაა.

ვინც სადმე ავტომატს „დააკაკანებს“, უნდა მივატოვოთ საზღვარი და გავიქცეთ?

— თქვენ მესაზღვრეობა, თუ არ ვცდები, შატილიდან დაიწყეთ, სადაც დღეს საკმაოდ მძიმე სიტუაციაა. სასაზღვრო დეპარტამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ათიოდე მეტრი მიწისთვის მესაზღვრეს არ გაწირავს. როგორ ფიქრობთ, რამდენიმე მეტრი მიწისთვის შეიძლება მესაზღვრის გაწირვა?

— იცით რა, გააჩნია, როგორ მივუდგებით ამ საკითხს — სუბიუქტურად თუ ობიექტურად. ადამიანური თვალსაზრისით შეიძლება გამართლება მოუძებნო მის ნათქვამს, მაგრამ როდესაც ასეთ განცხადებას აკეთებს სასაზღვრო დეპარტამენტის თავმჯდომარე, ეს უკვე აბსურდია. მესაზღვრე იმისთვის დგას საზღვარზე (და ფაქტია, რომ იდგა), რომ თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს. გესროლეს? — ესროლე! შენი მამული დაიცავი. ეს ისეთი ელემენტარულია, რომ მრცხვენია კიდეც ამაზე საუბარი. მესაზღვრე იმისთვის არის, რომ უნდა შეეწიროს და ათი კი არა, ერთი მეტრიც არავის დაუთმოს. თუკი სადავო იყო ის რამდენიმე მეტრი თუ კილომეტრი, გადაეწყვიტა ორი სახელმწიფოს მთავრობას და თუ გაარკვევდნენ, რომ არასწორად ვიდექით, მოვკიდებდით ხელს გუდა-ნაბადს და წყნარად წამოვიდოდით. ჩვენ კი რა გავაკეთეთ? — გამოვიქეცით! ე.ი. სადაც ვინმე ავტომატს „დააკაკანებს“, უნდა მივატოვოთ ყველაფერი და გავიქცეთ? მე, პირადად, იმ მესაზღვრეების გვერდით არ დავდგებოდი, ვინც მაშინ ფიჭვნთან პოსტი მიატოვა და გამოიქცა.

P.S. ამ ფაქტთან დაკავშირებით გენერალმა ვალერი ჩხეიძემ ასე განმარტა — იმ ათიოდე მეტრში სადავო ტერიტორია ვიგულისხმე და საზღვრის ის მონაკვეთი სწორედ სადავო და გაურკვეველი იყოო.

კი, ბატონო, მაგრამ ჯერ ერთი, ხომ ფაქტია, რომ საზღვრის იმ ე.წ. გაურკვეველ მონაკვეთს დიდი ხნის განმავლობაში ჩვენი მესაზღვრეები აკონტროლებდნენ? მეორე, იქ ათიოდე მეტრზე კი არა, კილომეტრებზე იყო საუბარი და მესამეც, ასე ათ-ათ მეტრობით და საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულებით საზღვარს მალე ალბათ კავკასიონზე გაგვიტარებენ.

ხათუნა ყვირალაშვილი

საქართველოში ერსაც ესვრიან და ბერსაც(!)

მზიად გამსახურდიას ყოფილი მოძღვარი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს

გასულ ოთხშაბათს, დაახლოებით ღამის ორ საათზე, ტიციან ტაბიძის ქუჩაზე ცეცხლსასროლი იარაღის რამდენიმე გასროლის ხმა გაისმა... ორმა ტყვიამ თავში გაუარა ზარზმის მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ გიორგის (ხაბეიშვილი). გაღვიძებულმა მცხოვრებლებმა დაჭრილი სასწრაფოდ გადაიყვანეს რესპუბლიკური საავადმყოფოში. სასწაულებრივად გადარჩენილმა მღვდელმა მომხდარის შესახებ გვიამბო:

მაგრამ მანამდე გვინდა მცირე ექსკურსი შევთავაზოთ მკითხველს ბერი გიორგის შესახებ, ვისი სახელიც ფიგურირებდა ამ რამდენიმე წლის წინ, საქართველოს ეკლესიაში მომხდარი დაპირისპირების გამო ატეხილ აჟიოტაჟში.

ზარზმის მონასტერი ერთ-ერთი იყო იმ 5 მონასტრიდან (ბეთანია, შიომღვიმე, გარეჯი, ქვათახევი), რომლის ბერების გარკვეული ნაწილი 1997 წელს დაუპირისპირდა საპატრიარქოს ეკუმენურ საბჭოში საქართველოს ეკლესიის წევრობის გამო და ზიარებითი კავშირი გაწყვიტა კათოლიკოს-პატრიარქთან. მართალია, საქართველოს ეკლესიამ შემდგომში დატოვა ეკუმენური საბჭო, მაგრამ საპატრიარქოსა და განდგომილ ბერებს შორის ურთიერთობა მაინც არ დარეგულირებულა. ამის მიზეზი ცალკე მსჯელობის საგანია და ამჯერად მასზე მკითხველის ყურადღებას აღარ შევაჩერებთ. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი დეტალიც, რომ გავრცელებული ინფორმაცია ბერი გიორგის (ხაბეიშვილი) საქართველოს ეკლესიიდან განკვეთის შესახებ არასწორია. მას ჯერჯერობით მხოლოდ მღვდელმსახურება აქვს აკრძალული.

ახლა კი უშუალოდ იმ შემთხვევის შესახებ, რომლის გამოც ზარზმელი ბერი რესპუბლიკური საავადმყოფოს ერთ-ერთ პალატაში აღმოჩნდა:

— ღამის ორის ნახევარი იყო. საკმაოდ დაღლილი ვბრუნდებოდი სახლში — იხსენებს მამა გიორგი — იმ დღეს სახლთან უცნობი ახალგაზრდა კაცი დამხვდა. იქნებოდა, ასე, 30 წლის (ცნობისათვის: გიორგი ხაბეიშვილი ვერაზე ცხოვრობს, აქ გაიზარდა და დაამთავრა სკოლა — მ.გ.), მოვიდა ჩემთან და გამომელაპარაკა — მამაო, როგორ ვერ მცნობ, გული მწყდება, რამდენი საერთო მეგობარი და ახლობელი გვყავსო... და ჩამოთვალა ჩემი მეგობრები. კარგი კაცი ხარ, შენი ჭირიმეო... ნასვამი ნამდვილად არ იყო. შემთხვევით ამ საუბარს უსმენდა თურმე ჩემი მეზობელი. უშიშროების თანამშრომელია, არ ეძინა და თავისი ფანჯრიდან იყურებოდა. ეტყობა, რაღაცამ დააეჭვა და დამიძახა — რა არის, მამაო. არაფერი-მეთქი. ამ ჩემმა თანამოსაუბრემ როგორც კი აიხედა ხმის გაგონებაზე და ჩემი მეზობელი დაინახა, იმ წუთში დახარა თავი და ასფალტს ჩააცქერდა. თითქოს რაღაცას ყოყმანობდა და წონიდა გონებაშიო — ის ჩემი მეზობელი ყვებოდა მერე. დაკვირვებული თვალი აქვს და, როგორც ჩანს, რაღაც უცნაური დაიჭირა მის ქცევაში. ჩემი აზრით, იმას განსაზღვრული ჰქონდა, რომ იქვე მოვეკალი, მაგრამ ჩანს, ამ ჩემი მეზობლის დანახვამ გადააფიქრებინა.

ეს მეგობრები და ახლობლები რომ მიხსენა, გადავეხვიე და დავემშვიდობეთ ერთმანეთს. მანქანას საფრანგეთის საელჩოს წინ ვაჩერებ-ხოლმე, გოგებაშვილის ქუჩაზე, ამიტომ იქ შევუხვიე, უცნობი კი მთაწმინდისკენ წასულა. თეთრი ფერის 07 მარკის მანქანით იყო. როგორც ეტყობა, ნომერი არ ჰქონდა, თორემ ის ჩემი მეზობელი აუცილებლად დამიახსოვრებდა.

დავაყენე თუ არა მანქანა, ჯერ დაკეტილიც არ მქონდა და მომადგა ისევ უკნიდან, გადმოვიდა და დამიწყო თხოვნა — შენ შემოგევლე, მამა გიორგი, ხუთი წუთით წამოდი, ოჯახი დამილოცეო, ჩვენი ბევრი საერთო მეგობარიც იქ არის და ამიტომ მოვედი ასე გვიან შენთან, მითხრეს, იქნებ, მამაო მოიყვანოო. წავყევი. ის თავისი მანქანით მიდიოდა, მე ჩემით. ვფიქრობდი, რომ მართლაც ხუთი წუთით შევალ, ოჯახს დავლოცავ და წამოვალ-მეთქი. ისეთი დაღლილი ვიყავი, არაფრის თავი არ მქონდა, დალევისა მით უმეტეს. ამიყვანა ტიციან ტაბიძის ქუჩაზე და მანქანა გააჩერა პირდაპირ შუა ქუჩაში. ვიფიქრე აქ ცხოვრობს, ჭიშკარს გააღებს და ეზოში შეიყვანს მანქანას-მეთქი. მე ბორდიურთან გავაჩერე. გადმოვიდა, მეც გადმოვედი. ჩემი გადმოსვლა იყო და დამიშვა პირდაპირ სახეში. პირველივე ტყვია მომხვდა, დაახლოებით 3 მეტრიდან მესროლა. არ დავცემულვარ და რაც იმ წუთში მოვახერხე, ის იყო, იარაღზე წავავლე ხელი, მეორე სროლის შემდეგაც არ დამიკარგავს გონი, მაგრამ მივხვდი, რომ განწირული ვყავდი, მომკლავდა აუცილებლად. ისღა მოვიფიქრე, რომ დაცემულმა სუნთქვა შევწყვიტე და თავი მოვიმკვდარუნე. რომ დამხედა ალბათ, იფიქრა რომ ნამდვილად მკვდარი ვიყავი და საკონტროლო გასროლა აღარ გაუკეთებია, ჩაჯდა მანქანაში და წავიდა. მერეღა ავდექი, გავაღვიძე ხალხი, მიშველეთ-მეთქი.

რაღაც სასწაულით ვარ გადარჩენილი, საძილე არტერიასთან მილიმეტრშია ჩავლილი, რომ შეხებოდა, ადგილზე გამათავებდა.

სროლა ისე იყო შესრულებული, რომ აუცილებლად უნდა მოვმკვდარიყავი, ანუ საკონტროლო გასროლა აღარ სჭირდებოდა და ამიტომ დროც არ დაკარგა ზედმეტად. იმან, პრინციპში, მომკლა და წავიდა, მე გადამარჩინა ღმერთმა.

ამ ნაამბობიდან, რაიმე ლოგიკური მიზეზის დანახვა, თურის გამო შეიძლებოდა სასიკვდილოდ გაემეტებინათ ბერი, დამეთანხმებით ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ რამდენიმე შეკითხვა დავუსვი ჩემს რესპონდენტს, რათა ისევ მისი დახმარებით რაიმე ახსნა მისცემოდა ამ უცნაურ ამბავს.

— რას შეიძლება, მამაო, უკავშირდებოდეს თქვენი სიცოცხლის ხელყოფა?

— ვის დავაბრალო, რა ვთქვა... როგორ აგიხსნათ ჩემი დამოკიდებულება ამ მთავრობასთან, არ ვიცი, მაგრამ ასე ვიტყოდი, რომ მათი სახელები და გვარები რომ მახსენდება, გული მერევა. ამას არც ვმალავდი არასდროს, სახალხოდ ვამბობდი და ვამბობ კიდეც. თუმცა ვიმეორებ, რომ ვერავის ვერაფერს დავაბრალებ.

— რაიმე ისეთი ხომ არ უძღოდა ამას წინ, ან მკვეთრი განცხადებები, ან გარკვეული ქმედებები თქვენი მხრიდან ვინმეს წინააღმდეგ?

— განცხადებები ისეთი არაფერი, მაგრამ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების წინ გამოვხატავდი ჩემს მკვეთრ უარყოფით დამოკიდებულებას ხელისუფლების მიმართ მოსახლეობასთან, მრევლთან, ზარზმაშიც და სხვაგანაც.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობს, ერთი კაცია, საკმაოდ დიდი თანამდებობა უჭირავს. მგონი აჭარული წარმოშობის უნდა იყოს. ზარზმაშიც აჭარლებიც ცხოვრობენ და ყოველთვის, როცა რაიმე გადამწყვეტი მომენტებია და აჭარელი მოსახლეობის დაყოლიებაა საჭირო, ყოველთვის იმას აგზავნიან. საპარლამენტო არჩევნების დროს იყო იქ ჩამოსული და შემომითვალა კიდეც — ენა გაჩუმოს, თორემ „კლეტკაში“ ჩასმულს წავიყვანთ თბილისშიო. საპრეზიდენტო არჩევნების დროს სპეციალურად აღარ გავჩერდი ზარზმაში და თბილისში ვიყავი. ასე სასიკვდილოდ თუ გამიმეტებდა ვინმე, ნამდვილად არ მეგონა.

— რაიმე პიროვნულ ამბებს გამორიცხავთ?

— 11 წელია ბევრი ვარ. რა უნდა დამეშავებინა ისეთი, რომ კაცს ასე სასიკვდილოდ გავემეტებინე. 42 წლის კაცი ვარ. ჩემს ბავშვობაშიც კი სერიოზული უსიამოვნება არავისთან მქონია, ხომ იცით, რა პერიოდია, — ძველბიჭობის, თავქარიანობის. დანა არავისთვის დამირტყამს და ჩემთვისაც არ დაურტყამთ. ნასამართლევი მე არ ვარ და არაფერი, სიკეთის მეტი არაფერი მიკეთებია ამ ქვეყანაზე.

— ბერობა რამ გადაგაწყვეტინათ?

— 1989 წელი იყო, როცა ბერად შევდექი. ამ მომენტამდე მთელი პროცესის გავლა მომიხდა და ჩემი ცნობიერებით ღმერთის არსებობამდე მივედი, სარწმუნეობაში მოვედი სრული შეგნებით. თან სემინარიაში კი არ წავედი, რომ მღვდელი გამოვსულიყავი, პირდაპირ მონასტერს მივაშურე. შიომღვიმის მონასტერში ვიყავი და 11 თვის თავზე კათალიკოს-პატრიარქს ლოცვა-კურთხევით ბერად აღმკვეცეს. იმ წელსვე მომცეს დიაკვნობაც, მერე მღვდლობაც, იმავე წელს არქიმანდრიტიც გავხდი და წავედი კიდეც ზარზმაში მონასტრის წინამძღვრად. 11 წელია უკვე იქ ვარ და შენების და კეთების მეტი არაფერი მიკეთებია. ჩემი დაბადება და ბერობაც ასე თუ ისე უკვე გავამართლე. 300 წლის მიტოვებული მონასტერი აღვადგინე (ზარზმის მონასტრი — მ.გ.).

— რაც მოხდა, იმის შემდეგ, აქ თავს უსაფრთხოდ გრძნობთ?

— რა ვიცი... ჩემი პატრონი არავინ არ არის. აქ დაცვას ვინ დამიყენებს. ისე კი ჩემი მეგობრები არიან ყოველთვის. მაგრამ იცით რაშია საქმე? მე, ერთხელ უკვე მოვკვდი მაგის ხელით, ჩემი გადარჩენა სასწაული იყო. რახან ღმერთმა გადამარჩინა მაშინ, აქაც გადამარჩენს ალბათ. მთლიანად ღმერთზე ვარ მინდობილი. თუმცა, ვხვდებოდი, რაღაცა მოხდებოდა ჩემს თავს აუცილებლად. თბილისში ჩამოსვლისას ცოტა თავს ვიგიჟიანებდი, რომ ეფიქრათ, — ეს არასერიოზული კაცია, გიჟია და მოვეშვათო. მინდოდა როგორმე სიცოცხლე გამეხანგრძლივებინა, სანამ ესენი მოცილდებოდნენ ამ ქვეყანას, მაგრამ მიმიხვდნენ, ეტყობა, ამასაც.

— ხმები გავრცელდა, თითქოს თქვენ მხედრიონელი იყოთ.

— ეს საშინელებაა... ასეთი ინფორმაცია მეც წავიკითხე, რომ თითქოს განკვეთილი ვარ და თანაც მხედრიონელი. ჯერ ერთი განკვეთილი არ ვარ. მე ვიყავი ზვიად გამსახურდიას მოძღვარი, აღსარებას მაბარებდა და ვაზიარებდი. რა მინდოდა მე მხედრიონთან? რა საქმე მქონდა? მხედრიონიც ღმერთმა თავის გზაზე სიკეთით ატაროს და ყველაც. გულწრფელად გეუბნებით, იმ ჩემს სასიკვდილოდ გამწირველსაც კი ვპატიობ ყველაფერს.

მამა გიორგისთან დამშვიდობების შემდეგ, მის მკურნალ ექიმს, ლევან ცინცაძეს გავესაუბრე. კოსმეტიკური და ფუნქციური თვალსაზრისით მძიმე ჭრილობებია და შეიძლება პლასტიკური ოპერაციაც დასჭირდესო.

როგორც შემდგომ შევიტყვე, მიუხედავად არქიმანდრიტ გიორგის დაძაბული ურთიერთობისა საპატრიარქოსთან, პატრიარქს თხოვნით, მასთან რამდენიმე სასულიერო პირი ყოფილა, ისიც გახდა ცნობილი, რომ გარკვეული მზრუნველობის გაწევასაც აპირებს საპატრიარქო დაჭრილის მიმართ.

ის, რაც ზარზმის მონასტრის წინამძღვარს შეემთხვა, ათასნაირ კითხვასა და ეჭვს ბადებს, მაგრამ ჯერჯერობით ძნელია რაიმეს კონკრეტულად თქმა, მანამ სანამ გამოძიება თავის სიტყვას არ იტყვის და არ გახსნის ამ საქმეს. ამ ეტაპზე კი ვაკის რაიონის პროკურატურა არსებითს ვერაფერს გვეუბნება, თუმცა პროკურორის მოადგილემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებენ ამ საქმის გასახსნელად. ხოლო თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამას, ქალბატონ ელენე თევდორაძის კომენტარიდანაც კარგად ჩანს.

ელენე თევდორაძე:

— ეს საქმე აუცილებლად უნდა გაიხსნას და სიმართლე ითქვას. თუ ეს ეჭვები გამართლდა, ვთვლი, რომ არა მარტო სამართალდამცავი ორგანოებისგან, არამედ საზოგადოებისგანაც უნდა იყოს ძალიან სერიოზული პროტესტი. თუ საზოგადოება დარჩება მხოლოდ პასიურ მაყურებლად, მართლა დავიღუპებით.

თუ არ გაიხსნა ეს საქმე, და არა მხოლოდ ეს საქმე, არამედ ბოლოდროინდელი სხვა საქმეებიც, ეს უფრო საშიშია, რადგანაც აქ უკვე ტენდენციას დავინახავთ იმისას, რომ რა პროფესიონალიზმთან გვაქვს საქმე და ესეც საშინელებაა, ან, მეორე მხრივ, შეიძლება არ არსებობს სურვილი, ითქვას სიმართლე. თუ ასეთი ტენდენცია დამკვიდრდა, ქვეყანა კატასტროფამდე მივა.

მამუკა გიორგაძე

ყოფილი პოლიციელის აღსარება



ეითმა სკამის ფეხით ტეიფის ახეში, ფეხის გულზე ცემას ვეი გაუძლო და საკუთარი ხელით დაწეია ჩვენება. მეოხე ეეკეტი ეაკალი გამოდგა. ვინ მოეშვებოდა. ცემით ჰომ ვეიაფეი გაანყეს, „სიკვდილამ“ და ბიჭებმა საკანი წყლით აავსეს, ამ ბიჭს ხელები უკან გაუკეს და საკანში ჰიჰქვე დააგდეს. საწყალი, თავს ჩაყოფდა წყალში, დაიხჩობოდა, ამადა, სულ მაღლა ჰომ გეჭიროს კისეი, ხაიკ ვეი გაუძლებს.

ალბათ, არც ერთ გრძნეულსა და თანამედროვე ილუზიონისტს არ ძალუძს ის, რასაც ქართველი პოლიციელები აკეთებენ. ფანტაზიამოჭარბებული მეზღაპრის გონებაც ვერ ჩასწვდება ჩვენი სამართალდამცავების ნამოქმედართა არსს, იმდენად საიდუმლოებით არის მოცული.

აბა, როგორია, 5-6 თვე ხელფასი ვერ მიიღო, შემოსავლის სხვა წყაროც არ გაგაჩნდეს და მაინც, ოჯახიც რიგიანად არჩინო, საკუთარ თავს დროსტარება არ მოაკლო, თან პრესტიჟული მანქანით იარო და ზოგი იმასაც ახერხებს, ზოგჯერ კაზინოში წასაგები ფულიც მოიგდოს ხელთ. რუსებსა და ამერიკელებს თითო კიო და კოპერფილდი აუჩემებიათ და უკვირთ, როცა ჩვენში ყველა მეორე პოლიციელი ისეთ ფოკუსებს აკეთებს, ამათ რომ არც დასიზმრებიათ. თავისუფლების ქანდაკება გააქრო კოპერფილდმაო და ქვეყანას თავი მოაბეზრეს ტრაბახით. თავისუფლების ქანდაკებას კი არა, ესენი, თუ მოინდომებენ, მთელ ამერიკას გააქრობენ და თუ დროზე ფული არ მიეცი, არც გააჩენენ და... გუდბაი, ამერიკა!

დიახ, ასეა! უღვთოდ ნიჭიერი და თავმდაბალი ხალხი ვართ ეს ქართველები. არ გვაფასებენ და მოკალი (გააქრე) თუ გინდა ეს ევროპა-აზია-ამერიკა.

ცნობილია, რომ ქართველმა ილუზიონისტმა ვადაჭკორიამ დევიდ კოპერფილდის სასწაულები გაშიფრა და მთელი მისი იდუმალი ტექნოლოგია გამოამზეურა. მე და ჩემი რესპონდენტი, აწ უკვე პოლიციაზე განაწყენებული და პენსიონერი, ყოფილი პოლიციელი ვეცდებით ჩვენი კოპერფილდების საიდუმლოებათა ტექნოლოგია გავშიფროთ ანუ ჩავწვდეთ იმ იდუმალებას, რისი წყალობითაც, ლოგიკით გამხმარ შავ პურს მონატრებული, მაგრამ მაინც მაძღარი და გაზულუქებული ქართველი პოლიციელები შოულობენ ფულს.

ჩემი რესპონდენტი ორიოდ წლის წინ გამოაძევეს პოლიციიდან ანუ დამსახურებულ პენსიაზე გაუშვეს. მათ ენაზე როგორც იტყვიან, შინაგან საქმეთა ორგანოებში 30 წელი დაყო, რიგითი მილიციონერიდან (პოლიციელი) ყველა სამსახურებრივი საფეხური გაიარა და მაიორის ჩინთ დაასრულა კარიერა. „მეტიც შეიძლებოდა,“ — მეუბნება — გენერალიც გავხდებოდი, მით უფრო, ხურდა ფულივით არიგებდნენ ბოლო წლებში ჩინებს, მაგრამ ვიღაც „ნაბიჭვრებს“ თავი არ გავუტოლე. მამა აბრამის ბატკანი არა ვარ, ბევრი ცუდიც გამიკეთებია, მაგრამ რაც ბოლო ხანს ხდება, ასეთი რამ არც მინახავს, არც გამეგონა ადრე“.

ბევრს ვეხვეწე ბატონ რეზოს, ინკოგნიტოდ ნუ დარჩები, ბარემ თქვენს გვარსაც გავამჟღავნებ გაზეთში-მეთქ, მაგრამ ვერ დავიყოლიე. მყარი არგუმენტით გამაჩუმა: „ჯერ ერთი, ინტერვიუს რომ გაძლევ და ბევრ საიდუმლოს გეტყვი, ეს იმ თამაშის წესების დარღვევაა, რომლითაც წლების განმავლობაში ვთამაშობდი. მეორეც, ჟურნალისტი ხარ და გეცოდინება, რა დაემართა ვიცეპოლკოვნიკ ხვედელიძეს, რომელიც პრესით მავანთ დაუპირისპირდა. თავიდან ისიც ინკოგნიტო იყო, მაგრამ ახლა ციხეშია. მე ვერ დამიჭერენ, მაგრამ ერთი 80 ლარი პენსიაღა შემრჩენია და იმასაც აღარ მომცემენ“ — მითხრა ყოფილმა პოლიციელმა და საუბარი დავიწყეთ.

— მოდით, პოლიციაში გამეფებულ კორუფციაზე ვისაუბროთ, რომელსაც თავგამოდებით უარყოფს შ.ს. სამინისტროს ხელმძღვანელობა...

— კორუფცია პოლიციაში კომუნისტების დროსაც იყო და ახლაც არის, მაგრამ შედარება არ შეიძლება. აქედანვე ვიტყვი, რომ ნურავინ ნუ მიიჩნევს, რომ მე განაწყენებული კაცის პოზიციიდან ვლაპარაკობ. ფულიც ამიღია, ბევრი სიყალბე და სიბინძურეც ჩამიდენია, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი, სხვაზე ნაკლები ბოროტება ჩამედინა, თამაშის წესებს კი ვერსად გავექცეოდი. ამიტომ, თუ ვინმეს აქვს პოლიციის გაკრიტიკების უფლება, მეც მაქვს.

— დღეს კორუფცია პოლიციელთა ცხოვრების წესია. ღმერთმა ნუ ქნას, ერთ დღეს აღმოიფხვრას კორუფცია პოლიციაში, მთელი სისტემა დაიშლება, მთელი სამინისტრო დაინგრევა. ეს იგივეა, სახლს საძირკველი გამოაცალო.

(გაგრძელება იხ. გვ. 10)

რა უშლის ხელს ჩეჩენი ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნებას?

„კვირის პალიტრა“ განგაშს იმის შესახებ, რომ საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე ზაფხულში მდგომარეობა ძალზე დაიძაბებოდა, ჯერ კიდევ სამი-ოთხი თვის წინ ტეხდა. და აი, ახლა დადგა ეს მომენტიც.

დღე-დღეზე თითქმის ყველა საცალფეხო გადმოსასვლელი საზღვრის ამ მთიან მონაკვეთზე, თოვლის დნობის გამო გაიხსნება. შატილ-ითუმ-ყალეს გზა უკვე დიდი ხანია ღიაა, რამდენიმე დღის წინ კი დათვის ჯვრის უღელტეხილი ავტომანქანებისთვის გასავლელი გახდა. ფაქტობრივად, ბუნებრივი პირობებიდან, რომლებიც მთელი ზამთარ-ზაფხულის პერიოდში ჩვენს ქვეყანას იცავდა ჩეჩნეთის ომში ჩათრევისგან, ერთ-ერთი მთავარი — თოვლი უკვე ანგარიშმისაღები აღარ არის.

ძირითადი როლი საზღვრის დაცვაში ამჯერად უკვე მესაზღვრეებმა უნდა ითამაშონ, საქართველოს მხრიდან — ქართველებმა, ხოლო ჩრდილოეთიდან კი?

მართალია რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დანაყოფები დესანტირებულნი იქნენ რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის ჩრდილოეთი მხარის საკმაოდ დიდ გაყოლებაზე, მაინც რჩება არანაკლებ ათამდე საიდუმლო ბილიკი (თუ ბევრად მეტი არა), რომლებზეც არც რუსებს დაუწესებიათ დღემდე თავისი კონტროლი და, მით უმეტეს, არც ქართველ მესაზღვრეებს. მით უმეტეს კი იმიტომ, რომ ქართველი მესაზღვრეებისთვის გამოყოფილი ფინანსები ბიუჯეტის მიხედვით, სავალალო თანხას შეადგენს და საკმარისი არ არის სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის დასაცავად მაინც.

მათ ერთადერთ იმედად აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოყოფილი არცთუ ისე მცირე თანხა რჩებათ. დაახლოებით ერთი თვის წინ გვერდი „სამხედრო თემაზე“ თავის მკითხველს აცნობდა იმ სპეციალურ აპარატურას, რაც ამერიკელებმა ქართველ მესაზღვრეებს აჩუქეს. ორიოდე კვირის წინ ეს სეისმური ინდიკატორები და სხვა სპეციალური საშუალებები, რომლებიც მთის ბილიკებზე მომავალი ადამიანების დისტანციურად აღმოსაჩენად არის განკუთვნილი, განთავსდა საზღვრის გარკვეულ მონაკვეთზე, მაგრამ სამწუხაროდ, არა მთლიან პერიმეტრზე. მესაზღვრეებს გამიზნული აქვთ ამ მიდამოებში განათავსონ პორტატული ამერიკული რადიოლოკატორიც, რომელიც მცირე სიმაღლეზე მფრენ საჰაერო ობიექტებს აღმოაჩენს (რას იზამ, როდესაც ქვეყნის სამხედრო-საჰაერო და საჰაერო თავდაცვის ძალები უძლურნი არიან თავიანთი პირდაპირი ფუნქციების შესასრულებლად, მაშინ იგი ვიღაცამ ხომ მაინც უნდა შეასრულოს?

აქ ჩვენთვის ერთი სასიხარულო გარემოება მაინც არის — საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე მობილური, პორტატული რადიოლოკაციური სადგურის განთავსების იდეას „კვირის პალიტრა“ გასული წლიდან აქტიურად აყენებდა — საზღვრის ამ მონაკვეთის რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების Су-25 მოიერიშეებისა და რუსეთის საარმიო ავიაციის Ми-24 და Ми-8 შვეულმფრენების მიერ სისტემატური დარღვევისა და ჩვენი ტერიტორიის დაბომბვის ფონზე.

ახლა, რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე მიზანმიმართული საჰაერო-სარაკეტო შეტევისა და დაბომბვის შესაძლებლობას:

ბოლო რამდენიმე თვეა რუსეთის როგორც ოფიციალური, ისე დამოუკიდებელი მასმედია განუწყვეტლივ ავრცელებს შემდეგ დეზინფორმაციას — პანკისის ხეობაში ლტოლვილების საფარქვეშ ჩეჩენი ბანდიტების მოსამზადებელი ბანაკებია განთავსებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თოვლის გადნობისთანავე და მთებში საცალფეხო ბილიკების გახსნისთანავე ასეთი ბრალდებები მოსკოვის მხრიდან სისტემატურ ხასიათს მიიღებს.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ რუსეთი მიზანმიმართულად ნელ-ნელა ამზადებს საიმისო საბაბს, რომ საჰაერო დარტყმა მიაყენოს პანკისის ხეობაში „შეყუჟული“ ჩეჩენ ლტოლვილებს.

რუსეთის შიში გასაგებიცაა. ავღანეთის ომის მთელი 9 წლის მანძილზე ავღანელ მოჯაჰედებს განუწყვეტლივ დახმარებას უწევდნენ ირანიდან და განსაკუთრებით კი პაკისტანიდან. მთელი ომის მანძილზე მე-40 ცალკეულმა საბჭოთა არმიამ ბოლომდე ვერა და ვერ აღკვეთა იარაღითა და ტყვია-წამლით დატვირთული ქარავნების მიმოსვლა ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ავღანეთის ომში მოსკოვის დამარცხებაში.

დღესაც, როდესაც ჩეჩნეთის მეორე ომსაც ავღანეთის ომივით წლობით გაჭიანურების პერსპექტივა „ემუქრება“, კრემლი ახალ-ახალ მიზეზს ეძებს ჩეჩნეთში რუსეთის ფედერალური ძალების წარუმატებლობის გასამართლებლად.

და ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სწორედ საქართველოდან ჩეჩენი პარტიზანებისთვის დახმარების აღმოჩენას მიიჩნევს. საბედნიეროდ, (თუ სამწუხაროდ) საქართველო პაკისტანი არ არის — თვითონ რა აქვს შეიარაღებაში, რომ სხვას უწილადოს? თუმცა, პანკისის ხეობაში ჩეჩენ მებრძოლთა მოსამზადებელ ან უკიდურეს შემთხვევაში, დასასვენებელ ბანაკზე ყურადღების გადატანით, მოსკოვი ყოველთვის მოგებული დარჩება, რადგან ამ ხეობაში იმ 6700-ზე მეტ ჩეჩენ ლტოლვილს შორის ახალგაზრდა და ბრძოლისუნარიანი ჯეელები მართლაც ხშირად ხვდებიან თვალს. მართალია, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი მებრძოლები არიან, მაგრამ დაუმტკიცე ეს მოსკოვს?

არღუნის ხეობა

საზღვარი შატილთან ღიაა, დღე-დღეზე სხვა გადმოსასვლელებიც გაიხსნება, შემდეგ?..

გარდა ამისა, გავლილმა ექვსმა თვემაც დაგვანახა, რომ ჩეჩენ ლტოლვილებს არცთუ ისე სახუმარო უთანხმოებები მოსდით პანკისის ხეობის მკვიდრ მოსახლეობასთან, რაც შეშფოთების საფუძველს იძლევა.

ორიოდე დღის წინ საქართველოში ჩეჩენ ლტოლვილთა წარმომადგენელები გამოვიდნენ ინიციატივით, რომ ისინი კომპაქტურად იქნენ განსახლებულნი საქართველოს ნებისმიერ კუთხეში, როგორც ამას ქვეყნის ხელისუფლება ინებებს, ოღონდ დატოვონ პანკისის ხეობა. ამ სურვილს თავად ჩეჩენი ლტოლვილები რუსეთის ავიაციისგან მოსალოდნელი დაბომბვის შიშით ხსნიან და თანახმანი არიან დროებით განთავსდნენ რომელიმე მიტოვებულ ყოფილ რუსული სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე.

აქ, ბუნებრივია, იბადება კითხვა — მაშინ, როდესაც მოსკოვს ჩეჩნეთში პირდაპირი საპრეზიდენტო მმართველობა შემოაქვს და ჩეჩნეთის აღსადგენად პირველ ეტაპზე 8 მილიარდი რუსული რუბლის (დაახლოებით 285 მილიონი აშშ დოლარი) გამოყოფას აპირებს, რატომ არ უჩნდებათ ჩეჩენ ლტოლვილებს სამშობლოში დაბრუნების სურვილი?

დიახ, გასაგებია ოპონენტების კონტრშეკითხვა — ეს ფული უბრალო ჩეჩნებამდე არასოდეს მიაღწევს. დიდ ნაწილს — მოსკოვში ჩაიჯიბავენ, დანარჩენი კი ადგილზე, გროზნოში „გაიწეწება“.

მაგრამ, რა ქნას საწყალმა საქართველომ, რომელსაც თავისი „ვირთხებიც“ საკმაოზე მეტი ჰყავს და საერთოდ, ეკონომიკურ-პოლიტიკური კატასტროფის წინაშე დგას, როგორ იფიქროს თუნდაც მეზობელ და მეგობარ ხალხზე?

საინტერესოა, რატომ არ შეიძლება ამ 6700-ზე მეტი ჩეჩენი ლტოლვილის კომფორტაბელური ავტობუსებით, ზემო ლარსის გამშვები პუნქტით კვლავ ჩეჩნეთში დაბრუნება?

გროზნოში, გუდერმესში, არღუნში, აჩხოი-მარტანში, ურუს-მარტანში, შალისა და ბევრ სხვა დასახლებულ პუნქტში აღარ მიმდინარეობს გაფართოებული ბრძოლები და არსებობს იმის მცირე წინა პირობაც, რომ იქიდან აყრილი მოსახლეობა მშობლიურ ადგილებს დაუბრუნდეს.

უზრუნველ ამერიკას მხოლოდ რაკეტების შიშილა დარჩა

ბოლო დროს რუსეთის პრეზიდენტმა სენსაციური წინადადება წარმოთქვა, რომელმაც განხორციელების შემთხვევაში, შეიძლება მთლიანად შეცვალოს ძალთა გადანაწილება მთელ პლანეტაზე.

პრეზიდენტ პუტინის ორი თვის წინანდელმა ინიციატივამ რუსეთის NATO-ში ინტეგრირების თაობაზე, მთელი დასავლეთის შეშფოთება გამოიწვია, თუმცა თავიდანვე ნათელი იყო, რომ კრემლი ვა-ბანკზე მიდიოდა. საქმეში ჩაუხედავი ადამიანისთვისაც ნათელია — თუკი რაღაცნაირად რუსეთი NATO-ს სტრუქტურაში ფეხს მოიკიდებს, ეს NATO-ს დასასრულის დასაწყისი იქნება, რადგან მაშინ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი საერთოდ კარგავს თავისი არსებობის ძირითად არსს.

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის ეს ინიციატივა არარეალური გახდა (თუმცა ორიოდე დღის წინ რუსეთის თავდაცვის მინისტრის NATO-ს შტაბბინაში სტუმრობამ გაალღო ის დაპირისპირება, რაც გასული წლიდან იუგოსლავიის ომის გამო მოსკოვსა და დასავლეთს შორის წარმოიქმნა), კრემლი უკან არ იხევს და დასავლეთს ერთმანეთზე უფრო ფანტასტიკურ იდეებს სთავაზობს.

ერთი კვირის წინ მოსკოვში სტუმრად მყოფ აშშ-ის პრეზიდენტ კლინტონს მისი რუსი კოლეგა პუტინი აშკარად სთავაზობს — რუსეთი თანახმაა აშშ-სთან ერთად შექმნას არასტრატეგიული, ეროვნული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემაო.

მოულოდნელობისგან ყბაჩამოვარდნილი კლინტონი თავაზიანი უარით ისტუმრებს პუტინს, თუმცა ეს უკანასკნელი აბეზარი ბუზივით უკან არ იხევს — ვერ ასწრებს კლინტონის „ბოინგ“ B-747 მოსკოვიდან აფრენას, რომ პუტინის საპრეზიდენტო Ил-96 უკვე იტალიისკენ იღებს კურსს. რომში პუტინი არანაკლებ სენსაციურ განცხადებას აკეთებს — რუსეთი დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, მათ შორის, NATO-ს წევრებსაც სთავაზობს შექმნას ერთობლივი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა მთლიანად ევროპის დასაცავად.

მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება — თეთრი სახლი ევროპაში სასწრაფოდ აგზავნის თავის თავდაცვის მინისტრს და აკეთებინებს ოფიციალურ განცხადებაგაფრთხილებას — ევროპის ქვეყნებს ურჩევნიათ, არ იჩქარონ და კრემლის წინადადებას არ დაეთანხმონ, თორემ ეს მკვეთრად გააუარესებს ურთიერთობას ევროპასა და ჩრდილო ამერიკას შორის.

როგორც ხედავთ, სულ რაღაც ერთი კვირის მანძილზე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები უზარმაზარი არჩევნის წინაშე დადგნენ.

მაინც რას ნიშნავს ეს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა და რატომ აღელვებს ასე ძლიერად იგი თვით ზესახელმწიფოებსაც კი?

მკითხველისთვის გასაგები ენით რომ ვთქვათ, ეს პრობლემა ეხება სარაკეტო თავდასხმებისაგან თავდაცვას.

პირველად მასირებული სარაკეტო თავდასხმები თავიანთ თავზე ლონდონელებმა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს გამოსცადეს — გერმანულმა ფრთოსანმა რაკეტებმა „ფაუ-1“ და ბალისტიკურმა რაკეტებმა „ფაუ-2“ ათასობით ინგლისელი იმსხვერპლა. მას შემდეგ დღემდე თითქმის გადაუწყვეტელ ამოცანად რჩება რაკეტების წინააღმდეგ ბრძოლა. მართალია 950-1000 კმ/სთ სიჩქარით მფრენ ფრთოსან რაკეტებს წარმატებით აგდებენ თანამედროვე გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი თვითმფრინავები, როგორც რუსული МиГ-31М-ები, ისე ამერიკული F-14-ები, მაგრამ ბალისტიკური რაკეტების განადგურება თითქმის შეუძლებელია.

საზენიტო რაკეტებს „თანამოძმეების“ ჩამოგდებას „ასწავლიან“

1972 წელს საბჭოთა კავშირმა აშშ-სთან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა თითოეული ქვეყნისთვის მხოლოდ ერთ რაიონში ასეთი სისტემის განთავსებას არა უმეტეს 100 ანტირაკეტის რაოდენობით. თავდაპირველად, ასეთი თავდაცვის სისტემა ამერიკელებმა ერთ-ერთი ბირთვული ბალისტიკური რაკეტების განთავსების რაიონში მოაწყვეს, მაგრამ მალევე დააკონსერვეს მათი მცირე ეფექტურობის გამო.

საბჭოთა ლიდერებმა კი, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ რიგში საკუთარ უსაფრთხოებაზე იზრუნეს ბირთვული ომის დაწყების შემთხვევაში და ასამდე ანტირაკეტა A-135 მოსკოვის გარშემო განალაგეს. სხვათა შორის, ეს ანტირაკეტები დღესაც საბრძოლო მზადყოფნაშია და კრიტიკულ სიტუაციაში ამერიკული ბალისტიკური რაკეტების ბირთვული ქობინების განადგურება ევალებათ ღია კოსმოსსა და სტრატოსფეროში.

თუმცა, როგორც ამბობენ, A-135-ებმა თავისი ბირთვული ქობინებით შეიძლება მართლაც აააფეთქონ ამერიკელების ათობით ბირთვული მუხტი, მაგრამ ეს ყველაფერი ისევ მოსკოვს „დაეცემა“ თავს და იქ ცხოვრებას შეუძლებელს გახდის.

დღეს, როდესაც ტექნიკის განვითარებამ მაღალ საფეხურს მიაღწია, თეთრ სახლს სურს მთლიანად ჩრდილო ამერიკის კონტინენტის თავზე შექმნას ერთგვარი „რაკეტსაწინააღმდეგო გუმბათი“, რომელიც საერთოდ გამორიცხავს ამერიკელების შიშს მოწინააღმდეგის რაკეტების თავდასხმისა.

რა დასამალია და ამერიკელებს დღეს მსოფლიოში აღარავისი ეშინიათ, მათი ზემძლავრი ეკონომიკა საშუალებას იძლევა ჰყავდეთ ყველაზე თანამედროვე იარაღით აღჭურვილი, ყველაზე მობილური და ბრძოლისუნარიანი არმია მთელ პლანეტაზე.

ერთადერთ საშიშროებას, რასაც თეთრი სახლი ჯერ კიდევ უფრთხის, ეს რუსეთის ბირთვულქობინიანი ბალისტიკური რაკეტებია, როგორც სახმელეთო, ისე ატომურ წყალქვეშა ნავებზე დამონტაჟებული.

ვაშინგტონში არავინ გამორიცხავს, რომ ერთ მშვენიერ დღეს კრემლში შეჭრილმა ნაციონალ-კომუნისტებმა ან დერჟავნიკებმა თეთრ სახლს პირდაპირი ბირთვულ-სარაკეტო შანტაჟი დაუწყონ და დიდ დათმობებზე წასვლა აიძულონ აშშ-ს, ზესახელმწიფოს, რომელიც მთელი მსოფლიოს მართვაზე სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს.

ამიტომაც პენტაგონი გაშმაგებული ტემპებით ახორციელებს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის თანამედროვე სისტემის შექმნას. მას ამისთვის საქვეყნოდ ცნობილი საზენიტო-სარაკეტო სისტემები „პეტრიოტები“ ნაკლებად გამოადგება, რადგან ეს უკანასკნელი ძირითადად მაინც თვითმფრინავების წინააღმდეგ იქმნებოდა და არა რაკეტებისა. მათი გამოყენების ეფექტურობა, ერაყის მიერ ისრაელის მიმართულებით ნასროლი მოძველებული საბჭოთა ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების „სკადების“ წინააღმდეგ, არადამაკმაყოფილებლადაა შეფასებული.

აქედან გამომდინარე, ამერიკელები ძირითად გათვლას რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის THHAD-ის ტიპის ანტირაკეტებზე აკეთებენ, თუმცა მათი ორივე საგამოცდო გამოშვება სრული კრახით დასრულდა. დღე-დღეზე მესამე საგამოცდო სტარტი უნდა შედგეს.

რუსებიც ცდიან დაახლოებით ანალოგიურ სისტემას — C-400-ს. სტატიის ავტორს გასულ წელს საშუალება ჰქონდა, ახლოს გასცნობოდა ამ ახალ საზენიტო-სარაკეტო სისტემას. მას ცნობილ C-300-თან შედარებით გაუმჯობესებული მონაცემები აქვს და მოწინააღმდეგის მფრინავი ობიექტის აღმოჩენა და განადგურება თითქმის 400 კმ-ის სიშორიდან შეუძლია, მაგრამ დამოუკიდებელ სამხედრო ექსპერტთა აზრით, ვერც C-400 გამოდგება საკონტინენტშორისო ბირთვული ბალისტიკური რაკეტების ასპროცენტიანი განადგურების გარანტად.

სხვათა შორის, ამერიკელებისა არ იყოს, რუსეთიც ფიქრობს ერთგვარი „ანტისარაკეტო კედლის“ შექმნას და ისიც სამხრეთი მიმართულებით, სწორედ რისთვისაც იქნა გადასროლილი C-300B ტიპის საზენიტო-სარაკეტო სისტემის დივიზიონი სომხეთში, რომელიც თურქეთისა და ირანის საჰაერო სივრცეების დიდი მონაკვეთების გარდა, აღმოსავლეთ საქართველოს ცასაც აკონტროლებს.

ამერიკელები ხვდებიან, რომ ათასობით რუსული ბირთვული ქობინისგან ისინი ასპროცენტიანი გარანტიით თავის დაცვას კიდევ 20-25 წელი ვერ შეძლებენ. სამაგიეროდ, პენტაგონი ძირითად აქცენტს ჩინეთზე, ჩრდილო კორეასა და ირანზე აკეთებს. თუ ჩინეთს დღესაც აქვს (მართალია, სულ თითზე ჩამოსათვლელი) ამერიკის კონტინენტამდე მიმწვდომი ბალისტიკური რაკეტები, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ანალიზით 5-10 წელში ანალოგიური რაკეტები შეიძლება „ანტიამერიკულად“ განწყობილმა ფხენიანმაც და თეირანმაც შექმნან.

სწორედ ეს აფრთხობს იმ ქვეყნის ხელისუფლებას, რომელსაც ომი თავის ტერიტორიაზე 200 წელზე მეტია არ უნახავს.

ვინ იძლევა გარანტიას, რომ მორიგი ამერიკული „საპოლიციო მისიის“ შემდეგ, სადღაც სპარსეთის ყურეში ან კორეის სიახლოვეს, რომელიმე ზემოხსენებული ქვეყანა შურის საძიებლად სარაკეტო დარტყმას არ მიაყენებს უზრუნველად მცხოვრებ ამერიკელებს.

გვერდი მოამზადა
ირაკლი ალადაშვილმა

ყოფილი პოლიციელის აღსარება

(დასაწყისი იხ. გვ. 8)

ყველამ იცის და უპირველესად პოლიციის სამინისტროს ხელმძღვანელებმა, რომ ყველა პოლიციელი უკანონო გზით შოულობს ფულს. ძნელია გაამტყუნო ბიჭები, თვეობით ხელფასი რომ ვერ აუღიათ, ისიც მათხოვრული ხელფასი და ტყვიას შუბლს უშვერენ, ყაჩაღებს და შეიარაღებულ ბანდებს დასდევენ, ღამეები არ სძინავთ, ოჯახები ენატრებათ... რა ქნან, აიღებენ ქრთამს, აბა, რა იქნება? მაგრამ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ სისტემაში კორუფციაა. მე და თქვენ ვაღიარებთ, მაგრამ ეს არაფერია. პირველი სიტყვა მინისტრმა უნდა თქვას. ამას წინათ წავიკითხე, კახა თარგამაძე ჟურნალისტებს ეუბნება, ჩემი და ჩემი პოლიციელების ენთუზიაზმის წყალობით არის, რომ ქვეყანაში მშვიდობა და წესრიგიაო. ჯერ ერთი, ამ მშვიდობას შოთა კვირაიამ ჩაუყარა საფუძველი, მეორეც, რა ენთუზიაზმზეა ლაპარაკი? როგორ, მშიერი პოლიციელები დასდევენ ყაჩაღებს? ნუთუ ყველა პატრიოტმა პოლიციაში მოიყარა თავი, საქვეყნო საქმე საკუთარი ოჯახებს არჩიეს, საქართველოში ათასობით ცხრა ძმა ხერხეულიძემ მოიყარა თავი და ყველამ პოლიციელის ფორმა ჩაიცვა? ეს ხომ აბსურდია... ხალხმა ყველაფერი იცის.

— იქნებ დააკონკრეტოთ, როგორ შოულობს პოლიცია ფულს?

— ყველა საშუალებას აქ, უბრალოდ, ვერ ჩამოვთვლი, იმდენია. ავიღოთ, რომელიმე რაიონის ქვეგანყოფილება თბილისის მაგალითზე. მაღაზიები, „ბენზოკოლონკები“, ჯიხურები, „პროფილაქტიკები“, კერძო მეწარმეები, ყველა, ვინც ფულს შოულობს კონკრეტულ უბანში, ნილს აძლევს პოლიციას. მზესუმზირის გამყიდველიც ვერ გაჩერდება მოფარებულ ადგილას, თუ ფული არ გადაუხადა პოლიციას. ზოგს ფულს ართმევენ, ზოგს კი, ვთქვათ, მაღაზიებს, პროდუქტს, სასმელს... „პერერვზე“ და მორიგეობისას ბიჭებს ხომ უნდათ ჭამა? თავიანთი „ანგარიშები“ აქვთ გახსნილი მაღაზიებში და მის შესატყვის პროდუქტს იღებენ.

— სანაცვლოდ რას აძლევს პოლიცია ამ კომერსანტებს?

— მშვიდობის გარანტიას, რომ ხელშეუხებელი იქნება, მეტ-ნაკლებად მაინც. არა, ამ მომენტში პოლიციელებს ვერ გაამტყუნებ. უფულო, მშიერი პოლიციელი არ დაგიცავს. წარმოიდგინე, მაღაზია გაქვს და რეკეტიორი დაგადგა, ფული გთხოვა, წილში ჩასმა... მე არ უნდა მოგაცილო ის რეკეტიორი? თუ ფულს არ მიხდი, რატომ ავიტკივებ თავს, მით უმეტეს, თუ ამ კაცს უბანში პატივს სცემენ და ავტორიტეტი აქვს? ეს ხომ ჩემთვის უბნის ახალგაზრდობის დიდი ნაწილის გადაკიდებას ნიშნავს. შენ ფული იშოვო, ჩემი ცოლ-შვილი მშიერი იყოს და შენი გულისთვის ხალხი გადავიკიდო? ასე არ ხდება. თუ გადამიხდი, იმ რეკეტიორს ჩამოგაცილებ, ხალხსაც მოვიმდურებ, თუ საჭიროა, თუ დაინტერესება მექნება.

— გამოდის, ყველა ჯიხურში პოლიციელია წილში.

— კი არ გამოდის, ასეა. მარტო იმ ობიექტებს არ ეკარება პოლიციელი, რომელიც მის კოლეგას ან რომელიმე თანამდებობის პირს ეკუთვნის. ადრე პატარა მაღაზია მქონდა დიდ დილომში და იქაური ბიჭებისთვის მქონდა ჩაბარებული. რა თქმა უნდა, არც ძველი ბიჭები აწუხებენ პოლიციელის კუთვნილ ობიექტებს.

— ცნობილია, რომ ფულის გამოძალვის მიზნით ბევრ ადამიანს აწუხებს პოლიცია. აქ უკვე დიდ ფულზეა საუბარი და არა ჯიხურებიდან აღებულ კაპიკებზე. როგორ ხდება ეს ამბები?

— საერთოდ, დამნაშავეს, რა კატეგორიისაც არ უნდა იყოს იგი, ფულის გადახდა ურჩევნია ციხეში წასვლას. ციხეში ათჯერ მეტი ჯდება პატიმრის შენახვა, თან მიათვალე შერყეული ფსიქიკა და ჯანმრთელობა. მერე კოლონიაში ათასი პრობლემა და ხათაბალაა, უამრავ სიბინძურესა და ბინძურ კაცთან შეგუება, ოჯახის მონატრება, დაკარგული წლები და შელახული ავტორიტეტი, რომ ნაციხარი ხარ. ამას სჯობს ფული გადაიხადო და შინ წახვიდე. ასეთი გაგების ხალხს, ვისაც ეს ესმის, არავინ არ სძალავს ფულს, ამ შემთხვევაში მხოლოდ ვაჭრობა მიდის, თან დანაშაულსა და დაზარალებულსაც გააჩნია, ზოგი ისეთი საქმეა, მილიონი ჩაიტანო, არ გიშველის, ხელს არავინ მოჰკიდებს.

ფულის გამოძალვა კი, ვაღიარებ, ხდება და ლამის ყოველდღიურად. ამ რამდენიმე წლის წინ საქართველოს ერთ-ერთ რაიონში სამძებროს უფროსის მოადგილედ ვმუშაობდი, ჩემი უფროსი შვებულებაში იყო და მე ვიყავი იქ უფროსი. ერთი ახალგაზრდა, 20-22 წლის გოგონა მოვიდა. სახლიდან მოეტანა რაღაც ნივთები და მითხრა, ეს ყველაფერი ჩემი ყოფილი ქმრის მოპარული და სახლში მოტანილიაო. წარმოიდგინე, ცოლი, თუნდაც ყოფილი, როგორ უნდა გააბოროტო, რომ პოლიციაში ჩაგიშვას. იმავე დღეს ავიყვანეთ ის ბიჭი და მისი 3 ძმაკაცი. გაირკვა, რომ კიდევ 2 ბინა გაექურდათ. ორმა აღიარა ეს ამბავი, ორი კი ძალაზე იყო, ერთად არ ვყოფილვართო. ჩვენ არანაირად არ „გვაწყობდა“ 4 კაცის ციხეში გაშვება, საკმარისი იყო, ორს სამივე ბინის ქურდობა ეკისრა და დანარჩენ ორს კი ფულს მოვატანინებდით. ისე, ოთხივეს ფული მოეტანა, სჯობდა, მაგრამ გაქურდული ბინის პატრონი რაიონის მთავარი ექიმი, გამგებლის ბიძაშვილი თუ რაღაც ნათესავი იყო და ეს საქმე სუფთად არ გამოვიდოდა — მოპარული ნივთები კი დავუბრუნეთ, მაგრამ ციხეშიც ვიღაც უნდა წასულიყო აუცილებლად.

ერთი „პალაჩი“ გვყავდა, „სიკვდილას“ ვეძახდით. მის ხელში ჩემი მტერი ჩავარდა, საშინელი კაცი იყო. ისე, ახლაც ცოცხალია. იმას ეჭვმიტანილს რომ მიუგდებდი, 2 საათში ყველაფერზე ხელს მოაწერდა. ვინ კენედი კაცო, დაგიმტკიცებდა, ბრუტუსი ვარ და იულიუს კეისარი მე მოვკალიო. „სიკვდილამ“ ეს ორი ბიჭი დაამუშავა, ამათგან ფული უნდა აგვეღო. ერთმა სკამის ფეხით ტერფის არეში, ფეხის გულზე ცემას ვერ გაუძლო და საკუთარი ხელით დაწერა ჩვენება. მეორე კერკეტი კაკალი გამოდგა. პრინციპში, უდანაშაულო იყო. ძმაკაცებს მანქანა ათხოვა, არც იცოდა, რისთვის სჭირდებოდათ. იმათ კი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიტანეს ნაქურდალი. აბა, ეს რა არგუმენტია პოლიციისთვის, ვინ მოეშვებოდა. ცემით რომ ვერაფერი გააწყეს, „სიკვდილამ“ და ბიჭებმა საკანი წყლით აავსეს, ამ ბიჭს ხელები უკან გაუკრეს და საკანში პირქვე დააგდეს. საწყალი, თავს ჩაყოფდა წყალში, დაიხრჩობოდა, არადა, სულ მაღლა რომ გეჭიროს კისერი, ხარიც ვერ გაუძლებს. ფეხზეც ვერ ადგებოდა, რადგან ცალი ფეხი მიბმული ჰქონდა ხელებზე. ლამის დაიხრჩო, მაგრამ მაინც არ გატყდა. მერე „სიკვდილამ“ იმავე საკანში ძელზე, აი, „ტურნიკს“ რომ ეძახიან, იმაზე დაკიდა ხელ-ფეხით. როგორც შამფურზე წამოცმულ ბატკანს, ისე ატრიალებდა, სცემდა და ისევ ატრიალებდა. გონება 3-4-ჯერ დაკარგა, მაგრამ მაინც არ აიღო არც ერთი საქმე თავის თავზე. მერე აირწინაღი ჩამოაცვეს, ჟანგბადის მილი გადაუკეტეს, მაგრამ რაღა აზრი ჰქონდა: კაცს თავი სასიკვდილოდ ჰქონდა გამეტებული, უდანაშაულოც იყო და რაღა უნდა გვექნა, ხომ არ მოვკლავდით? მოკლედ, ეს ბიჭი, ბაჩი ერქვა, გავუშვით, ერთმა ფული მოიტანა, ისიც გავუშვით, იმ გოგოს ნაქმრევმა და მისმა მეჯვარემ კი სამივე „ბინა“ აიკიდეს და ციხეში წავიდნენ. ეს ბაჩი მაგარი ვინმე გამოდგა — ხმა მომივიდა, დიდი ავტორიტეტი აქვს, ერთ კანონიერ ქურდს უთქვამს, აფსუს ბიჭო, ჯარში არ იყო ნამყოფი, მოგნათლავდიო.

უარესებიც ხდება. არ მინდა ვისაუბრო ყოფილ მე-5 იზოლატორზე და თბილისის „კაპეზეზე“, რაც საკუთარი თვალით მინახავს, იმას გეტყვით. ისე, თბილისის „კაპეზეში“ ბევრი საშინელება მინახავს, მაგრამ კომუნისტების დროს რაც ცხინვალის „კაპეზეში“ ხდებოდა, უარესს ვერ წარმოიდგენს კაცი, ასევე, საშინელება იყო აფხაზეთის ნებისმიერი ქალაქის მილიციაში მოხვედრა. ცხინვალში ყველას ერთნაირად ექცეოდნენ, აფხაზეთში კი ქართველები იყვნენ ცუდ დღეში. ერთხანს, კანონიერ ქურდებს ბრძოლა რომ გამოუცხადეს, ქუთაისის „კაპეზე“ იყო განთქმული, თავის დროზე ზუგდიდის, ოზურგეთის პოლიციის საკნებშიც ბევრი არაადამიანური რამ ხდებოდა.

— როგორც ვიცი, იყო ბევრი შეკვეთილი საქმეც. ხშირად პოლიციას უდანაშაულო ადამიანთა „გაფუჭება“ ევალებოდა.

— კი, ასეც ხდებოდა. იშვიათად, მაგრამ მაინც. შეუძლებელი იყო, არ შეგესრულებინა ზემდგომთა მითითება. ერთადერთი შანსი ის იყო, რომ წინასწარ, ჩუმად გაგეფრთხილებინა მსხვერპლი. ისე, არაერთხელ გამიკეთებია ასეთი რამ და ბევრი განწირული გადამირჩენია.

კომუნისტების დროს თბილისის ერთ-ერთი რაიონის პოლიციაში ვმუშაობდი. მახსოვს, შეკვეთა მივიღეთ, ერთი ბიჭი უნდა „გაგვეფუჭებინა“. ცოტა მოძველებიჭოტიპი იყო, ჩვენი რაიონის რაიკომის მდივნის გოგო უყვარდა და შეუღლებასაც აპირებდნენ. გოგოს ოჯახი წინააღმდეგი იყო. ეს ბიჭი დაამუნათეს, დააშინეს, მაგრამ არაფერმა გაჭრა. გოგოს მამამ გადაწყვიტა, დაეჭირა, ციხეში გაეშვა და მერე ყველაფერი დალაგდებაო, — იფიქრა. ეს საქმე ჩვენ დაგვევალა. კომუნისტების დროს სუფთად უნდა გემუშავა, ძაფით ნაკერი, შეთითხნილი საქმეები ნაკლები იყო, მაგრამ ისეთი რამ ჩავიდინეთ, მგონი, ამგვარი რამ არსად მომხდარა. დავიჭირეთ ეს ბიჭი. მანქანის გატაცების გაუხსნელი საქმე გვქონდა, ავდექით და „შევტენეთ“. სად იყო მაშინ ადვოკატი, პრესა და სახალხო დამცველი! ჩვენება გამომძიებელმა დაწერა და ხელიც მოაწერინა იმ ბიჭს, აზრზე არ იყო, რაზე აწერდა. 3 წლით გავუშვით ციხეში. საშინელება რა იყო იცით? — კაცი მანქანის გატაცებაზე ციხეში გავუშვით და მანქანის მართვა არ იცოდა. მერე ის რაიკომის მდივნის გოგო გათხოვდა, ჩვენ კი მადლობა გვითხრეს და ჩინები დაგვირიგეს — მაშინ გავხდი უფროსი ლეიტენანტი.

— პოლიციას საკმაოდ დახვეწილი და ფართო აგენტურული ქსელიც აქვს. ამაზე რას იტყვით?

— სამინისტროს და სამმართველოს აგენტურაზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი. ვიცი, რომ ის საკმაოდ დახვეწილია და ფართო. ისე, ადგილებზე ყოველთვის გვყავდა ჩვენი აგენტები. პრინციპში, გახსნილი საქმეების 50% აგენტების მეშვეობით იხსნება და ეს ჩვეულებრივი ამბავია, არც საძრახისია — ყველა ქვეყნის პოლიცია თუ სპეცსამსახურები სწორედ აგენტურის წყალობით აღწევენ წარმატებებს. ჩვენში, რატომღაც, შინაგან საქმეთა ორგანოების აგენტებს „ნასედკას“ ეძახიან, უშიშროების აგენტი კი აგენტია — მეტი არაფერი. ვითომ „ნასედკა“ უფრო სასირცხვილო, დამამცირებელია, ასე სურთ მავანთ, მაგრამ აგენტი აგენტია, გინდ პოლიციისა და გინდა უშიშროებისა, ერთ საქმეს აკეთებენ სხვადასხვა მიმართულებით.

— ბატონო რეზო, როცა საუბარი დავიწყეთ, თითქოს მონანიების გრძნობა შევნიშნე თქვენში. ახლა ეჭვიც მეპარება, გსურთ, ზოგიერთი პოლიციელისგან განირჩეოდეთ და ამ დროს არ განსხვავდებით მათგან. პრინციპში, რაც თქვენ მოყევით, იმაზე უარესი რაღა უნდა მოხდეს პოლიციაში?

— უარესიც ხდება, ბევრად უარესი. მე რაც მოვყევი, ის ზღაპარია, აი, რეალობა, რომელიც ბევრმა არ იცის, უარესია. არის ხალხი, ვინც ამგვარი საქმეების სპეციალისტად ითვლება — ისეთ საქმეს „შეტენინან“ კაცს, მართლა გაშტერდები.

— ღმერთის ან ამქვეყნიური შურისძიების არ გეშინიათ?

— ღმერთთან ვაგვარებ საქმეს, დავიწყე ეკლესიაში სიარული და მალე აღსარებასაც ვიტყვი. თუ დაბეჭდავ ამ ინტერვიუს, ისიც მინდა ვანახო, ინკოგნიტოდ, მაგრამ მაინც საქვეყნოდ ვინანიებ ცოდვას. ახლა, ყველა ამბავს, რაც მოგიყევი, ღმერთო მაპატიე-მეთქი, ხომ არ დავაყოლებდი. მაინც არ დაბეჭდავდი, გულში კი ვიმეორებდი.

შურისძიება კი, თუ რამე მოსახდენი იყო, აქამდე მოხდებოდა. ჩვენ ახლა პოლიციის უარყოფით საქმეებზე ვისაუბრეთ, ბევრი სასიკეთოც გაუკეთებია პოლიციას ხალხისთვის, ქვეყნისთვის. თუნდაც აფხაზეთის ომში, სამაჩაბლოში, სადაც არ ეზარებოდათ, პოლიციელებს ერეკებოდნენ. წეღან კორუფციაზე ვსაუბრობდით, მაგრამ მეორე მომენტიც გასათვალისწინებელია — ბიჭები საკუთარი ფულით ყიდულობენ ბენზინს, ფორმას, ინახავენ მანქანებს, ტყვია რომ ტყვიაა, იმასაც თავად ყიდულობენ.



ჰოოუიჰატუიაც ნიღშია. აბა, ღამაზი თვალებისთვის ჰომელი ჰოოუიჰოჰი დახუჭავს თვალს, ჰოცა 5-7 დღე ეჭვმიტანილი უსანქციოდ წინასწარი დაკავების საკანში გყავს დამწყვდეული, გინდაც სანქციით იყოს.

— ბატონო რეზო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, საერთოდ, ხელისუფლება ხშირად გვაყვედრის, რომ ავტომატიანი ხალხი მოგვაცილეს და წესრიგია ქვეყანაში. მე, პირადად, ის ავტომატიანი ხალხი არაფერს მერჩოდა. აი, ვისაც ერჩოდნენ, ზოგადად, ფულიან ხალხს, იმას რა ხეირი, თუ გუშინ მხედრიონელს ან სხვა იარაღიანს მიჰქონდა მისგან ფული, აწერდა, დღეს იმავე თანხას, თუ მეტს არა, პოლიციელი აწერს. პირადად ჩემთვის, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, „მაკაროვითა“ და კანონით შუმაშინებენ, თუ „კალაშნიკოვით“?

— არ ხართ მართალი. იმ „მხედრიონელის“ მოსვლას პოლიციელი სჯობს. გარანტია არსებობს, რომ „მაკაროვი“ არ გავარდება, ხოლო „კალაშნიკოვი“ ხშირად ისროდა, ამიტომაც, მსხვერპლიც ნაკლებია ძველთან შედარებით. ყველაფრის თავიდათავი კი ის იყო და არის, რომ მაშინაც და ახლაც, პოლიციაც და „მხედრიონიც“ ფინანსური გარანტიების გარეშე იყვნენ. ის იყო, ეს არის. ბევრი შეიცვალა სასიკეთოდ, მაგრამ ბევრი შესაცვლელია. „მხედრიონისა“ და პოლიციის შედარება არ მიმაჩნია სწორად, მართებულად. პოლიცია მაინც სახელმწიფო სტრუქტურაა. თუმცა, ერთი საერთო მაინც აქვთ. თავის დროზე ჯაბამ უქონელი ბიჭები ავტომატით აღჭურვა, დღეს თარგამაძემ ათჯერ მეტ ხალხს ავტომატის ნაცვლად კანონი, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული კოდექსი მისცა და უთხრა, თუ არ უთხრა, ამ დამშეულ ხალხს, რა მნიშვნელობა აქვს მაინც ასე გამოდის — ბიჭებო, იყაჩაღეთო...

ლევან ჯაგანიშვილი

ცხოვრებისეული კურიოზები

ფეფქა ანუ...

სკოლაში ბევრი კარგი მასწავლებელი გვყავდა, ერთ-ერთი მათგანი იყო სამ ომ გამოვლილი, თადარიგის მაიორი და ისტორიის პედაგოგი ბატონი კალისტრატე.

ერთხელ დიდი დასვენების შემდეგ (ვგონებ მე-9 კლასში ვართ) ისტორიის გაკვეთილი უნდა გვქონოდა. ირეკება შესვლის ზარი და კლასში ძალზე დაფიქრებული ბატონი კალისტრატე შემოვიდა.

— იქნება თქვენ ამიხსნათ ბავშვებო, რა ხდება?! — მოგვმართა მან კლასს. 60 წლისა ვარ უკვე, სამი ომი და რვა ფრონტი გამევიარე, „მახორკა“ მომინევია, „ყაზბეგიც“, „რეკორდიც“, „დაისიც“, მარა გეგმის მოწევა თუ შეიძლებოდა, მაი ნამდვილად არ ვიცოდი. გეგმას რომ შესრულება უნდა, ყველამ იცით ხომ კი?! მარა მისი მოწევა რაღა უბედურებაა?

მერე გავიგეთ, რომ იმ დილით პედსაბჭოზე ჩვენი უბნის ინსპექტორს უთქვამს: — სკოლის ზოგიერთმა უფროსკლასელმა თამბაქოს თავი დაანება და „პლანის“ მოწევაზე გადავიდაო.

„სირმინოზა“

საგრიანი მეწაღე

თბილისის ერთ-ერთ უბანში, თავის ჯიხურში მუშაობს ერთი ინვალიდი (ხის ფეხი აქვს მენჯის ქვევით) მეწაღე. ძალიან შეაწუხა საგადასახადოდან ინსპექტორმა, რომელმაც არ იცოდა მისი ინვალიდობა, რადგანაც სულ დამჯდარს ნახულობდა მუშაობის დროს.

ერთხელაც, ინსპექტორის მორიგი სტუმრობისას, რომელმაც დაიწყო ჯარიმის აქტის წერა, მოეშალა ნერვები და სადგისი მთელი ძალით ჩაირტყა ხის ფეხში ისე ძლიერად, რომ ვეღარ იძრობდა. ნახა რა ეს ინსპექტორმა, იფიქრა ბარძაყში ჩაირტყაო და შეშინებულმა მოკურცხლა თავის აქტიანად. მას მერე აღარ გამოჩენილა, შარს მოერიდა, იფიქრა ვიღაც გიჟია, თავის ფეხს რა უყო და მე რაღას მიზამსო. ასე უნებურად მოიშორა დამჯარიმებელი საწყალმა მეწაღემ.

თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი

ჭირისუფალი ჭირისუფალი

სოფელ ნიჩბისში მიცვალებულის სამძიმარზე ვიყავით. ჭირისუფალი ვისაც დაინახავდა მისულს დაატირებდა — ვალიკო, ადექ, გაუმასპინძლდი ესა და ეს მოვიდაო.

კარის ზღურბლზე გადმოაბიჯა შავებში ჩაცმულმა შუახნის ქალმა, რომელსაც, თურმე, სოფელში ოთარაანთ ქერივს ეძახდნენ. იმის დანახვაზე ჭირისუფალმა მუხლებში ცემა დაიწყო თან დაატირა, — ვალიკო, გენაცვალე, ადექ, აგე მაგდანას ლურჯაც მოვიდაა!!! აქეთ-იქით ჩუმ-ჩუმი სიცილი გაისმა. მოსული კარებში გაშეშდა, ჭირისუფალი სახტად დარჩა, ვერ მიხვდა რა მოხდა. როცა აუხსნეს რაც შეეშალა, იმასაც სიცილი წასკდა. ამის შემხედვარე ყველა ახარხარდა.

რ. მცხეთელი

სვანთა „მოხერხებულობის“ შესახებ

ბუზის მოკვლა: ბუზს შეტენიან კარადის ქვეშ და კარადას ფეხებს ამტვრევენ;

სვანთა დისკოთეკა: ერთ ოთახში სინათლეს აანთებენ, მეორეში ჩააქრობენ. ჩართავენ მაგნიტოფონს და დარბიან აქეთ-იქით.

ძროხის წველა: ერთს ძუძუებზე უკიდია ხელი, ხოლო ოთხი ძროხას „აკაჩავებს“ ზევით-ქვევით.

დანის ალესვა: სვანი უშბიდან აგორებს სალეს ქვას და მოსდევს დანით ხელში.

ნიკა ვ. გიორგი ჩ. ქუთაისი

ა, კაგდა ბუდეტ ობედ?

1954 წელს ჯარში ქ. ვიბორგში ვმსახურობდი. დემობილიზაციის დროს პოლკის მეთაურმა ალექსანდრე ბოგდანოვმა, რომელიც განსაკუთრებულ პატივს სცემდა ქართველებს და მათ შორის მეც, თავისთან დამიბარა და მოკრძალებით მთხოვა:

— მე შენ სამგზაჯრო მატარებლით გაგიშვებ (მაშინ სატვირთო ვაგონებით აგზავნიდნენ) მეც თბილისში ამ დღეებში მივლინებით მიწევს ჩამოსვლა და თუ შეიძლება გესტუმრებიო, მით უმეტეს, მამაშენიც ნაფრონტალი პოლკოვნიკია და ერთმანეთს კარგად გავუგებთო. რა თქმა უნდა, თანხმობა მივეცი და მისამართიც დავუტოვე.

მართლაც გვესტუმრა... მამაჩემმა სამი დღის განმავლობაში შემწვარ-მოხრაკული არ დააკლო, რუსმა პოლკოვნიკმა სუფრას თვალი გადაავლო და მამაჩემს მუდარის კილოთი ჰკითხა: ზახარ გრიგორევიჩ, ა, კაგდა ბუდეტ ობედ? შეცბუნებულებმა ერთმანეთს გადავხედეთ... მამაჩემმა ცოლს ღიმილით უთხრა: ამ შობელძაღლს შენებური ბორშჩი აჭამე, თორემ ამ პატივისცემას წყალში გადაგვიყრისო...

ნოდარ ფიჩხნარაშვილი, თბილისი

მიხო და ქურდი



ეს ამბავი მოხდა კახეთში.

მიხოს სახლში ღამით ქურდი შეიპარა.. ცოლმა გაიგო და მიხოს ჩასჩურჩულა:

— მიხო, ჩვენს სახლში ქურდი შემოპარულა!

— ჩუ, ხმა არ ამოიღო. ოღონდ რამე იპოვოს, თორემ წართმევა ადვილია, — უთხრა მიხომ.

ირაკლი გოგინაშვილი, თბილისი

მკითხველის სყვარული ანეკდოტი

სომხების ბატალიონში ინსტრუქტორი ასწავლის მეომრებს ხელყუმბარის სროლას:

— ვიჭერთ გრანატის მარჯვენა ხელში, მარცხენა ხელის სწრაფი მოძრაობით ვაძრობთ რგოლს და ვისვრით აკოფში.

სეროჟამ სწრაფად გაიმეორა რაც ინსტრუქტორმა უთხრა და ხელყუმბარა იქვე მდგომ აკოფას ესროლა, თანაც დააყოლა:

— აკოფ ბრნი! (დაიჭირე)

„თბილისელი“

მიხო „პლაჟზე“ სილაში ვირსა ხატავს. გამოიარა რუსის მაგარმა „ნაშამ“. მიხო მოეწონა და უთხრა:

— პაშლი.

— წაშლი და დედას გიტირებო.

დათო ყველიაშვილი

მეგრელი იაპონელს შეხვდა ერთ-ერთ მიღებაზე და ეუბნება:

— ქალბატონო, თქვენ რა ეკონომიურად იყურებით!

ვაჟა ნადირაძე, თბილისი

მიხომ ცხენის ნალი იპოვა და გაუხარდა:

— ეხლა ერთი ცხენი და სამი ნალიღა მაკლიაო.

დათო ყველიაშვილი

კლინტონი ჩამოვიდა საქართველოში და შევარდნაძემ ქართველი მეცნიერების უახლესი მიღწევა გააცნო: ტელეფონი, საიქოსთან პირდაპირ კავშირით. კლინტონი მთავარ ეშმაკთან ალაპარაკეს და ქვითარიც გამოუწერეს — 28 თეთრი. ამერიკაში რომ დაბრუნდა და ეს ამბავი თქვა, იქაურმა მეცნიერებმა უპასუხეს: ეგ ჩვენ დიდი ხანია გვაქვსო. კლინტონმა ისევ დარეკა ჯოჯოხეთში და ქვითარიც მიართვეს: თორმეტი ათასი დოლარი.

— რატომ ასე ბევრი? საქართველოში 28 თეთრი ღირდა!

— კი მაგრამ, იქ ეგ საერთაშორისო საუბრად არ ითვლება.

რატი, ჩოხატაური

იურისტი, ქირურგი, მშენებელი და მოქალაქეთა კავშირის წევრი კამათობენ, ვისი პროფესიაა უძველესი?

— როდესაც ღმერთმა ადამი და ევა გაასამართლა და სამოთხიდან გამოყარა, ეს იურიდიული აქტი იყო — თქვა იურისტმა.

— კი მაგრამ, ამის წინ ღმერთმა ევა ადამის ნეკნიდან შექმნა — ეს ქირურგიული ოპერაცია იყო.

— მოიცათ, მაგაზე ადრე ღმერთმა ქვეყანა შექმნა, ააშენა იგი. მანამდე კი, მხოლოდ ქაოსი იყო — ჩაერთო მშენებელი.

— მეც მანდა ვარ — იყვირა „მოქკავშირელმა“ — ის ქაოსი ვიღამ შექმნა?

ზ. გურული

ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე

ჩვენ არსებული სიტუაციის მძევლები ვართ

პანკისის ხეობაში შექმნილმა უკიდურესმა დაძაბულობამ, შესაძლოა, მალე საქართველოში კიდევ ერთი ცხელი წერტილი გააჩინოს. ვესაუბრებით ჩეჩნეთის მთავრობის წარმომადგენელს **ლეჩე ალი სულთანოვს.**

— პანკისის ხეობაში ჩეჩენი ლტოლვილები როგორც რუსული მხარის, ისე სხვადასხვა პოლიტიკური ძალების სპეკულაციის ობიექტს წარმოადგენენ. სამწუხაროდ, საქართველოს პოლიტიკურ წრეებშიც არიან ადამიანები, რომელთაც არ სურთ პანკისის ხეობაში წესრიგის დამყარება, რაც შესაძლებელი გახდება მხოლოდ ჩვენი იქიდან წასვლის შემდეგ. პანკისში არაჯანსაღი ატმოსფეროს არსებობა ხელს აძლევს პირადი გამორჩენის მოსურნეთაც. ამის მიზეზი კი ჩვენი იქ ყოფნაა და, მის გასახანგრძლივებლად შეიძლება ბრძოლაც გამართონ. ჩვენ არსებული სიტუაციის მძევლები ვართ. აუცილებელია პანკისის ხეობიდან ჩეჩენი ლტოლვილების გაყვანა. ყველა დანაშაული, რომელიც პანკისის ხეობაში ხდება — ადამიანების მოტაცება, ცხენების მოპარვა, ნარკოტიკებით ვაჭრობა — ჩეჩნებს ბრალდება. ყველამ, და მათ შორის პოლიციელებმა, შესანიშნავად იცის ნარკობიზნესის მთავარი მარშრუტი — დუისი-თელავი-თბილისი. იცნობენ ნარკოტიკების გამსაღებლებს და ყველა დამნაშავეს, მაგრამ არ აკავებენ. ბაზარში საყიდლებზე მიმავალ ჩეჩენს კი სამჯერ მაინც შეაჩერებენ, გაჩხრეკენ და ახსნა-განმარტების უფლებასაც არ აძლევენ. ხეობა დღეს პროვოკაციის ბუდეა. ცოტა ხნის წინ მოტაცებული აზერბაიჯანელი ბიჭი მოიყვანეს პანკისში. საკვირველია, ვინც არ უნდა ყოფილიყო გამტაცებელი, როგორ მოახერხა პოლიციისა და მესაზღვრეთა საგუშაგოების გავლა? მეორე დღეს პანკისში მობრძანდა ერთ-ერთი სამართალდამცავი ორგანოს ჩინოვნიკი და უაპელაციოდ, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, ჩეჩნებს დასდო ბრალი, რის გამოც აზერბაიჯანელები გასაქანს აღარ გვაძლევენ.

ლეჩე ალი სულთანოვი

საქართველოს ხელისუფლება უნდა დაეხმაროს მხოლოდ 3.000 ქალს, ბავშვს, მოხუცს, რომლებიც დღეს საშინელ პირობებში ცხოვრობენ.

— საქართველოს ხომ ათასობით თავისი ლტოლვილი ჰყავს, მათი მდგომარეობაც ძალიან მძიმეა და თქვენ დახმარების რა იმედი გაქვთ?

— საქართველოს ხელისუფლებისგან მხოლოდ თანხმობაა საჭირო, რომ ბანაკისთვის დაცული ადგილი გამოგვიყონ, მოგვაშორებთ პანკისიდან და ვერავინ დაგადანაშაულებთ — პანკისში თალიბები და ჩეჩენი მეომრები აფარებენ თავსო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველთვის იქნება დესტაბილიზაციის გამომწვევი მიზეზი, თანაც პანკისში ყველაფერი სცენარის მიხედვით ვითარდება, როგორც თავის დროზე ჩეჩნეთში — ვაჰაბიტების და ქისტების ფაქტორს გაძლიერებული ყურადღება უნდა მიექცეს. მიკვირს, ქვეყანაში ქაოსი ისადგურებს და მის გასანეიტრალებლად ხელს არავინ ანძრევს. პანკისი იარაღითაა სავსე, მანქანებით ეზიდებიან... დუისში ქართველი პოლიციელი დუისელთა უნებართვოდ ვერ შევა... წამოდით, თქვენი თვალით ნახეთ, ოღონდ ისე წამოდით, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე, თორემ ოფიციალური პირები პანკისში „სამოთხის“ მეტს ვერაფერს ნახავენ. გამოგვიყვანეთ ამ ხეობიდან...

— სად ითხოვთ გადაყვანას. 3.000 ადამიანი ცოტა არ არის, გარდა საცხოვრებლისა, ეკონომიკური დახმარებაც გჭირდებათ?

— საქართველოში უამრავი მინდორია დასასახლებლად გამოსადეგი. გაერომ იჯარით რომ აიღოს სახლები და ჩეჩენი ლტოლვილები ჩაასახლოს, ორივე მხარე მოგებული დარჩება. ჩეჩნეთში ომის დამთავრების, სახელმწიფოს აღდგენის შემდეგ ჩვენ ვალდებული ვართ, სამშობლოში დავბრუნდეთ. საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების მიხედვით შეგიძლიათ ჩაგვსვათ ავტობუსებში და აქედან მიგვაბრძანოთ.

— სხვა სახელმწიფო თუ შემოგთავაზებთ თავშესაფარს, წახვალთ?

— არ ვიცი, სხვები ამას დათანხმდებიან თუ არა. მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ. თუ დღეს ჩვენი ხალხი წავა თურქეთში, გერმანიაში ან სხვაგან, არა მგონია, უახლოეს დროში ან საერთოდ დაბრუნდნენ. ახალგაზრდა ადამიანი ეჩვევა სხვა ქვეყნის ცხოვრებას და მისი სამშობლო ის ხდება.

— საქართველოში უფრო არ არსებობს მიჩვევის საფრთხე? ანდა, რატომ გგონიათ, რომ პანკისში თუ არ იქნებით, საქართველოს სხვა კუთხეში თქვენს ყოფნას ვერ გამოიყენებს დაინტერესებული ძალა პროვოკაციისთვის?

— სამწუხაროდ, ჩვენ თვითონ დავუშვით ჩვენ გვერდით მტრის გაძლიერება. და ყველას უნდა ახსოვდეს, რაც ჩეჩნეთში ხდება, მისი საბოლოო შედეგი განსაზღვრავს ჩრდილო კავკასიის მომავალს. ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ მომავალში საქართველოს პრობლემებს შევუქმნით. პრობლემა დღეს არის, პანკისში ბანდები დათარეშობენ, როგორც ჩეჩნების, ისე ქართველების მხრიდან. მათი წყალობით ლტოლვილებისათვის განკუთვნილი ჰუმანიტარული დახმარების მხოლოდ 10%-ს ვიღებთ, ესეც ცნობილია, მაგრამ რა?

— ყველა თქვენსავით გადაკვრით საუბრობს და კონკრეტულად არავის ასახელებს. დაუცველობის ხომ არ გეშინიათ?

— მე არაფრის მეშინია. კონკრეტული პირების დასახელება ხელს შეგვიშლის მათ წინააღმდეგ ბრძოლაში. ჯერ ამის დროც არ არის, ომი მალე დამთავრდება და ყველაფერი ნათელი გახდება.

არ შემიძლია არ გავიხსენო აფხაზეთი. კარგად მესმის ჩეჩნების დანაშაული აფხაზეთის ომში, მაგრამ ეს არ არის მთელი ჩეჩენი ერის დანაშაული და ეს ლტოლვილებმა არ უნდა ზღონ. თქვენ აფხაზეთს ვერ ივიწყებთ. ჩვენი ქალები და გოგონები კი ვერ დაივიწყებენ შატილში, საზღვარზე გადმოსასვლელად როგორ ართმევდნენ ძვირფასეულობას და ფულს მებაჟეები და მესაზღვრეები. მაშინ რუსები არ იყვნენ იქ. სიძულვილმა სიძულვილი არ უნდა შვას, ერთმანეთისა ხომ უნდა გვჯეროდეს? რა იცით, რა დღეში იქნება ხვალ საქართველო, დახმარების სურვილი ხომ უნდა გვქონდეს. ყველა ერთად დავფიქრდეთ...

...პანკისის ხეობაში შექმნილი მდგომარეობის სამართლებრივი მოწესრიგება შესაბამისი სტრუქტურების კომპეტენციაა და ვიმედოვნებთ, მოსალოდნელი საფრთხე აღკვეთილი იქნება. მანამდე კი სასურველია კონკრეტული პირების კომენტარი, რომელთაც მოეპოვებათ ინფორმაცია პანკისის ხეობაში არსებული სიტუაციის შესახებ. საქართველოს პარლამენტის უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის წარმომადგენელმა **გიორგი პარამიძემ** პანკისთან დაკავშირებით განაცხადა:

— ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია არ იძლევა საფუძველს ჩავთვალოთ, რომ პანკისი მეორე აფხაზეთად იქცევა, თუმცა რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ ერთი კონფლიქტის გასაჩაღებლად გამოიყენებს როგორც რუს, ისე ქართველ ან ჩეჩენი ეროვნების აგენტს, რომელსაც არ გააჩნია ეროვნება და მისთვის სულერთია, სად იმოღვაწებს — მოსკოვში, თბილისში თუ პანკისში. რაც შეეხება ჩეჩენი ლტოლვილების განთავსების საკითხს, საქართველოს ხელისუფლება მისი გადაწყვეტისას, რა თქმა უნდა, გაითვალისწინებს ჩეჩენი ლტოლვილების მდგომარეობას და მათ მიმართ მაქსიმალურ ყურადღებას გამოიჩენს, ამასთან უნდა გატარდეს ყველა ღონისძიება საქართველოს უსაფრთხოების დაცვის მიზნით. ჩეჩენმა ლტოლვილები არც ერთმა სხვა სახელმწიფომ არ მიიღო, საქართველომ კი, დასაღუპად არ გაწირა ისინი. თუ სხვა სახელმწიფოები საზღვარს გაუხსნიან ჩეჩენ ლტოლვილებს გადასასვლელად, არა მგონია საქართველოს ხელისუფლებამ ხელი შეუშალოს. ცხადია, რომ ჩეჩნეთი მნიშვნელოვანია რუსეთისთვის, მაგრამ საქართველო ათჯერ და ასჯერ უფრო მნიშვნელოვანია და ყველანაირად ეცდება აღადგინოს კონტროლი ჩვენს ტერიტორიაზე. ამიტომ უნდა ვიყოთ ფრთხილად და იმედია, ჩეჩენი მეგობრები, რომლებმაც თავისუფლებისათვის ბრძოლის ფასი იციან, პრობლემებს არ შეგვიქმნიან.

— რამდენად შეეფერება სინამდვილეს, რომ ჩეჩენ ლტოლვილებს ქართველი სამართალდამცავები ავიწროებენ?

— მსგავსი ინფორმაცია არ გამაჩნია. თუ ამგვარი რამ მართლა ხდება, საქართველოში არსებობს ადამიანის უფლებათა დამცველი სტრუქტურები, და ბოლოს და ბოლოს, არსებობს საზოგადოება, სადაც ყველაფრის თქმა და გამოაშკარავება შეიძლება. მაგრამ არ მგონია, ყველა ჩეჩენი ისე ფიქრობდეს და მოქმედებდეს, როგორც ლეჩე ალი სულთანოვი. შეიძლება ამბობენ ერთს, მაგრამ აკეთებდნენ სხვას. პანკისში ვიღაც ხელსაც ითბობს იქ შექმნილი მდგომარეობით, შესაძლოა, ქართველიც ან საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქისტიც, — ყველა ქვეყანაში და ყველა კუთხეშია უპატიოსნო ადამიანი.

— შეიძლება პანკისში რუსეთის პროვოკაციის ერთადერთი სამიზნე ჩეჩენი ლტოლვილები იყვნენ?

— შესაძლოა, რუსეთს პანკისიდან ჩეჩნების გაყვანის შემთხვევაში პროვოკაციის ნაკლები საბაბი ჰქონდეს, მაგრამ თუ საქართველოს სხვა ტერიტორიაზე კომპაქტურად დავასახლებთ ლტოლვილებს, კაცმა არ იცის, რა პრობლემებია მოსალოდნელი. იქნებ რუსეთის მხრიდან შანტაჟმაც სხვა სახე მიიღოს. ეს საკითხი იოლად გადასაწყვეტი არ არის და პანკისის ხეობაში და ჩეჩნეთის საზღვრის გასწვრივ შესაძლებელია ეუთოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოწვევაც. ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლება უმკაცრეს კონტროლს დაამყარებს და საერთაშორისო ორგანზაციებს მიაწვდის ობიექტურ ინფორმაციას, რაც ხელს შეუშლის რუსეთის მიერ რაიმე აგრესიის განხორციელებას, ხოლო საქართველოს ჩეჩენი მეზობლისთვის გაწეული დახმარება ბუმერანგივით არ მოუბრუნდება.

ეკა ლომიძე

ამერიკა კატასტროფული ამ მოვლენაში

რამდენიმე დღის წინ მომხდარმა მზის გვირგვინის აფეთქებამ ატმოსფეროში შესამჩნევი ცვლილებები გამოიწვია, რაც მზის მაგნიტური გამოსხივების გაძლიერებასა და მაგნიტურ ქარებში გამოიხატა. რა მოვლენაა მზის გვირგვინის აფეთქება და თუ რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოუტანოს ამან დედამიწას, ამის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ **აკადემიკოს ჯუმბერ ლომინაძეს:** „მზე, რომლის შესწავლასაც მეცნიერები დიდი ხანია ცდილობენ, მაინც უამრავ გამოუცნობ თვისებას ფლობს. ის, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, ბევრ სიურპრიზს გვთავაზობს, ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა მაგნიტური ქარიშხალი. მზის ცენტრში ტემპერატურა 6 მილიონი გრადუსია, ხოლო მის განაპირას კი 6-7 ათას გრადუსს აღწევს. ტემპერატურათა ასეთი ცვალებადობა იწვევს მზის მოძრაობას. სწორედ ამ გარეთა შრეებში ხდება ის მოვლენები, რომელთაც შეიძლება ე.წ. ამოფრქვევები გამოიწვიოს. ასეთ დროს დედამიწისაკენ, პირობითად რომ ვთქვათ მზის ქარი მოედინება. ეს არის ნაწილაკების ნაკადი, რომელიც პროტონებისა და წყალბადის ბირთვებისაგან შედგება. დედამიწას კი, თავის მხრივ, გააჩნია საკუთარი მაგნიტური ველი, რომელიც მაგნიტური ძალხაზებისგან შედგება. ამ ნაწილაკების შემოჭრა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მედეგობას გამოიჩენენ ეს მაგნიტური ძალხაზები. არადა, ნაწილაკთა ნაკადი ძალიან დიდი სიჩქარით მოისწრაფვის დედამიწისკენ.

— რა ზიანი შეიძლება მიაყენოს დედამიწას მზის მაგნიტურმა ქარიშხალმა?

— მზის ქარიშხალმა შეიძლება შეაფერხოს სანავიგაციო კავშირი, რამდენიმე წუთით ან საათით შეწყვიტოს კონტაქტი დედამიწის ირგვლივ მყოფ თანამგზავრებთან. ამან შეიძლება დროებით მწყობრიდან გამოიყვანოს მობილური ტელეფონების, რადიო და ტელეგადამცემი ხაზები. წარმოიდგინეთ, რომ თანამგზავრი, რომელიც რადიოტალღებით იმართება მაგნიტური ქარიშხლის დროს, ფაქტობრივად, უმართავი ხდება. არადა კოსმოსში უამრავი თანამგზავრია. ჩემი აზრით, არაფერია კატასტროფული ამ მოვლენაში. ასეთ დროს მზე გააქტიურებულია და ეს, რაღა თქმა უნდა, გავლენას მოახდენს ადამიანზე. განსაკუთებული დისკომფორტი შეიძლება წნევიან და ხანდაზმულ ადამიანებს შეექმნათ. რაც შეეხება იმას, შეიძლება თუ არა ბავშვების ქუჩაში გაყვანა, რაღა თქმა უნდა, შეიძლება. თუმცა, სიფრთხილეს თავი არ სტკივა და აქტიურ მზეს ყველა უნდა მოერიდოს.

— გაქვთ თუ არა რაიმე კონკრეტული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ნეგატიური შედეგები გამოიწვია მაგნიტურმა ქარიშხალმა დედამიწის ამა თუ იმ უბანზე?

— სამწუხაროდ, ამჟამად ვერაფერს გეტყვით. გუშინ ვესაუბრე ჩემს მოსკოველ კოლეგებს, რომელთაც არაფერი იცოდნენ. მზე ჩვენგან 150 მილიონი სინათლის კილომეტრითაა დაცილებული, ამიტომ ეს ნაწილაკები ჩვენამდე 1 საათში და შეიძლება, უფრო გვიანაც მოაღწევდა, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ მათი დიდი ნაწილი ჩვენს პლანეტას ასცდეს და ირგვლივ გაიფანტოს. თუმცა, დედამიწის მაგნიტური ველის შეშფოთება კი აუცილებლად მოხდება, რისი დასტურიც ჩრდილოეთის ციალი გახლავთ.

— რატომ მაინცდამაინც ჩრდილოეთში?

— იმიტომ, რომ ჩრდილოეთში ზემოთ ნახსენები მაგნიტური ძალხაზები ძაბრს ქმნიან. სწორედ ეს ძაბრი ატარებს მზის ქარიშხლის ნაწილს. ჩვეულებრივი ადამიანები კი ამ მოვლენას ჩრდილოეთის ციალს უწოდებენ. ეს პროცესი რამდენიმე დღეში დასრულდება.

— რა ინტენსივობით შეიძლება ასეთი მოვლენები?

— მზეს გააჩნია გარკვეული ციკლები, ახლა 11 წლიანი ციკლის პერიოდია. წლევანდელი წელი არის მზის შესაძლებლობების გამომჟღავნების მაქსიმუმი. ამჟამად მზემ თავისი თავი ამგვარად გამოამჟღავნა. ზოგჯერ მზის ციკლი წუთებისა და წამების მანძილზე გრძელდება.

— ბატონო ჯუმბერ, ამ მოვლენამ გარკვეული პანიკა გამოიწვია. გასულ ზაფხულს — მზის დაბნელება იყო. ამ ზაფხულს მზის ამოფრქვევა. ხალხი უკვე იმაზეც საუბრობს, რომ მზე გაქრება, ანუ მეორედ მოსვლა გვიახლოვდებაო.

— დიახ, მართალია არსებობს ასეთი მოსაზრებები, რომ ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველება ახდება და მზე ჩაქრება. მზე, მართლაც შეიძლება ჩაქრეს მას შემდეგ, როდესაც საწვავი გამოელევა. მზის საწვავი კი წყალბადია. მას უზარმაზარი მასა აქვს, რომლის წყალობითაც იგი 10 მილიარდი წელი გაანათებს (მზის დიამეტრი მილიონ ოთხასი ათასი კილომეტრია, ხოლო დედამიწისა — 12 ათასი კილომეტრი), მაგრამ არსებობს მზეზე დიდი ვარსკვლავები და თუკი რომელიმე მათგანი ჩაქრება, მაშინ მზისაგან დარჩება შავი ხვრელი, რომელსაც ძალიან მცირე დიამეტრი, 3 კმ ექნება, თუმცა, ამ პატარა სხეულმა დედამიწას რომ ჩაუქროლოს, შეისრუტავს მას და პატარა წერტილად აქცევს.

ასე რომ, მზის ირგვლივ მიმდინარე მოვლენები ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია დედამიწისთვის. თუმცა, ამ კონკრეტულმა შემთხვევამ, როგორც უკვე გითხარით, არა მგონია კატასტროფა გამოიწვიოს.

ნათია გოგსაძე

რას გვეტყვი, მამაო?

— ჩემს ცოდვებს შორის ზოგი ისეთიც ურევია, რომ მოძღვრისთვის მათი თქმა მეუხერხულება, რათა მეტისმეტად არ შევრცხვე. მირჩევნია, ეს ცოდვები გარეშე, სულ უცხო მღვდელს გავუმხილო, რომელსაც სხვა დროს არასოდეს ვნახავ. ხომ არაფერს დავაშავებ ჩემი საქციელით?

— ვინც თავისი მოძღვრისგან სხვა მღვდელმსახურთან მიდის საკუთარი ცოდვების დასაფარავად და მალულად მოსანანიებლად, იგი თვით სინანულისა და აღსარების საიდუმლოს შეურაცხყოფს. ჩვენ აღსარებას ვეუბნებით ღმერთს და არა მღვდელს. არსებობს ცრუ სირცხვილი, რომელიც წინ ეღობება ადამიანის გულახდილობას. ამიტომ ჩვენ თავს უნდა ვუთხრათ, რომ მივდივართ არა ადამიანის წინაშე ცოდვების საღიარებლად, არამედ უფლის წინაშე. რადგან მოძღვარი ის ადამიანია, ვინც ჩვენს სწორ რელიგიურ ცხოვრებას წარმართავს. მას უნდა ვუთხრათ ყოველივე დაუფარავად, რათა სწორი მკურნალობა მივიღოთ მისგან. სწორედ ის ცოდვები, რომლებიც ჩვენ სასირცხვილოდ მიგვაჩნია, შეიძლება აღმოჩნდეს ამ მკურნალობის უმთავრესი ორიენტირი.

— ჩემს მეზობლად სახლობს თანამედროვე ფარისეველი, რომელიც დღეში სამჯერ ლოცულობს, მაგრამ საშინელი ავსიტყვაა. ნუთუ უფალს სათნოეყოფა მისი ლოცვა?

— უღირსად ლოცვის თაობაზე წმიდა მამას, ისააკ ასურს უთქვამს: „გულბოროტი კაცის ლოცვა ქვაზე ნათესსა ჰგავს“.. მაგრამ თქვენ როდი გაქვთ მეზობლის ფარისევლად წოდების უფლება. უფრთხილდით, რათა სწორედ იმ ფარისევლის ვითარებაში არ აღმოჩნდეთ, მეზვერეს რომ განიკითხავდა. ყოველი კაცის გულთამხილავი უფალია. თქვენ თქვენი ცოდვების მონანიებისათვის იზრუნეთ!

— შეიძლება თუ არა ცხვრის დაკვლა ეკლესიის ტერიტორიაზე?

— ცხვრის დაკვლა ეკლესიის ტერიტორიაზე არ შეიძლება — ეს ადგილი წმინდად უნდა იყოს დაცული და არ უნდა დაბინძურდეს. დღეისათვის, საზოგადოდ, ამ აქტს დაეკარგა მსხვერპლშეწირვის არსი, რომელიც ძველ აღთქმაში ჰქონდა. მაშინდელი მსხვერპლშეწირვა, მას შემდეგ, რაც ქრისტემ ნებაყოფლობით იტვირთა ჩვენი ცოდვები ჯვარზე გაკვრით, შეიცვალა სანთლის ანთებით. დღეისათვის ცხვრის დაკვლა უკავშირდება მოწყალების გაცემას — ამიტომ ხშირად მას ასეც უწოდებენ — „საღვთოს“!

— მიმაჩვიეს ბავშვობიდან, რომ ფრჩხილები არ მოვიჭრა ოთხშაბათობით და პარასკეობით, რათა ცოდვაში არ ჩავვარდე. რომელი საეკლესიო წესით არის ეს აკრძალვა?

— ეს ხალხური ჩვეულებაა. ეკლესია არ იცნობს რაიმე აკრძალვას ამგვარ ქმედებასთან დაკავშირებით.

— ჩემი მორწმუნე მეგობრის ცოლმა ოჯახი დაანგრია იმის გამო, რომ „თავდაყიწყეებით“ შეუყვარდა ოჯახის ნათლიმამა. მოქმედებას ორივე ცოდვილი იმით ამართლებს, რომ ერთ მღვდელს უთქვამს, ნათელმირონობა არაფერია, სადაც ასეთი დიდი სიყვარულია. რამდენად მართალია მღვდლის სიტყვები, რამდენად გამართლებულია მათი ნაბიჯი?

— მსგავსი საქციელი სრულიად გაუმართლებელია ქრისტიანული ზნეობის თვალსაზრისით, რომელიც არათუ ნათელმირონობის ნათესაური ურთიერთობის დროს, არამედ ზოგადად სქესთა შორის დამოკიდებულებაში მიუთითებს ქრისტიანს, რომ ხორციელი ქმედება კი არა, ოდენ გულში გავლებული ზრახვაც კი ცოდვაა ავხორცობისა.

„...ყოველი, რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულისთქმად მას, მუნვე იმრუშა მის თანა გულსა თვისსა“, — გვმოძღვრავს მათეს სახარება (5,28) და იქვე მიგვითითებს ასეთი ცთუნებიდან თავდაღწევის გზაზე: „უკეთუ თვალი შენი გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რაითა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე არა ყოველი გუამი შენი შთავრდომად გეჰენიასა“ (მათ, 5,29). რაც დაემართაო ამ ადამიანებს — ეს ხორციელი ვნებაა და არა სიყვარული, რადგან ჯვრისწერის შედეგად ადამიანები ხდებიან „ერთ სულ და ერთ ხორც“. ღმერთის მიერ ნაკურთხი ქორწინება ეფუძნება ჭეშმარიტ სიყვარულს და არა ხორციელი ვნებისადმი მონებას. ადამიანი მართავს საკუთარ ინსტინქტებს, ხოლო ცხოველი იმართება ინსტინქტებით!

— მარხვის პერიოდში ეკლესია ლოცვით და ქცევით გულმოდგინებას ურჩევს მრევლს. როგორი უნდა იყოს ქრისტიანის ქმედება ამ დროს?

— წმიდა დიმიტრი როსტოველი გვმოძღვრავს: „იმარხულე არა თვალთმაქცურად, არა სხვის დასანახად, არა პატივმოყვარეობისათვის; ამავე დროს ნუ განიკითხავ, ნუ გაჰკიცხავ მას, ვინც არ მარხულობს... დაე, ჩვენი მარხვა გვიჩნდეს ჩვენი ვნებების მოკვდინებად, როგორც ეპიტიმია ყველა ჩვენი ცოდვისთვის. ჭეშმარიტი მარხვა არის ბოროტთაგან განდგომა, ენის დაოკება, სიშმაგის დათმენა; ცილისმწამებლობაზე, სიცრუესა და ფიცისგატეხაზე უარის თქმა... მარხვა ჭეშმარიტი კეთილშესაწყნარებელი არს“...

თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 28

თქვენს შეკითხვებს პასუხობენ მართლმადიდებელი მამები

საიდან მოვდივართ? ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ... ხშირად გაგვჩენია სურვილი იმ ლამაზ სამყაროში დაბრუნების, სადაც ნათელი მომავალი გველოდა, მაგრამ ეს უკვე შეუძლებელია ჩვენთვის. ამიტომ გადავწყვიტეთ გავულამაზოთ ცხოვრება ჩვენს პატარებს.

ᲒᲐᲕᲨᲕᲔᲑᲝ, დღეიდან გთავაზობთ თქვენთვის საინტერესო შემეცნებით გასართობ გვერდს და იმედი გვაქვს, რომ მოგეწონებათ. გთხოვთ გამოგვეხმაუროთ, მოგვწეროთ, გაგვიზიაროთ თქვენთვის საინტერესო მოსაზრებები და აქტიურად ჩაერთოთ თქვენი გვერდის მომზადებაში.

① ᲡᲐᲮᲐᲚᲘᲡᲝ ᲙᲐᲛᲘᲗᲣᲜᲔᲑᲘ

ა) რა არის ის, რაც ყველას და ყველაფერს აქვს?

ბ) როგორი ქვები არ არის ზღვაში?

გ) XX საუკუნის რომელი წელია, რომ გადავაბრუნოთ თავდაყირა და არ შეიცვლება?

დ) ნინიკო სახლიდან მოსწავლეთა სასახლეში მისვლას 70 წთ-ს მოუნდა, უკან დაბრუნებისას, მოდიოდა რა იმავე სიჩქარით, მან იმავე მანძილზე ერთი საათი და 10 წთ დახარჯა. როგორ ახსნით ამ ფაქტს?

ე) თამუნას პირამდე ჩაით სავსე ჭიქაში ბეჭედი ჩაუვარდა. როგორ მოახერხა მან ხელით ბეჭდის ამოღება ისე, რომ ჩაი არ დაულევია და თითიც არ დაუსველებია?

ᲙᲕᲐᲕᲘᲚᲕᲝᲠᲓᲘ



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ამანიასი; 2. ლევდასე; 4. ნოშრაში; 6. აი; 9. რივდა.

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 3. ხიკიმა; 5. აძნელე; 7. მოზიმა; 8. რილვიგა; 10. ბამხაზი; 11. ტატი; 12. დანილარა.

ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲝᲕᲐᲜ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲗᲐ ᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲚᲐᲒᲔᲗ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲨᲔᲐᲕᲡᲔᲗ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ.



ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲦᲛᲔᲠᲗᲡ

— კათოლიკეებს თავისი ღმერთი ჰყავთ, მაჰმადიანებს — თავისი, იუდეველებს — თავისი, იეღოველებს — თავისი, მართლმადიდებლებს — თავისი. რამდენნი ხართ მანდ?

— ბიბლიაში წერია: „პირველად იყო სიტყვა!“ რომელი?

— სხვადასხვა წიგნში სხვადასხვანაირად გხატავენ. სად ვნახო შენი ფოტო, თუნდაც ძალიან ძველი?

— რა დაგიშავა მამაჩემმა, რომ ფულს არ აძლევ?

— ერთი კითხვა არ მასვენებს: ცაზე ყველა ვარსკვლავი ხუთქიმიანია?

— ყვავილები უფრო კარგად გამოგივიდა, ვიდრე ადამიანები.

— წერილებს გწერ, პასუხს არ მიბრუნებ, ეტყობა, ზარმაცი ხარ.

— ღმერთო, მითხარი, რამდენს იწონის ცრემლი?

ᲕᲐᲪᲮᲠᲘᲚᲑᲘ ᲒᲘᲜᲘᲝᲚᲝᲒᲘᲨᲘ

— სხვა პოლიციის მანქანა მიყიდეთ, რა, ეს ცუდად აპატიმრებს.

(გიორგი. 3 წლის)

ერთხელ, ახალი წლის დღეს ჩავკიდე ხელი ჩემს ოთხი წლის ნინიკოს და კასპში წავედით — მეგობრისთვის ახალი წელი უნდა მიგვეღოცა. ოჯახში არაფერი დაგვიბარებია. უკან დაბრუნებისას ნინიკოს ვთხოვე, შინ არ წამოგცდეს, კასპში რომ ვიყავით-მეთქი. შემპირდა, არ ვიტყვიო. შევედით თუ არა შინ, ნინიკომ მყისვე „გამყიდა“ დედასთან: — იცი, დედიკო, ჩვენ კასპში არ ვყოფილვართ.

ალექსანდრე გორგიშელი

— ეკა, ფრთხილად, აივნიდან არ გადავარდე.

— როგორ გადავვარდები, ეგ ხომ ჯერ არ მისწავლია.

(ეკა. 5 წლის)

— ისე ჩქარა დამყავს ველოსიპედი, გუბეები აქეთ-იქით გამირბიან.

(ნინკო. 4 წლის)

⑪ ᲠᲔᲑᲣᲡᲘ



ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲗᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲡᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲘᲡᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ



IV

ᲩᲐᲡᲕᲘᲗ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲒᲘᲕᲔᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲨᲠᲩᲘᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲠᲔᲗᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ.

მღვდელი
მშობელი } (. . . .)

მსგავსი
კარგი ამინდი } (. . . .)

ᲛᲝᲥᲔᲒᲜᲔᲗ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ



(ᲐᲡᲝᲔᲑᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘᲐ).

ᲐᲜᲔᲥᲓᲝᲢᲘ

— ექიმო, მართალია თუ არა, რომ იმათ, ვინც სტაფილოს ჭამს, კარგი მხედველობა აქვთ?

— რა თქმა უნდა, სათვალიანი კურდღელი გინახავთ?



ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲘᲮᲘᲚᲔᲗ 32-Ე ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ

ბატონი მიხეილი დარაბებს ხურავდა ხოლმე. როცა ბერიას მოჰკრავდა თვალს...

ბედისწერა უცნაური რამ არის... ამქვეყნად მოვლენილ ნიჭიერსა და სხვებისგან გამორჩეულ ადამიანს პატარაობიდანვე განსხვავებული გზით წაიყვანს და ხშირად სიკვდილსაც ეკლიანი გვირგვინით შეაგებებს.

სწორედ გამორჩეული გზით ატარა ბედისწერამ მიხეილ ჯავახიშვილი...

ღრმად მექართულესა და ჭეშმარიტად დიდ მწერალს კარგა ხანს არ სცოდნია „საყველპურო“ მშობლიური ენა. ერთხელ, როდესაც ილიაობაზე პატარა მიხეილმა რუსული აქცენტით წაიკითხა ნიკოლოზ ბარათაშვილის „მორბის არაგვი“, იქ დამსწრეთ სიცილი ასტეხათ, ილია წინამძღვრიშვილს კი დიდი ილიასათვის ასე წარუდგენია იგი: მართალია, მთლად გამართული ქართულით ვერ ლაპარაკობს, მაგრამ ისეთი ბეჯითი და ნიჭიერი ბიჭია, უთუოდ, დიდი მწერალი გამოვაო.

გამართლდა წინამძღვრიშვილის ნათქვამი. მიხეილზე არაქართულმა გარემომ (სოფელი წერაქვი ხომ მარნეულის რაიონის თათრულ სოფლებს შორის იყო მოქცეული) ვერ იმოქმედა, მიწის და სისხლის ყივილმა თავისი ქნა.

უწინდელ ელბაქიძის ქუჩას დღეს მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩა ჰქვია. განაპირა სახლში (№21), მესამე სართულზე, ოთხოთახიან ბინაში ცხოვრობდა მწერალი ოჯახთან ერთად. დღეს ეს ბინა სახლ-მუზეუმისთვის არის გამოთავისუფლებული. 1937 წლის რეპრესიების შემდეგ იქ ერთხანს შალვა რადიანი ცხოვრობდა, მოგვიანებით — ვახტანგ ჯაფარიძე. მწერლის ქალიშვილი, ქალბატონი რუსუდანი თბილად იხსენებს მათ, განსაკუთრებით კი რადიანს და ამბობს: ბატონ შალვას შინსახკომელებმა შესთავაზეს, ჯავახიშვილის ბინის ოთხივე ოთახს თქვენ მოგცემთ, თუკი ისურვებთო, მაგრამ მან მტკიცე უარი განაცხადა და „ხალხის მტრის“ ოჯახი ერთ ოთახში შევიკუჭეთ. დღესასწაულების დროს, როცა რადიანებთან სტუმრები მოდიოდნენ, ჩვენთვის ძნელი ასატანი იყო სხვათა მხიარულება, მაგრამ რა გვექნა? მაშინ, როცა ბევრი სალმის მოცემასაც ვერ ბედავდა ჩვენთვის, იმაზედაც მადლობელი უნდა ვყოფილიყავით, რომ ოდესღაც დიდ ბინაში პატარა კუნჭული გვქონდა.

სახლ-მუზეუმად წოდებული ბინა დღეს ცარიელია, არა და არ დაადგა საშველი არქივის გადმოტანას, რომელიც მწერლის უფროსი ქალიშვილის — ქეთევანის ბინაშია. „ჩემმა დამ უზარმაზარი შრომა გასწია, რომ მწერლის პირადი და შემოქმედებითი ცხოვრების ეპიზოდები, უსამართლოდ დაპატიმრებული მიხეილ ჯავახიშვილის ტანჯვა-წამების უკანასკნელი დღეები, მომავალი თაობებისთვის შემოენახა. ეს არ იყო მხოლოდ და მხოლოდ შვილის მამისადმი სიყვარულის გამოხატვა, ეს გაციელებით მეტი იყო, რასაც სამშობლოსა და ერის პატრიოტი ადამიანის მოვალეობა ჰქვია. ქეთევანი აღარ არის... მინდა, მეც ჩემი მოქალაქეობრივი ვალი მოვიხადო, როგორც შვილმა და როგორც ქართველმა. დიდი სურვილი მაქვს, ჩემს სიცოცხლეშივე მოვაწყო მამის სახლ-მუზეუმი. როცა მამა დაუპატიმრეს, მე 8 წლის ვიყავი, მაგრამ ბევრი რამ მახსოვს... ახლაც თვალწინ მიდგას ის კაბინეტი, სადაც ის მუშაობდა, ღამეებს ათენებდა; ბუკიას ბაღში დღემდე დგას მარმარილოს ქვა, რომელზეც ვკითხულობთ: აქ აღიმართება ქართველი საბჭოთა (?) მწერლის — მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლიო. ნუთუ 20 წლის განმავლობაში თანხა ვერა და ვერ გამოინახა ამ ძეგლისათვის ან სახლ-მუზეუმისთვის? როდესაც სათანადო დაწესებულებებს მივმართავ ხოლმე იმავე თხოვნით, პასუხად მეუბნებიან: ხალხისთვის პენსიები და ხელფასები ვერ დაგვირიგებია და ძეგლისთვის სადაა ფული? იმდენად შეუდავებელი პასუხია, რომ ვეღარაფერს ვამბობ და მერამდენედ გულდაწყვეტილი ვბრუნდები შინ. წელს, ნოემბრის თვეში, მამის დაბადების 120 წლის იუბილეა, ამ თარიღისთვის დამპირდნენ დახმარებას და ვნახოთ, ადამიანი ხომ იმედით ცოცხლობს“, — მეუბნება ქალბატონი რუსუდანი, თან ბინას მათვალიერებინებს. აქვეა ქალბატონ რუსუდანის უმცროსი ვაჟიც — ლაშა ერისთავი. ვაკვირდები მას და დიდ მწერალთან საოცარ მსგავსებას (ფოტოსურათების მიხედვით, რა თქმა უნდა) ვპოულობ — მასავით თხელი აღნაგობის, ოდნავ მხრებში მოხრილი და მორიდებული ღიმილით. დავდივარ ოთახებში. აი, ის კაბინეტი, სადაც იქმნებოდა ქართული კლასიკის შედევრები, აი, სასადილო და საძინებელი ოთახები... ასე მგონია, მიუხედავად მრავალი წლის ჩავლისა, კვლავაც მწერლის სული ტრიალებს მის ბინაში. რამდენ ფარდაუხდელ საიდუმლოს იტევს ეს კედლები, რამდენი რამ არ იცის დღესაც საზოგადოებამ იმ საშინელი დღეების შესახებ, რაც ჯავახიშვილის (და მრავალი ათასის) ოჯახმა გამოიარა. აქ საათის წიკწიკს წინ კი არა, უკან მივყავარ თითქოს და ჩემ თვალწინ ცოცხალი სურათივით იხატება 20-30-იანი წლების საქართველო.

ცხოვრების მანძილზე მიხეილ ჯავახიშვილი სამჯერ იყო ციხის პატიმარი. პირველად 1910 წელს, როცა გაზეთ „გლეხის“ რედაქტორობისთვის ერთი წლის ციხე და 5 წლით გადასახლება მიესაჯა. მეორედ, 1923 წელს და მესამედ 1937 წელს.

მიხეილმა ლუბა ჯაჭვაძე ვლადიკავკაზში გაიცნო. ალბათ, ასეთ გაცნობას ერთი ნახვით სიყვარული ჰქვია, რადგან მწერალი (მაშინ ის როსტოვში, გადასახლების დროს დამზღვევ საზოგადოებაში მუშაობდა) აჩრდილივით უკან დაჰყვებოდა ლამაზ და მიმზიდველ გოგონას. ეტყობა, არც ქალბატონი ლუბა იყო გულგრილი ინტელიგენტური გარეგნობის, განათლებული ყმაწვილის მიმართ და მალევე გადაწყვეტილა მათი დაქორწინება. მერე ცხოვრება თავისი დინებით წასულა, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ხან უჭირდა, ხანაც სულს მოითქვამდა ხოლმე, გაჩნდა პატარა ქეთევანი, რომელიც მშობლიურ თბილ გარემოში იზრდებოდა.

მიხეილ ჯავახიშვილისათვის ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხი იყო. მას ტკივილამდე მისული პატრიოტული გრძნობა ჰქონდა ყოველივე ეროვნულის მიმართ. 1904 წლიდან 1907 წლამდე იგი ფედერალისტების პარტიაში ირიცხებოდა. ამ პარტიიდან მწერალი ილიას მკვლელობის მერე გამოვიდა და ამას 4 მიზეზით ასაბუთებდა: 1) პარტიამ გამიჯვნის ეთნოგრაფიული პრინციპი აღიარა, ე.ი. რამდენიმე მაზრას სომხებს უთმობდა; 2) პარტიაში მრავალი ანარქისტი შემოვიდა; 3) სოციალიზმი არა მწამდა და 4) ილია ჭავჭავაძის მკვლელ სოციალ-დემოკრატებს პარტიამ პასუხისმგებლობა მოუხსნა.

1923 წელს ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ლიკვიდაცია მოხდა და მისი ყველა წევრი დაპატიმრებული იქნა, მათ შორის მიხეილ ჯავახიშვილიც. ის ორთაჭალის ციხეში 6 თვე იყო. მას დახვრეტა ჰქონდა მისჯილი. მზის ჩასვლა წამება იყო მიხეილისთვის, რადგან იცოდა, ამ დროს გაჰყავდათ პატიმრები დასახვრეტად. ყოველ დილით კი ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ერთი დღე კიდევ აჩუქა. ერთხელაც, მტანჯველ ფიქრებში წასულს თავი ბოხჩაზე ჩამოედო და დაღლილდაქანცულს ჩასძინებოდა. მეორე დილას შემკრთალი ზეზე წამოიჭრა. გაუკვირდა, რომ იმ ღამესაც დაივიწყეს. რა მოხდა? რატომ არ მოვიდნენ ჩემს წასაყვანად? — ეს კითხვები არ ასვენებდა. იმ დღეს კი, მართლაც, სასწაული რამ მოხდა: უკვე ცნობილი მწერლის დასჯის ამბავმა შეაშფოთა და ააღელვა საზოგადოება. გადაწყვიტეს, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, სიკვდილისგან ეხსნათ იგი. რამდენიმე გამოჩენილი პიროვნება, მათ რიცხვში ექიმი ნიკოლოზ ყიფშიძე, პავლე ინგოროყვა და კიდევ რამდენიმე კაცი დელეგაციის სახით სერგო ორჯონიკიძესთან მისულან და უთხოვიათ, ეს ნიჭიერი მწერალი ქართველ ხალხს აჩუქეთო. ორჯონიკიძე კარგ გუნებაზე ყოფილა (ჯავახიშვილის ბედად) და მოწყალება გაიღო, ბრძანა გაეთავისუფლებინათ მიხეილი. ამ კაცისგან ასეთი წყალობა სასწაული იყო (სწორედ, მან ქართველების ერთი ჯგუფი ვაჟა-ფშაველას შვილის გათავისუფლებისა და შეწყალების თხოვნით მისული, სასტიკი უარით გამოისტუმრა: თვით ვაჟა-ფშაველასაც დავხვრეტდი, ცოცხალი რომ ყოფილიყოო, — როყიო მედიდურობით უთქვამს მას). ამ შემთხვევაში, სწორედ სერგო ორჯონიკიძეს უნდა ვუმადლოდეთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილმა კიდევ თოთხმეტი წელი იცოცხლა და იღვაწა.

ჯავახიშვილის პირველი რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე“ იყო. კვაჭის ერთ-ერთი პროტოტიპი ვინმე სიმონიკა ფხაკაძე ყოფილა — მოქეიფე, ქალებში დროის გამტარებელი, გარეგნულად ლამაზი და წარმოსადეგი ვაჟკაცი. ცხოვრობდა ხან მოსკოვში, ხან თბილისში. მოსკოვში ყოფნის დროს უნდა შეერთო რასპუტინის ქალიშვილი, მაგრამ რასპუტინი მოკლეს და მისი კარიერისტული გეგმებიც ჩაიფუშა. მძიმე სულიერი განწყობილების დროს, 1924 წელს მიხეილმა მეორე რომანი „ჯაყოს ხიზნები“ დაწერა. ამ პერიოდში უბის წიგნაკში მას ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია: „ჯაყოს“ ვწერდი და ვგრძნობდი, რომ ჩემს გულს ცეცხლი ეკიდებოდა, ხოლო სული იმ დროის სისხლში მქონდა ამოვლებული. „ჯაყო“ გმინვაა ჩემი სულის“. გავა მცირეოდენი ხანი და მწერალი წიგნაკში ამასაც ჩაწერს: „მე ან ცოტა გვიან უნდა დავბადებულიყავი, ან ადრე“.

ამ ორმა რომანმა უდიდესი პოპულარობა მოუტანა მას. კვაჭის ტიპი იმდენად განზოგადდა, რომ ხალხი მლიქვნელ, გაქნილ და ავანტიურისტ ადამიანს კვაჭის უწოდებდა. რაც შეეხება „ჯაყოს ხიზნებს“ — მე იგი საბჭოთა სინამდვილემ დამაწერინაო, — თამამად აცხადებდა მწერალი. მიუხედავად მკითხველის დიდი სიყვარულისა, ზოგიერთი კრიტიკოსი მკაცრად აკრიტიკებდა მის „ჯაყოს“. მიხეილ ჯავახიშვილს საინტერესო რეპლიკები აქვს მიწერილი მავანთა კრიტიკულ შენიშვნებზე. ერთ-ერთი წერდა: ქართველი ინტელიგენცია მიწასთან გაასწორა და დაამცირა, ოსი თავზე დაასვა და ქართველი ქალი ზნედაცემული გამოიყვანაო. ამ აბსურდულ სიტყვათა ბრახაბრუხზე მწერალს იქვე მიუწერია — „ეგრე რამ გაგასულელა?“ ხოლო როცა კრიტიკოსის ქილიკმა ზღვარს გადააბიჯა და ისიც აღნიშნა, რომ „ჯავახიშვილს უზომოდ უყვარს ჯაყო, იგი, როგორც მესია, ისე გამოჰყავს“, — ამაზე მწერალს ქართულად აღარც უპასუხია და დაწერა: „Дурак!!!“



დიახ, შემოქმედებითი გზა, მიუხედავად დიდი აღიარებისა, უეკლო არ ყოფილა. ამას ემატებოდა რეპრესიების პერიოდის მოახლოებაც, ბევრი მისი ახლო მეგობარი შეიწირა იმ სუსხიანმა და გაუტანელმა დღეებმა. როცა მწერალთა კავშირში, პროტესტის ნიშნად პაოლო იაშვილმა თავი მოიკლა, გაოგნებული და თავზარდაცემული მიხეილი ბოლთას სცემდა და თან იძახდა: ეს რა ჰქნა, ეს რა ჩაიდინა... და იქვე დაასკვნის: ვაჟკაცი ყოფილა.

ყველას გახსოვთ თენგიზ აბულაძის ფილმი „მონანიება“. მისი სიუჟეტი რაღაცით წაგავს დიდი მწერლის წამებულ ცხოვრებას. ფილმის მთავარი გმირი — ინტელიგენტი მხატვარი, ჯავახიშვილის ერთგვარ პროტოტიპად შეიძლება ჩაითვალოს, მით უმეტეს, რომ, მათი სახლის აივნები ერთმანეთს გასცქეროდა. ბევრჯერ მომხდარა ისეც, რომ მიხეილს დარაბები დაუხურავს, როცა ბერიასთვის მოუკრავს თვალი. განა, აბრჭყვიალებული პენსეს მიღმა ლავრენტი პავლოვიჩის გამჭოლ მზერას ეს ფაქტი შეუმჩნეველი დარჩებოდა? იგი ხომ „ბნელ ოთახში შავ კატას ხედავდა მაშინაც კი, როცა კატა იქ არ იყო?“ ერთხელ, როცა ბერიას აღზევება იწყებოდა, ერთ-ერთ ნაცნობს მიხეილისთვის გახარებულს უთქვამს: აწი, არაფერი გვიჭირს, ქვეყნის სათავეში ძლიერი პიროვნება მოვიდაო. მწერალს კი მშრალად უპასუხია: რა გიხარია, ჩეკისტი რომ თავზე გვაზისო? ეს სიტყვები მწერალს წინ დახვდა, როცა ციხეში აწამებდნენ. ამბობენ, რომ დასუსტებული მწერლისთვის ბერიას ხელი გაურტყამს, იგი წაქცეულა, ქვეყნის მაშინდელი თავკაცი კი ფეხით შემდგარა და ნიშნის მოგებით დაუძახია: აი, ახლა გაზივარ თავზეო. სანამ ეს საბედისწერო რამ მოხდებოდა, ბერიას ცოლი — ნინა გეგეჭკორი თურმე გულითადად სთხოვდა მწერალს მათთან სტუმრად მისვლასა და მეგობრულ ურთიერთობას. როდესაც ჯავახიშვილის მეუღლემ ეს გაიგო, უთხოვია ქმრისთვის: წადი, ესტუმრე, ხომ ხედავ, გულით გეპატიჟება, ნუ გაანაწყენებ ბერიასო. მწერალმა ამაზე ცოლს მშვიდი, მაგრამ მტკიცე პასუხი გასცა: მე მას გუნდრუკს ვერ ვუკმევო!

თუკი, 1924 წელს ჯერ კიდევ შეიძლებოდა ვინმეს დასაცავად ხმის ამოღება, 1937 წელს ეს ყოვლად წარმოუდგენელი იყო უკვე. მიხეილ ჯავახიშვილი მაშინდელი ქართველი საზოგადოების მეხსიერებაში ასეთად შემორჩა: ბეჭებში ოდნავ მოხრილი, ხელში ჯოხით, ინტელიგენტური, დახვეწილი მანერებით, დინჯი, მკაფიო მეტყველებით, დარბაისლური, ბოხი ხმით და, რაც მთავარია, სიცოცხლეშივე აღიარებული დიდი პროზაიკოს-კლასიკოსის სახელით.

მოგონებები მამაზე

— თქვენმა უფროსმა დამ მოგონებების რამდენიმე წიგნი გამოსცა სახელოვან მამაზე... მიხეილ ჯავახიშვილის უმცროს ქალიშვილსაც უთუოდ ექნება თავისი სათქმელი...

— სამწუხაროდ, წიგნები დიდი ტირაჟით არ გამოცემულა, ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ბევრმა დღემდე არ იცის, მისი ცხოვრების ტრაგიზმით აღსავსე გზა და დასასრული. ქეთევანმა მართლაც, დიდი შრომა გასწია და ბევრ რამეს (მამასთან დაკავშირებით) ნათელი მოჰფინა. სათქმელი, რა თქმა უნდა, მეც მაქვს... ქეთევანი ჩემზე 15 წლით უფროსი იყო. მამას ძალიან სდომებია ბიჭი და სწორედ, მემკვიდრის იმედით გადაუწყვეტიათ მშობლებს მეორე შვილის ყოლა. მამას სახელიც კი ჰქონდა შერჩეული — არსენა, მაგრამ არსენას მაგივრად გავჩნდი მე — რუსინო, როგორც მამა მეძახდა. ჩემი დაბადებით იმედგაცრუებულსა და დაბნეულ დედას ბოდიშისმაგვარად უთქვამს მამასთვის: მიშა, ისევ გოგოა. მამა იმდენად დახვეწილი, რაფინირებული ინტელიგენტი იყო, რომ არაფერი შეუმჩნევია და უთქვამს: ლუბა, მთავარია, რომ გადარჩი და კარგად ხარ. მაგას რა სჯობს, გოგო თუკი დაიბადაო. ჩემი და ადრე გათხოვდა და როცა მას რამაზი გაუჩნდა, მამა სიხარულით მეცხრე ცაზე იყო. მე და ჩემი დისშვილი რამაზ შიშნიაშვილი როგორც და-ძმა ისე ვიზრდებოდით, რადგან ჩვენს შორის სხვაობა მხოლოდ ხუთი წელია. როცა დედა სადილს გაამზადებდა და გვეტყოდა: წადით პაპას დაუძახეთო, ჩვენ ჟივილ-ხივილით გავცვივდებოდით ხოლმე მის კაბინეტში. ის წერას თავს ანებებდა, რამაზს მხარზე შეისვამდა, მე იღლიაში ამომიჩრიდა და ასე მივყავდით სამზარეულოში. ბავშვობაში ძალიან ანცი ვყოფილვარ. ერთხელ, საბავშვო ბაღიდან ჩემივე სურვილით ამხანაგს ვესტუმრე და იქ კარგა ხანს შევრჩი. ამ დროს კი გულგახეთქილ მამას მთელი თბილისი ეტლით შემოუვლია ჩემს ძებნაში. ბოლოს მიპოვეს, დედამ მკაცრად დამსაჯა, მამამ კი მხოლოდ ეს მითხრა: გთხოვ, სხვა დროს ასე აღარ მოიქცეო. ჩვენ მიმართ ძალიან ლმობიერი და მოსიყვარულე იყო, არასოდეს არ აუწევდა ხმას. ჩემთვის დღემდე სამაგალითოდ რჩება ჩემი დედ-მამის ურთიერთდამოკიდებულება.

— როგორც რეპრესირებულის შვილმა, რისი დაკიწყება ვერ შეძელით?

— მიუხედავად იმისა, რომ უდანაშაულო მამა „ხალხის მტრად“ გამოაცხადეს, ოჯახის წევრები არ გავბოროტებულვართ, მაგრამ დედაჩემი პროტესტის ნიშნად სიკვდილამდე გარეთ აღარ გამოსულა. მან თითქოს ცხოვრება შეწყვიტა, არსებობდა იმისათვის, რომ ჩვენ გამოვეკვებეთ, მან კერვას მიჰყო ხელი და ამით გვარჩენდა. ყველაზე ცხადად რაც მახსოვს, ეს არის 1937 წლის 14 აგვისტო, როცა შინსახკომელებმა მამა წაიყვანეს. მაშინ მთელი ოჯახი ქვიშხეთში ვიყავით. გათენებისას მოგვადგნენ და მათთვის დამახასიათებელი უხეშობით გაგვაღვიძეს: ქეთევანი ერთ-ერთს მივარდა და გამწარებით რამდენჯერმე ჰკითხა: თქვენ იცით ვის აპატიმრებთ? ვინღა დაგრჩებათ მწერლებიდან? სამი წლის რამაზი ნამძინარევი გამოვიდა ოთახიდან და პაპას ხელში აყვანა სთხოვა... მამა წაიყვანეს... ახლაც თვალწინ მიდგას გზაზე ხელჯოხით მიმვალი, თეთრებში ჩაცმული, მხრებში ოდნავ მოხრილი მამა. ეს იყო და ეს. მას მერე იგი თვალით აღარ გვინახავს.

— მამის სამეგობრო წრემ ამჯერად უკვე დუმილი არჩია?

— მამაჩემის სამეგობრო წრიდან პაოლო, ტიციანი და სხვები ცოცხალთა შორის აღარ იყვნენ, გრიგოლ რობაქიძე საზღვარგარეთ იმყოფებოდა (სხვათა შორის, მას აქედან შეუთვალეს, რომ ბერიას მისი დაჭერა სურდა და არ ჩამოსულიყო), დანარჩენების ბედი გაურკვეველი იყო, ამიტომაც ვეღარავინ ბედავდა ხმის ამოღებას. ის კი არა, მამას დაპატიმრების შემდეგ შიშით ახლოს ვერ გვეკარებოდნენ. გმირობის ტოლფასი იყო ალექსანდრე აბაშელის ქალიშვილის — მედეას და კონსტანტინე გამსახურდიას გულშემატკივრობა. იმ პერიოდში ბევრმა ნიღბით გადაირჩინა თავი, მამა კი მისმა პირდაპირობამ დაღუპა. ჩვენს ყურამდე მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ციხეში დაპატიმრებულებს ისე აწამებდნენ, ყველანაირ ჩვენებაზე ხელს აწერინებდნენ. ბერიამ მამას პოლონეთის ჯაშუშობა დასწამა. სხვებსაც ათას სისაძაგლეს აბრალებდნენ. ერთ-ერთ პატიმარს გადაეკიდნენ თურმე: თქვი შენთან ერთად კიდევ რომელი ქართველი იყო სხვა ქვეყნის ჯაშუშიო. გამწარებულ კაცს, ოღონდ კი წამებას ბოლო მოღებოდა, უნებლიეთ წამოსცდენია: გიორგი სააკაძეო. შინსახკომელები დიდხანს ეძებდნენ ამ სახელისა და გვარის კაცს. უმეცრებამ და სიბნელემ მოიცვა ის პერიოდი და მაშინაც კი, როცა მამას რეაბილიტაცია გამოცხადდა და მისი სახელი კვლავ დიდებით შეიმოსა, რეპრესირებულის შვილის კომპლექსი მაინც არ მომეხსნა.

— თქვენს ცნობიერებაში მამა, როგორც დიდი მწერალი, როდის დამკვიდრდა?

— ათი წლიდან დავიწყე მამის მოთხრობების (ხელნაწერები შენახული გვქონდა) კითხვა. თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ იგი მართლაც ძალზე დიდი მწერალი იყო და ჩემში თანდათან იზრდებოდა სიამაყის გრძნობა. მამას ყველა ნაწარმოები საოცრად მიყვარს, მაგრამ განსაკუთრებულად — „ჯაყოს ხიზნები“ და „კვაჭი კვაჭანტირაძე“. დღემდე არ მასვენებს კითხვა: რატომ, რისი გულისთვის აწამეს და დახვრიტეს მამა? ამაზე პასუხის გაცემას ვერავინ შეძლებს ალბათ. მე კი გონებაში სულ მამის სიტყვები მიტრიალებს, რომელიც ერთმა ნაცნობმა გამოგვიტანა ციხიდან. ერთ-ერთი დაკითხვის დროს მამას უთქვამს: „მე უდანაშაულო ვარ! ქართველი ხალხისა და ჩემი სამშობლოს წინაშე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის, მაგრამ თუ თქვენთვის ზვარაკია საჭირო, მე მზად ვარ საქართველოს თავი შევწირო. თქვენ მე მომსპობთ, მაგრამ იმას ვერასდროს ვერ მოსპობთ, რაც მე დავტოვე. საქართველოს მიწა-წყალზე მე ისეთი მუხა დავრგე, რომლის ფესვებს თქვენ ვერასოდეს აღმოფხვრით. მე გამანადგურებთ, იმას კი ვერ მოსპობთ...“

მართლაც ვერ შეძლეს ფესვმაგარი მუხის მოსპობა... გავა დრო და მწერლის შემოქმედება კიდევ უფრო მეტი შარავანდედით შეიმოსება, რამეთუ ღრმაა და უკიდეგანო ჯავახიშვილისეული სიტყვის საგანძური, ადამიანთა სულში წვდომა და ყოველივე ქართულისადმი გამჟღავნებული სიყვარული.

მარინა ბაბუნაშვილი



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ:

7

მხატვრული შემოქმედება

8

მომინული ნაგებობა, სადაც თბილი ქვეყნების მცენარეებია მოშენებული

10



სამეგრელოში გავრცელებული წითელყურძნიანი ვაზის ჯიში

11

კნოპი

12

ორგანის, ფისჰარმონიის, კლავესინის კლავიატურა

16



გასანიავებელი მოწყობილობა

18



თავდაპირველად, ინგლისურენოვან ქვეყნებში გავრცელებული სპირტიანი სასმელი

19

ქვეყნის ფულის ერთეული

20



თავდაცვითი ნაგებობა, რომელიც განკუთვნილია არტილერიის ცეცხლისაგან თავის დასაცავად

21

ორგანული ნივთიერება, აუცილებელი ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობისათვის

23

დიდების გვირგვინში გამოყენებული სანელებელი მცენარე

25

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, რომელსაც ქვეყნის ისტორიის ბოლო 150 წლის მანძილზე ამ პოსტზე ყოფნისას ეყოლა შვილი

27



წყალგაუვალი სარკმელი გემზე

30

წყალხმელეთა ცხოველი

33

პურმარილის სახე

34

მდინარის ღრმა და ვიწრო ხეობა

35

საზღვარგარეთიდან შემოსული საქონლის საერთო სახელწოდება

36



კრებითი სახელწოდება

ᲖᲕᲔᲣᲚᲐᲓ:

1

ქიმიური ნივთიერებანი, რომლებსაც იყენებენ სარეველა მცენარეების მოსასპობად

2



ჭური

3

მუსიკალური საკრავი

4



ხეხილი, რომელიც გამოიყენება ბრონქიტისა და კუჭის წყლულის სამკურნალოდ

5

ლითონის საჟღარუნებელი, რომელიც ხმას გამოსცემს შიგ მოთავსებული ლითონისავე ბურთულების მოძრაობით

6



სამკაული პატარა კოლოფის სახისა, რომელშიც რაიმე გამოსახულებაა

9



წყლის აუზში არსებული სამხედრო გემების ერთობლიობა

13

საფეიქრო მრეწველობის ნაწარმი; ქსოვილები

14



პირი, რომელიც ამუშავებს ცოდნის ამა თუ იმ დარგის თეორიის საკითხებს

15

სახელმწიფო ევროპაში

17

არომატი

22

ძლიერი შთაბეჭდილების მომხდენი ამბავი

24

ჰაერის აბაზანების მისაღებად მოწყობილი ადგილი

26

ძრავა, რომელიც წევის ძალას ქმნის მისგან გამომავალი აირის ნაკადის ხარჯზე

28

ოთახი სასტუმროში

29



რუსული ფეოდალური ქალაქის ცენტრალური, გამაგრებული ნაწილი

31



ქვეყანა, სადაც ანდერსენის სირინოზს ქანდაკება დაუდგეს

32

კატის ნაშიერი

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲠᲐᲛᲐᲖ ᲐᲚᲐᲜᲘᲐᲛ

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“ №23 ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 7.შოტლანდია; 8.პალიატივი; 10.პარკუჭი; 11.ასანთი; 12.შტანგა; 16.კასტანეტი; 18.ქსოვა; 19.გოლფი; 20.არაქისი; 21.დაქოქვა; 25.ჩარხი; 26. პრევო; 27.ინვენტარი; 30.დრეიფი; 33.რუპორი; 34. ბანკეტი; 35.პლაცკარტი; 36.დიდოსტატი.

ᲖᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1.ხორცსავსე; 2.საითე; 3.გირაო; 4.სარჭი; 5. კარატი; 6.ავტოგრაფი; 9.მკერავი; 13.გარნიზონი; 14.სტრუქტურა; 15.კვერცხი; 17.ბოკვერი; 22.ჭაბურღილი; 23.კონიაკი; 24.კვადრანტი; 28.აფრიკა; 29.მუსუსი; 31.კასტა; 32.ატრია.



სისწრაფე
ხარისხი
საიმედოობა

კომპიუტერები
ორგტექნიკა
სახარჯი მასალები
დაბალი ფასები
გარანტია 1 წელი

მცხეთის ქუჩა №2
92-02-14
Fax 22-59-06

00.35 „...ბუნდოვანი ოცნების ობიექტი" — საფრანგეთი

მდიდარ ქვრივს მატილა ახალგაზრდა კონჩიტა შეუყვარდება. ქალი თაყვანისმცემელს ხელს არ კრავს, მაგრამ

21.25 „ნოტინგ ჰილი" — აშშ

ფილმი კომედიური ეანრისაა. ლონდონის გარეუბანში ერთ-ერთი წიგნის მაღაზიის მფლობელის მოსანყენი ცხოვრება თავდაყირა დგება, როცა მისი სამფლობელის კარს პოლიციელის კინოვარსკვლავი, შეაღებს. რეჟ. როჯერ მიტჩელი. მთავარ როლებში: ფერნანდო რეი, კაროლ ბუკე, ანჯელა მოლინა.

თბილისის საერო ინსტიტუტი
ბაკალავრი

აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

1) საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მენეჯერი; 2) საბაჟო საქმე; 3) ფინანსები და კრედიტი; 4) საგადასახადო საქმე და აუდიტი; 5) ფილოლოგიური (ქართული ენა და ლიტერატურა, სომხური ენა და ლიტერატურა); 6) ისტორია; 7) სამკურნალო საქმე; 8) პედიატრია; 9) სტომატოლოგია.

ინსტიტუტის სტუდენტებისათვის გათვალისწინებულია: 1) უფასო სამედიცინო მომსახურება; 2) სტიპენდია; 3) ასპირანტურა.

საბუთების მიღება 20 ივნისიდან (ყოველდღე, კვირის გარდა, 11-15 სთ-მდე).
გასაუბრება ჩატარდება 2 აგვისტოდან.

მის: ქეთევან წამებულის გამზ. №57. ტელ: 74-21-65; 93-27-82; 72-35-60

• ანონსი • ანონსი • ანონსი •

ბინები

დიდუბეში 2 ოთახიანი ბინა 30 კვმ მიშენებით (I სართულზე), სარდაფებით, გისოსებით, ორსაგი კარებით, აივნებით, ა/მანქანის სადგომი ადგილით, ბუნებრივი აირით, ცხელი წყლით. ფასი 14.000$. მის: წყალტუბოს ქ. მე-4 კორპ. მე-3 სად. ტელ: 34-52-34

მიკაელების ქუჩაზე 4 ოთახიანი, არასტანდარტული, მაღალჭერიანი, კუთხის ბინა ლოჯიით, ორი სარდაფით, ტელეფონით, 5-სართულიანი სახლის მაღალ ბელეტაჟზე. საწყისი ფასი 43.000$. ტელ: 37-22-19; 38-24-11

სასწრაფოდ! 4 ოთახიანი ჩეხური პროექტის, სუფთა ბინა მე-4 სართულზე, მე-4 მ/რ-ის დასაწყისში დახურული ლოჯიით, ორი ლია აივნით, რკინის კარით, ტელეფონით. საწყისი ფასი 9.000$. ტელ: 68-72-63

2 სართულიანი, 7 ოთახიანი ბინა ტელეფონით, საკუთარი ეზოთი, ხეხილიანი ტერასებით, გენერატორით, კონდიციონერით, მანსარდიანი ახალი შენობით. ტელ: 23-70-40. მის: ჩიტურეთის რ/ნი, ცხრა ძმის ჭუჭა №129. საწყისი ფასი 17.000$. ალეკო, ხათუნა

2 სართულიანი, საკუთარი სახლი საბურთალოზე. მის: ოდესის ქ. №35. ტელ: 38-19-27. ლევანი

მიაწმინდის რაიონში, ოქროყანაში 2.000 კვმ მიწა. ტელ: 98-36-43. ხოსო

აგარაკი საგურამოდან 6 კმ-ში, სოფელ ბურნასში, სახლის დაწყებული აშენებლობით. I სართული ამოყვანილია კაპიტალურად, II-ზე იატაკი დასხმულია და დაწყებული. მიწის ფართი 800 კვმ. ფასი 700$. ტელ: 23-07-65; 877 43-32-33

ქირავდება

2 ოთახიანი ბინა ლოჯიით, ბელეტაჟზე. რკინის კარითა და გისოსებით, მინიმალური ავეჯით, ტელეფონით, მეოდიკი დენით, ბ/აირით, ვიგირდის ცხელი წყლით, „აიტეთი", ა/მ ადგილით (ან ავტოფარეხით), მეტრო „დელისთან". ფასი 180$. ტელ: 34-52-80 (ან 39-82-69). ნიკა (დილით ან საღამოს)

მილოცვა

ჩემო ჯანო!

ვილოცავ დაბადების დღეს. იყავი ჯანმრთელი, ბედნიერი, სიყვარულში გამარჯვებული. გკოცნი, ვეხვევი

შენი მარო

მარეხ ფანჩულიძეს!

ჩემო ძვირფასო და საყვარელო ადამიანო! ღმერთმა დაღალოს შენი დაბადების დღე, მტერი დაგმარცხოს, მოყვარე გიმრავლოს!

მეგობრები

მადლობა

მადლობა მე-16 ბავა-ბაღის აღმზრდელ-მასწავლებლებს (ვაძეე ლ. რახრახაძე). უღრმესი მადლობა თქვენ, პაციენტის „დიდო მაწალელო", ენერგიული შრომისათვის! ჩვენი შეუდარებელი ნუნუ მასწავლებელო, მარილაც და სანიმუშო, საამაყო ქართველი ქალბატონო, უმრავლოს საქართველოს თქვენისათვინ, კიდევ ბევრი აღვეზარდით.

მ.რ. ქათიბაშვილი

ოცი წლის განმავლობაში ჩემი შვილი იტანჯებოდა ფსორიაზის მძიმე ფორმით. ამასთანავე, ქრონიკული ქოლეცისტიტი და ქრონიკული ოტიტი. მთელი ამ წლის განმავლობაში ვმკურნალობდით შეუსაბამლივ მრავალნაირი მეთოდით სხვადასხვა ექიმთან, მაგრამ ამაოდ — შედეგი ყოველთვის დროებითი იყო. ბოლოს შემთხვევით მოვხვდით ქ-ნ ელა ბარჩოლაძესთან და მოხდა სასწაული: ამ საოცრად ნიჭიერმა და შესანიშნავმა ქართველმა მკურნალმა, სრულიად განსხვავებული მეთოდით, 2 თვეში ჩემი შვილი საკმაოდ გამოჯანმრთელა. უღრმესი მადლობა, ქალბატონო ელა, ქედს ვიხრი თქვენ წინაშე!

ეკატერინე ბაკურიძე

P.S. ჩემსავით გაჭირვებულების გაწყვეტილ ქ-ნ ელას ტელეფონს: 68-40-27

გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს გამგზავრებას საერთაშორისო და ვერძნიაში, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა — ვიზის ფულით (ხელფასი), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 96-07-81

მომსახურება

ელექტროენერგიის ნებით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღებიანების გარეშე), 1 სთ — 6 ლარი; თმის მოცილება ხელეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). ვასწავლი კოსმეტიკასა და ეპილაციას. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამანცის საავადმყოფოს ზეგა კართან, ახმეტელის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ვაკეში ეპილაციის ელექტროლიზის ნებით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე. ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია — 1სთ — 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკეთესად მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ — 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა — 200$. მის: ილიაბიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 899 58-75-89; 97-42-77. ნინო ფალიძე

დიამანტოვრეთ! ნებისმიერ გართულებულ ჭარბმობიანობას უმოკლეს დროში და უკეთესად განკურნავს მხოლოდ პროფესიონალი. არ არსებობს მოურჩენელი თმა, შედეგი — პირველივე სეანსზე. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით), დაზოგეთ ბიუჯეტი და ხილამაზეც გარანტირებული გეგონებათ. ტელ: 57-50-49. მარიკა

ვაკეში ეპილაციას ინდივიდუალური ელფრანის ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანეშარი. შემოგთავაზებთ საუკეთესო სახის გამწმენდ და მკვებავ საშუალებებს. მის: ილიაბიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

მაკიაჟის შერჩევა კოლექციების მიხედვით — ყოველდღიური, საღამოს და საქორწილო მაკიაჟი, განუმეორებელი, დაუვიწყარი იმიჯი, ამაღლებული გუნება-განწყობილება. ტელ: 61-77-74; 899 58-25-44

მეჭიჭებისა და სხვა ხორცმეტების მოცილება სახესა და ტანზე უმტკივნეულოდ. მიღება რუსუდან საყვარელიძესთან, სამკურნალო ცენტრში. მის: დავით აღმაშენებლის გაზ. №115 (პოლიციის შენობის უკან, ეზოში). ტელ: 95-83-54

COMPUTER COMPANY „PULSAR" — კომპიუტერები და ორგტექნიკა, ახალი და ნახმარი; კომპიუტერების ყიდვა-გაყიდვა; სათადარიგო ნაწილები; კომპიუტერების, ორგტექნიკის შეკეთება, მომსახურება; კენტრიჯებში ტონერის ჩაყრა; უფასო კონსულტაციები ტელეფონით: 33-08-71. მის: ვაჟა-ფშაველას გაზ. №16 შს „პულსარი".

ს/ს „აშენდლისანი" აწარმოებს სახლების აშენებლობას, მიწისა და მიწისქვეშა სამუშაოებს, კეთილმოწყობას. ამზადებს საკეტ ქვებს, ზეინკლობისა და სხვა კონსტრუქციებს მაღალი ხარისხით, შეღავათიან ფასად. მის: წერეთლის გაზ. №57. ტ: 34-82-30; 34-14-81

ვაკეში ნებისმიერ ავეჯს კატალოგიდან, ფერადი, რბილი და მყარი ავეჯის რესტავრაციას სამეულებზე, ბალითების შეკვლას, სკამების, მატრასების გარემონტებას. ტელ: 95-50-57

მკურნალობა

პროსტატიტს, ქლამიდიოზს, ტრიქომონიაზს, უშვილობას, სქესობრივი პოტენციის დაქვითვას უახლესი მეთოდებისა და აპარატურის გამოყენებით მკურნალობს პროფესორი რევაზ სალაყაია. მის. მარკანიშვილის №23. (მეტროსთან) VI სად. (ეზოდან) ბინა №1. მიღება წინასწარი ჩაწერით, სამშაბათს, ხუთშაბათს, 18-20სთ. შაბათს 12-16სთ. ტ: 35-20-06

ემკურნალობ ოპერაციის გარეშე ცხვირის პოლიპებს, ბრონქებს, ბავშვებში ადენოიდებს, ქრონიკულ სურდოს, ჰაიმორიტს, ალერგიულ დაავადებებს. მკურნალობას ატარებს პროფესორი. ლტოლვილებს და ხელმოკლე ოჯახებს ემკურნალობ უფასოდ. მის: ამბროლაურის ქ. №166. XI კორპ. IV სად. ბინა 46. (რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ). ტელ: 37-42-17; 53-60-06

ალერგიის კომპიუტერული დიაგნოსტიკა და მკურნალობა. ჰიპერტონიის (წნევა), ნევროზის, ენამლუობის მკურნალობა უახლესი აპარატურით. მის. ვაჟა-ფშაველას 18ა, რეაბილიტაციის ცენტრში. VI სართ. ბიორეზონანსული თერაპიის კაბინეტი. ექიმი ზურაბ ხარაიშვილი. ტელ: 39-01-12 (სამს. 10-15 სთ); 39-58-77 ბინა.

ვარიწ ძალისა და კანის ჩირქოვან, ინფექციურ დაავადებებს: ოსტეომიელიტს (ძვლის ინფექც.), ბეღვის ჩაბრუნებას, დაჩირქებულ ფურუნკულს, ნაპეტვას, ნაოპერაციებს, ძირმაგარას, გემატომას, მასტიტს, მენისკს (ანთებით პროცესში), შხამანი მწერებისა და ქიმიური ნივთიერებისაგან კანში შეჭრილ ინფექციას, წითელ ქარს და სხვ. ტ: 68-43-10

ელექტროკარდიოგრამის 24 საათიანი უწყვეტი ჩაწერა ცხოვრების ჩვეული რიტმის შეუცვლელად — ჰოლტერის მონიტორი. მის: ვაჟა-ფშაველას გაზ. №29, რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო, ოთახი №230. ტ: 39-22-74

ხალხური მედიცინის მაქსიმალური შედეგები. ჩიყვის, კისტის, ფიბრომის, მიომის, მასტოპათიის მკურნალობა უოპერაციოდ! დ. აღმაშენებლის №115 (ეზოში), „ფასაჟერტელის" პოლიკლინიკა, კაბ. №3, ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. მიღება 10-18 სთ, კვირის გარდა. ტელ: 96-68-03 (ბინა); 95-83-54 (სამს)

გთავაზობთ არაჩვეულებრივ მკურნალობას სრული გაკურნების გარანტიით: ენდოფლებო, შიზოფრენია, ნარკომანია, ალკოჰოლმანია, კლიმაქსი, სქესობრივი სისუსტე, სპერმის უნაყოფობა, სკლეროზი, ფიბრომა, კისტა, მიომა, სოკო, ეგზემა, ფსორიაზი, ჰეპატიტი C. მის: მარკანიშვილის 5, II სართ, ოთახი 214. ტ: 60-02-49

სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება

ვასწავლი

გერმანულ-ქართული ფირმა „DAWIT"-ი გთავაზობთ უცხო ენების (ინგლისური, გერმანული, ფრანგული...) — შესწავლას ინდივიდუალურად, თქვენთვის სასურველ დროს. თქვენს გვერდით მუდამ იქნებიან საუკეთესო პედაგოგები, მასალას დაუფლებით ვიდეო, აუდიო და კომპიუტერული პროგრამების დახმარებით. ტ: 98-78-26. „DAWIT"-ი — თქვენი ცხოვრების მომავალი!

სწრაფი, დაჩქარებული კურსით შეგასწავლით პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობის ინდივიდუალურად, ხარისხიანად (MS DOC, NC, WINDOWS-98, WORD, EXCEL, PAGE MAKER). ტელ: 34-32-79

1991 წლიდან, ტრადიციულად, უნივერსიტეტი „ეკონომიკა" და მასთან არსებული კოლეჯი „ეკონომიკა" გაწევენთ სასწავლებლად პრესტიჟულ სპეციალობებზე. ქართულ და რუსულ სექტორებზე.

უნივერსიტეტში — სტომატოლოგიური, საერთაშორისო, საფინანსო, უცხო ენების და სხვა სპეციალობები; კოლეჯში — სტომატოლოგიური, იურიდიული, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, საფინანსო, ტურიზმისა და უცხო ენების სპეციალობები.

ყველა სპეციალობაზე უცხო ენების, ინფორმატიკისა და კომპიუტერული ტექნიკის სწავლება გაძლიერებულია. უნივერსიტეტისა და კოლეჯის დამთავრების შემდეგ გაიცემა სახელმწიფო დიპლომი. ჩარიცხვა იწარმოებს გაზაფხულით. სწავლა იწყება 1 სექტემბერს, გლდანის, ვარკეთილის, დიდი დიღმის და დიდუბის რაიონებში.

სწავლების გადასახადში შეღავათი — 30% მიეცემათ ობლებს, მრავალშვილიანი ოჯახის წევრებს, ომში დაღუპულთა და მათთან გათანაბრებულ ოჯახის წევრებს, ლტოლვილებსა და ინვალიდებს. სპეციალისტა და დამტკიცებული ცნობების მიღება იწარმოებს უნივერსიტეტ „ეკონომიკაში", 13-18 სთ, შაბათ-კვირის გარდა. მის: ილიაბიძის ქ. №50 (მეტრო „პოლიტექნიკურთან"). ტელ: 37-42-98

გერმანულ-ქართული ფირმა „DAWIT"-ი გთავაზობთ კომპიუტერზე მუშაობის შესწავლას ინდივიდუალურად. თქვენ მოგემსახურებიან კვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც შეგიქმნიან საუკეთესო პირობებს თქვენთვის სასურველ დროს. ტელ: 98-78-26. ფირმა „DAWIT"-ი — ბედნიერი მომავალი თქვენს ცხოვრებაში!

შს აუდიტური ფირმა „მელიტა" გთავაზობთ: თანამედროვე პრაქტიკულ ბუღალტერიას; ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, კომპიუტერული პროგრამების და „ინფო-ბუღალტრის" შესწავლას. გაიცემა სერტიფიკატი. მის: წერეთლის გაზ. №142. „სამთო ჭიმის" შენობა, ოთახი 80. ტელ: 34-22-64; 899 56-32-64; 899 56-32-09

ვრძელდება მიღება კოსმეტიკის შემსწავლელი კურსებზე. შეისწავლება: კანის ანატომია, დეფექტები, მკურნალობა, ეპილაცია, მასაჟი, კოსმეტიკური რძეების, ლოსიონების, კრემების და სხვა კოსმეტიკური საშუალებების დამზადება. შეიძლება სწავლა დაუსწრებლადაც — თვეში ერთხელ გამოცხადებით. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ნაბალავეი, დადიანის ქ. №26. ტელ: 66-53-56

შეგასწავლი კოსმეტიკის სრულ კურსს სწრაფი ტემპით: ეპილაცია, კანის ავადმყოფობა, სახის გაწმენდა, მასაჟი, ნიღბები, ყველა სახის ნელსაცხებელი. დაგეხმარებით საჭირო მასალისა და აპარატურის შეძენაში. ორ თვეში შეგაძლებინებთ დამოუკიდებელ მუშაობას. მის: გლდანი, მე-4 მ/რ, 97-ე კორპ, მე-4 სად, 1 სართ. ტელ: 67-48-44. ქეთინო ბიჭიაშვილი

იყიდება

გთავაზობთ დასასვენებელი კომპლექსის — „თეთრი ალაქანი" 14 დღიან საგზურებს შვეიცარიაში ფასად. სანატორიუმი მდებარეობს ურეკთან, დაბა შეკვეთილში. სანაპიროზე სამკურნალო მაგნიტური ქვიშა. საგზურის ღირებულებაში შედის 3-ჯერადი სრულფასოვანი კვება. ტელ: 93-28-09; 77-86-55

ბალზაკი, 15 ტომი — 50 ლარი (რუსულად); ანი ოტერა რუსულად, 2 წიგნი — 10 ლარი; ლეო ტალსტოი (წმინდა ბუნაგი, სახალისო ბიბლია და სასარგებლო), 3 წიგნი — 5 ლარი; ათას ერთი ღამე, 3 ტომი (რუსულად) — 5 ლარი; 2 ტომეულები (ცეცაგი, ჰიუგო, ჰემინგუეი, მერიმე და ა.შ.), რუსულად, 2 ტომი — 5 ლარი; პუშკინი (1899 წ.), რუსულად — 15 ლარი. ტელ: 23-07-65 (დილით, საღამოს)

რეგისტრირებული 100%-იანი ნატურალური, მცენარეული ლოსიონი „ანალეტი" ბოლომდე და სწრაფად ასუფთავებს თმას ტილებისა და ფოლიკულებიან. ფილები ეფექტურად სცილდება, განსხვავებით სინთეტიკური პრეპარატებისაგან. მის. კაბ. „ლუბოლი". ტელ: 37-38-13; „ანალეტი" თქვენი ბავშვებისათვის არატოქსიური, უსაფრთხო, ნატურალური არჩევანი!

გთავაზობთ ამერიკის სამედიცინო ფირმის მცენარეულ პრეპარატებს ღრძილებისა და პირის ღრუს ყოველგვარი დაავადების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის (პოროდონტიტი, სოკოსტრეპტოკოკი და სტაფილოკოკი). ტ: 34-33-55. ეთერი

ჩვენი დღევანდელი ცხოვრება ხერვიულობით სავსე და დაძაბულია; „ნევროსტომით" მკურნალობა ყოველდღიურ სტრესს სწრაფად უმკლავდება; დამაშვიდებელი, მცენარეული წვეთები „ნევროსტომი" მკურნალობს ნევროზს, გაღიზიანებადობას, შიშის სიმპტომებს, არეგულირებს წნევას, აწესრიგებს ძილს. მის. მოზრდილთა პოლიკლინიკა №13 (ოქერის პირდაპირ) კაბინეტი №26. ტელ: 37-38-13 (მოიკითხეთ აფთიაქებშიც).

შემოძენ

შეეასეფდით გრძელ ომს. დასაჭმუულ ქალთა პრიკმახერებს ვთავაზობთ თანამშრომლობას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ, დასვენება შაბათ-კვირას.

სხვადასხვა

ს.ს. „თბილისის ქალალდის ფაბრიკაშ", რომელიც მდებარეობს თბილისში, ნიკო მარის (ყოფ. ბოგდან ხმელნიცკის) ქ. 44-ში, დაიწყო მაკულატურის მიღება ორგანიზაციებისგან, იურიდიული პირებისა და მოსახლეობისაგან. მაკულატურის ფასი ყველაზე მაღალია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თანხმდება მიწოდებელთან, მისი ხარისხის, ტენიანობის მდებარეობისა და ტრანსპორტირების გათვალისწინებით. ტელ: 79-13-35

იჩქარეთ! „მეგაკომის" მობილურ ტელეფონებზე გთავაზობთ 20%-იან ფასდაკლებას (შეზღუდული დროით) და 50%-იან ფასდაკლებას აქსესუარებზე. უფასო შემომავალი ზარები. არ იხდით საბონუტო გადასახადს. წუთის ღირებულება 24 თეთრი, უფასო მიტანით და ადგილზე ჩართვით. ტელ: 97-99-39

„მეგაკომის" მობილურ ტელეფონებსა და აქსესუარებზე გთავაზობთ ფასდაკლებას (შეზღუდული დროით). არ იხდით საბონუტო გადასახადს. წუთის ღირებულება 24 თეთრი, უფასო მიტანით და ადგილზე ჩართვით. ტელ: 97-99-48 (ნებისმიერ დროს); 64-60-80 (საღამოს). თამუნა

ხსოვნა

შოთა ეცადაშვილი

ამაღლებას ზეცისურ საქართველოს უკვდავთა რიგს კიდევ ერთი ჭეშმარიტი მამულიშვილი, საშობლოზე უზომოდ შეყვარებული კაცი შეემატა. მშრომელი იყო, აღმაშენებელი. არაორდინარულს ელოდნენ. ასეც იყო...

ათეისტობის ეამს გურგაანის, მცხეთის რაიკომების პირველი მდივანი სამაბს, დროს და საშუალებას პოულობდა, აღედგინა ეკლესიები, კეთილმოწყო ტაძრამდე მისასვლელი გზები. მიწა უყვარდა, მინდა იყო. ქართული ლექსი, სიმღერა, მუსიკა უყვარდა, ფიროსმანა და გუდიაშვილს ეთაყვანებოდა. ჭაბუკობისას ქართული ჭიდაობის ფალავნად აღიარეს.. ქართველ ფალავანთა მეგობარი და გულშემატკივარი დარჩა ბოლომდე. დინჯი იყო, საოცარი იუმორის ნიჭით იყო დაჯილდოებული. საქმის კაცი იყო. უმოწყალობამ სევდა შეაყარა. არაჩვეულებრივი მეუღლე, დედი, ლამაზი ოჯახის მამა და ბაბუა, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, ღვთის უდიდეს მადლად მიიჩნევდა შვილთა სიმრავლეს.

კეთილი იყო, უალაფრ მეგობარი, ვაჟკაცი იყო. თავად შეჭირვებული, სხვათა გამკითხავი დარჩა ბოლომდე.

მეგობრები

ნუკრი გოგიჩაშვილის გახსენება

15 ივნისი შენი დაბადების დღეა, ნუკრი. იშვიათად რგებია ვინმეს სიკვდილი თავის დაბადების დღეს. შენ ხომ დაბადებიდან ორმოცი და გარდაცვალებიდან რვა წელი გისრულდება. ტკივილიანი მოგონებებით ვხვდებით ამ დღეს. რამდენი აუსრულებელი ოცნება დავრჩა, რამდენი ლამაზი ჩანაფიქრი... ყველას ძალიან გვენატრები, დაგვაკლდი ოჯახსაც და ახლობლებსაც. დაუფერებელია, მაგრამ მარადისობად იქეცი. საყოველთაოდ ცნობილი გამოიქმა, — საკვდილსაც კარგი უნდაო, ჩვენსა სამწუხაროდ, მართლდება.

ნანა ალექსანდრეს ასული ჭუმბურიძის ხსოვნას

ჩვენო საყვარელო ნანიკო, 9 ივნისს შენი დაბადების დღეა, 43 წლის გახდებოდი, მაგრამ მეხუთე წელია, უშენოდ ავენაშაავთ. განუკურნებელმა სენმა წაგვართვა შენი თავი. შენზე დარდმა იმსხვერპლა ჯერ დედა, მერე კი — მამა და ბიბატოვეთ სამეგრელ ღმერთის ანაბარა, დამიტოვეთ უდიდესი ტკივილი. ძალიან, ძალიან გვაკლიხართ და გვენატრებით, ნუგეშად მხოლოდ შენი პატარა შვილები მყავს — 9 წლის დათუნა და 8 წლის გიორგი. ორივენი ხუთოსნები არიან და პირობას გაძლევენ, ისეთი ვაჟკაცები გამოვალენ, შენ რომ ოცნებობდი.

იმიტომ მშვიდად, ჩვენო სიცოცხლით გაუძღარო, ლამაზო, ჭკვიანო, კეთილო ნანიკო. ჩვენგან ამოუცანელი სანანელი გაგიხსოვს მარადიული სასუფეველს. მსუბუქი იყოს შენთვის საქართველოს მიწა.

შენი დაიკო მარინე ჭუმბურიძე, დათუნა და გიორგი სევდიანიშვილები

*ფასები მოყვანილია ეროვნულ ვალუტაში (ლარი) დღგ-ს ჩათვლით.

თბილისი: ბაქოს ქ. 2; კოსტავას ქ. 35. საინფორმაციო ცენტრი 928.

ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲐᲒᲔᲜᲢᲘ ᲐᲜᲣ ᲓᲔ ᲜᲘᲠᲝ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲯᲣᲠᲡᲘᲗ



სამი წლის წინ, როცა რობერტ დე ნირო მოსკოვში კინოფესტივალზე ჩავიდა, ჟურნალისტების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. არც გასაკვირია — შესაძლებლობა მიეცათ თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს მსახიობს გასაუბრებოდნენ, მისი სამსახიობო სამზარეულოს საიდუმლოება გაეგოთ.

მიუხედავად ამისა, დე ნიროსთან შეხვედრამ, ცოტა არ იყოს, იმედი გაუცრუა დამხვდურებს. დიდი მსახიობი პატარა, უფერული კაცი გამოდგა, ისეთი, რომელსაც ხალხში ვერაფერით გამოარჩევ. სტანდარტული პრესკონფერენცია ჩაატარა, ექსკლუზიურ ინტერვიუზე უარი თქვა; მაშინ კი, როცა ხელოვნებაში დიდი წვლილისთვის პრემია გადასცეს, ერთი-ორი სიტყვა წაიდუდუნა სამადლობელი სიტყვის ნაცვლად — ეს იყო და ეს. არ იფიქროთ, ასე რუსეთში მოიქცაო, დე ნირო — ყველგან დე ნიროა.

მრავალი წელია დასავლეთის პრესა ნემსის ყუნწში ძვრება, რომ მის ცხოვრებაზე რაიმე შეიტყოს — მაგრამ ამაოდ. ერთ დროს იმასაც ამბობდნენ, რომელიღაც გასაიდუმლოებულ სამთავრობო ორგანიზაციის აგენტია ჰოლივუდის კულისებს მიღმა ცნობების მიწოდების დარგშიო. როგორც არ უნდა იყოს, უბრალო მოკვდავს არ ძალუძს ასე გასაიდუმლოს ყველაფერი. მითქმა-მოთქმა უფრო გაძლიერდა, როცა 1996 წელს დე ნირო ისრაელის დაზვერვის ყოფილ შეფს იაკობ პერის შეხვდა: მსახიობი თელ-ავივში კერძო თვითმფრინავით ჩავიდა იმ იმედით, რომ მისი ვიზიტი საიდუმლოდ დარჩებოდა, მაგრამ მეორე დღესვე პრესა მისი და პერის ფოტოებით აჭრელდა. ზემოთ მოყვანილი ეს შემთხვევა მისი ცხოვრებიდან ნაცნობი ძალზე მცირერიცხოვანი ფაქტების ნაწილია. შინაურებსა და მოსამსახურეებს პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული. ამბობენ, დე ნირო ყველას საიდუმლოს დაცვის ხელწერილს ართმევსო. ალბათ, დასამალი აქვს კიდეც, რაკი ასეთ სიფრთხილეს იჩენს.

ქალებთან მისი დამოკიდებულება, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური იყო მუდამ. ყოველთვის აფრიკული წარმოშობის ქალები იზიდავდა (თეთრკანიან ქალებს არ სწყალობს). 5 შვილი ჰყავს, მათგან ორი ხელოვნური ჩასახვით, ქალიშვილი დრინა კი — შვილობილია. ორჯერ გახლდათ დაქორწინებული და ორივეჯერ უიღბლოდ.

1976 წელს დაიან ებოტზე იქორწინა, რომელთანაც ვაჟი — რაფაელი ჰყავს. იმ პერიოდშივე აიყვანა შვილად — დრინა, რამდენიმე წლის შემდეგ წყვილი განქორწინდა — ჩუმად, საზოგადოების შეუმჩნევლად. ამბობენ „თავისუფალი“ ქორწინება ჰქონდათო — ორივე მხარე აბსოლუტურად თავისუფალი იყო ვალდებულებებისგან. ებოტთან განქორწინების შემდეგ ფოტომოდელ ჯილიან დე ტერვილთან გააბა ფლირტი, უიტნი ჰიუსტონზეც ეჭირა თვალი (თუმცა უშედეგოდ), მერე მსახიობის სახელი გაქრა ტაბლოიდების ფურცლებიდან მანამ, სანამ 1995 წელს დიდი სკანდალი არ ატყდა. იმ წლებში იგი მომღერალ ტუკი სმიდტთან ერთად ცხოვრობდა. დიდხანს შვილი არ ეყოლათ, მაშინ ხელოვნური განაყოფიერების ცენტრს მიაკითხეს. შედეგად ქვეყანას მოევლინა ტყუპი ვაჟი — აარონი და ჯულიანი. მალე დე ნირომ ტუკი ნაომი ქემფბელის გამო მიატოვა (სხვათა შორის, მასაც მალე დაშორდა). სმიტი მშვიდად შეხვდა საყვარლის დაკარგვას, მაგრამ, როცა მსახიობმა ბავშვების წართმევა დაუპირა, ემოციურმა ტუკიმ თავს რისხვა დაატეხა: გარყვნილი, გაფუჭებული, უპასუხისმგებლო კაცი უწოდა. ასეთი ოჯახის ღირსი არ არისო, — არწმუნებდა ადვოკატებს ქალი. მსახიობს იმედი გაუცრუვდა — სასამართლომ მისი სარჩელი არ დაკმაყოფილა იმ მოტივით, რომ წყვილს კავშირი არ ჰქონდა რეგისტრირებული. დავა მათ შორის დღესაც გრძელდება. იმავე წელს დე ნიროს სატრფიალო ნუსხას თეთრკანიანი ქალი შეერია — მსახიობი ეშლი ჯადი. თითქოს ვნებები დაცხრა, დე ნირო 1997 წლამდე იატაკქვეშეთში გადაბარგდა. 1997 წლის შემოდგომაზე კი ახალი სკანდალი — ამჯერად პარიზში. მანამდე, ცოტა ხნით ადრე, მსახიობი მეორედ დაქორწინდა შავკანიან სტიუარდესაზე — გრეის ჰაითაუქზე. ახალდაქორწინებულები პარიზში ჩავიდნენ, სადაც დე ნიროს „რონინის“ გადაღებები ელოდა. ათიოდ დღის შემდეგ პარიზული გაზეთები აჭრელდა ფოტოებით, რომელზეც დე ნირო პოლიციელების თანხლებით სასტუმროს ჰოლიდან გამოდიოდა. რა მოხდა? მხოლოდ შემდეგია ცნობილი: დე ნირო მოწმის სახით დაიკითხა დანაშაულებრივი დაჯგუფების პროსტიტუციის, თაღლითობისა და გამოძალვის საქმესთან დაკავშირებით. ჯგუფის საქმიანობა, ძირითადად ახლოაღმოსავლელი, მდიდარი კლიენტების ყვლეფა გახლდათ. ალბათ, დე ნირო ამ კლიენტებს შორის იყო, თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია. საფრანგეთის იუსტიციის სამინისტრომ უარი თქვა ფაქტის კომენტირებაზე, თავად მსახიობს სასამართლო დარბაზიდან გამოსვლის შემდგომ სიტყვა არ დასცდენია, თუმცა მითქმა-მოთქმა დიდხანს გაგრძელდა.

მაინც ვინ არის ეს დე ნირო? გარყვნილი მექალთანე, თაფლობის თვეს მეძავთან რომ ატარებს, თუ ნორმალური კაცი, რომელსაც ფატალურად არ უმართლებს პირადი ცხოვრება? ალბათ ჭეშმარიტება ამ ორს შუა ძევს, საკითხავი ის არის, არსებობს კი ასეთი პიროვნება — „რობერტ დე ნირო“?

„ბობი მაშინ არსებობს, როცა თამაშობს“ — ირწმუნება რეჟისორი პოლ შრაიდერი.

„მე ადრეულ ასაკში დავდექი არჩევანის წინაშე — ვინ ვყოფილიყავი — მსახიობი თუ პიროვნება“ — თქვა როგორღაც ერთ-ერთ ინტერვიუში დე ნირომ; „მსახიობობაში ყველაზე შესანიშნავი ის არის, რომ შეგიძლია სხვისი ცხოვრებით იცხოვრო, თანაც აქედან გამომდინარე გართულებების გარეშე“ — ეს სიტყვები კი „ოსკარის“ მიღების შემდეგ წარმოთქვა, როცა „ნათლიაში“ ვიტო კორლეონეს როლი შეასრულა.

მისი ბავშვობის შესახებ ძუნწი ცნობები იმის საფუძველს იძლევა, ვიფიქროთ, რომ „სხვისი ცხოვრებით ცხოვრების“ სურვილი შემთხვევით არ გასჩენია. მამამისი, რობერტ დე ნიროუფროსი მხატვარი-აბსტრაქციონისტი, მოქანდაკე და პოეტი (დღეს მისი ნამუშევრები ხელოვნების მუზეუმ მეტროპოლიტენშია გამოფენილი) იყო. დედა, მხატვარი ვირჯინია ადმირალი ქმარს მაშინ გაშორდა, როცა ბიჭი 5 წლისა იყო. ასე რომ, ბავშვობიდანვე ეზიარა თავისუფლებასა და მარტოობას. დედა თითქმის არაფერს უშლიდა კაფანდარა, გალეულ ბიჭს — ბობი „დიდების“ ფილმებს უყურებდა, „დიდების“ წიგნებს კითხულობდა და „დიდების“ გართობასაც გაუსინჯა გემო — ალკოჰოლი და ნარკოტიკები მოსინჯა. სკოლაში მორცხვობდა, თითქმის არავისთან მეგობრობდა, დროდადრო სამოყვარულო სპექტაკლებში თამაშობდა, მერე კინოც მოსინჯა. მისი ნიჭი პირველი ნახვისთანავე ჩანდა, მაგრამ იგი სახელს არ ეძებდა — ბროდვეისა და დიდ კინოსტუდიებს არ ატალახებდა. ნელ-ნელა, თითქოს შეუმჩნევლად მოიკიდა ფეხი კინოსამყაროში და 70-იანი წლებისთვის „ახალი მარლონ ბრანდოდ“ უწოდეს. სწორედ მაშინ თქვა უარი პრესასთან ურთიერთობაზე — ჩემს მაგივრად ყველაფერს ფილმები იტყვიანო. მართლაც, მისი კარიერისა და მუშაობის სტილის შესახებ შეიძლება რომანი დაიწეროს. მაგალითად, „ცოფიანი ხარის“ გადაღების მოსამზადებელ პერიოდში რამდენიმე თვის მანძილზე დღეში 5კგ მაკარონს ჭამდა წონაში მოსამატებლად. რით არ არის სიუჟეტი საშინელების ფილმისათვის?

დღეს დე ნირო ჰოლივუდის ამაოებას იდუმალი, მონუმენტური ლოდივით უტყვი შეჰყურებს. მისმა უკანასკნელმა ფილმმა „გააანალიზე“ კინოგაქირავებას 100 მლნ დოლარი მოუტანა. დღეისათვის მსახიობის სტანდარტული ჰონორარი ფილმისთვის 15 მლნ დოლარს შეადგენს. სამომავლო გეგმაც ბევრი აქვს. პირადი ცხოვრება კი კვლავინდებურად საიდუმლოებითაა მოცული, მაგრამ ბატონი დე ნირო ჩვენ კიდევ გაგვაოცებს!

XXL №2

ჯორჯ კლუნი _ ცხოცხები მამაყაცი

სილამაზეს რომ დიდი ძალა აქვს, ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდა ამერიკული კინოს ვარსკვლავი ჯორჯ კლუნი კანში, ლაუვარდოვან სანაპიროზე ყოფნისას. ტემპერამენტიანი ფრანგი ქალები გასაქანს არ აძლევდნენ. სულ რამდენიმე დღეში 148 ქალმა აუხსნა სიყვარული. კაცმა არ იცის, რა დღეში ჩავარდებოდა ვარსკვლავი, მცველები რომ არ ამოდგომოდნენ გვერდში. ამ ტალიკ-ტალიკი ბიჭების მარტო გარეგნობაც კი აფრთხობდა ვარსკვლავის თაყვანისმცემელთ. თუმცა თვითონ კლუნი არავითარ საბაბს არ აძლევდა ქალებს, პლაჟზეც ერთადერთხელ გამოვიდა, რადგან აქტიურად მონაწილეობდა ახალი ფილმის, „ძმაო, სადა ხარ?“ — სარეკლამო კამპანიაში.

— ამერიკა სასაცილო ქვეყანაა, აქ ყველაფრის გაყიდვა შეიძლება. როგორი სისულელეც არ უნდა გადაიღონ, მაყურებელი მაინც მიდის. ჩვენ გვიყვარს სიცილი, ვერ ვიტანთ ტრაგიკულ დაბოლოებებს. ინტელექტუალური ფილმები ჩვენში ძნელად იყიდება, ამიტომ როდესაც რომელიმე ფილმი აშშ-ის გაქირავებაში ჩაფლავდება, ეს არ ნიშნავს, რომ ის ცუდია, — ამბობს მსახიობი. კლუნი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ყოველ როლს, წინასწარ სწავლობს ტექსტს, დიდხანს უნდება განწყობის შექმნას, რათა კადრში მთლიანად წარმოაჩინოს თავისი შესაძლებლობები.

— რეჟისორობა ხომ არ გინდათ სცადოთ?

— ეს განსაკუთრებული პროფესიაა და მე მზად არა ვარ ამისთვის. პროდიუსერობის ნიჭი კი აღმომაჩნდა. შევქმენი პატარა კომპანია, რომელიც საინტერესო სცენარებს ეძებს, ჯერჯერობით, მხოლოდ ჩემთვის. მრავალი წელი თვალყურს ვადევნებდი, პროდიუსერები როგორ ჩადიოდნენ ფსონს ჩემზე ისე, როგორც კაზინოში და იგებდნენ. ახლა მე თავად მინდა ვცადო ეს. თუ არ გამომივა, მარცხი ჩემი ცუდი გემოვნების ბრალი იქნება.

— თქვენ საქვეყნოდ განაცხადეთ, რომ შორდებით სელინ ბელიდრანს. რატომ?

— სამი წელია, რაც მე და სელინი ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ. ხალხი მიეჩვია, ჩვენს ყველგან ერთად ყოფნას. წარამარა რომ არ მომიხდეს პასუხის გაცემა კითხვაზე, — რა მოხდა, სად არის სელინი? — პრესმდივანს დავავალე, გამოექვეყნებინა ცნობა ჩვენს განშორებაზე.

ძალიან დიდი ხნის წინ გავშორდი პირველ და ერთადერთ კანონიერ მეუღლეს, ტალიას და გადავწყვიტე, აღარასოდეს შემერთო ცოლი. სელინმა ეს კარგად იცოდა, მაგრამ მაინც გეგმავდა ჩვენს ქორწინებას, ოცნებობდა ბავშვებზე... მე კი სერიოზულად ვუყურებ ამ საკითხს. მოლოდ მაშინ უნდა მიიყვანო ქალი საკურთხეველთან, როცა დარწმუნდები, უომისოდ სიცოცხლე არ შეგიძლია, როცა მიხვდები, რომ თქვენ ორისთვის ძვირფასია ერთმანეთის ჭირი და ლხინი. ამას კარნახის გარეშე უნდა მიხვდე. სელინმა კი ვერ მოითმინა, არ მაცალა, რომ თვითონ გადამეწყვიტა ყველაფერი.

— მეგობრებმა მოგიწონეს საქციელი?

— შვიდი განუყრელი მეგობარი მყავს, შვიდივე — ცოლს გაცილებული. ყოველკვირა ვიკრიბებით, ვთამაშობთ ხელბურთს, ვსვამთ ლუდს. სელინი მათზე ეჭვიანობდა და, წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა ქალებზე?

— მიზეზიც ხომ არ ჰქონდა?

ჰოლი ჰანტერი და ჯორჯ კლუნი

როგორც ჭეშმარიტმა რაინდმა, ჯორჯ კლუნიმ მრავლისმეტყველად გამიღიმა, მხოლოდ თვალებში აუცეკვდა ეშმაკუნები.

ამბობენ, ძნელად თუ გაუძლებს რომელიმე ქალი მის მომხიბვლელობასო... სინდი კროუფორდი, ელ მაქფერსონი, ნაომი ქემფბელი, სანდრა ბალოკი, ელიზაბეტ ბერკლი — აი, ჯორჯის დონჟუანური ნუსხა, რომლის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. ჭორები დადიოდა, რომ შერი სტრინგფილდი — ექიმი ლუისი „სასწრაფო დახმარებიდან“ — იძულებული იყო, უარი ეთქვა როლზე, რადგან ვერ აიტანა კლუნისა და ჯულიანა მარგულისის (მედდა კროლი) ურთიერთობა.

კელი პრესტონთან კლუნი ჯვრისწერას აპირებდა. კელიმ საქორწინო კაბაც შეიძინა, მყუდრო სახლიც დაიქირავეს და უცბად ჯორჯს გაახსენდა, რომ ფიცი ჰქონდა დადებული — ცოლს აღარასოდეს შევირთავო და თავისუფლება არჩია. მიუხედავად იმისა, რომ კელი დიდი ხანია ჯონ ტრავოლტას ცოლია და ძალიანაც ბედნიერია, დღემდე არ ესალმება ჯორჯს.

შემდეგ იყო სელინ ბელიდრანი, მერე მომღერალი ბრითნი სპირსი და ასე დაუსრულებლად...

— ნუთუ გული არ გწყდებათ, რომ თქვენ სახლში ბავშვების ურიამულის მაგიერ თქვენი საყვარელი გოჭის მაქსის ჭყვიტინი ისმის?

— ბავშვები დიდი პასუხისმგებლობაა. მე ამისათვის ჯერ მზად არა ვარ. სხვა საქმეა მაქსი. ჩვენ უკვე 12 წელია, ერთად ვართ, ეს ყველაზე გრძელი რომანია ჩემს ცხოვრებაში.

— თქვენს ანგლობებზე ლეგენდები დადის, გაიხსენეთ რომელიმე.

— ერთხელ, ჯენიფერ ლოპესმა კინაღამ მომკლა. ჩვენ ერთად ვთამაშობდით ფილმში. ჟურნალისტს „გამოვუტყდი“ — ჯენიფერი ყოველ ღამე ლამობს ჩემს ნომერში შემოჭრას-მეთქი. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდა ჯენიფერი, როდესაც რეპორტიორები მიაწყდნენ — ყველაფერი დაწვრილებით გვიამბეთო.

ცოტა ხნის წინ მე და ჩემი მეგობარი, ენტონი ედვარდსი („სასწრაფოში“ ექიმი მარკი) თავის ერთი წლის გოგონასთან ერთად, სეირნობის შემდეგ დასანაყრებლად კაფეში შევედით. შეკვეთეთ დაბრაწულ კარტოფილს. გოგონაც დიდი სიამოვნებით მიირთმევდა საჭმელს. უცებ მეზობელი მაგიდიდან წამოდგა ხნიერი მანდილოსანი, მოგვიახლოვდა და მრისხანედ შემოგვიტია, — რა საშინელებას აჭმევთ ბავშვს, არა გრცხვენიათ? თქვენ ხომ ექიმები ხართო.

— ამბობენ, „სასწრაფო დახმარებაში“ ალარ ითამაშებთ. ნუთუ ექიმ როსს ველარ ვიხილავთ?

— ეს სერიალი გაგრძელდება ახალი გმირებით. სერიალიდან მიდის ჯულიანა მარგულისი, ამიტომ მისი გულისთვის ბოლო სერიაშიც მივიღე მონაწილეობა.

— ხომ არ გგონიათ, რომ ექიმ როსთან ერთად თქვენც დაგივიწყებენ?

— უახლოეს ხანში არა მგონია, ეს მოხდეს...

P.S. კანის ფესტივალის ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ჯორჯ კლუნიმ სენსაციური განცხადება გააკეთა, რითაც ძალიან გაახარა ტელესერიალ „სასწრაფოს“ მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები. თურმე, მსახიობი არათუ ბრუნდება სერიალში, არამედ უკვე რამდენიმე სერიაშიც უთამაშია.

— როლზე იმ პირობით დავთანხმდი, რომ ეს ამბავი არ გაემხილათ, — სიცილით თქვა კლუნიმ, — გადამღები ჯგუფის ყველა წევრს „დუმილის პირობა“ ჩამოვართვი, გადასაღები მოედანი საგანგებოდ იყო დაცული, პროდიუსერი კასეტებს სამი თვე შინ, მაცივარში ინახავდა. ამის შესახებ თვით ჩემმა აგენტმაც კი არ იცოდა და თავგამოდებით არწმუნებდა ყველას, — ჯორჯი სერიალში არ დაბრუნდებაო.

7 დღე №24

ᲘᲓᲣᲛᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲡᲙᲔᲢᲘ ᲯᲝᲯᲝ

ჯოჯო გალავანს მიღმა ცხოვრობს, რომელიც აღჭურვილია დაცვის უახლესი ტექნიკით. იგი არც სტუმრად დადის და თავისთანაც არავის იწვევს. მეგობრები საერთოდ არ ჰყავს. ფსიქოთერაპევტი ხომ არ ეყოლება მეგობრად, რომელიც სულით და გულით ესაუბრება, მაგრამ მხოლოდ ფულზე. ჰოლივუდში ჯოჯოს ზურგს უკან „ჯაკშნოსანს“ უწოდებენ.

ფოსტერზე სხვადასხვა აზრის არიან: ერთნი მას ინტელექტუალად მიიჩნევენ. იგი ხომ იელის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული გახლავთ; სხვებისთვის — ძალიან თავისებური ადამიანია. თუნდაც იმიტომ, რომ მასზე არავინ არაფერი იცის.

უბრალოდ, არაბუნებრივიცაა, როცა ახალგაზრდა ქალს ახლობელი არა ჰყავს, რომელთანაც ბავშვზე მაინც ისაუბრებს. არავინ იცის, ვინ არის ბავშვის მამა. ისიც უკვირთ, როგორ დაფეხმძიმდა, იგი ხომ მამაკაცის სიახლოვეს არ უნახავთ. ჯოჯო ნამდვილი ასკეტია. მსახიობების კონტრაქტში ყოველთვის აღნიშნულია ჰონორარიდან რამდენი დაიხარჯა ახალი მანქანის შესაძენად და საღამოს ორგანიზებისათვის. ეს მსახიობის იმიჯია და ყველა ცდილობს, თავი გამოიჩინოს. მაგრამ ჯოჯოს ეს არ აინტერესებს. წარმოიდგინეთ, ყოველი ფილმისთვის იგი 20 მლნ დოლარს კი იღებს, მაგრამ ტანისამოსს „გარაურეილზე“ იძენს და იაფფასიან სუპერმარკეტში დადის. ცნობილი მსახიობისთვის ეს დიდზე დიდი სირცხვილია, მაგრამ ძალიან ძუნწია და რა ქნას...

ამ ბოლო დროს ჯოჯო ფოსტერს ვერასოდეს ნახავთ გულხელდაკრეფილს. თავისუფალ დროს ჰოლივუდის წვეულებებზე კი არ ხარჯავს, არამედ ბაზრობაზე მიიჩქარის, სადაც დახლთან დგას და საკუთარ ნივთებს ყიდის. მსახიობი საათობით ვაჭრობს მყიდველებთან. წელიწადში ოთხჯერ ჯოჯო ალაგებს თავის ვილას და მობეზრებულ ტანსაცმელს თუ უსარგებლო ნივთებს ბაზრობაზე ასაღებს. ვარსკვლავი კვირაში 100-150 დოლარს ვაჭრობს. ეს ზღვაში წვეთია მის 15 მილიონინან ჰონორართან შედარებით, მაგრამ მსახიობი მაინც კმაყოფილია. ტყუილად ჯდომას ტყუილად შრომა სჯობსო.

ჰოლივუდში არავინ იტყვის უარს ნებისმიერ დამათრობელ საშუალებაზე. ჯოჯო კი აცხადებს, რომ „სამყაროს შესახებ ინფორმაციის მიღების პროცესი ათრობს“.

ჯოჯოს კიდევ ერთი თავისებურება: ყველამ იცის, რას ნიშნავს მსახიობისთვის „ოსკარის“ მიღება. ჯოჯოს ორჯერ არგუნეს „ოსკარი“ და ორჯერვე ცერემონიიდან გამოსული მანქანის საბარგულში ტენიდა ძვირფას ჯილდოს.

ჰოლივუდის ვარსკვლავებს სხვადასხვა უცნაურობა ახასიათებთ. ჯოჯოს კი ღია სივრცის ეშინია. შინიდან გასვლამდე იგი აუცილებლად ფსიქოანალიტიკოსს გაესაუბრება.

ჯოჯო ფოსტერზე არასოდეს დაწერილა „ლამაზი“ და „მომხიბლავიაო“, ან კიდევ „სექსუალურიაო“... მას ყოველთვის ახასიათებენ — „ძალიან ჭკვიანი ქალიაო“...

ლიზა №14

„წითელქუდა“ ბიზნესმენები „მონადირეს“ ელოდებიან

მოახლოებული ზაფხული პოლიტიკოსებისა და არაპოლიტიკოსების გარდა, მრეწველებისთვისაც საკმაოდ მღელვარე აღმოჩნდა. ვიდრე ორ ნაწილად გაყოფილი საზოგადოება იმაზე მსჯელობს, შეიტანოს თუ არა ეროვნების რეკვიზიტი პიროვნების დამადასტურებელ საბუთებში, ამასობაში მრეწველებმა პარლამენტს შეუთვალეს: თუ ჩვენს მოთხოვნებს არ გაითვალისწინებთ, რეკვიზიტის გამო შეხლა-შემოხლა გალობად მოგეჩვენებათო.

გასულ კვირას მრეწველებმა მოთხოვნა პარლამენტში ფრაქცია „ტრადიციონალისტებთან“ ერთად გამოიტანეს.

ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ იმ ცვლილებებზე, რასაც მრეწველები და პოლიტიკოსები მოითხოვენ. 1. საერთო და ადგილობრივი გადასახადების ხელახალი დიფერენციაცია; 2. მოგების გადასახადის შემცირება 20-დან 10%-მდე (ხოლო პირველი სამი წლის განმავლობაში მისი საერთოდ შეჩერება); 3. საშემოსავლო და მოგების დეკლარაციის წარდგენა, რათა გაადვილდეს ბრძოლა გადასახადების დამალვასა და კორუფციასთან; 4. დღგ-ს განაკვეთის შემცირება 20-დან 14%-მდე; 5. სოციალური გადასახადების შემცირება 27-დან 18%-მდე.

ძნელი სათქმელია გაითვალისწინებს თუ არა მმართველი პარტია ამ მოთხოვნებს. რამდენიმე თვის წინ მრეწველების მიერ წარმოდგენილ ცვლილებათა პროექტს მოქალაქეთა კავშირმა ყურიც არ ათხოვა. თავად ტრადიციონალისტთა ლიდერს კი მიაჩნია, რომ ცვლილებები საგადასახადო კოდექსში მინისტრთა კაბინეტის შექმნის ერთ-ერთი შემადგენელი რგოლია. ამდენად, ჩვენ ახლა აკაკი ასათიანის მცირე კომენტარს შემოგთავაზებთ, უფრო ვრცლად კი ცალკეულ ბიზნესმენებს გავესაუბრებით (მათი აზრით, ბიზნესმენი დღეს ჰქვიათ, თორემ ხვალ თუ დარჩებიან, არ იციან).

აკაკი ასათიანი — გადასახადები ისე უნდა შემცირდეს, რომ ბიზნესმენს ხელს



აძლევდეს მისი გადახდა. მმართველ პარტიას როგორმე უნდა გავაგებინოთ, რომ მხოლოდ ეს გზაა ბიუჯეტის შევსების რეალური საშუალება. სანამ შეიძლება გაგრძელდეს ძალისმიერი მეთოდებით ამოღება?! თავის მხრივ, ხელისუფლება არ ცდილობს მოიპოვოს მორალური უფლება, რომ მეწარმე ვალდებული იყოს მის წინაშე. ლაქლაქი ყოველთვის ლაქლაქად რჩება. ვოცნებობდი, რომ მენახა ქართველი კაპიტალისტი, მაგრამ მიდგომა ისეთია... შიში მაქვს, საბჭოთა ეკონომიკურ წყობას არ დავუბრუნდეთ. უნდა მოხდეს იმის აღიარება, რომ ხელისუფლება ბიზნესმენებს არჩევს და ამის მიხედვით პატიობს გადასახადს, ან არ პატიობს. პრივილეგირებული და არაპრივილეგირებული მეწარმე არ უნდა არსებობდეს.

აკაკი ასათიანის ასეთი განცხადების შემდეგ „კვირის პალიტრა“ წარმატებულ ბიზნესმენებს დაუკავშირდა, რადგან საზოგადოების თვალში ისინი ხელისუფლების მიერ პრივილეგირებულადაც მიიჩნევიან.

მამუკა ხაზარაძე — საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია:

— არის თუ არა თქვენი ბიზნესის წარმატების საწინდარი ხელისუფლებასთან ახლობლობა?

— ბიზნესში ყველაფერს ჭკუა-გონება წყვეტს; თუმცა, იმასაც არ დაგიმალავთ, რომ ხელისუფლებასთან ყოფნა მაკონტროლებელი ორგანოების უსამართლო შემოტევებისაგან მიცავს.

ვიტალი კვინიხიძე — სააქციო საზოგადოების „პური არსობისა“ გენერალური დირექტორი:

— ჩვენს ქვეყანაში ბიზნესისათვის გარემო საერთოდ არ არსებობს. შესაბამისად, რომელ ბიუჯეტზეა საუბარი?! ხელისუფლებამ ეს ბიუჯეტი ისე გადაყლაპა, როგორც მგელმა — წითელქუდა. ან კიდევ, დაიწყო დღეს ბიზნესი — ნიშნავს იმას, რომ უდაბნოში თევზის რეწვა წამოიწყო. საქართველოში მაფიოზურ-კლანური ნომენკლატურა ყალიბდება. საგადასახადო კოდექსი კი ქვეყნის ნგრევის ერთ-ერთი ხერხია, რომელიც ხელისუფლებამ მოიგონა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ქვეყნის ბიუჯეტში დღეს 500 მილიონი კი არა, 50 მილიარდი უნდა ბრუნავდეს. თუ ასე გაგრძელდა, ეჭვიც არ მეპარება, რომ კლანურ-მაფიოზური სახელმწიფო შეგვრჩება ხელთ. მერე ამას ან პინოჩეტი სჭირდება, ან ჩაუშესკუს ბედს გაიზიარებს ვიღაც.

თეიმურ ძაღნია — კომპანია „კოკა-კოლა“:

— სიმართლე რომ ვთქვათ, გადასახადის გადახდა დღეს არ უხარია მეწარმეს, არც მე მიხარია. მარტივი ლოგიკაა — გადასახადები რაღაც სახით უკან უნდა დავიბრუნო, მაგალითად გზების კარგი მდგომარეობით, ახალი სასტუმროებით, ბაღებით. სად მიდის ჩვენი ფული? მე არ ვიცი, თუ ვინმემ იცის, მითხრას.

— ამიტომ ხომ არ გიწოდებთ ზოგიერთი ურჩ გადამხდელს?

— მე 26 მილიონი მაქვს გადახდილი „მაკდონალდსიდან“. გადახედეთ მთელი თბილისის რესტორნებს, თუ ყველას ერთად ექნება ამდენი თანხა ბიუჯეტში შეტანილი. ხალხს ეუბნებიან, პენსიებს და ხელფასებს იმიტომ ვერ გაძლევთ, ურჩი ბიზნესმენები რომ გვყვანანო. ხალხს ჩვენი თავი შეაძულეს. ჯერ ის ვერ გამიგია, ამ ბიუჯეტს ვინ ადგენს. რომ მეუბნებიან, წელს 5 მილიონს შემოიტანო, მოვიდნენ და მკითხონ ერთი — იქნებ ამ წელს მე ფირმის ლიკვიდაციას ვაპირებ და საცხოვრებლად ბუენოს-აირესში მივდივარ.

— თქვენ ხელისუფლების მიერ პრივილეგირებულ ბიზნესმენად მოიაზრებით. რასაც ახლა ამბობთ, უმაღლეს ხელისუფალთან თუ გითქვამთ?

— მითქვამს და უარესადაც. მაგრამ რად გინდა, შედეგი არ არის.

— მაგრამ პრეზიდენტი მაინც გწყალობთ. თურქული კრედიტი ათი წლით გაგიგრძელათ.

— ის კრედიტი მთლიანად 50 მილიონიანი იყო. მე 5 მილიონი ავიღე. კრედიტის განაწილებისას თურქებს სანდო პროექტი აინტერესებდათ. ერთ-ერთი პროექტი წარვადგინე მე. ფული სხვებმაც წაიღეს. გავიდა დრო და დაინტერესდა თურქეთი, ვინ როგორ გამოიყენა ეს ფული: აღმოჩნდა, რომ ვაჭრობის სამინისტრო აღარ არსებობს. „გეკამ“, რომელიც წყლებს აწარმოებს — საეჭვოა, რომ გადაიხადოს, მატყლის გადამამუშავებელი ფაბრიკა კი მარტვილში კედლების სახითაც არ არსებობს. რეალურად, ვმუშაობთ მხოლოდ ჩვენ. ამიტომ თურქეთმა ფულის რესტრუქტურიზაცია დაიწყო და კრედიტი გამიგრძელეს.

— რა ღირს დღეს „კოკა-კოლას“ ქონება?

— 2 მილიონი დოლარი.

დავით შალიკაშვილი — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი:

— რომელ ცვლილებაზეა ლაპარაკი? საგადასახადო კოდექსი მთლიანად გადასაგდებია. ქველმოქმედების ხალისიც კი დაეკარგება კაცს. ზოგიერთი ამბობს, რომ ქვეყნის ბიუჯეტი მხოლოდ ბენზინიდან, ფქვილიდან და სიგარეტიდან შემოსული ფულით შეივსებაო. ვისაც ამის სჯერა, დამილოცნია ეს ქვეყანა. მრეწველობის განვითარებაზე დღეს ცოტა ფიქრობს. ახლახან გამოსცეს ბრძანება: ისედაც დაქცეულ ქართულ ბანკებს დეპოზიტს რომ დაუბეგრავენ, მოგცემს ის ბანკი რაიმეს? ზემოთ ქველმოქმედება ვახსენე. ზესტაფონში უპატრონო ბავშვთა სახლია. გვინდოდა, მისთვის რაიმე თანხა გადაგვეცა, მაგრამ ბეგარა იმდენი გამოდის, რომ მისაცემ ფულს გადაეჭარბა. არ არის ეს სიმახინჯე?! ქვეყანას 2 მილიარდი საგარეო ვალი აქვს. ამ ვალის დაფარვას ექსპორტი თუ უშველის. კოდექსების შედგენისას გერმანიას და ამერიკას რომ მოიშველიებენ, ვართ ჩვენ მათი დონის ქვეყნები? თუ მაინცდამაინც ეს ქვეყნები უნდათ, მათი ოცდაათი წლის წინანდელი კანონები მოიშველიონ.

ლევან გაბეჩილაძე — კომპანია „ჯივიესი“:

— საერთოდ, თუ გინდათ სიმართლე, მე რომ მეწარმე ვარ და ახლა გავპოლიტიკოსდი, ეს ანომალიაა. ენერგიას და დროს ვხარჯავ იმაში, რაშიც, წესით, არ უნდა ვიხარჯებოდე. არადა, როცა ვხედავ, რომ ჩემ წინაშე სხვები ბეტონის კედელს აშენებენ, იძულებული ვარ, ძალა მის დასანგრევადაც მივმართო. როგორც კი პარლამენტში მოვედი, ერთი რამ დავინახე ცხადად: სამეწარმეო საქმიანობა და წარმატებული ბიზნესი ქვეყნის განვითარებასთან შედარებით უფრო მაღალ დონეზეა. ძალიან მიკვირს, რომ სახელმწიფო ორგანოები არც ცდილობენ, გააანალიზონ, რატომ ხდება მსგავსი პარადოქსები. ისიც ძალიან მიკვირს, 200 ლარიანმა მუშაკმა როგორ უნდა დაითვალოს ხუთასმილიონიანი ქვეყნის ბიუჯეტის ეკონომიკური ეფექტურობა.

— კოდექსის რომელ მუხლს ეწინააღმდეგებით?

— რომ გითხრათ, ფასების ლიბერალიზაცია არ მინდა-მეთქი, ტყუილი იქნება. მეორეც, სახელმწიფოსთან ურთიერთობაში არსებობს დაწერილი და დაუწერელი კანონები და ხდება მათი სრული იგნორირება. დაწერილ კანონში ვგულისხმობ იმას, რომ ბიუროკრატიული მექანიზმი და მისი ვალდებულებები იმდენად აბსურდულია, რომ ვერ გაურკვევიათ, რა უნდათ და რატომ. დაუწერელი კანონი არის ის, რომ ბიუროკრატები დღეს მუხლმოყრით უნდა ეხვეწებოდნენ მეწარმეებს, რომ ბიზნესი დაიწყონ. ჩინოვნიკები კი პირიქით არიან — ფიქრობენ, რომ ბიზნესმენი

უნდა იყოს ვალდებული მათთან. მოუწესრიგებელი სისტემა გარღვეულ ტომარას ჰგავს — ფულს ყრი და ამაოდ. შიში მაქვს, თუ ასე გაგრძელდა, ჩემი შვილი არ ისურვებს ასეთ ქვეყანაში ცხოვრებას და არა მარტო ჩემი. მინდა მივმართო მეწარმეებს: იქნებ ჩვენ, პრაგმატულად მოაზროვნე ხალხი დავსხდეთ და დავსახოთ გზა, როგორ გადავარჩინოთ ქვეყანა, საკუთარი თავი და შვილები.

P.S. როგორც ზემოთ დარწმუნდით, სახელმწიფოს მიმართ პრეტენზიები პრივილეგირებულ და არაპრივილეგირებულ ბიზნესმენებსაც თანაბრად აქვთ, თუმცა, სხვადასხვა სახის. და სანამ სახელმწიფო ბიზნესმენებს ისე ყლაპავს, როგორც მგელი წითელქუდას, საზოგადოების არასახელისუფლებო ნაწილს ისღა დაგვრჩენია, ველოდოთ, როდის გამოჩნდება „მონადირე“.

ქეთი ბერეკაშვილი

კითხვა-პასუხი

იქნებ მირჩიოთ, როგორ შეიძლება დავთრგუნო დაუძლეველი მორცხვობა და არასრულფასოვნების კომპლექსი?

თ. დადიანი

არასრულფასოვნების კომპლექსი და დაუძლეველი მორცხვობა თავისი არსით ერთი და იგივეა. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ არასრულფასოვნების კომპლექსი გარეგნულად არ ჩანს, დაფარულია და მხოლოდ თავად პიროვნება გრძნობს ამით გამოწვეულ უსიამოვნებას. მაშინ, როცა დაუძლეველი მორცხვობა გარეგნულად თვალსაჩინოა. არასრულფასოვნების კომპლექსისა და დაუძლეველი მორცხვობის მიზეზი ინდივიდუალურია. ზოგზე შეიძლება იმოქმედოს ბავშვობაში გადატანილმა განცდამ. ზოგიერთის ემოციებზე, რაც არ უნდა ღამაზი იყოს იგი, შეიძლება იმოქმედოს სხვისმა უარყოფითმა შეფასებამ. მაგალითად, მშობლების შენიშვნამ შეიძლება აიძულოს გოგონა, რომელსაც უხდება მოკლე კაბა, საერთოდ აღარ ჩაიცვას იგი და დაიჯეროს, რომ არ უხდება. ან კიდევ, თუნდაც სახის ნაკვთის შესახებ შენიშვნის მიცემის შემთხვევაში ზოგიერთმა პიროვნებამ შეიძლება გამუდმებით იკეთოს ოპერაცია მის გამოსასწორებლად. აქედან გამომდინარე, ცალკეულ ინდივიდზე სხვისი ჩაგონება და გარემო პირობები უსიამოვნო შერძნებებს იწვევს. ამის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია ინტერპერსონალური ურთიერთობა და ადამიანებს შორის თბილი დამოკიდებულება.

რუსუდან ფხაკაძე, ფსიქოლოგი, საკონსულტაციო ცენტრ „სახლის“ ხელმძღვანელი

1944-1946 წლებში ვმუშაობდი ქარხანა „ცენტროლიტში“, რომელიც იყო თავდაცვითი ობიექტი და აწარმოებდა სამხედრო დანიშნულების იარაღს — საარტილერიო ჭურვის კორპუსებსა და მინას. მაინტერესებს, მეკუთვნის თუ არა პენსია, როგორც ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირს?

აბელ კობახიძე, ტყიბული

1944-46 წლებში ქარხანა „ცენტროლიტში“ მომუშავე პირი ითვლება ომის მონაწილეებთან გათანაბრებულად და ეკუთვნის შესაბამისი პენსია, რადგან ომის პერიოდში ხსენებული ქარხანა უთანაბრდებოდა სამხედრო დანიშნულების მქონე ობიექტებს. ამისთვის უნდა მიმართოთ საქართველოს სამხედრო კომისარიატს.

ზაქარია არდაზიშვილი, რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის სამოქალაქო სამმართველო

გთხოვთ დაგვისახელოთ, რამდენი ქალაქი და დასახლებული ცენტრია საქართველოში, ამასთან, რომელია ყველაზე დიდი სოფელი?

გიორგი ჩაფიძე, თბილისი

საქართველოში უკანასკნელი აღწერის მიხედვით (1990 წ). აღირიცხება 52 ქალაქი, სოფლების რაოდენობა 4.477-ია, აქედან დასახლებულია 4.314 სოფელი. ამასთან, ჩვენს ქვეყანაში არსებობს 962 საკრებულო და 42 დაბა. საქართველოში ყველაზე დიდ სოფლად იმავე 1990 წლის მონაცემებით, მარტყოფი ითვლებოდა, მას მოსდევდა სოფელი ქედი (დედოფლისწყარო).

ა. მესხიშვილი, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიწის რეფორმის, მიწათმოწყობისა და საადგილმამულო ურთიერთობის სამმართველოს უფროსი

ვუელი I ჯგუფის მწოლიარე ინვალიდ მეუღლეს. გთხოვთ გამარკვიოთ, რა სახის დახმარება ეკუთვნის მას და ასევე მეც, როგორც მის მომვლელს?

მ. ბლიაძე, სურამი

წინათ ჯგუფის ინვალიდს პენსიაზე მოვლის დანამატს აძლევდნენ 15 ლარის ოდენობით. ამჟამად, ფინანსური კრიზისის გამო, ამგვარი დანამატი აღარ გაიცემა. ჯგუფის მწოლიარე ინვალიდს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში ეკუთვნის დახმარება 18 ლარის ოდენობით, თუ იგი მარტოხელაა.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური პოლიტიკის დეპარტამენტის საპენსიო პოლიტიკის სამმართველო

ოროთახიან ბინაში, რომელიც სანახევროდ გვეკუთვნის ორ ოჯახს, ორივეს გვაქვს პრივატიზებული თითო ოთახი. შეიძლება თუ არა ჩემი კუთვნილი ერთი ოთახის გაქირავება?

თბილისი

ვინაიდან ცალ-ცალკე ოთახები წარმოადგენს თითოეული თვენგანის საკუთრებას და პრივატიზების საბუთიც გაგაჩნიათ, სრული უფლება გაქვთ თქვენი ოთახი, როგორც პირადი საკუთრება, სურვილისამებრ განკარგოთ და, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ მისი გაქირავება.

ნოტარიუსი

14-15 წლის ბავშვს, რომელიც დაავადებულია უნებლიე მოძრაობებით (ე.წ. „ნიკებით“), სურს დაკავებული იყოს სპორტით, მით უფრო, რომ აქვს მონაცემი ცურვაში, კრივში, მკლავჭიდში, კარატესა და ფეხბურთში. მშობლები მისი სპორტზე ტარების წინააღმდეგნი არიან. შეიძლება თუ არა, ასეთი დაავადების მქონე ბავშვმა ივარჯიშოს სპორტის რომელიმე სახეობაში?

რამინ ასათიანი

უნებლიე (ზედმეტი) მოძრაობებით დაავადებული ბავშვისთვის სასურველია სიმშვიდე და ყოველგვარი დაძაბულობისაგან მორიდება. იგი არ უნდა გადაიტვირთოს, რადგან ამ დაავადებას იწვევს ნევროზი. ამდენად, უმჯობესია იგი არ ატაროთ სპორტზე.

დ. ფოცხიშვილი, ინფექციური პათოლოგიის ცენტრის ნეიროინფექციების განყოფილების ექიმი-ნეიროინფექციონისტი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
10 ივნისიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

აშშ დოლარი		1,970
გერმანული მარკა		0,961
ინგლ. გირვანქა სტერლინგი		2.972
ევრო		1,880
რუსული რუბლი		0,069
თურქული ლირა	(10.000)	0,032

კლინტონის სტუმრობა მოსაწყენი გამოდგა

აშშ-ის პრეზიდენტების ვიზიტები მოსკოვში არასოდეს ყოფილა ისეთი მოსაწყენი, როგორიც ბილ კლინტონის სტუმრობა. კლინტონი რუსეთის დედაქალაქს ჩვეულებრივი სტუმარივით ეწვია და ჩუმადვე წავიდა, ტრიუმფატორის პატივის გარეშე.

გოსდუმაში მისი გამოსვლაც ბევრმა ენთუზიაზმის გარეშე აღიქვა. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ორ ქვეყანას შორის გარკვეულმა სიცივემ დაისადგურა? ალბათ, არა. სხვა რამ ხდება. ჩვენი ურთიერთობიდან მიდის ან უკვე წავიდა პათოსი და აღტაცება, რომელიც არავის სჭირდება. საჯარო რევერანსებისა და მხარზე მოწონების ნიშნად ხელის დარტყმის პოლიტიკა წარსულს ჩაბარდა.

აშშ და რუსეთი, როგორც ჩანს, უახლოვდებიან იმ ეტაპს, როცა პრაგმატიზმი თანამშრომლობის ბაზა ხდება. სამწუხაროდ, ეს ეტაპი კლინტონის საპრეზიდენტო კარიერის დამთავრებას დაემთხვა. ამ ფაქტორმა უთუოდ გავლენა იქონია მოსკოვურ მოლაპარაკებაზე. ეს იყო შეხვედრა, რომლის დროს ათობით თემა განიხილეს, მაგრამ სენსაციური შედეგის მოლოდინი არავის ჰქონდა, ბევრ რამეზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ სადავო საკითხებს დიპლომატიურად გვერდს უვლიდნენ.

ხელი მოეწერა მხოლოდ 4 დოკუმენტს, რომელსაც ვერაფრით უწოდებ ძალიან მნიშვნელოვანს. კლინტონისა გვესმის. ამერიკული პოლიტიკური დაუწერელი წესების თანახმად, მას არ შეუძლია იკისროს იმ საკითხების გადაჭრა, რომელიც მომავალი ადმინისტრაციის კომპეტენციაში შედის. ეს, რა თქმა უნდა, პუტინსაც კარგად ესმოდა — რუსეთიც ხომ ახლა იწყებს ახალი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტებისა და მარშრუტების დამუშავებას. ამიტომაც არავის დარჩენია შეუმჩნეველი, რომ ორივე პრეზიდენტი ძალიან ცოტას იღიმებოდა.

რაც შეეხება ამერიკა-რუსეთის დღევანდელი ურთიერთობის ძირითად საკითხს — ხელშეკრულებას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის დარგში, იგი ვერ გადაწყდება კლინტონის უფლებამოსილების ვადის დასრულებამდე.

კლინტონი და პუტინი ალბათ კარგ პოლიტიკურ დუეტს შექმნიდნენ, მაგრამ მომავალი წლის იანვარში ამერიკელებს ახალი პრეზიდენტი ეყოლებათ, მანამდე კი ორმხრივ ურთიერთობაში პაუზა ჩამოვარდება. ხელისუფლების ცვლამ მოსკოვსა და ვაშინგტონში არ უნდა აქციოს არარაობად 8 წლის განმავლობაში დაგროვილი ურთიერთნდობისა და თანამშრომლობის პოტენციალი.

სეგოდნია №102

პუტინის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ზოგადევროპული სისტემა



რუსეთის პრეზიდენტის აპენინის ნახევარკუნძულზე გამგზავრება თითქოს სიურპრიზებს არ გვპირდებოდა. თითქოს მხოლოდ ტრადიციულად უნდა დამტკიცებულიყო რუსეთსა და იტალიას შორის ორმხრივი ურთიერთობა; მაგრამ ვიზიტის პირველმა დღემ თითქმის სენსაცია მოახდინა: ვლადიმირ პუტინმა ევროპის ლიდერებს ევროპისთვის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ერთობლივი სისტემის შექმნა შესთავაზა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის, ევროკავშირისა და ნატოს ძალები. მეტიც, პუტინმა თავისი ინიციატივა კონკრეტულ მოქმედებებზე გადაიტანა. იტალიის ხელისუფლების მეთაურს ჯულიანო ამატოს შესთავაზა, ეკისრა შუამდგომლობა და ამ საკითხზე ევროპის სხვა დედაქალაქებს მოლაპარაკებოდა. ძნელი სათქმელია, ამისთვის იყო თუ არა მზად იტალიის პრემიერ-მინისტრი. იტალიის ხელისუფლება პუტინისგან ბილ კლინტონთან მოსკოვის მოლაპარაკების შედეგების დეტალურ გადმოცემას ელოდა, რომლის დღის წესრიგში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის პრობლემას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ამერიკის ეროვნული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნის გეგმამ ევროპის ლიდერებს აფიქრებინა, რომ კრემლი ძლიერ კონტრარგუმენტებს მოძებნის და არ დაუშვებს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ მოლაპარაკებების რევიზიას.

საერთოდ, კრემლის საერთაშორისო ინიციატივის პრეზენტაცია ზუსტად საჭირო ადგილსა და საჭირო დროს მოხდა. ევროკავშირის ხელმძღვანელობასა და აშშ-ის პრეზიდენტთან შეხვედრების შემდეგ რომაული მოლაპარაკებები ჩვეულებრივი ორმხრივი ურთიერთობების ფარგლებს გასცდა. იმასაც არავინ ელოდა, რომ რომი მაშინვე გახდებოდა რუსეთის ინიციატივის აქტიური პროპაგანდისტი. თუმცა იტალიის სახელმწიფო მეთაურმა ჯულიანო ამატომ ნათლად აგრძნობინა, რომ იგი მზადაა, ხელი შეუწყოს მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის შეთანხმების ძიებას.

მოსკოვი იმედოვნებს, რომ რომი დაეხმარება განზრახვის რეალიზებაში, რომელიც სტრატეგიულ სტაბილურობას შეუნარჩუნებს.

ნეზავისიმაია გაზეტა №103

ევროპარლამენტი ინფიცირებული აღმოჩნდა

სანიტარულმა მომსახურებამ დალუქა ევროპარლამენტის ახალი შენობა სტრასბურგში. ევროპარლამენტის შენობაში აღმოჩენილია „ლეგიონერთა დაავადების“ ვირუსი. პანიკა ატეხა სავენტილაციო სისტემის შესაკეთებლად მოწვეულმა გერმანულმა ფირმამ. სამ ოთახში, სადაც განლაგებულია კონდიციონერების ძირითადი მოწყობილობა, დაგროვილი იყო საშინელი ვირუსი, რომლიც ჯერ კიდევ უძველეს დროში ხოცავდა რომაელ მებრძოლებს. ახლა ვერც ერთი ევროპარლამენტარი ვერ შევა შენობაში მანამ, სანამ სანიტრები დეზინფექციას არ გაუკეთებენ ვირუსიან ოთახებს და არ შეამოწმებენ ყოველ კუთხე-კუნჭულს. ამას კი დიდი ძალისხმევა დასჭირდება, ვინაიდან საჭირო იქნება 1113 ოფისის, 100 ოთახის, 6 რესტორნის, 6 ბარის, ურიცხვი ტუალეტის, დერეფნის, კიბის გაწმენდა.

იმედია, რომ ვერავინ მოასწრო ამ საშინელი ვირუსით დაავადება, ვინაიდან პარლამენტარები იქ იკრიბებიან იშვიათად — წელიწადში ერთხელ, მხოლოდ ორი თვით და თანაც მხოლოდ დარბაზებში სხედან. ძირითად დროს ისინი ატარებენ ევროპარლამენტის ძველ შენობაში, ბრიუსელში.

ნიუზუიკი, 8 მაისი

მშვიდობიანი ვაინახი



მას შემდეგ, რაც ინგუშეთის ტერიტორიაზე სამხედრო კოლონა დაწვეს, ინგუშეთის პრეზიდენტი აუშევი იძულებული გახდა განეცხადებინა, რომ პასუხისმგებლობას რესპუბლიკაში მომხდარზე არ იხსნის, მაგრამ ჯარი, რომელიც ბრძოლაში ჩაებმებოდა, არა ჰყავს. როცა ბასაევი ბუდიონოვსკში ჩავიდა, სტავროპოლის გუბერნატორი ამაში არავის დაუდანაშაულებია. არც მ. მაჰომედოვისთვის უთქვამთ საყვედური, როცა ბასაევი და ხატაბი დაღესტანს დაეცნენ. ინგუშეთის პრეზიდენტს კი სულ ბოევიკებისთვის ხელშეწყობაში ადანაშაულებენ. ბისლან განტამიროვმა ამასნინათ აუშევს უსაყვედურა, დაჭრილი ბოევიკები იარებს ინგუშეთში იშუშებენო. ასეც რომ იყოს, საყვედური ინგუშეთის ტერიტორიაზე მოქმედ უშიშროების ფედერალურ სამსახურს უფრო ეკუთვნის, რომელსაც ბოევიკების დაჭერა ევალება და არ არის ინგუშეთის პრეზიდენტის ხელქვეითი.

სავარაუდოა, რომ აუშევის გარემოცვა ცდილობს, კონტაქტი იქონიოს მასხადოვთანაც და საველე მეთაურებთანაც, მაგრამ არც ის სურს, რომ ბოევიკები თავიანთ ტერიტორიაზე იყოლიოს. საველე მეთაურებთან მოულაპარაკებლად როგორ გინდა თავიდან აიცილო მათი შემოჭრა ქვეყანაში? ინგუშეთის პრეზიდენტს კი არ სურს დაუშვას ომი თავის ტერიტორიაზე. მარტო ინგუშეთში მდგომი რუსეთის ჯარის 99-ე დივიზიის იმედზე ვერ იქნება. ფედერალური ცენტრი კი აუშევისგან ითხოვს იმას, რომ იგი ერთდროულად „კონტაქტში არ იმყოფებოდეს ძიებაში მყოფ დამნაშავეებთან“ და ამავე დროს უზრუნველყოს რესპუბლიკაში „სტერილურობა“.

ინგუშებმა ახალი დედაქალაქი მაგასი ტრიალ მინდორზე ააშენეს. მაგასიზე ჯერჯერობით, ვერ იტყვი, დედაქალაქიაო, რადგან ერთადერთი — მოოქრულ გუმბათიანი სასახლე დგას, მაგრამ აქაურები ამბობენ — არც მოსკოვი აშენებულა ერთი ხელის მოსმით, ჩვენმა პრეზიდენტმა რაკი თქვა, — ნამდვილი სატახტო ქალაქი იქნებაო — იქნება.

17-ზე მეტი ხნისებს ახსოვთ ჩეჩენ-ინგუშეთი. იმ ტანდემში ინგუშეთი უმცროსი ძმა იყო. ინგუშები ჩეჩნეთში ჩადიოდნენ სასწავლებლად, სამკურნალოდ, გასართობად. დღეს ჩეჩნებს სჭირდებათ ინგუშების მხარდაჭერა და დახმარება. ადგილობრივები ამბობენ, აუშევს რომ ვაჰაბიტები არ გაეყარა, ჩვენც ჩეჩნების დღეში ვიქნებოდით, მასხადოვი კი სუსტი გამოდგაო. თითოეული ინგუში დარწმუნებულია, რომ მშვიდობიანი ცა მხოლოდ აუშევის წყალობით იქნა შენარჩუნებული. ჩეჩნებმა და ინგუშებმა — საუკუნეების განმავლობაში ერთნაირად იცხოვრეს, მერე კი ჩეჩნეთი გენერალ დუდაევს დარჩა, ინგუშეთი — გენერალ აუშევს. ისიც დუდაევივით პრეზიდენტად იმიტომ აირჩიეს, რომ გენერალი იყო, თანაც „შინაური“.

რუსლან აუშევი 8 წლის წინ ამბობდა, — მე რუსი კი არა, საბჭოთა ოფიცერი ვარო. სინამდვილეში ძველი რეჟიმის რუსი ოფიცერია. პატიოსანი სიტყვა, ფიცის ერთგულება მისთვის უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა. ამას წინათ, პუტინის ბრძანებით, არმიიდან დაითხოვეს — თავად ითხოვა, როცა შემოდგომაზე ჩეჩნეთის მორიგი ომი დაიწყო. იგი, რა თქმა უნდა, არ თანაუგრძნობს ჩეჩნების მოსახლეობის მიმართ ფედერალების ძალისმიერ მოქმედებებს. ამავე დროს სულ ეშინია, რომ ომმა ინგუშეთში არ გადაინაცვლოს. აუშევს დიდი დიპლომატია მართებს — აქეთ ბოევიკები არიან, იქეთ ჩრდილო ოსეთი, ფედერალები, არ იცი, საფრთხე საიდან შეიძლება დაგატყდეს თავს. აუშევს რუსეთთან ომი რომ სდომებოდა, 93-ში დაიწყებდა, მაგრამ ყოველთვის მშვიდობა სურდა და მისი, ბოევიკების მფარველობაში დადანაშაულება შეუძლიათ მხოლოდ იმათ, ვისაც კავკასიის საქმეებისა არაფერი ესმის.

იტოგი №23

გ. ტროშევი: ყველა საფლავი აღრიცხული გვაქვს

ფედერალები ბოევიკთა დანაკარგს ახალგათხრილი საფლავების რაოდენობით აზუსტებენ, ფედერალური დაჯგუფებების მეთაურმა გ. ტროშევმა „კომერსანტის“ კორესპონდენტს უამბო — ყოველ დილას ტერიტორიას თვითმფრინავიდან ვათვალიერებთ, საფლავებს ვითვლით, ჩვენი ვარაუდით, მასხადოვი დაჭრილია. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ თავშეხვეული ნახეს. გარდა ამისა, ჩაწერილია მისი სატელეფონო საუბარი, დიქცია აქვს შეცვლილი, დაბნეული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. (თავად მასხადოვმა განაცხადა, — ცნობა ჩემი დაჭრის შესახებ დეზინფორმციაა).

— ცოცხალ ბოევიკებზე რას იტყვით, რამდენი იქნებიან?

— ვინ იცის. თუმცა ის კი ნამდვილად ვიცით, რომ გროზნოშიც არიან, თუმცა, ცოტა, ალბათ 40-50 კაცი, იარაღს არ აჩენენ, სამხედრო ტანსაცმელი აღარ აცვიათ. მთებში დაახლოებით 1500 ბოევიკი იქნება, ისინი იქ ბევრ ახალგაზრდას იზიდავენ. ამას წინათ მოკლულ აბუ მოვსაევს 60 ჭაბუკი ჰყავდა რაზმში, ყველა გავანადგურეთ.

— ამბობენ, ბოევიკები სხვა რესპუბლიკებში აპირებენ შელწევასო?

— ბოევიკები ინგუშეთში თავისუფლად დასეირნობენ, თუმცა იქ შინაგანი ჯარის კოლონის განადგურების შემდეგ ადგილობრივი მილიცია ცოტა გააქტიურდა.

— ჩეჩნეთში დიდხანს მოგიწევთ ყოფნა?

— ვიდრე ყველა ბანდას არ გავანადგურებთ, მერე მაინც დარჩება 42-ე მოტომსროლელთა დივიზია — 15 ათასი კაცი. გარდა ამისა, რაიონებში დისლოცირებული იქნება 6 პოლკი.

კომერსანტი №103

პრეზიდენტი პუტინი შეეცადა რესპუბლიკაში შეევსო სამართლებრივი ვაკუუმი. მისი ბრძანებით ჩეჩნეთში შეიქმნა ადმინისტრაცია, რომელსაც დაექვემდებარება ხელისუფლების ყველა ფედერალური ორგანო. ადმინისტრაციის შექმნის აზრი მდგომარეობს შემდეგში: არავინ იცის როდის ჩატარდება ჩეჩნეთში არჩევნები, შესაძლებელია ეს მხოლოდ 2-3 წლის მერე მოხდეს, ამიტომაც გარდამავალ ეტაპზე საჭიროა ადმინისტრაცია.

იზვესტია №105

ისრაელ-პალესტინური მოლაპარაკებები კვლავ გაიყინა

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაითი კვლავ ესტუმრა ახლო აღმოსავლეთს. იგი იქ ჩავიდა კიევიდან, სადაც თან ახლდა ბილ კლინტონს ვიზიტის დროს. ოლბრაითი ორჯერ შეხვდა ისრაელის პრემიერ-მინისტრ ეჰუდ ბარაქს და პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელს იასირ არაფატს, რათა კიდევ ერთხელ რჩევა მიეცა მათთვის, სამუდამოდ არ ჩაეშალათ ისრაელ-პალესტინის მოლაპარაკებები. კლინტონის თეთრ სახლში ყოფნის ვადა იწურება; ამერიკის ადმინისტრაციას კი ძალიან უნდოდა, ახლო აღმოსავლეთში სიტუაცია მოეგვარებინა. წარმატებისთვის ამერიკელებმა კონკრეტული პირობები წამოაყენეს. ივნისის ბოლოს აშშ-ში ერთმანეთს უნდა შეხვდეს სამი მხარე — კლინტონი, ბარაქი და არაფატი და 13 სექტემბერს ხელი მოეწეროს ხელშეკრულებას კონფლიქტის საბოლოოდ მოგვარების შესახებ. ამასობაში, მოწინააღმდეგეთა პოზიციები დღითი დღე მკაცრდება. პალესტინელები უფრო მტკიცე ხელს მოითხოვენ იასირ არაფატისგან, რადგან, თუ ისრაელმა სამხრეთ ლიბანიდან ჯარები გაიყვანა, მაშინ მან მეორე რეზოლუციაც უნდა შეასრულოს. იგი გულისხმობს ისრაელის გასვლას პალესტინელების ტერიტორიიდან, რომელიც ადრე ჰქონდა დაკავებული ისრაელს. ისრაელელების აზრით, ამჟამად დათმობა ნიშნავს სისუსტის ჩვენებას. ეჰუდ ბარაქი რთულ სიტუაციაში მოხვდა: ერთი მხრივ, მემარჯვენეთა ბანაკი ნებისმიერ მომენტში შესძლებს ქნესეთში უნდობლობა გამოუცხადოს ხელისუფლებას „ეროვნული ინტერესების“ ღალატისთვის, რადგან მუდმივად დათმობებზე მიდის და მიაღწიოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. ბარაქზე ზეწოლას ახდენს მემარჯვენეთა ბანაკი, არაფატზე კი — მკაცრი ხაზის მომხრეები. მხარეები ვერ წყვეტენ ვერც ერთ საკითხს. ეს ეხება მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ტერიტორიიდან ისრაელის ჯარების გადაყვანის მესამე ეტაპს და ისრაელის ციხეებიდან პალესტინელი პატიმრების განთავისუფლებას. სერიოზული უთანხმოებაა იერუსალიმის მომავალი სტატუსისა და პალესტინელ ლტოლვილთა დაბრუნებასთან დაკავშირებით. არაფატმა ერთხელ კიდევ განაცხადა — 1967 წელს ისრაელელების მიერ დაპყრობილი აღმოსავლეთ იერუსალიმი დამოუკიდებელი პალესტინის ხელისუფლების მომავალი დედაქალაქია. ლტოლვილებს უფლება აქვთ, დაუბრუნდნენ მშობლიურ ადგილებს, სადაც საუკუნეები ცხოვრობდნენ მათი წინაპრებიო. ისრაელელები კი ამბობენ, — ეს ქალაქი „არის და მუდამ დარჩება ებრაელი ხალხის ერთიან და განუყოფელ დედაქალაქად“.

რაც შეეხება ლტოლვილების დაბრუნებას, საზღვართან ასი ათასობით პალესტინელის მოსვლა მათ სიცოცხლეს საფრთხით ემუქრება.

პალესტინელებს მხარს უჭერს მთელი არაბთა სამყარო („ჰიზბალა“, „ჰამასი“). მოლაპარაკებები მაინც უნდა განახლდეს. მაგრამ მაშინ ისრაელს უკვე საქმე არაფატთან კი არ ექნება, არამედ „ჰამასის“ წარმომადგენელი შეიხ იასინთან. თვით ისრაელშიც ძალის გამოყენებამ შესაძლოა, დეკორაციის შეცვლა გამოიწვიოს და მთავარ როლში ულტრამემარჯვენეები გამოვიდნენ.

ნეზავისიმაია გაზეტა №103

შემთხვევები

58 ადამიანი დაიღუპა და 500-ზე მეტი მძიმედ დაშავდა, ათასობით უსახლკაროდ დარჩა კუნძულ სუმატრაზე მომხდარი 7,3 ბალიანი მიწისძვრის შედეგად. სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა იმან, რომ ბემკულუში (იგი ყველაზე ახლოს აღმოჩნდა ეპიცენტრთან) მიმავალი პროდუქტებით და მედიკამენტებით დატვირთული ორი გემი ზღვაში დაიკარგა.

ჩრდილოეთ საფრანგეთში, ქალაქ არასის მახლობლად, რელსებს ასცდა დიდი სიჩქარით (300კმ/სთ) მიმავალი მატარებელი „ევროსტარი“, რომელიც პარიზიდან ლონდონში მიემართებოდა. ვაგონების ნაწილი რელსებზე დარჩა და არც ერთი მათგანი არ გადაყირავებულა. 517 მგზავრიდან მსუბუქად დაშავდა 12 ადამიანი.

2 ადამიანი დაიღუპა და 6 დაიჭრა თურქეთის ცენტრში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შედეგად. მისი სიმძლავრე, რიხტერის შკალის მიხედვით, 5,9 ბალს შეადგენდა. მიწისძვრა იგრძნობოდა ცენტრალურ პროვინციებში, თურქეთის შავიზღვისპირა სანაპიროზე, აგრეთვე დედაქალაქში, სადაც ასობით შეშინებული ადამიანი გამოვარდა ქუჩაში.

რამდენიმე დღის წინ ჩვენს პლანეტაზე დაიწყო ელექტრომაგნიტური ქარიშხალი, რომელიც მზის აქტივობის 11 წლიანი ციკლის პიკს წარმოადგენს. მზეზე მოხდა აფეთქება და შედეგად დედამიწაზე ჩამოვარდა 1 მლრდ ტონა დამუხტული ნაწილაკი, რომლის სიჩქარე 1 საათში 3 მლნ კმ-ია.

ᲞᲘᲠᲨᲣᲨᲮᲐ ᲛᲜᲐᲮᲔᲐ, ᲛᲐᲒᲘᲐᲛ...

დედამიწაზე ძნელად მოიძებნება ადგილი, პირშუშხა რომ არ ხარობდეს. ჯერ კიდევ უსსოვარ დროში ადამიანებმა მისი სასწაულმოქმედი თვისებები ამოიცნეს და გამოიყენეს საკვებად და სამკურნალოდ. არც არის გასაკვირი! პირშუშხას ყლორტები ხომ შეიცავს ცილებს, ნახშირწყლებს, საკვებ ბოჭკოებს, B,C,P ჯგუფის ვიტამინებს, მიკროელემენტებს. პირშუშხას ძირები აღაგზნებს მადას, აწესრიგებს საჭმლის მონელებას, მაგალითად, ძალზე სასარგებლოა ჭამის წინ 1 ჩ/კ გახეხილი პირშუშხას ჭამა, სიცხარის გასანელებლად შაქარი ან თაფლი დაუმატეთ.

სასწაულმოქმედი პირშუშხას ძირი ამაღლებს კუჭის წვენის მჟავიანობას, შლის კენჭებს შარდის ბუშტში, რგებს ნიკრისის ქარს, რევმატიზმს. სამკურნალო საშუალებას ასე ამზადებენ: ახალგახეხილ 1 ს/კ პირშუშხას დაასხით 400 მლ მდუღარე წყალი და დააყენეთ 1 სთ-ით. მიიღეთ 1 ყავის ფინჯანი ჭამამდე, 4-ჯერ დღეში.

პირშუშხა მდიდარია ფიტონციდებით, ამიტომაც აფერხებს ტუბერკულოზის გამომწვევი ჩხირების განვითარებას, ხელს უშლის გრიპის ვირუსისა და სტაფილოკოკების გამრავლებას. გახეხილი პირშუშხა სპობს მიკრობებს და ხელს უწყობს ჩირქოვანი იარების, ჭრილობების მოშუშებას. სურდოს დროს კარგია პირშუშხას ყნოსვა, ანგინის წინააღმდეგ კი გაიკეთეთ მისი ძირის ნაყენის სავლები. გახეხილი პირშუშხას ფაფა შესანიშნავი საშუალებაა პნევმონიის, ბრონქიტის, რადიკულიტისა და მიოზიტის დროს.

ახალგახეხილი პირშუშხა კანის დაავადებებსაც შველის: დღეში 1-2-ჯერ ფერისმჭამელებიან ადგილზე დაიდეთ.

ღვიძლის ქრონიკული ანთების დროს გახეხეთ პირშუშხა, 4 ს/კ გახეხილი პირშუშხა შეაცხელეთ, დააყენეთ 5 წუთი, გაწურეთ და დალიეთ 1 ჩ/კ წვენი ყოველდღე. გახეხილი პირშუშხა შველის კბილის ტკივილსაც.

თუ რადიკულიტმა გაგტანჯათ, ტკივილს გახეხილი პირშუშხას კომპრესები და შეზელვები დაგიამებთ.

პირშუშხას ახალგამოწურული წვენი აძლიერებს კუჭში მარილის მჟავის სეკრეციას და მაღალი მჟავიანობის დროს გასტრიტის სამკურნალოდ იხმარება.

პირშუშხა გამოიყენება როგორც ანტიალერგიული საშუალებაც ჭინჭრის ციების დროს: პირშუშხას წვენს აურიეთ თაფლი, დალიეთ 3 კვირის მანძილზე 1-2 ჩ/ჯ დღის განმავლობაში.

ძველთაგანვე პირშუშხას კოსმეტიკაშიც იყენებენ. თმის ცვენის დროს პირშუშხას წვენი შეიზილეთ თმის ძირებში დღეში 1-2-ჯერ, 2-3 კვირის მანძილზე. მისი, წყალსა და სპირტზე დამზადებული ნაყენი კი მოგაცილებთ ჭორფლსა და პიგმენტურ ლაქებს.

კალეიდოსკოპი №16

ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ

* „ნერვის ანთება“;
* რადიკულიტი;
* ოსტეოქონდროზი;
* „დისკის ამოვარდნა“
* სახსრების დაავადებები.

ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲓᲐᲜ!!!

ᲛᲘᲡ: ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐ, ᲪᲝᲢᲜᲔ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ 87, ᲙᲐᲑ. №11
☎ 69-91-92 (ᲙᲐᲑ.); 61-02-97

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

100%-ᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲘᲗ

ᲥᲐᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲒᲐᲬᲣᲮᲔᲑᲘᲗ ᲭᲐᲠᲑᲝᲗᲛᲘᲜᲘᲜᲝᲑᲐ, ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲐᲒᲣᲚᲘ (ᲜᲐᲞᲐᲠᲡᲘ, ᲞᲘᲜᲪᲔᲢᲘᲗ ᲐᲛᲝᲜᲐᲦᲔᲑᲘ, ᲔᲞᲘᲚᲐᲪᲘᲘᲗ ᲒᲐᲦᲘᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ Ა.Შ.) ᲒᲔᲫᲚᲔᲕᲐᲗ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲒᲐᲜᲘᲙᲣᲠᲜᲝᲗ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲓᲣᲠᲘᲗ ᲗᲘᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲗᲛᲐᲖᲔ. ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲜᲐᲛ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲐᲠ ᲨᲔᲕᲔᲮᲔᲑᲘᲗ ᲗᲘᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲗᲛᲐᲡ (ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ). ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲗᲛᲘᲡ ᲡᲘᲮᲨᲘᲠᲔᲑᲘ. ᲞᲠᲝᲪᲔᲓᲣᲠᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲠᲩᲔᲑᲐᲗ ᲣᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲗᲛᲘᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲒᲬᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐ - 1 ᲡᲗ. - 20$.

ᲛᲘᲡ: ᲠᲩᲔᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ Ქ. (ᲖᲔᲛᲝ ᲕᲔᲠᲐ), ᲙᲝᲠᲐ. 6 ᲡᲐᲓ. II ᲡᲐᲠᲗ. 9
☎ 29-42-58; 899-53-01-41

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲣᲛᲑᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲔᲥᲛᲣᲚᲘ ᲜᲐᲢᲣᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲣᲢᲧᲣᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲗ

ᲦᲠᲫᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲚᲘᲥᲡᲘᲠᲘ
ᲛᲐᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲡᲣᲛᲑᲐᲫᲔ
ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘ „ᲪᲘᲡᲐᲜᲐ“

ᲘᲛᲐᲙᲣᲠᲜᲐᲚᲔᲗ ᲡᲐᲣᲙᲗᲔᲡᲝᲗᲘ
მცენარეული ნაყენი პირის ღრუს და სასუნთქი სისტემის დაავადების სამკურნალოდ (ნებ. №FT-0104)

◆ღრძილების ანთება ◆პარადონტოზი ◆გინგივიტი ◆პიორეა ◆სტომატიტი ◆ჩირქოვანი გლანდები ◆ბრონქების გაწმენდა ნახველისა და ნიკოტინის დანალექებისაგან ◆სურდოს,გრიპისა და ხველების დროს. ◆წამალი მოთავსებულია 0,5 და 0,33 ლ. მინის ჭურჭელში და დაცულია საფირმო ნიშნით.

მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის 141 (9-18სთ.) კვირის გარდა; ილ. ჭავჭავაძის 54 (აფთიაქი, 10-20სთ, ყოველდღე); ცოტნე დადიანის 303 (აფთიაქი, 10-20სთ, ყოველდღე). ტელ: 877-41-86-16; 69-18-38 (საღამოს)

ხერხემლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი ნერვული, კუნთოვანი, მყესოვანი, სახსროვანი და სისხლძარღვოვანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲕᲔᲠᲢᲔᲑᲠᲝᲚᲝᲒᲘ, ᲛᲐᲜᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲔᲠᲐ�პᲔᲕᲢᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲭᲣᲠᲗᲣᲑᲐᲫᲔ

თბილისი, იუ ჯაჯანაშვილის 51, I სართ, ოთახი 9
ტელ: 96-95-69; 877-43-31-26

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევრობის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲓᲐᲯᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐᲐ!!!

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის:
„პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-3 სართ. კაბ. 40-41-42-43. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

ᲗᲣ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲐᲠᲢᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲬᲜᲔᲕᲐ ᲒᲐᲥᲕᲗ...

ᲑᲔᲕᲠᲘ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲗᲐᲕᲡ ᲨᲔᲣᲣᲫᲚᲝᲓ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲪᲣᲓᲐᲓ ᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲐᲛᲓᲐᲕᲡ ᲘᲒᲘᲑᲡ, ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ ᲘᲝᲚ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐᲡ ᲣᲫᲔᲑᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲡ „ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲣᲠᲘ ᲓᲦᲘᲡ“ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲗ ᲘᲛᲨᲕᲘᲓᲔᲑᲡ. ᲔᲡ ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲨᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲧᲐᲠᲐᲓ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲓᲐ. ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲣᲠ ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲚᲔᲑᲖᲔ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜᲘ ᲠᲔᲐᲒᲘᲠᲔᲑᲡ. ᲔᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲨᲘ ᲐᲓᲠᲔᲜᲐᲚᲘᲜᲘᲡ (ᲪᲡᲜᲝᲡᲘᲡ ᲰᲝᲠᲛᲝᲜᲘᲡ) ᲛᲝᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲘᲐ. ᲐᲛ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲘ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲛᲘ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲐᲙᲛᲝᲛ�პᲔᲜᲡᲘᲠᲔᲑᲡ, ᲮᲚᲝᲚᲝ ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲝᲑᲐ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲣᲚᲘᲐ, ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲘ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲡ ᲒᲐᲛᲙᲚᲐᲕᲔᲑᲐ ᲣᲭᲘᲠᲡ ᲓᲐ ᲬᲝᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲠᲗᲣᲚᲓᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲚᲔᲑᲖᲔ, ᲞᲠᲘᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲓᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗᲐᲠᲘ ᲞᲐᲗᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ, ᲝᲠᲘᲕᲔ ᲮᲔᲚᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝᲡ. ᲗᲐᲜᲐᲪ ᲒᲐᲖᲝᲛᲕᲐ 5-10 �წᲗ-ᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲐᲚᲘᲗ 3-ᲯᲔᲠ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲛᲔᲝᲠᲓᲔᲡ. ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲔᲡᲘ, ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲐ. ᲔᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲣᲚᲘ (ᲔᲛᲝᲪᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ Ა.Შ.), ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜᲝᲑᲘᲗ ᲛᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ.

„ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ“

ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲔᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲬᲜᲔᲕᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ ᲗᲐᲕᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲕᲠᲐᲓ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲣᲩᲘᲕᲘᲐᲜ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲐᲠᲪ ᲙᲘ ᲔᲭᲕᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡᲑᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐ ᲔᲡ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗᲘ ᲒᲐᲖᲝᲛᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲘᲜᲝᲜ. ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲡᲔᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲪᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲘᲡ ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲬᲜᲔᲕᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ ᲗᲐᲕᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲕᲠᲐᲓ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲣᲩᲘᲕᲘᲐᲜ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲓᲜᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗᲐᲠᲘ ᲞᲐᲗᲝᲚᲝ�გᲘᲐ ᲐᲠ ᲐᲦᲘᲠᲘᲪᲮᲔᲑᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐᲦᲐ, ᲖᲝ�გᲘᲔᲠᲗ ᲛᲐᲗᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲦᲔᲠᲘ ᲭᲐᲦᲐᲠᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲠᲔᲕᲔᲑᲐ.

ᲯᲠᲜ ᲰᲝᲚᲘᲓᲔᲘᲡ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ „ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲐ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲭᲣᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲦᲘᲠᲘᲑᲣᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲜᲘᲔᲚ ᲠᲔᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲔᲮᲛᲐᲠᲐ, ᲓᲐᲛᲔᲙᲚᲝ ᲬᲝᲜᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲜᲐ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ“.

ᲯᲠᲜ ᲰᲝᲚᲘᲓᲔᲘᲡ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ „ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲐ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲭᲣᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲦᲘᲠᲘᲑᲣᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲜᲘᲔᲚ ᲠᲔᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲔᲮᲛᲐᲠᲐ, ᲓᲐᲛᲔᲙᲚᲝ ᲬᲝᲜᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲜᲐ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ“.

ᲡᲐᲣᲖᲛᲔ: 1 ᲭᲘᲥᲐ ᲒᲠᲔᲘᲞᲤᲠᲣᲢᲘᲡ ᲬᲕᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲛᲐ�გᲠᲐᲓ ᲛᲝᲮᲐᲠᲨᲣᲚᲘ ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲘᲡ ᲛᲮᲚᲝᲚᲝᲓ ᲪᲘᲚᲐ; 1 ᲙᲝᲜᲤᲘᲢᲘᲠᲘᲐᲜᲘ ᲝᲠᲪᲮᲝᲑᲘᲚᲐ. **ᲡᲐᲓᲘᲚᲘ:** 150 გ ქათმის ან ინდაურის თეთრი ხორცი, ბრინჯის ან ორი საშუალო ზომის მოხარშული კარტოფილის გარნირით, ჩაროზად — უშაქრო მაწონი. **ᲕᲐᲮᲨᲐᲛᲘ:** ოხრახუშმოყრილი და ლიმონის წვენმოსხმული ორთქლში მოხარშული 200 გ თევზი, მოხარშული ლობიო ან ნედლი კიტრი. **ᲫᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ:** ვაშლი. დღის განმავლობაში უნდა დალიოთ სულ ცოტა, 2 ლ უგაზო მინერალური წყალი. არავითარ შემთხვევაში არ დალიოთ წყალი ჭამის შემდეგ. გარდა ამისა, ყოველდღიურად საათი, საათ-ნახევარი უნდა ივარჯიშოთ. ამგვარი დიეტით ერთი თვის განმავლობაში საერთოდ დაკარგავთ ზედმეტ წონას.



ᲩᲐᲡᲢᲜᲐᲘᲐ ᲧᲘᲖᲜ №10

ᲩᲘᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲗᲐ 80%-ᲨᲘ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲐᲠᲢᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲬᲜᲔᲕᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲞᲐᲗᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲐᲓ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐᲐ. ᲛᲐᲗᲗᲝᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘᲐ:

— ᲛᲝᲗᲔᲜᲘᲗᲘᲚᲝᲑᲐ, ᲡᲘᲡᲣᲡᲢᲣ;

— ᲗᲐᲕᲨᲘ ᲡᲘᲛᲫᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲒᲠᲫᲜᲔᲑᲐ;

— ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲨᲔᲒᲠᲫᲜᲔᲑᲐ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲐᲠᲔᲨᲘ;

— ᲗᲐᲕᲑᲠᲣᲡᲮᲕᲔᲕᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲗ ᲤᲔᲮᲖᲔ ᲓᲒᲝᲛᲘᲡᲐᲡ ᲐᲜ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲓᲐᲮᲠᲘᲡᲐᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ;

— ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲰᲘ�პᲝᲗᲝᲜᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲢᲘ�პᲣᲠᲘᲐ ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲣᲜᲔᲑᲐ-ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲨᲔᲪᲕᲚᲐ. ᲨᲣᲐᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲓᲐᲦᲚᲘᲚᲝᲑᲗᲐ ᲓᲐ ᲣᲦᲝᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲒᲠᲫᲜᲔᲑᲘᲗ ᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ. ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘᲐ ᲛᲪᲘᲠᲔᲓᲘ ᲓᲐᲡᲕᲕᲔᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲕᲘᲗᲨᲔᲒᲠᲫᲜᲔᲑᲐ ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲓᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ Ე.Წ. ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲣᲠᲘ ᲰᲘ�პᲔᲠᲢᲝᲜᲘᲐᲐ, ᲠᲐᲪ ᲘᲛᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲝᲠᲒᲐᲜᲣᲚ, ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚ ᲞᲐᲗᲝᲚᲝ�გᲘᲐᲡ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲓ�გᲘᲚᲘ. ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲞᲣᲚᲡᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲪ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲝᲡ (ᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲜ ᲨᲔᲜᲔᲚᲔᲑᲐ)...

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲕᲣᲛᲙᲚᲐᲕᲓᲔᲗ...

ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲖᲝ�გᲯᲔᲠ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲗᲛᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲐ. ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲗ:

— ᲓᲦᲘᲗ, ᲒᲐᲦᲕᲘᲫᲔᲑᲘᲡᲐᲡ (ᲣᲜᲓᲐ ᲒᲔᲫᲘᲜᲝᲗ ᲡᲐᲣᲨᲐᲚᲝᲓ 8 ᲡᲐᲐᲗᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ), ᲡᲐ�წᲝᲚᲘᲓᲐᲜ ᲣᲪᲔᲑ ᲐᲠ ᲬᲐᲛᲝᲛᲓᲒᲔᲗ. 3-5 ᲬᲣᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲪᲐᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲜᲔᲚᲐ ᲐᲓᲔᲥᲘᲗ.

— ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ 30-40 ᲬᲣᲗᲘᲗ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲨᲕᲘᲓᲐᲓ, ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲓᲐᲮᲣᲭᲣᲚᲛᲐ ᲓᲐᲘᲡᲕᲔᲜᲝᲗ.

— ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲡᲠᲣᲚᲤᲐᲡᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐᲪ.

— ᲗᲣᲙᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲣᲪᲔᲑ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ „ᲒᲐᲛᲝᲪᲚᲘᲡ“ ᲨᲔᲒᲠᲫᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲒᲔᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗ — ᲠᲐᲛᲘᲛᲔ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲗ.

— ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲣᲚᲣᲤᲔᲑᲐᲓ ᲛᲘᲘᲦᲔᲗ.

— ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲙᲠᲔᲑᲐᲓ ᲓᲐ ᲒᲣᲜᲔᲑᲐ-ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲜᲐᲧᲔᲜᲘᲡ ᲐᲜ ᲐᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ, ᲔᲚᲔᲣᲗᲔᲠᲝᲙᲝᲙᲘᲡ ᲬᲕᲔᲗᲔᲑᲘ (15-20 ᲬᲕᲔᲗᲘ ᲓᲦᲔᲨᲘ 3-ᲯᲔᲠ), ᲟᲔᲜ-ᲨᲔᲜᲘᲡ ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲧᲔᲜᲘ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘ ᲡᲢᲘᲛᲝᲚᲘ. ᲔᲡ ᲡᲐᲣᲨᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ 10-14

ვით შეიძლება შეიცნოს ინგლისი იმან, ვინც მხოლოდ ინგლისს იცნობს?

რედიარდ კიპლინგი

ინგლისურენოვან მკითხველთა უმრავლესობას ჟურნალ-გაზეთის ფურცლებზე თვალში რომ მოხვდება სიტყვა „ასასინი“, ალბათ, წარმოდგენაც არა აქვს, სად და როდის დაიბადა ეს ეგზოტიკური სიტყვა, როგორ მიაღწია ინგლისამდე და რაოდენ საოცარსა და თავზარდამცემ მოვლენებს უკავშირდება.

„ასასინი“ ინგლისურ ენაში ნიშნავს პოლიტიკური ან საზოგადოებრივი მოღვაწის მკვლელს, ტერორისტს; ხოლო ამავე სიტყვიდან ნაწარმოები ზმნა — მკვლელობას პოლიტიკური მოტივით, ტერორისტულ აქტს. ჩვეულებრივი მკვლელისა და მკვლელობის აღსანიშნავად ამ სიტყვას, როგორც წესი, არ ხმარობენ.

ზემოხსენებული სიტყვა მოიპოვება ფრანგულ, იტალიურ და ესპანურ ენებშიც, ოღონდ, განსხვავებით ინგლისურისგან, ტერორისტული იერით არ არის შემოფარგლული.

„ასასინი“ დამახინჯებული ფორმაა არაბული სიტყვისა „ჰაშაშინ“ (ჰაშიშის მწევლები), მაგრამ რატომ გადასხვაფერდა, არაბულიდან ინგლისურში შეჭრისას, ჰაშიშის მწეველი — ტერორისტად? ეს მეტამორფოზა ორიოდე სიტყვით ვერ აიხსნება, მისი საიდუმლოება საუკუნეთა სიღრმეშია ჩამარხული.

მაჰმადიანურ სამყაროში ასასინებს მოიხსენიებდნენ „მულიდების“ სახელით. ეს სიტყვაც არაბული წარმოშობისაა და ნიშნავს ერეტიკოსს (მწვალებელს) რჯულგანდგომილს.

ქართული წყარო „მულიდს“ განმარტავს არა სარწმუნოებრივი ასპექტით, არამედ მათი მოღვაწეობის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშნით: „კაცისმკვლელნი მიპარვითა, რომელთა მულიდად უწოდიან“.

პოლიტიკური ტერორი უხსოვარ დროთაგან მოსდევს კაცობრიობის ისტორიას, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ არავის მიუნიჭებია ესოდენ არსებითი როლი მისთვის, როგორც ასასინებს. ამიტომაც სავსებით ბუნებრივი და ლოგიკურია ის ფაქტი, რომ რვა-ცხრა საუკუნის წინანდელ ტერორისტებს უკვდავება მოუხვეჭიათ ევროპულ ენებში და ესტაფეტასავით გადაუციათ თავიანთი მეტსახელი სხვადასხვა ჯურისა და ელფერის „შთამომავალთათვის“, შხამიანი სოკოებივით რომ მომრავლებულან ჩვენს ეპოქაში.

ესპაანის ხედი

პანიკა ისპაანში

ისპაანის ერთ ქუჩაზე საღამოობით ერთი უსინათლო კაცი იდგა ხოლმე, სახელად ალავი მადანი, ხელში ჯოხი ეჭირა და გამვლელ-გამომვლელს ეკედრებოდა: ალაჰმა შეიწყალოს კეთილი ადამიანი, ვინც ხელს ჩამკიდებს უსინათლოს და ჩემი სახლის ჭიშკართან მიმიყვანსო. ქუჩა გრძელი და ბნელი იყო, ხოლო სახლი უსინათლოსი ამ ქუჩის ბოლოში მდებარეობდა.

როდესაც გულისხმიერი გამვლელი უსინათლოს მისი სახლის ჭიშკრამდე მიაცილებდა, მოულოდნელად თავს ესხმოდნენ, ეზოში შეათრევდნენ და ჭაში ჩაგდებდნენ. ოთხი-ხუთი თვის მანძილზე ქალაქში მცხოვრები მრავალი ჭაბუკი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ისინი თვალით აღარავის უნახავს. არც მკვდრებში ითვლებოდნენ და არც ცოცხლებში.

ერთხელაც, მათხოვარ ქალს, რომელსაც სწორედ ამ სახლთან შეერჩია თავისი სადგომი, ხმამაღლა კვნესა მოესმა იქიდან და მყისვე წამოიძახა: „დაე, ალაჰმა განკურნოს სნეული!“ იმ სახლის მობინადრეებმა კი იფიქრეს, მათხოვარი ქალი ჩვენს ავკაცობას მიხვდაო და ვითომ მოწყალების გასაცემად მოიწადინეს მისი შეტყუება სახლში, მაგრამ მათხოვარი დაფრთხა და გაქცევით უშველა თავს.

პირველივე შემხვედრს უამბო: „ამა და ამ სახლიდან კვნესა მომესმა, შევშფოთდი, მერე სახლიდან ვიღაცები გამოვარდნენ და ჩემი შეპყრობა სცადეს. ძლივს გამოვასწარი“.

მათხოვარი ქალის ნაამბობი ელვისებური სისწრაფით გავრცელდა ქალაქში. მთელი ისპაანი აწრიალდა. შეგროვდნენ მითითებულ სახლთან, ბევრი არ უყოყმანიათ, გაუფრთხილებლად შეცვივდნენ ეზოში, მიჩხრიკ-მოჩხრიკეს სახლის ყველა კუთხე და კუნჭული, მიაგნეს გასასვლელს სარდაფებისაკენ და ხუთასამდე გვამი აღმოაჩინეს იქ — ზოგი დაკლული იყო, ზოგიც ლურსმნებით მიეჭედათ კედელზე, ორი თუ სამი კაცი სულს ღაფავდა.

მოდიოდნენ ქალაქის მცხოვრენი, ათვალიერებდნენ სარდაფებს, მიცვალებულთა შორის ზოგი პოულობდა ნათესავს, ზოგიც — მეგობარს. მთელს ისპაანში ისეთი მოთქმა-გოდება ატყდა, რომლის მსგავსი არავის ახსოვდაო.

ის კაცი, ვითომ უსინათლო რომ იყო, და მისი ცოლი შეიპყრეს, მერე მათ თანამზრახველებსაც მიაკვლიეს და საჯაროდ დაწვეს ბაზარში.

ისინი მულიდები იყვნენ.

ზემოხსენებული ამბავი მომხდარა X საუკუნის დამდეგს.

მკვლევარებს ეჭვი შეაქვთ სპარსელი ისტორიკოსის მონათხრობის სიზუსტეში (სხვათა შორის, ამ ამბავს იმოწმებენ მომდევნო ხანის სპარსული წყაროები, აგრეთვე — ცნობილი არაბი ისტორიკოსებიც).

დაუჯერებლად მიაჩნიათ მსხვერპლთა ოდენობა და ის გარემოებაც, რომ გვამებს ოთხი-ხუთი თვე ინახავდნენო.

დაუჯერებლად მიაჩნიათ ისტორიკოსის ის ცნობაც, თითქოს მულიდთა რჯულზე (თუ ურჯულოებაზე) 30 ათასი კაცი იყო მოქცეული ისპაანში, მაშინ როდესაც მთელი მოსახლეობა 100 ათასს არ აღემატებოდაო.

მაგრამ ზემოთ მოთხრობილი ამბავი იმით არის ნიშანდობლივი, რომ გამოხატავს უსაზღვრო პანიკასა და მძვინვარე სიძულვილს, რასაც მულიდები იწვევდნენ თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში.

არწივის ბუდე

კასპიის ზღვის სამხრეთით, ჩრდილოეთ ირანის მიუვალ მთებში ფრიალო კლდეებით გარშემორტყმული იდგა სახელგანთქმული ციხე ალამუთისა — მულიდთა ანუ ასასინთა მბრძანებლის რეზიდენცია.

ალამუთი, უფრო ზუსტად კი ალუჰ-ამუთ, სპარსული ენის ერთ-ერთ დიალექტზე ნიშნავს „არწივის ბუდეს“. ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე იჯდა ალამუთში ასასინთა პირველი მბრძანებელი ჰასან იბნ საბაჰი და მისი ერთი სიტყვაც კმაროდა იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ თავს დასხმოდნენ მოსაკლავად თურქ-სელჩუკთა რომელიმე სარდალსა თუ დიდმოხელეს.

ასასინთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა იწყება 1090 წლიდან, როდესაც ისინი დაეპატრონენ ალამუთს. დროთა განმავლობაში 50-მდე ციხესიმაგრე იგდეს ხელთ მთელი ირანის ტერიტორიაზე. ასასინთა უპირველესი მიზანი იყო თურქ-სელჩუკთა ბატონობის დამხობა.

ალამუთიდან ქვეყნის ოთხივე მხარეს იგზავნებოდნენ გამოწვრთნილი ტერორისტები ანუ ფიდაები (არაბულად ჰქვია „თავგანწირულს“) თავიანთი მბრძანებლის დავალების შესასრულებლად.

ისინი დიდხანს დაძრწოდნენ ხოლმე ერთი ადგილიდან მეორეში, ვიდრე მოიხელთებდნენ მარჯვე შემთხვევას დაგეგმილი მკვლელობისათვის.

ფიდაი ინიღბებოდა ხან ვაჭრად, ხანაც მათხოვრად, მსახურად, დერვიშად და ამგვარად ახერხებდა შეღწევას ყველგან, სადაც კი საჭირო იყო შეღწევა. ბაღდადის ხალიფას მკვლელები მისივე ამალის წევრებად იყვნენ გადაცმული!

მაგრამ ყველაზე შემაძრწუნებელი ის იყო, რომ ასასინები ითქვიფებოდნენ მოსახლეობის ყველა ფენაში.

მთელი აღმოსავლეთი ძრწოდა ასასინთა წინაშე. ცენტრალური აზიიდან ვიდრე ხმელთაშუა ზღვის ნაპირებამდე გაბატონებულმა თურქ-სელჩუკებმა რამდენჯერაც არა სცადეს ალამუთის აღება, იმდენჯერვე მოეცარათ ხელი. ბუნებრივი პირობები და ციხის გარნიზონის შეუპოვრობა გადაულახავი დაბრკოლება იყო მტრისათვის.

ალამუთი, იმდროინდელი სამხედრო ტექნიკის გათვალისწინებით, მართლაც აუღებელ ციხედ ჩაითვლებოდა. დღესაც კი, როცა ვეებერთელა კლდეზე აგებული ალამუთის ნანგრევებიღა შემორჩენილა, მნახველი ვერ მალავს გაოცებას.

აი, როგორ აღწერს თანამედროვე ინგლისელი ირანისტი ლოურენს ლოკარტი ალამუთში ვიზიტის შთაბეჭდილებას:

„მზე ჩავიდა. ალამუთის კლდე ბანაობდა მთვარის ლბილ შუქში. ჩვენს ზემოთ მდებარე ციხის კედლები აღარ ჰგავდნენ გაპარტახებულ ნანგრევებს. ისტორიული ციხე თითქოს მკვდრეთით აღმდგარიყო. საოცრად სუფთა ჰაერი მთისა, ბადრი მთვარის შუქი და რომანტიკული გარემო გვიჯადოებდა. მცირეოდენი წარმოსახვაღა იყო საჭირო საიმისოდ, რომ ჩვენს თვალწინ გაცოცხლებულიყვნენ ჰასან იბნ საბაჰი და მისი ერთგული ფიდაები — ალამუთის ბატონ-პატრონებად“.

დამოწმებული ტექსტი ეკუთვნის არა მეოცნებე პოეტის კალამს, არამედ გულცივსა და უტყუარი ფაქტების ტრფიალ მეცნიერს.

თანხმობის ხელი მიიდო მკერდზე

ახდა წინასწარმეტყველება ანუ წინასწარ განჭვრეტა თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს სახელგანთქმული ვეზირის — ნიზამ ალ-მულქისა. თავის პოლიტიკურ ტრაქტატში, ხელმწიფის სახელმძღვანელოდ რომ დაწერა, მან საგანგებო თავი მიუძღვნა მწვალებლებს, ქვეყნისა და ისლამის მტრებს.

ნიზამ ალ-მულქი მულიდთა შესახებ წერდა:

„არ არსებობს ადამიანთა არც ერთი ფენა უფრო ავბედითი, უფრო ავადმორწმუნე, უფრო ბოროტმოქმედი, ვიდრე ესენი. დაე, იცოდეს ხელმწიფემ, რომ მათ ამ სახელმწიფოს მიმართ ავი ზრახვები უდევთ გულში. ლამობენ, ზიანი მიაყენონ სარწმუნოებას. ყოველ ჩქამს აყურადებენ, თვალის ყოველ დახამხამებას აკვირდებიან. ალაჰმა ნუ ქნას, ამ ძლევამოსილ სახელმწიფოს რაიმე უბედურება შეემთხვეს ანდა ამბოხებამ იფეთქოს. ეს ძაღლები საიდუმლო თავშესაფრებიდან გამოვლენ და აღდგებიან ამ სახელმწიფოს დასამხობად. გააჩაღებენ განხეთქილებას, წარმოიქმნება ქიშპი, მწვალებლობა, პარტახი. არაფერს დატოვებენ ხელუხლებლად. მე რომ სახურავი ავხადო ამ ქვაბს, ო, როგორი სიმყრალე ამოიფრქვევა იქიდან! როდესაც აღარ ვიქნები ამქვეყნად, გაცხადდება მათი ხრიკები და ნგრევა ქვეყნისა“.

ნიზამ ალ-მულქი დაჟინებით ლამობდა ჰასან იბნ საბაჰის შეპყრობას. (სხვათა შორის, ლეგენდის თანახმად, ისინი სკოლის მეგობრები იყვნენ).

ასასინთა პირველი მბრძანებელიც თვალნათლივ ხედავდა, რომ სულისჩამდგმელი მულიდებთან ბრძოლისა სწორედ თურქ-სელჩუკთა უპირველესი ვეზირი იყო. გადაწყდა, რომ ფიზიკურად მოესპოთ თავიანთი მთავარი მტერი.

ჰასან იბნ საბაჰმა ასე მიმართა თავის ხელქვეითებს: ვინ არის თქვენში ის, ვინც ბოლოს მოუღებს ნიზამ ალ-მულქის ავკაცობას?

ვინმე აბუ თაჰირ არანიმ, სპარსული წყაროს გამოთქმით, „თანხმობის ხელი მიიდო მკერდზე“.

„კაცისმკვლელნი მიპარვითა“

1092 წლის 16 ოქტომბერს ქალაქ ჰამადანის მახლობლად სუფის სამოსელში გადაცმული ტერორისტი მიუახლოვდა ვეზირის ტახტრევანს, რომელიც თავისი ჰარამხანის კარვისაკენ მიეშურებოდა და დანით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. მერე გაქცევა სცადა, მაგრამ ფეხი წამოკრა კარვის თოკს, წაიქცა, დაეწივნენ და მოკლეს.

ნიზამ ალ-მულქი ფიდაების პირველი მსხვერპლი იყო. ჰასან იბნ საბაჰმა წარმოთქვა: ამ კაცის მოკვლა ჩვენი პირველი იღბალი არისო.

ოცი დღის შემდეგ მოულოდნელად გარდაიცვალა თურქ-სელჩუკთა ყველაზე გამოჩენილი ხელმწიფე მალიქ-შაჰი. ფიქრობენ, რომ იგი მულიდებმა მოწამლეს. მისმა სიკვდილმა სათავე დაუდო ხანგრძლივ შინაომებს სელჩუკიანთა შორის.

სისხლიანი დავთარი

მონღოლთა სამსახურში მყოფი სპარსელი ისტორიკოსი ჯუვეინი, მოწმე და თვითმხილველი მონღოლთა მიერ ალამუთის აღებისა (1256წ.), აღნიშნავს, რომ მულიდების მსხვერპლთა ჩამოთვლა ძალზე მომქანცველი იქნებოდაო. ჯუვეინი უშუალოდ გაეცნო ალამუთის მდიდარ ბიბლიოთეკას, მაგრამ საჭიროდ არ მიიჩნია თავის თხზულებაში დაეხატა ტერორისტთა სისხლიანი სტატისტიკის სრული და ამომწურავი სურათი.

გამოხდა თითქმის ერთი საუკუნე და ასევე სპარსელმა ისტორიკოსმა რაშიდ ად-დინმა, იმავე წყაროების საფუძველზე მომავალ თაობებს დაუტოვა მულიდთა მიერ გულდასმით შედგენილი დავთარი, სადაც ზედმიწევნით ზუსტად არის აღნიშნული მსხვერპლთა სახელები და თანამდებობანი, აგრეთვე ტერორისტის სახელი და სადაურობა. მითითებულია მკვლელობის წელი, ხშირად — თვეც. ზოგჯერ ტერაქტში მონაწილეობს მთელი ჯგუფი და ხშირად თავდამსხმელთა ოდენობა აღინუსხება დაუსახელებლად (ასე მაგალითად, ეგვიპტის ხალიფას მკვლელობაში შვიდი ფიდაი მონაწილეობდა).

რაშიდ ად-დინის თხზულებაში მოტანილია სამი სია იმ პირთა, რომლებიც შეეწირნენ ასასინთა ტერორს X-X საუკუნეებში.

პირველ სიაში ჩამოთვლილია ჰასან იბნ საბაჰის მმართველობის დროს (1090-1124) მოკლული 49 კაცი. მეორე და მესამე სიაში მისი მემკვიდრეების მმართველობისას მოკლულნი, შესაბამისად — 12 და 14 მსხვერპლი.

1162 წლის შემდეგ, ეტყობა, სიები აღარ შეუდგენიათ ანდა დაკარგულა.

სიებში ჩამოთვლილია, ძირითადად, საზოგადოების ზედა ფენების წარმომადგენლები: ხალიფები, სულტნები, ვეზირები, სპასალარები, სამხედრო თუ სამოქალაქო დიდმოხელენი, უმაღლესი სასულიერო პირნი, ყადიები (მსაჯულნი).

ამ ელიტურ საზოგადოებაში გარეულა რამდენიმე მდაბიორიც, რენეგატებად რომ შეურაცხავთ და სიკვდილით დაუსჯიათ ღალატისათვის.

ასასინთა ხელთაგან დაღუპულია 8 ხელმწიფე!

ასასინები უშუალოდ ბრძოლის ველზე მოკლულთა ოდენობას თუ ვინაობას, რა თქმა უნდა, არ აღნუსხავდნენ და ვერც ხელეწიფებოდათ.

ასასინთა ტერორის გეოგრაფია ფრიად შთამბეჭდავია: ბაღდადი, კაირო, დამასკო, მექა, ისპაანი, თავრიზი, განჯა და... თბილისი. დასავლეთ ევროპამდეც მიუღწევიათ: მილანი, პარიზი, ლონდონი.

ერთხანს ასასინები მონღოლთაგან დევნილ ხვარაზმშაჰ ჯალალედინს დაუმეგობრდნენ მონღოლებთან საბრძოლველად.

არსებობს ცნობა, რომ ისინი თან ახლდნენ ჯალალედინს საქართველოში ლაშქრობისას.

...ასასინთა ფანტასტიკური აქციებით გაოგნებული მოსახლეობა ვარაუდობდა, რომ ფიდაების თავგანწირვა მხოლოდ რკინის დისციპლინითა და მბრძანებლის წინაშე ბრმა მორჩილებით არ იქნებოდა შთაგონებული. ფიქრობდნენ, რომ გადამწყვეტ როლს თამაშობდა ჰაშიში. ამ ნარკოტიკით გაბრუებულს ეზმანებოდა სამოთხე და ახალგაზრდა ფიდაი უკვე მზად იყო სიკვდილისათვის, ოღონდ კი სამოთხეში დაბრუნებულიყო.

მაგრამ ფიდაების მოთმინება, მოხერხება, ცბიერება, ფხიზელი ანგარიში და მაღალი დონის პროფესიონალიზმი თითქოს არ უნდა შეესაბამებოდეს ნარკომანის ქმედებას.

ასე რომ, ევროპულ ენებში დამკვიდრებული სიტყვა „ასასინი“, რომელსაც აღარ ახსოვს თავისი წარმომავლობა ჰაშიშიდან, ალბათ, გაუგებრობის ნიადაგზე აღმოცენებულა.

თბილისის ყადის მკვლელობა

რაშიდ-ად-დინის თხზულებაში, ალამუთის მბრძანებლის მუჰამედ იბნ ბუზორგომიდის მმართველობის ჟამს, ფიდაების მიერ დახოცილ პირთა სიაში მოხსენიებულია თბილისის ყადი.

ეს მკვლელობა მომხდარა 1139 წელს. დასახელებულია მკვლელიც — იბრაჰიმ დამღანი. იქვე აღნიშნულია მკვლელობის მოტივი. თურმე, ყადის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანია სამართალში მიცემული რამდენიმე მულიდისათვის.

მაშასადამე, თბილისის ყადი შურისძიების მსხვერპლი გამხდარა. როგორც ჩანს, მულიდებს აქტიური მოღვაწეობა ჰქონდათ გაჩაღებული თბილისში.

თუ გავითვალისწინებთ დავით აღმაშენებლისა და მის მემკვიდრეთა რჯულშემწყნარებლობით პოლიტიკას, ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ თბილისში მცხოვრებ მაჰმადიანთა მფარველობა, უთუოდ, გამოიწვევდა დაპირისპირებას მულიდებთან.

არაბი ისტორიკოსის სიტყვით, დავით აღმაშენებელი მაჰმადიანებს ეპყრობოდა უფრო მეტი პატივისცემით, ვიდრე თვით მაჰმადიანი ხელმწიფენი. ცხადია, საქართველოს მეფე თურქ-სელჩუკთა სულტნებზე არანაკლები გულმოდგინებით დაიცავდა თბილისის მაჰმადიანურ მოსახლეობას მულიდთაგან.

ეგებ ამიტომაც წერს სპარსელი ისტორიკოსი, რომ გურჯისტანში მულიდთა გააქტიურება მოჰყოლია დავით აღმაშენებლის მიერ ქალაქ თბილისის აღებას (1122წ.).

საქართველოს ხელისუფლება, რასაკვირველია, ვერ შეურიგდებოდა ალამუთს დაქვემდებარებულ მეამბოხეთა ქსელს საქართველოს სამეფოს ტერიტორიაზე. თავის მხრივ, მულიდთა მოძრაობის არსი და მიზნები, ფაქტობრივად, გამორიცხავდა კეთილგანწყობას რომელიმე ხელისუფლების მიმართ, მაჰმადიანური იქნებოდა თუ ქრისტიანული.

აღმოსავლური წყაროების თანახმად, მულიდები თავიანთ უპირველეს მოვალეობად თვლიდნენ, რომ ყველანაირი ზიანი მიეყენებინათ ყველა მაჰმადიანისათვის. რაც უფრო მეტ მაჰმადიანს მოკლავდნენ და რაც უფრო სასტიკი ხერხებით, მით უკეთესი იქნებოდაო.

საქართველოშიც ჩინებულად იცნობდნენ მულიდებს და კარგად უწყოდნენ მათი ასავალ-დასავალი, მათი შავბნელი საქმენი.

რუსთველოლოგიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯთა პროტოტიპად სწორედ მულიდები უნდა ვიგულისხმოთ.

თამაზ ნატროშვილი

ქ. თბილისის საერო ორსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი აცხადებს მიღებას

I საფეხური – საშუალო სამედიცინო განათლება (კოლეჯი) – სამკურნალო საქმის, სამეანო საქმის, ფარმაცევტულ და ორთოპედიული სტომატოლოგიის სპეციალობებზე.

II საფეხური – უმაღლესი სამედიცინო და ფარმაცევტული განათლება – სამკურნალო ფაკულტეტი (ფოტოთერაპია, ჰომეოპათია), ფარმაცევტული ფაკულტეტი.

კოლეჯში მიღება იწარმოებს 9 და 11 კლასის ბაზაზე, შესაბამისად I და II კურსზე გამოცდების გარეშე ჩარიცხვით.

სამკურნალო და ფარმაცევტული ფაკულტეტის დასწრებული სწავლების განხრით მიიღებიან საშუალო განათლების მქონე, საშუალო სამედიცინო და ფარმაცევტული განათლების მქონე პირები.

ფარმაცევტული ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან: ფარმაცევტები (კოლეჯდამთავრებულები), ბიოლოგები მეორე კურსზე, ხოლო უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირები მესამე კურსზე განსხვავებული საგნების ჩაბარების უფლებით – უგამოცდოდ.

სამკურნალო და ფარმაცევტული განყოფილების დასწრებული სწავლების მსურველები გამოცდებს აბარებენ: მკურნალები – ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), ბიოლოგიაში (ზეპირი). ფარმაცევტები – ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), ქიმიაში (ზეპირი).

განცხადებები მიიღება 10.06-დან 20.08 ჩათვლით გარდა შაბათ-კვირისა 11-18 სთ-მდე. გამოცდები ჩატარდება 21.08-დან 25.08-მდე.

მის: ალ. ყაზბეგის №39 (ყოფილი პავლოვი), მე-60 საშ. სკოლა, IV სართ, მ. „ბოცირიძე“.

☎ 39-67-74

ᲓᲠᲝᲰᲗᲐᲡ ᲪᲘᲛᲘᲡ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐ

ჩინეთსა და ტიბეტს შორის არის ერთი მიუვალი, ნაკლებად ცნობილი ადგილი ბაიან ყარა-ულა. იგი გარშემორტყმულია უსიერი ტყეებითა და პიტალო კლდეებით. მსოფლიო ომამდე ჩინელმა არქეოლოგებმა აქ აღმოაჩინეს ხელოვნური გამოქვაბული, რომელიც გამოდგა უძველეს ტომთა საძვალე. 716 ჩონჩხის მიხედვით გამოირკვა, რომ აქაურობის ოდინდელი ბინადარნი 130 სმ სიმაღლისა იყვნენ. სწავლულები ვარაუდობდნენ, რომ ნეშტი ეკუთვნოდა აქამდე უცნობ რასას. სამარხში იპოვეს აგრეთვე ლითონის ფირფიტები, რომელთა შემადგენლობაში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით კობალტი და სხვა მეტალები. სავარაუდოა, რომ ისინი ან იმუხტებოდნენ რომელიღაც ელექტროწყაროთი, ან თავად წარმოადგენდნენ ელექტრონულ გამტარებს.

იქვე აღმოჩენილ 716 ქვის დისკოს ზედაპირზე ამოკაწრული იყო პაწაწინა სიმბოლოებითა და ნიშნებით დაფარული სპირალები. მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ ეს იყო უძველესი წიგნები. შემდგომმა კვლევამ დაადასტურა, რომ უცხოპლანეტელთა ხომალდი 12 ათასი წლის წინ სწვეია დედამიწას და ბაიან ყარა-ულთან განიცადა კატასტროფა. ამ ადგილებში ცხოვრობდნენ ქჰამის ტომის ველურები. ისინი თავიდან მტრულად შეხვდნენ გადარჩენილ ციურ სტუმრებს, მერე კი საერთო ენა გამონახეს და დროპა შეარქვეს.

ე.წ. დროპას ხალხი აღმოჩნდა სირიუსის სისტემის ერთ-ერთი ვარსკვლავის მკვიდრი. ისინი ბევრს მოგზაურობდნენ კოსმოსში და შემთხვევით მოხვდნენ დედამიწაზე.

გამოქვაბულის კედლებზე აღმოჩნდა ნახატები — მზის, მთვარის, დედამიწისა და ჩვენთვის უცნობი ვარსკვლავების სქემები, რომლებიც ერთმანეთს პუნქტირით უკავშირდებიან. ამ ნახატებისა და თავად გამოქვაბულის ასაკი 10 ათასი წელია. ჩვენი საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც ინტენსიურად მიმდინარეობდა გამოქვაბულების გამოკვლევა, იქ ჯერ კიდევ სახლობდნენ დროპას ტომის ნახევრად ველური ნაშიერნი. ისინი გარეგნულად არც ჩინელებს ჰგვანან და არც ტიბეტელებს. ტანად პატარები არიან — 1 მ სიმაღლისანი. ექსპერტებმა დღემდე ვერ დაადგინეს, რომელ რასას შეიძლება ეკუთვნოდნენ დროპები.

პალეოკონტაქტი №24

ᲝᲙᲘᲩᲝᲑᲘᲡ ᲢᲑᲘᲡ ᲣᲠᲩᲮᲣᲚᲘ

ფლორიდის შტატის ათასობით მცხოვრები ირწმუნება, რომ ოკიჩობის ტბის მიდამოებში ნახეს ცნობილ ლოხ-ნესზე გაცილებით დიდი მონსტრი-რეპტილია.

გიგანტურ ცხოველს აქვს გრძელი, ქერცლიანი კისერი, წააგავს დინოზავრს, მისი სიგრძე 22 მ-ია. ფლორიდის სასწაული უფრო საშიში და აგრესიულია, ვიდრე ძველი მონსტრი.

მარკ ტეგერონი ტბაში სათევზაოდ ნავით შევიდა. მოულოდნელად წყალი თითქოს ადუღდა, ზვირთები ცას სწვდებოდა, ნავი საშინლად ატორტმანდა, ხან ტალღის წვერზე მოექცეოდა, ხან ლამის უფსკრულში დანთქმულიყო. აქოჩრილი ზვირთები დაეჯახა ნავს და გადაბრუნა. წყალში მოფართხალე ტეგერონმა შორიახლოს დაინახა, როგორ ამოიზიდა წყლიდან ურჩხული. მონსტრმა ღონივრად დაარტყა თავი საცოდავი მეთევზის ნავს და ნაფოტებად აქცია. „მეგონა, ურჩხული შემჭამდა, — ყვება მარკი, — მაგრამ ის წყალში გაუჩინარდა“. მეორე მეთევზემ, რომელიც შორიახლოდან ადევნებდა თვალს ამ ამბავს, მხოლოდ ურჩხულის მიმალვის შემდეგ გაბედა ტეგერონს მიახლოებოდა.

ამ მეთევზის ნავს მონსტრი მხოლოდ გაეთამაშა. ბოლო ხანს ამ ადგილებში ხშირად იკარგებიან ადამიანები. ტბის სანაპიროზე მოსეირნე ორი გოგონა შინ არ დაბრუნებულა, ვერც მკვდარი ნახეს და ვერც ცოცხალი. უკვალოდ გაქრა ტურისტების ოჯახი, რომლებსაც კარავი ტბის სანაპიროზე ჰქონდათ გაშლილი. ავსტრიელმა ზოოლოგმა, დოქტორმა ვიქტორ ტრენდიმ საგანგებოდ გამოიკვლია ოკიჩობის ტბის შემოგარენი. იგი დარწმუნებულია, რომ ამ ტბაში მონსტრი დიდი ხანია ცხოვრობს, მაგრამ ბოლო დროს რაღაც აიძულებს, ამოვიდეს ზედაპირზე. ერთი რამ ცხადია — გაავებული ურჩხული ახლომახლო მცხოვრებ ადამიანებს ემუქრება და თუ არ მოკლავენ, შეიძლება ბევრი უსიამოვნება მოუტანოს მათ.

მეგაპოლის-ექსპრესი №21

ᲒᲔᲡᲢᲘ

ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲐ

ციფრების განლაგების ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური მეთოდი გამოიყენება ფსიქიკის ერთ-ერთი ფუნქციის, ყურადღების ინტენსივობის, ხარისხის დასადგენად. ყურადღების ინტენსივობის, ანუ კონცენტრაციის მიხედვით, ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ამის დასადგენად მრავალი მეთოდია შემუშავებული; ამჟამად გთავაზობთ ერთ-ერთ მარტივ ტესტს, რომელიც წარმატებით გამოიყენება პროფესიული შერჩევის თვალსაზრისითაც.

ინსტრუქცია: ცდის პირებს ეძლევათ ორი ცხრილი. №1 ცხრილში ჩაწერილია 25 ციფრი (კანონზომიერების გარეშე), №2 ცხრილში 25 ცარიელი უჯრაა. თქვენ გევალებათ 2 წუთის განმავლობაში ცარიელ უჯრებში განალაგოთ ციფრები აღმავალი მიმდინარეობით. მაგ. პირველ ცარიელ უჯრაში ჩაიწერება ყველაზე დაბალი რიცხვი, ჩვენს შემთხვევაში — „2“. მომდევნოში უფრო მაღალი და ა.შ. მნიშვნელობა ენიჭება ტესტის შესრულების სისწრაფეს, სიზუსტესა და შეცდომათა რაოდენობას.

საშუალო ნორმის ფარგლებში ცდის პირები ზუსტად განალაგებენ 20 ციფრს. რაც ნაკლებია ჩაწერილი ციფრთა რაოდენობა, მით მაღალია ცდის პირის ე.წ. ასთენიის (ფსიქიკური აქტივობის დაქვეითება, გადაღლილობის კოეფიციენტი) მაჩვენებელიც. შეცდომით ჩაწერილი ციფრები — ყურადღების გაფანტულობასა და ნებისყოფის სისუსტეზე მიუთითებს. თუ შეცდომით ჩაწერილ ციფრთა რაოდენობა 5-ს აჭარბებს, საქმე გვაქვს ე.წ. პათოლოგიასთან. თუ ცდის პირმა, 2 წუთის განმავლობაში, მხოლოდ 15-19 ციფრის სწორად ჩაწერა მოასწრო, ეს მის მაღალშფოთიანობასა და რეაქციის სისწრაფის შესუსტებაზე მიუთითებს.

ცხრილი №1

16	37	98	29	54
80	92	46	59	35
43	21	8	40	2
65	84	99	7	77
13	67	60	34	18

ᲪᲓᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

ეს მეთოდი ჯგუფური გამოკვლევების შემთხვევაშიც გამოიყენება.

თუ ცდის პირმა აღნიშნულ დროში (2წთ) უშეცდომოდ გაართვა დავალებას თავი, ეს მის ოპერატიულობასა და ენერგიულობაზე მეტყველებს. ასეთი თანამშრომელი და სპეციალისტი ნებისმიერი სფეროსთვის შეუცვლელი მუშაკია.

ცხრილი №2

ᲡᲐᲜᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲘᲡᲐᲠᲢᲧᲔᲚᲐ

სანთელი ზეგავლენას ახდენს ადამიანზე, ოჯახში სასიამოვნო აურას ქმნის. მის ფერს შეუცნობელი, იდუმალი ძალა გააჩნია, რომელიც ხელს უწყობს გუნების გამოკეთებას.

გახსოვდეთ:

— **თეთრი ფერის** სანთელი უმჯობესია, ორშაბათს აანთოთ. იგი იზიდავს მთვარის ენერგიას და ოჯახში მიმოაფრქვევს;

— **წითელი ფერის** სანთელი აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და აძლიერებს სიყვარულის განცდას, ამდიდრებს ენერგეტიკულ ველს, ამძაფრებს ძალაუფლების შეგრძნებას.

— **სტაფილოსფერი** სანთლის ალი აღვივებს შემოქმედებით პროცესს, ადამიანს უხსნის გონებას, ანიჭებს სულიერ ჰარმონიას.

— **იისფერი** სანთლის ნათება ადამიანს ინტუიციისა და დამოუკიდებლობის გრძნობას უღვივებს.

— **ცისფერი** სანთელი ოჯახში ჰარმონიასა და მშვიდობას ამყარებს.

— **შავი ფერის** სანთელი (მიუხედავად ფერისა) ეხმარება ადამიანს ადვილად მიაღწიოს ურთიერთგაგებას პარტნიორებთან, ანიჭებს მოთმინების უნარს, აშორებს ნეგატიურ ენერგიასა და დისკომფორტს.

— **ვარდისფერი** სანთელი რომანტიკულობის სიმბოლოა; მის შუქზე ადამიანში თავს იყრის სიყვარულის, სინაზის, მეგობრობის გრძნობები. იგი ერთნაირად მოქმედებს ქალზეც და მამაკაცზეც.

— **მწვანე ფერის** სანთლებს მაგიური სიტუაციების დროს იყენებენ. იგი ეხმარება ადამიანს წარმატებისა და ჰარმონიის მიღწევაში, განდევნის შურისა და ეჭვიანობის გრძნობას.

— **ყვითელი** სანთლის ანთება ეხმარება ადამიანს კომერციულ წარმატებაში, მეტი ნდობის მოპოვებაში.

მექსიკელები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ფერადი სანთლების საიდუმლობას. ისინი ერთბაშად ანთებენ სხვადასხვა ფერის სანთლებს, რომლებიც ერთდროულად აფრქვევენ სხვადასხვა სურნელებას და ავსებენ ადამიანის სულს დიდი სიმშვიდით, სიკეთითა და ჰარმონიით.

ეხო პლანეტი №18

ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ ᲛᲝᲰᲩᲕᲔᲜᲘᲗᲘᲗᲘ ᲛᲝᲜᲐᲓᲠᲝᲗᲗᲘᲗ

ცოტა ხნის წინ, ლონდონის ჰემპთონ-კორტის სასახლეში ექსკურსიის დროს ორმა მანდილოსანმა, რომლებიც სხვადასხვა ტურისტულ ჯგუფში იყვნენ, კინაღამ გრძნობა დაკარგა, როცა მათ ვიღაცის გაყინული, უხილავი ხელი შეეხო... მათ მუზეუმის ადმინისტრაციას მიმართეს ახსნა-განმარტებისათვის.

მრავალი საუკუნეა, სასახლის მობინადრენი, მსახურები და სტუმრები ლაპარაკობენ, რომ დარბაზებსა და დერეფნებში ხშირად შეეფეთებიან დიდი ხნის გარდაცვლილთა აჩრდილებს. ყველაზე ხშირად ხვდებიან მეფე ჰენრი V-ის მუხუთე ცოლს — ქეთრინ ჰოუარდს, რომელიც ქმრის ღალატისათვის სიკვდილით დასაჯეს. საცოდავი ქალი განთიადისას საწოლიდან წამოაგდეს და მოსაკლავად წაიყვანეს.

ყოფილი დედოფლის თეთრით მოსილი მოჩვენება სასოწარკვეთილი საშინლად გაკივის და დერეფნებში დაქრის. ვისაც ამ მოჩვენებისთვის თვალი მოუკრავს, აუცილებლად უბედურება შემთხვევია. მნახველთა უმეტესობა შემთხვევითი ინციდენტების დროს იღუპება.

ისტორიკოსებმა განიზრახეს, გამოეკვლიათ ჰემპთონ-კორტის სამეფო სასახლე. მათ მოიწვიეს პარაფსიქოლოგიის ექსპერტი, პროფესორი რიჩარდ ვაისმანი და მისი ჯგუფი და სთხოვეს, გამოეკვლიათ სასახლის ყველა კუთხე-კუნჭული და კერძოდ, სურათების გალერეა, სადაც უფრო ხშირად ხვდებიან გარდასულთა ლანდებს. პროფესორი ვაისმანი უკვე 10 წელია, იკვლევს პარანორმალურ მოვლენებს. მან თქვა, ტურისტ ქალებს, შესაძლოა, იმქვეყნიური სამყაროს წარმომადგენლები შეეხნენო.

ისტორიკოსმა ერნსტ ლოუმ თავის წიგნში თვითმხილველთა აღწერით დახატა თეთრკაბიანი ქალი, რომელიც კვიცლ-წივილით დაქრის სასახლეში. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ იგი დღისითაც ჩნდება ხოლმე. საერთოდ, სასახლეში დაახლოებით 30 სული ბინადრობს. ამ სასახლის კედლებს სასიკეთო არაფერი ახსოვს. მის ტიტულოვან ბინადართაგან ზოგი სიკვდილით დასაჯეს, ზოგიც მოწამლეს ან ჩამოახრჩეს.

პროფესორმა რიჩარდ ვაისმანმა თერმული ვიდეოკამერებით დააფიქსირა, რომ მოჩვენების გამოჩენას წინ უსწრებს ტემპერატურის ცვალებადობა. მეცნიერები გაესაუბრნენ 600 ტურისტს, რათა დაედგინათ, რა შეგრძნება ჰქონდათ მათ ექსკურსიის დროს. ცნობილია, რომ ბევრი ტურისტი საგულდაგულოდ ინახავს საიდუმლოს იმის შიშით, რომ გიჟად არავინ მიიჩნიოს.

პოსლედნიე ნოვოსტი №21

ᲑᲘᲑᲚᲘᲘᲡ ᲥᲔᲨᲛᲐᲰᲘᲢᲔᲑᲐ

წითელ ზღვის ფსკერზე ნაპოვნი ეგვიპტის საომარი ეტლების ნამსხვრევები მოწმობენ, რომ მოსემ ნამდვილად აღმართა ზღვაზე კედელი, რათა გამოეყვანა ისრაელელი ხალხი ეგვიპტიდან, მონობის ქვეყნიდან. ფარაონის არმია წყალმა დაფარა და ყველა დაიღუპა. ეტლების ნარჩენები აღმოაჩინა იორდანელმა არქეოლოგმა მოამარ ელ-ნაზირმა. „ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს უზარმაზარი ტალღა დააცხრა თავს, ეტლები გადააყირავა და ნაფოტებად აქცია“ — ამბობს არქეოლოგი. სხვანაირად როგორ აიხსნება ის ფაქტი, რომ დამსხვრეული საომარი ეტლები წითელ ზღვაში, 600 მეტრის სიღრმეში იპოვეს. წყალქვეშა ნავის თანამედროვე საკონტროლო რობოტის მეშვეობით მოიძიეს დაახლოებით 500-მდე უძველესი საომარი ეტლის ნარჩენი — ბორბლები, ღერძები და სხვა ნაწილები.

ფოტოკამერით გადაღებული ეტლების სურათების ანალიზმა აჩვენა, რომ ეს ეტლები ანალოგიურია ჩვენს ერამდე X საუკუნის ეგვიპტის ხელოვნებაში გამოსახული ეტლებისა. სწორედ ამ დროს ცხოვრობდა მოსე, — აცხადებს იორდანელი არქეოლოგი.

ტაინაია ვლასტ №9

ᲤᲘᲠᲛᲐ «ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐ»

აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია – 10 წელი

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ.

ᲡᲐᲔᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ.

ᲛᲘᲗ: ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. №142, „ᲡᲐᲛᲗᲝ ᲥᲘᲛᲘᲘᲡ“ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ, ᲛᲔ-3 ᲡᲐᲠᲗ, ᲝᲗᲐᲮᲘ 78

ᲡᲐᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲝᲓ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲘᲛᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲰᲘᲓᲠᲝᲡᲐᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ

☎ 34-05-52; 63-05-26; 877-43-05-69

ᲨᲔᲣᲢᲐᲛᲞᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲘᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲐᲓᲘᲡᲘ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ 22

☎99-86-09; 38-37-89

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲔᲥᲠᲜᲐᲚᲘ **ᲘᲠᲘᲜᲐ ᲚᲝᲛᲗᲐᲗᲘᲫᲔ** ᲗᲘᲛᲝᲗᲔᲐᲡ ᲓᲐᲜᲐᲥᲘᲚᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲔᲪᲔᲜᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲚᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲛᲔᲥᲠᲜᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ:

- ᲑᲝᲢᲙᲘᲜᲘᲗ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ;
- ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲛᲨᲘ ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲘᲚ ᲡᲘᲗᲮᲔᲡ;
- ᲰᲘᲠᲘᲡ ᲚᲠᲣᲨᲘ ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲡᲣᲜᲡ;
- ᲤᲠᲩᲮᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲝᲙᲝᲡ; ᲧᲔᲚᲘᲡ ᲙᲐᲢᲐᲠᲡ;
- ᲥᲐᲕᲘᲚᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ;
- ᲤᲠᲩᲮᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ; ᲤᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲝᲤᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐ;
- ᲗᲛᲘᲡ ᲪᲕᲔᲜᲐ, ᲡᲔᲑᲝᲠᲔᲐ; ᲑᲣᲐᲡᲘᲚᲘ;
- ᲢᲠᲝᲤᲘᲙᲣᲚᲘ ᲬᲧᲚᲣᲚᲘ, ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲘ

ᲔᲤᲔᲥᲢᲘ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ I ᲓᲦᲘᲓᲐᲜ. ᲙᲣᲠᲡᲘ 5-10 ᲓᲦᲘᲐᲜᲘᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔᲕᲔ ᲬᲓᲔᲑᲐ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘ ᲔᲐᲚᲐᲚ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ, ᲤᲐᲡᲘ 40 ᲚᲐᲠᲘ.

ᲛᲘᲗ: ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. №115, „ᲤᲐᲜᲐᲡᲙᲔᲠᲒᲔᲚᲘ“.

ᲘᲐᲠᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲚᲝᲛᲗᲐᲗᲘᲫᲘᲡ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘ. ᲢᲔ: 77-68-50 (ᲐᲚᲔ.); 899-51-76-08

აონის ჩამომხრჩვალი ზარები

აონი ხატია ივრის ხეობაში. უფრო სწორად, „ივრის კუდებში“. პირჩაშავებული ხეობის გაღმა-გამოღმა გოროზი მთებია, ქაფქაფა წყალვარდნილები. ნაპირებზე ხავსიანი ლოდები ჩამომსხდარან და მდუმარედ მიყრდნობიან ლიბოდათხრილ კლდეებს. არსაიდან ხმა, არსით კაცის ჭაჭანება. მხოლოდ ნადირფრინველთა გნიასი აყრუებს აქაურობას. ძნელად თუ დაიჯერებს ვინმე, რომ აქ ოდესმე სიცოცხლე ჩქეფდა. ცხოვრობდა ხალხი. იყო რწმენა. ხატის ღალატი ერის ღალატად ითვლებოდა... ამ მიუდგომელ მთა-კლდე-ღრეში აქა-იქ დაცარიელებული სოფლების სასაფლაოთა მდუმარებაა. გათლილ ქვებზე უამთა სვლისაგან იავარქმნილი წარწერებიდან მაინც იკითხება მიცვალებულთა ხელობა და ვინაობა. უფრო მეტი კი ყორეები და აკლდამებია — უსახელოთა ჩამქრალი სიცოცხლის სავანე. ყორეების უმეტესობა ჩაქცეულია. ქვეწარმავალთა ხვრელებიდან თითქოს იმქვეყნური კვნესა-კივილი მოისმის, მაგრამ ამ არემარეში გამგონიც აღარ ჩანს. ამ ეგზოტიკური მხარის უკიდურეს ალაგას — აონთგორაა. იქ პატარა მდინარეც ჩამოდის — აონურა. წარსულში ამ გორის ძირას სამოცკომლიანი სოფელი იყო. მტრის რისხვას გადარჩენილი ბარელები აქ აფარებდნენ თავს. მრავლდებოდნენ, ვაჟკაცდებოდნენ და კვლავ ბარში ჩამორბოდნენ მამულის დასაცავად.

გამოხდა ხანი. დაცარიელდა სოფლები. მათი სახელები გეოგრაფიულ ადგილებს შემორჩა მხოლოდ, ღირსეულთა საქმეები კი ბალადებად და თქმულებებად მოეფინა ქვეყანას. ერთი მათგანი იყო — პირქუში, რომელსაც სამჭედლო და ოქროს ხელები ჰქონდა. ცხენის ნალსა და ლაგამ-უზანგს, ცელსა და გუთანს ჭედდა, აწრთობდა იარაღს, ვერცხლის ორნამენტებით აგვირისტებდა აღვირსა და ყაწიმებს (ხმლის მხარიღლივ გადასაკიდებელი — საბა), სხვადსხვა ავადმყოფობას არჩენდა. აონთგორელების იმედი იყო ჭირსა და ლხინში. თვითონაც ხელი ემართებოდა. სამჭედლოს მახლობლად ცაცხვისა და მუხის ხეების ჩრდილში უყვარდა დასვენება და ლოცვა. მერე განგების ჩაგონებით, ზარების ჩამოსხმა დაიწყო. მათგან ყველაზე დიდი, ხმაწკრიალა ზარი მხრებგაშლილი ცაცხვის ხეზე დაჰკიდა და ნიში დადო. მალე პირქუშის სალოცავი სოფლის თავშესაყარ წმიდა ადგილად იქცა. ხევისბერმა დამწყალობება აქ დაიწყო. აქვე წყდებოდა სოფლის საჭირბოროტო საკითხები.

ვ. ბარდაველიძე „აღმოსავლეთ საქართველოს ტრადიციულ საზოგადოებრივ საკულტო ძეგლების“ აღწერისას მიანიშნებს, რომ „აონის ნასოფლარში სალოცავიც ყოფილა და, როგორც სათემო სალოცავს, პირქუშად მოიხსენიებდნენ“. აონი და პირქუში თანდათან ანალოგიად იქცა, რადგან აონის სალოცავის ფუძის ჩამყრელი — მჭედელი პირქუში იყო. სინდისითა და კეთილგონიერებით გამორჩეულ ვაჟკაცს სოფელი ღვთისშვილობაში წილნაყარად მიიჩნევდა და პირქუშის სალოცავს ლოცულობდა.

„აონში ახადელებიც გადმოსახლებულან და სოფელი გამრავლებულა. შემდეგ კი ისინი კახეთსა და ბარის სხვა ადგილებში გადასულან. პირქუში რიგითი სალოცავი არ იყო. იგი აონთგორელებისა და ახადელების უფროსი, ანუ სათემო სალოცავი გამხდარა. ძირითადად კი გოდერძაულებს ეკუთვნოდა. ეს გვარი ფშავის ერთ-ერთ თემს ქმნიდა და ამათ სხვა გვარიშვილებიც ერწყმოდნენ“, — წერს ისტორიკოსი თენგიზ პატურაშვილი.

ეს ის დრო იყო, როცა ფშავის თემებმა თავ-თავიანთ კერპებს თანდათან შეუთავსეს ქრისტიანული ელემენტები. წარმართული ნიშების ადგილებზე ეკლესიები და სამლოცველოები ააგეს. ერთმანეთს შეეზარდა ხატ-ღმერთების სადიდებელი რიტუალები. მათი ხატების უმეტესობა ან თამარის სახელობისა გახდა, ან ლაშასი, წმინდა გიორგისა ან ღვთისმშობლისა, თუმცა საკმაოდ ბევრ ხატ-სალოცავს ისევ ადგილის დედის ან წმიდანთან გაიგივებული პიროვნების სახელი შერჩა. თემ-სოფელი იოლად არავის განადიდებდა. ჩანს, პირქუშმა ეს დაიმსახურა. მისი სახელობის სალოცავი თანდათან მრავალი შესაწირავით მდიდრდებოდა. ყველაზე ძვირფასი მათ შორის ზარი იყო. მირზა გელოვანის ბალადას „აონი“ ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს წარწერა ერთ-ერთი ასეთი ზარიდან: „აონ: პირქუშ ღვთის მონაწილევ: ბარისა და მთის მფარველო: ესე ზარი შემოგწირე მე: იოანე ბექაურმა, ჩ... წელსა. მიშველე, აონ“.

პირქუშის ჩამოსხმულ ზარს — „ზარების მთავარს“ ეძახდნენ. ხალხი ამ ზარებს მოწიწებით ეექცეოდა. აონის სალოცავის ახლომახლო ჩხირს არავინ აიღებდა შინ წასაღებად — ხატი დაგვძრახავსო. აონობის დღესასწაულზე ზვარაკს კლავდნენ. იმართებოდა ლხინი. ხევისბერი ლოცავდა მრევლს. სამხვეწროდ ქადასანთლით მიდიოდნენ... ბედის ირონიის გამო კი... მერე, როცა რწმენაც განელდა, ვიღაცას მთავარი ზარი დაუთოფავს. ზარს ტყვია აუსხლეტია და მახლობლად ხეში ჩაჭედილა. უვნებლად გადარჩენილი ზარი კვნესოდა თურმე. ქარიშხალი ამოვარდნილა და თავისით ახეთქებდა აქეთ-იქით ზარის ენას. აონში მოღვაწე ბერმა სოფელი შეყარა. ძველები დუმდნენ. ახალ-უხლები იცინოდნენ. ისე დაიშალნენ და წავიდწამოვიდნენ, რომ ცოდვილი არ განუსჯიათ. მაშინ დასწყევლა ბერმა ხალხი. ზეპირგადმოცემით, მთელი კვირა გულდათუთქული იჯდა აონის სალოცავში. არავინ გამოხმაურებია. ყველა თავისთვის ფუსფუსებდა ჭიანჭველასავით. გამწარებულ ბერს თვითონაც გული აუყრია ხატზე, იქაურობა მიულეწ-მოულეწავს და ტყეში გაჭრილა. ამის მოქმედ ბერს ჯერ ყბა მოექცა, მერე ხელები დაეკრუნჩხა. მალე სარულიც ვეღარ შეძლო. მიხოხდა კლდისთავს და მდინარეში გადაეშვა. როცა იორმა ჩამოატარა თავგაჩეხილი მისი ცხედარი, სოფელმა არც მაშინ იბრუნა პირი შეგინებული ხატისკენ... ურწმნოებამ მალე გააუდაბურა იქაურობა. აონში მისასვლელი ბილიკი ჯერ აბალახდა, მერე ატყევდა. დადუმდნენ აონის ჩამომხრჩვალი ზარები. მათ ნაცვლად ბუ გაკიოდა და გულსაკლავად ეძახდა მოძმეს.

ეს გადმოცემა გახდა მირზას მშვენიერი ბალადის — „აონის“ შთაგონების წყარო. სიჭაბუკეში ნადირობით იყო გატაცებული მირზა გელოვანი. მონადირეები კი „მუხლის ჩასახრელად“ სწორედ აონში ჩერდებოდნენ. აქ ატყავებდნენ ნადირს და უქმად მიგდებულ ლუდის ქვაბში ხორცს ხარშავდნენ. ირმის რქებს კი სასანთლესთან ტოვებდნენ. „როგორი მადლობელი ვარ თქვენ, იარაღი რომ შემაყვარეთ. იარაღი, სიმართლე და ვაჟკაცობა“, — წერდა ფრონტიდან მშობლებს მირზა. მისი სიყრმის მეგობრებს დღესაც ახსოვთ, ტყის იდილიურ სიმყუდროვეში როგორი ინტერესით ათვალიერებდა მირზა ჯერ კიდევ დაურღვეველი საძირკვლის ნაშთებს, ნაკალოვრებს, კევის კაუის ნარჩენებსა და წვეტიან, წაგრძელებულ ქვებს, რომლებითაც აქაურებს მოსწორებულ, ფხვიერ მიწაზე ქართული ასოები გამოჰყავდათ. ის იყო მათი დაფაც და რვეულიც.

მირზას დროინდელი აონი უკვე წაბილწული იყო. ხეებიდან ზარებს ხსნიდნენ და სკოლებში გადმოჰქონდათ. შეწირულ ვერცხლის ფულსა და სხვა ძვირფასეულობას „ეშმაკები“ ეპატრონებოდნენ. აონის გაძარცულმა ნიშმა, უენო ზარებმა და გაუდაბურებულმა სახატემ სულიერად შეძრა მირზა.

„ალუდას ვოუმა ზარი დათოფა!
ხალხმ უნდ განსაჯოს სასჯელი მისი
სადღაა თემი და ადათობა,
წაიბილწაო საყუდარ ხვთისი!“

აონი დღესაც მონადირეთა გამორჩეული ადგილია. დაღლილ-დაქანცულები ისევ აქ ისვენებენ და აონის თამადობით სალოცავების სადღეგრძელოს სვამენ. მთაში ეს სადღეგრძელო ზიარებასავითაა. ცოდვებისაგან წმენდს ადამიანს. ბევრის აზრით, პირქუშის სული ისევ ნიშთან ბინადრობს, ჩამომხრჩვალ და უენო ზარებს ერთიანად იკიდებს ზურგზე „და სამჭედლოსკენ გამოსწევს ბარში“.

ხალხს გულის სიღრმეში მაინც სწამს, რომ ვიღაცამ ისევ უნდა ჭედოს და ამ გაუკუღმართებული ქვეყნის ყაყანში კვლავ ჩამორეკოს ერთობის ზარი.

ეთერ თარიმანი

ფეხით დედამიწის გარშემო

„პირველი ადამიანი, რომელმაც ფეხით შემოიარა მსოფლიო, იყო ამერიკელი ჯონ კანსტი. მან მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა 1970 წლის 10 ივნისს დაიწყო. მოგზაურობის ოთხი წლის მანძილზე კანსტმა ათეულობით ქვეყანა შემოიარა და 22 წყვილი ფეხსაცმელი გაცვითა“, — ასეთი ღირსშესანიშნავი ინფორმაცია გვამცნეს ერთ მშვენიერ დღეს ტელეეკრანებიდან. მაგრამ ტელევიზია შეცდა... კანსტს წინამორბედი ჰყავდა, თანაც 76 წლის წინ. მსოფლიოს გარშემო პირველი ფეხით მოგზაური გახლდათ რუსი ჟურნალისტი კონსტანტინ რენგარტენი!

იგი მინსკის გუბერნიაში დაიბადა, ჩინოვნიკის ოჯახში. ბავშვობიდანვე უყვარდა მოგზაურობა და სიყმაწვილეში შედგა თუ არა ფეხი, ბევრი ქვეყანა შემოიარა. რენგარტენი მეზღვაურობაზე ოცნებობდა, მაგრამ სუსტი ჯანმრთელობის გამო ოცნებაზე უარი თქვა. სამაგიეროდ, ჟურნალისტი გახდა და გრანდიოზული გეგმის განხორციელებას შეუდგა. და აი, 1894 წლის 15 აგვისტოს რენგარტენი ქალაქ რიგიდან შეუდგა მოგზაურობას, თან მეგობარიც ახლდა. მოგზაურები სამხრეთ-აღმოსავლეთით წავიდნენ. მალე გაავდრდა და რენგარტენი მეგობარმა მიატოვა. მთელი კავკასია რომ მოიარა, სპარსეთში გადავიდა. ამ ქვეყანაში მოგზაურობას ორ თვეზე მეტი შეალია, შემდეგ ისევ რუსეთი, შუა აზია. რენგარტენმა გაიარა ბუხარა, თურქმენეთი და ციმბირსაც მიაღწია. გზიდან გაზეთებს რეპორტაჟებს უგზავნიდა, მკითხველს უამბობდა ნანახ-განცდილს. დაუღალავი მოგზაური უკვე წელიწედ-ნახევარი იქნებოდა, რაც გზაში იყო. 1896 წლის 7 მარტს ტომსკში ჩავიდა, ხანმოკლე შესვენება და ისევ გზა... დასავლეთი და აღმოსავლეთი ციმბირის უკიდეგანო სივრცეებს შეება. ბაიკალის შემდეგ, მონღოლეთის ველური ადგილები ელოდა, გობის უდაბნო. ქვიშსთან ბრძოლა 36 დღეს გაგრძელდა, ასეთ რამეს საგზლითა და წყლით მომარაგებული მოგზაურიც ვერ გაუძლებდა.

როგორც იქნა, მის წინ ჩინეთის დიდი კედელი აღიმართა. პეკინს შემდეგ იაპონიაში გადავიდა. ამომავალი მზის ქვეყანამ ისე მოხიბლა, რომ ოთხ თვეს დარჩა. აქ ყველაფერი ხიბლავდა და აოცებდა. ყველა კუნძული მოიარა, მით უმეტეს, თანამგზავრიც იშოვა — რუსი ტურისტი. მალე გზა გააგრძელა, თბომავლით წყნარი ოკეანე გადალახა, აშშ-ში ჩავიდა 1997 წლის გაზაფხულზე. ჩრდილო ამერიკის შემოვლას 17 თვე მოანდომა, ქვეყნის ყველა დიდ ქალაქში იყო, ღირსშესანიშნაობებს ათვალიერებდა. „ამ „საოცრებათა ქვეყანაში“ ყველაფერი ზღაპრული და უცნაურია“, — წერდა ერთ-ერთ რეპორტაჟში დაუღალავი მოგზაური.

1898 წელს რენგარტენმა ამერიკა დატოვა და თბომავლით ევროპას მიაშურა. საფრანგეთის საპორტო ქალაქ ჰავრში ჩავიდა და ქვეყნის ჩრდილო სანაპირო შემოიარა. „რუსი მაგელანის“ ევროპის ქვეყნებში შემდგომი სვლა, მართლაც რომ ტრიუმფალური იყო. გაზეთები და ჟურნალები აჭრელდა მის შესახებ ცნობებით. გზადაგზა ლექციებს კითხულობდა მიუნხენში, დრეზდენში, ბერლინში. განსაკუთრებით მხურვალე შეხვედრა მოუწყვეს მოგზაურს რუსეთის საზღვარზე. აქ მის პატივსაცემად ტრიუმფალური თაღიც აღმართეს. 1898 წლის 27 სექტემბერს რენგარტენი კვლავ რიგაში შევიდა. ქალაქისთავმა ვერცხლის გვირგვინით შეუმკო თავი მოგზაურ ჟურნალისტს.

დედამიწის გარშემო პირველი მოგზაურობა, როგორც იქნა, დამთავრდა. იგი 4 წელს, 1 თვესა და 12 დღეს გრძელდებოდა. რენგარტენმა სამი კონტინენტი და 25.000-ზე მეტი კილომეტრი გაიარა.

ჯერ კიდევ მოგზაურობის დასაწყისში მეგობრებმა რენგარტენს ოქროს კალმისტარი უძღვნეს სურვილით, — მოგზაურობის ყველა დღის ქრონიკა ამით ჩაიწერეო. რა თქმა უნდა, რენგარტენი ასეც მოიქცა.

კალეიდოსკოპი №23

საპნის ოპერა, რომელიც 2000 წელია გრძელდება

გასულ საუკუნეში ტუალეტის საპონი სიმდიდრის საზომად ითვლებოდა. ბაფთით შეკრულ ლამაზ ყუთში მოთავსებული საპონი ახალდაქორწინებულთათვის საჩუქრად მიპქონდათ! მას შემდეგ საპონმა ევოლუციის გრძელი გზა გაიარა — ფუფუნების საგნიდან ჩვეულებრივ, მაგრამ ყოფისთვის აუცილებელ საგნად იქცა.

რა არის თანამედროვე საპონი? თუ მოკლედ ვიტყვით — ქიმია. საპონი ორი უმთავრესი კომპონენტისაგან შედგება: ცხიმებისა და სოდისაგან. ერთი შეხედვით, ასეთმა ნაერთმა კანზე სასიკეთოდ არ უნდა იმოქმედოს. თუმცა, ყველაფერ რეცეპტურაზეა დამოკიდებული. კოსმეტოლოგები მიიჩნევენ: საპონი, რაც მეტ ბუნებრივ ნივთიერებებს — სხვადასხვა ცხიმებსა და ესენციებს შეიცავს, მით უფრო რბილია. შემთხვევით არ იყო, რომ ჯერ კიდევ XVI საუკუნეში დედოფალ ელისაბედის კარზე ზეითუნის ზეთით დამზადებული კასტილიური საპონი ოქროდ ფასობდა. ასეთი საპონი იყო თხევადი, ნაზი და სასიამოვნო სურნელებას აფრქვევდა.

მართალია, არსებობს ისტორიული ცნობები საპნის წარმოშობის შესახებ, მაგრამ მეცნიერები მაინც დაობენ. ზოგი წყაროს თანახმად, ეს კოსმეტიკური პროდუქტი (თხის ქონისა და ხის ნაცრისგან დამზადებული) ცნობილი იყო 2000 წლის წინ. საპნის ხარშვის საიდუმლო შემონახულია ეგვიპტის სამარხების კედლებზე. ევროპამ საპონი გაცილებით გვიან გაიცნო...

თავდაპირველად, აქ საპონს სანთლების დამამზადებელ საამქროებში ხარშავდნენ. მასზე დიდი მოთხოვნილება არ იყო — ევროპაში ხომ ხშირი ბანაობა წარმართულ გადმონაშთად ითვლებოდა... მაგრამ მალე საპონმა მეფეთა ყურადღება მიიპყრო. საფრანგეთში, მაგალითად, მეფე თავად ადევნებდა თვალყურს სამეფო ოჯახისთვის დამზადებული საპნის ხარისხს. საინტერესოა: 1399 წელს ჰენრიხ IV-მ დააარსა ორდენი სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისთვის და ამ ორდენის კავალრებს ნამდვილი საპნით დაბანის განსაკუთრებული პრივილეგია ენიჭებოდათ!

საუკუნიდან საუკუნემდე საპონს თაყვანისმცემელი ემატებოდა. ფართოვდებოდა მისი ასორტიმენტი. საპნის შემადგენლობაში ახლა უკვე უამრავ ცხიმს უმატებენ: ქოქოსის, რომელიც კანს არბილებს, პალმის — რაც საპნის ნაჭერს ამკვრივებს და მისი მოხმარების დროს ახანგრძლივებს, ზეითუნის — კანს კარგად ატენიანებს...

ლაბორანტები და სპეციალისტები უძველეს ფოლიანტებს ხშირად ათვალიერებენ და იშვიათი ბალახების და ცხიმების რეცეპტებს ეძებენ, ცდიან იასამნის, შროშანის, ვარდის, ვაშლის, ლიმონის... სურნელს. ასეთი მინარევები კეთილად მოქმედებს კანსა და მთელ ორგანიზმზეც. ასე მაგალითად, ატმის ესენცია ადამიანს დაღლილობას უხსნის და ამშვიდებს!

კოსმეტოლოგები დარწმუნებულნი არიან, რომ საპნის მოყვარულებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ კანს. საქმე ის არის, რომ საპონმა, როცა სოდის საშუალებით წმენდს კანს, შეიძლება, ამავე დროს, დაარღვიოს მისი მჟავური ბალანსი. ასეთი შეცდომების თავიდან ასაცილებლად პროფესიონალები უამრავ საპნის ანალოგს იგონებენ — პროდუქტებს, რომლებიც არ იქნება სოდაზე დამზადებული. კოსმეტოლოგებმა მიმართეს აგრეთვე „უსაპნოდ“ დაბანის გამოცდილებას, რომელიც შუა საუკუნეებში იყო პოპულარული. მაშინ რეცხდნენ და იბანდნენ მცენარეებით. მაგალითად, საპნის ფესვებით. ჩვენს დროში, მიუხედავად სხვადასხვა რბილი გელებისა, მათში მაინც უხვად არის სინთეტიკური ნივთიერებები. სწორედ ამიტომაც, XX საუკუნის ბოლოს, ნატურალური საპონი მართლაც რომ უძვირფასესი საჩუქარია.

7 დღე №23

სიახლე თბილისში- „კარგი განწყობილების ტელეფონი" რომელსაც „სატელეფონო სექსსაც" უწოდებენ....

ამას წინათ მეგობრის ოჯახში გავიცანი ახალგაზრდა სანდომიანი მანდილოსანი. საუბარს შევყევით. ბევრ საკითხზე ერთნაირი შეხედულება აღმოგვაჩნდა და შეიძლება ამტომაც ჩემი თანამოსაუბრე გულახდილობის გუნებაზე დადგა. გაოცებული დავრჩი, როცა შევიტყვე, რომ ირინა იმ სატელეფონო სერვისის თანამშრომელი ყოფილა, რომლითაც მამაკაცები სარგებლობდნენ. დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ საქმიანობას მხოლოდ „უძველესი პროფესიის" ქალები ეწეოდნენ. ჩემი ნაცნობი კი არანაირად არ ტოვებდა ამ კატეგორიის ადამიანის შთაბეჭდილებას. სწორედ ამიტომ უამრავი კითხვა გამიჩნდა.

— ამ კითხვას ქალებს არ უსვამენ, მაგრამ რამდენი წლის ხართ?

— ოცდათოთხმეტის. წლებს არ ვიკლებ.

— რა პროფესიის ბრძანდებით?

— სამედიცინო ტექნიკუმი დავამთავრე. ერთხანს მედდად ვმუშაობდი. შემდეგ რამდენიმე სამსახური გამოვიცვალე. ახლა სატელეფონო სერვისის თანამშრომელი ვარ. ეს სერვისი მამაკაცებს ემსახურება. ჩვენ, უბრალოდ, „კარგი განწყობილების ტელეფონს" ვეძახით... საზოგადოებაში სატელეფონო სექსსაც უწოდებენ. ისე, ვერ გეტყვით, რომ ამ სამსახურს მხოლოდ ეს დანიშნულება აქვს. გვირეკავენ სხვადასხვა საკითხზე, ზოგი საკუთარ გასაჭირზე გველაპარაკება. ზოგს სექსუალური პრობლემა აწუხებს, არის შემთხვევები, როცა ოჯახურ კონფლიქტებზე გვესაუბრებიან, ანდა რაიმე რჩევას გვთხოვენ. ინტიმური სახის ზარი მართლაც ხშირია...

— ნუ გეწყინებათ, მაგრამ გავრცელებული აზრით, ასეთ სამსახურს „უძველეს პროფესიასთან" აიგივებენ...

— ვიცი, რომ ასეთი შეხედულებაა. „უძველესი" ხელობა არასოდეს მქონია, კლიენტთან შეხვედრის უფლება არ მაქვს. ეს უმთავრესი პირობაა, რომლის დარღვევის შემთხვევაში სამსახურს დავკარგავ. თუმცა, იმათიც მესმის, ვისაც ასე ჰგონია. როცა მამაკაცთან ინტიმურ თემაზე საუბრობ, ალბათ ასეთად გთვლიან. ისე, სამსახურზე იმიტომ დავთანხმდი, რომ ანონიმურობა გარანტირებულია. ისინი მე ვერ მხედავენ. ხმით ცნობის შესაძლებლობაც ცოტაა.

— სხვა პრობლემებითაც მოგვმართავენ... მაგრამ ხშირად ასეთ საკითხზე სპეციალისტის რჩევაა საჭირო. ხომ შეიძლება არასწორი პასუხით უარეს დღეში ჩავარდეს ადამიანი?

— სანამ მუშაობას დავიწებდი, სპეციალური მომზადება გავიარე. არის საკითხები, რომლებშიც უნდა გაერკვე, რომ კლიენტი არ დააბნიო, ან არასწორი რჩევა არ მისცე. თუ საკითხი მართლაც სერიოზულია, მაშინ აბონენტს ის სპეციალისტი ესაუბრება, ვინც ღრმად ჩახედულია კონკრეტულ საკითხში. ჩემი მთავარი ფუნქციაა, მივხვდე, თუ რას ელის მამაკაცი, რომელიც რეკავს და ისე გავესაუბრო, რომ თავი უკეთ იგრძნოს. ჩვენთან ძირითადად მარტოსული ადამიანები რეკავენ, ვისაც მეგობარმა ქალმა იმედი გაუცრუა. ანდა მეუღლესთან პრობლემები აქვს. ასეთი ადამიანები ქალებთან ურთიერთობაში დაკომპლექსებულნი არიან, ჩვენთან საუბარში კი გულახდილობას იჩენენ. შეუძლიათ ყველაზე უცნაური აზრებიც გამოთქვან. ანონიმურობა ხომ დაცულია!

— მეუღლე გყავთ?

— მყავდა.

— თქვენს მეუღლეს რომ ესარგებლა ამ სერვისით და ანგარიში თქვენთვის წარმოედგინა, რას იტყოდით?

— ალბათ გავბრაზდებოდი, მაგრამ მერე ვიფიქრებდი, რომ მას სითბო აკლია ჩემგან და საკმარისად ახლოს არ ვართმეთქი ერთმანეთთან. შევეცდებოდი, ეს ვაკუუმი შემევსო.

— შეუერაცხყოფას თუ გაყენებენ?

— ეს საუბარი ფასიანია. წუთი 49 თეთრი ღირს და არა მგონია, უცნობი ადამიანისთვის შეურაცხყოფის მიყენება ამდენად ღირდეს. თუმცა ზოგჯერ (ძალიან იშვიათად) ასეც ხდება.

— ქართულ ტრადიციებზე რას იტყვით, ბევრის აზრით, ეს საზოგადოებას, განსაკუთრებით მოზარდებს ცუდის გარდა, არაფერს მოუტანს.

— მე ასე არ ვფიქრობ. ამგვარი სამსახური უამრავ ქვეყანაშია. რადგან გვირეკავენ, ესე იგი, ვჭირდებით. მოზარდებს კი სჯობს, მშობლებმა აუხსნან, რომ ამგვარი გართობა ჯიბეს შეუთხელებთ. ჩვენთან წესადაა — თუ ხმაზე ვატყობთ, რომ კლიენტი მცირეწლოვანია, არ ვესაუბრებით. არა იმიტომ, რომ გაირყვნება — ამას ტელევიზიით ნაჩვენებ ფილმებზე უფრო ვიტყოდი — არამედ იმიტომ, რომ მას საკუთარი შემოსავალი არა აქვს და გადახდა გაუჭირდება.



— თქვენი სამსახური მოგწონთ?

— რა გითხრათ. კარგა ხანს უმუშევარი ვიყავი. მერე ერთი ახლობლისაგან გავიგე, რომ ასეთი სამსახური იქმნებოდა და ხალხი სჭირდებოდათ. თავიდან ვორჭოფობდი, მაგრამ მერე თავს ვძლიე — ბევრ ქვეყანაში ეს დახმარებად ითვლება ფსიქოლოგების აზრითაც კი. თანაც მე არანაირ მორალურ კომპრომისზე არ მიწევს წასვლა. ეს სხეულით ვაჭრობა ხომ არ არის!

— შემოსავლით კმაყოფილი ხართ?

— დიდი ხანი არ არის, რაც ვმუშაობ. ისე კი შემოსული ზარების ხანგრძლივობას და რაოდენობას გააჩნია. საუბარი 5-6 წუთზე მეტხანს არ გრძელდება, ანუ გადასახდელია 2-3 ლარი. ისე, რაც მუშაობა დავიწყე, ტელეფონი არ ჩერდება... მგონი, უკმაყოფილო არ ვიქნები...

— სხვა სამსახური რომ იშოვოთ, ამას თავს დაანებებთ?

— ეს სამსახურის ხასიათსა და ხელფასზეა დამოკიდებული.

— ოჯახის წევრები, მეგობრები რას გეუბნებიან?

— არაფერს. ისინი ამაში უჩვეულოს ვერაფერს ხედავენ. ან შეიძლება მე არ მეუბნებიან.

— მეგობარი თუ გყავთ?

— მყავს. ერთხანს უკმაყოფილება გამოთქვა. იეჭვიანა კიდეც, მაგრამ მერე შეეგუა.

ჩვენი საუბარი ამით დამთავრდა. თბილისში უკვე ასეთი სერვისიც არსებობს. ვნახოთ, როგორ გაამართლებს.

ია მაისურაძე

ქალი და მამაკაცი: ორი სამყარო, ორი ლოგიკა...

ეს განსხვავება დღემდე საიდუმლოდ რჩება... თანდათან უფრო აშკარა ხდება ქალისა და მამაკაცის ქცევებსა თუ მსჯელობას შორის ზღვარი. მაგალითად:

ქალი სარკეში იმიტომ იხედება, რომ რაიმე უარყოფითი, ვთქვათ, ნაოჭი, კოსმეტიკური საშუალებებით დაფაროს; მამაკაცი სარკეს იმიტომ მიაშურებს, რომ კიდევ ერთხელ დარწმუნდეს, თუ რა სანდომიანია.

უცნობ ქალაქში ქალი უეჭველად იკითხავს, — როგორ მიაგნოს სასურველ ადგილს; მამაკაცი, როგორც წესი, არავის ჰკითხავს, — სად არის ესა თუ ის ქუჩაო; იგი თავის ორიენტაციას ენდობა.

ქალები შავი ფერის სამოსს იმიტომ ირჩევენ, რომ უფრო ლამაზი აღნაგობისა და სექსუალურნი ჩანდნენ. თანაც შავს ყველანაირი აქსესუარი უხდება. მამაკაცისთვის შავი ფერი, უბრალოდ, „ჭუჭყის ამტანია".

ქალმა იცის, მის საყვარელ ადამიანს რა რომელი ზომა სჭირდება; მამაკაცმა კი, თავისი რჩეულის მკერდის ზომა დაახლოებით იცის, თვალების ფერს კი უმრავლესობა ვერც არჩევს.

ქალს არ ერიდება, ჰკითხოს მამაკაცს, — ძალიან ხომ არ გავსუქდიო; მამაკაცი არასოდეს შეეკითხება ქალს, — ნამეტანი გავმელოტდი თუ არაო.

მამაკაცებს 5 წუთის შემდეგ აღარც კამათი ახსოვთ, არც კამათის მიზეზი და კვლავ მეგობრებად რჩებიან; ქალები კი საათობით არჩევენ ურთიერთდამოკიდებულებას და მერე კარგა ხანს ახსოვთ მომხდარი.

ქალი რომ დაპირდება მამაკაცს, — დაგირეკავო, — ეს ნიშნავს, რომ უსათუოდ დაურეკავს; კაცის მიერ ნათქვამი ეს სიტყვები არაფერს ნიშნავს.

ბოთლში ნახევარი ჭიქა ღვინო რომ ჩარჩეს, ქალი საცობს დაახურავს და „შემდეგისთვის" შეინახავს; მამაკაცი კი, მანამ არ მოისვენებს, სანამ ბოლომდე არ გამოწრუპავს.

ხნიერ მამაკაცებს ყმაწვილი ქალები იზიდავთ. ამით თითქოს თავს ირწმუნებენ, რომ კვლავაც სანდომიანნი და ძლიერები არიან; ქალებს კი სურთ, რაც შეიძლება მალე იხილონ მეუღლენი უფრო ასაკოვანნი და სოლიდურნი.

ზდოროვიე №6

რედაქციაში უავტორო წერილი მოვიდა

უცნაური სიყვარული

1993 წლის 27 სექტემბრიდან საქართველომ დაკარგა ულამაზესი კუთხე აფხაზეთი, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც არაფერს იშურებენ მის დასაბრუნებლად. 2000 წელს ჩავედი კოდორის (დალის) ხეობაში სამშობლოს ერთიანობისთვის მებრძოლთა სანახავად. მე აქ ვიგრძენი ჭეშმარიტი ქართული სული და უსაზღვრო სიყვარული მშობელი კუთხისა. ამ ხეობაში დღესაც მუშაობს ხუთი ქართული საშუალო სკოლა, აქაური მოსახლეობა ბრძოლას ირჩევს გაქცეულის სახელით დედაქალაქში ან სხვაგან ცხოვრებას. ვესაუბრე ქვეყნის გამთლიანების მოიმედე პარტიზანს, 32 წლის თემურს.

— თქვენზე ამბობენ, მამაცი ადამიანი არისო.

— ჰმ, — ჩაიცინა, — მე განადგურებული კაცი ვარ მხოლოდ. ვინც სიცოცხლეს არ ეტრფის, ის სიკვდილს ძმობს, ჩემი დამსახურებაც მხოლოდ ეს არის. რახან სიკვდილს არ გავურბი, თვითონ სიკვდილი გამირბის და საქმეში წარმატებაც ამაში მდგომარეობს.

— მართლა არაფრისა არ გეშინიათ, თუ ძალას ატანთ თავს?

— მეშინია, როგორ არ მეშინია, მაგრამ უფრო უღირსი სიკვდილისა.

— უღირს სიკვდილში რას გულისხმობთ?

— მებრძოლი, როცა მეგობრის სიცოცხლეზე მეტად საკუთარ ტყავზე ზრუნავს ის გმირულად ვერ მოკვდება. მე და ჩემს მეგობრებს გვჯერა ერთმანეთის, სხვაგვარად საქმე არ გამოვა. დიდი უბედურება გადავიტანე, უამრავი ახლობელი დამეღუპა.

— საფიქრალი არავინ დაგრჩათ?

— არავინ, გარდა მეგობრებისა, ვინც ჩემ გვერდში იბრძვის და საქმე, რომელიც წინ გვაქვს. ეს არის აფხაზეთის დაბრუნება.

— დაცოლშვილებაზე თუ გიფიქრიათ?

— ამისთვის ნამდვილად ვერ მოვიცალე, თუმცა ძალიან ბევრს ვფიქრობ ერთ ქუთაისელ გოგონაზე, მაგრამ არ ვიცი, ვინ არის და სად ვეძებო... მას გალში, დავალებაზე ყოფნისას შევხვდი... მერე, როგორც კი თავისუფალ დროს ვნახავდი, სასწავლებელთან ვუცდიდი, მაგრამ ამაოდ. ის გოგონა ჩემი ცხოვრების ნაწილია. ბავშვობაში ძალზე ცელქი ვიყავი, რისთვისაც ხშირად მსჯიდნენ. როცა მტირალს ჩამეძინებოდა, სიზმარში ხშირად მეცხადებოდა გოგონა, მამშვიდებდა და მეფერებოდა, მერე კი ხელს ჩამკიდებდა და ხან ერთი მთისკენ მივფრინავდით, ხან მეორისკენ. გოგონა ისე შემიყვარდა, რომ ცხადშიც ვტიროდი, მენატრებოდა სიზმარი. ცოტა რომ წამოვიზარდე, ლექსების წერაც დავიწყე მასზე, მერე კი ფანქარსაც მოვკიდე ხელი და სიზმრად ნახული თვალები ფურცელზე გადამქონდა. ის ქუთაისელი გოგონა და ჩემი სიზმრის მეგობარი ტყუპისცალებივით ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ არც აქ გამიღიმა ბედმა. სიზმარივით გაქრა ისიც.

მოვძებნიდი, მაგრამ იქნებ არც ღირდეს, დავბერდი უკვე, ცხოვრების მწარე ხვედრმა გამანადგურა. ესეც რომ არ იყოს, მას თავისი ცხოვრება აქვს, მე ჩემი. არა მგონია, შევძლო მისი გაბედნიერება. მე მთელი არსებით ამ საქმეს ვეკუთვნი და სხვაგვარად ვერც ვიცხოვრებთ.

— ახლა თუ გესიზმრებათ ის გოგო?

— ძალიან ხშირად, დავალებაზე წასვლის წინ. თუ მეხუმრება, ყველაფერი წარმატებით მთავრდება. თუ ნაღვლიანია, ვიღაც მეგობარს ვკარგავ.

— ისევ სატავთ მის თვალებს?

— ჩემს საძინებელ ოთახში ალბათ ათასი ნახატი მაინც ჰკიდია და ყველა ნახატს ერთნაირი თვალები აქვს.

— ხომ არ გაიმეტებდით ერთს?

— ინებეთ, — ჯიბიდან იღებს ქაღალდის ფურცელს და მაწვდის.

თუ ბატონი თემურის იდუმალი სატრფო იცნობს თავს ამ ნახატში და გადაწყვეტს მასთან შეხვედრას, დარეკოს ტელეფონზე 34-00-68 და იკითხოს იგორი. ის დაეხმარება თემურთან შეხვედრაში.

როგორ ვიპოვოთ ჩვენი „ნეკნი"?

ბიბლიის თანახმად, პირველი ქალი მამაკაცის ნეკნისგან შეიქმნა. იგი — მთლიანის ნაწილია. ასევეა მამაკაციც — ქალის გარეშე იგიც „ნაწილია". ჰარმონია მხოლოდ ნახევრის შეერთების შედეგად წარმოიქმნება. „და იყვნეთ თქვენ ერთ სულ და ერთ ხორც" — აი, ფორმულა მონესრიგებული ცხოვრებისთვის. მაგრამ როგორ ვიპოვოთ ჩვენი ნახევარი, თანაც ისე, რომ არ შევცდეთ? რა თქმა უნდა, ზუსტი რეცეპტის გამოწერა ძნელია და მაინც... თუ შეგინიშნავთ: ვინ უფრო ხშირად მარცხდება დაქორწინების მსურველთა შორის? ის ქალი, ვისაც ძალიან სურს გათხოვება — სულერთია, ვისზე. მას შუბლზე აწერია: „გათხოვება მინდა!" ასეთი ქალებისა მამაკაცებს ცეცხლივით ეშინიათ და პანიკურად გაურბიან პირველივე შესაძლებლობისთანავე. ამასთან, გათხოვება ის შემთხვევა არ არის, როცა შეიძლება ცხოვრება დევიზით: „25 წლამდე უნდა გავთხოვდე". თითოეულ ქალს „თავისი ასაკი" აქვს: ვინ 18 წლისა პოულობს ბედნიერებას, ვინ — 30-40 წლისა. აქ რაიმე დადგენილი წესი არ არსებობს. არც ციფრების კანონი მოქმედებს. ამ შემთხვევაში განჭვრეტის უნარი თამაშობს დიდ როლს, რომელსაც, როგორც წესი, არავინ აქცევს ყურადღებას. ემოცია წინ უსწრებს გონებას და შედეგად ვიღებთ ნაჩქარევ ქორწინებებს. ერთი სურვილი გვაქვს, არ ჩამოვრჩეთ მეგობარ ქალებს.

უმჯობესია, თუ ასეთ სერიოზულ საკითხს დინჯად გადავწყვეტთ. მოვა დრო და ერთ მშვენიერ დღეს გამოჩნდება — იგი! აღარ იქნება საჭირო განსჯა, ფიქრი და რაიმეს გადაწყვეტა. პასუხი აშკარა იქნება — მას გული გიკარნახებთ.

ლიზა №22

ტესტი

იდეალური წყვილი ხართ თუ არა?

1) წარმოიდგინეთ, რომ თქვენი ახლობლები აღნიშნავენ მათი რომანტიკული ურთიერთობის წლისთავს. მოდით, მათ პირობითად დავარქვათ ადამი და ევა. სანთლების შუქზე ვახშმობის დროს ევა დგება სუფრიდან და გადის მეორე ოთახში, ან თუნდაც ბაღში; თუ რესტორანში ვახშმობენ, ტუალეტში (იგივე შეიძლება გააკეთოს ადამმა). რატომ გადიან მაგიდიდან?

ა) ევას (ადამს) გაახსენდა, რომ დიდი შეცდომა დაუშვა, როცა შეიყვარა ადამი (ევა) — (0 ქულა)

ბ) გრძნობები მოაწვა და გასეირნება მოისურვა (5 ქულა)

2) ადამი და ევა ქუჩაში სეირნობენ. რა რეაქცია ექნება ევას (ადამს) თუ მისი შეყვარებული ქუჩაში გამვლელ ქალს (ან მამაკაცს) გააყოლებს თვალს.

ა) მაშინვე მოუწყობს სკანდალს (0 ქულა)

ბ) გაებუტება, თანაც დიდი ხნით (2 ქულა)

გ) უმალ გადაიტანს მის ყურადღებას მაღაზიის ვიტრინაზე (ქუჩაში ჩავლილ კარგ მანქანაზე) (5 ქულა)

დ) იმგვარადვე უბრუნებს ხურდას — აკვირდება მამაკაცს — (0 ქულა)

3) რას ყვება ევა (ადამი) მეგობრების წრეში:

ა) ანეკდოტებს (2 ქულა)

ბ) იხსენებს კურიოზებს (2 ქულა)

გ) დასცინის, აკეთებს საყვარელი ადამიანების პაროდიებს (0 ქულა)

4) ევას (ადამს) უყვარს სუნამო, რომელიც ადამს (ევას) არ მოსწონს.

ა) ევედრება შეყვარებულს, გამოცვალოს სუნამო (0 ქულა)

ბ) ისღა დარჩენია, შეეგუოს უსიამოვნო სუნს (2 ქულა)

გ) აჩუქებს უფრო ძვირფას და სურნელოვან სუნამოს (ოდეკოლონს) (5 ქულა)

5) რამდენი პროცენტით ისურვებდა ევა (ადამი) საყვარელი მამაკაცის (ქალის) ხასიათის შეცვლას?

ა) 15%-ით (5 ქულა)

ბ) 50%-ით (2 ქულა)

გ) 75%-ით (1 ქულა)

დ) 100%-ით (0 ქულა)

0-დან 5 ქულამდე ბევრი გაკლიათ, იდეალური ქალი (მამაკაცი) რომ გახდეთ. საყვარელ ადამიანს მკაცრი მასწავლებელივით ექცევით. ცდილობთ, რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, დაიმორჩილოთ, რაც თქვენს ურთიერთობაში კონფლიქტის მიზეზია. გახსოვდეთ, თქვენი მონა არავინ არის.

6-დან 17 ქულამდე. თქვენი ურთიერთობა არასოდეს გაფუჭდება. თუმცა, პარტნიორი ყოველთვის ისე არ იქცევა, როგორც ინატრებდით. იქნებ ეცადოთ, ცოტათი თქვენ აუბათ მხარი...

18-დან 25 ქულა თქვენი საყვარელი მამაკაცი (ქალი) უბედნიერესი ადამიანია. მას იდეალური მეგობარი ჰყავს.

თენგიზ არჩვაძე: ჩემი სული მიწის იატაკიან, შუაცეცხლიან სახლში რჩება...

ბატონ თენგიზ არჩვაძეს ძველ კინოსტუდიაში შევხვდი. იმ წლებისაგან გაფერმკრთალებულ შენობაში, თითქოს შემცბარი რომ დგას ეზოს სიღრმეში, ერთ პატარა ოთახში საოცარი სამყაროა დატეული. ძველი სავარძლები, უბრალო მაგიდა, ზედ ილიას კრებული, კედლებზე ვან გოგის, გოგენის სურათების რეპროდუქციები... აქ ცხადდება, რომ ის, რასაც ჩვენ ინტერიერს ვეძახით და სიმყუდროვისა და ბედნიერების ერთ-ერთ პირობად მივიჩნევთ, ძირითად და ჭეშმარიტ ღირებულებას მოკლებულა. ბატონი თენგიზი კი მისთვის ჩვეული მეტყველი თვალებით აივანზე ამოსულ ვაზის ტალავერს უყურებს და ამაღლებული უბრალოებით გვიყვებს:

— ეს ვაზი რომ ვახარე, ასეთი მნიშვნელოვანი და კარგი ქართული საქმე ჩემს სიცოცხლეში არ გამიკეთებია. თბილისელი ვარ. აბა, ვაზის მოვლა საიდან მეცოდინებოდა... აქ ერთი ქართელი კაცია, ამ საქმეში განაფული — ირაკლი სულხანიშვილი... ის დამეხმარა...

— პირველ მოსავალს ელოდებით?

— აბა როგორ! იცით, როგორ ვუთვალთვალებდი ყლორტებს?! და აი, უკვე ნიშანი აქვს გამოსული.

— რომ არ ეხარა...

— არ შეიძლებოდა! ისეთი ორმოები ამოვიღეთ, ისეთი ნერგები მოვიტანე... მითხრეს, ნაკელია საჭიროო. ვიშოვე. თბილისში რომ ყიდდნენ ადრე — ყვავილების მიწას, ის ჩავყარეთ იმ ორმოებში, მერე წყალი ჩავუშვით... საშუალება რომ იყოს, ამ ვაზს უფრო მეტ პატივს მივაგებდი. თქვენ იცით, მტერი რომ მოდიოდა, პირველად ვაზს ეცემოდა. რამდენჯერ შეეწირა ზვარაკივით საქართველოს გადარჩენას მოსახლეობაც და ბაღ-ვენახებიც...

— შეიძლება ითქვას, ეს ვაზი თქვენი მეგობარია...

— მეგობარზე უახლოესია. მე შვილთაშვილი შემეძინა. აი, ისე მიყვარს ვაზი, როგორც ის პატარა. კახელს აქვს ნათქვამი: „ვაზო, შვილივით ნაზარდო, ულვაშებ გადგიგრეხია, ჩაჰკონებიხარ ჭიგოსაო“...

— აქ თქვენი სახლი არ არის, მაგრამ ყველაფერი ისეთი თქვენეულია...

— ეს ჩემი სამყაროა, ყველაფრისაგან ვისვენებ აქ როცა ვარ. ნახეთ, აივნის წინ როგორი ფიჭვი დგას! იქ ხანდახან ციყვი გამოჩნდება, ხან ბულბული, შაშვი... „მარტოობაში რაა სიამეო“, უთქვამთ... არის: ჯერ ერთი, ფიქრის საშუალებაა, რაღაცების გადაფასების. ეს ყველაფერი მარტოობაში, ამ ოთახში ხდება.

— როცა ამ აივანზე ან ოთახში ბავშვობაზე ფიქრობთ, რა გახსენდებათ?

— ბავშვობა თბილისში გავატარე. ჩვენი აგარაკი კი კოჯორი და წაღვერი იყო. მამაჩემის მამა რომ მოკლეს, მერე რაჭაში აღარ დავდიოდით. ბებია 27 წლისა დაქვრივდა, უკვე ხუთი შვილის დედა იყო — მარტოსული, ოთარაანთ ქვრივს ეძახდნენ...

ომი რომ გამოცხადდა, პირველად იმ წელს წამიყვანეს რაჭაში 9-10 წლის ვიქნებოდი. იქ მოვისმინე სკოლის შენობაში მოლოტოვის სიტყვა, იქ შემიყვარდა ცხენი. ბაბუას სათიბში დავყავდი. ჩემი ზომის ცელი გამიკეთა. ამხედრდებოდნენ ხოლმე კაცები ცხენებზე, ჩვენ, ბიჭები, ფეხით მივყვებოდით სათიბში. ძალიან შრომატევადია თიბვა... დამღლელია, მაგრამ სიყვარული იცის. ნოვოროსიისკში ვიღებდით „ყველა კომეტა არ ქრება“. ომის თემაზე იყო ფილმი. დავინახე, მთაზე ერთი რუსი თიბავდა. ჟრუანტელმა დამიარა. ავედი. ცელი მათხოვე-მეთქი. ისეთი დიდი თვალებით მიყურებდა. კარგა ხანს არ გავუშვი ცელი ხელიდან. ბავშვობა გამახსენდა.

უსაზღვროდ მენატრება ჩემი ნატო ბებია. ერთხელ დედულეთიდან ცხენით ჩავედი მასთან. 16 წლის ვიქნებოდი. გამიწყო სუფრა, გამოაცხო ხაჭაპურები, დამიკლა წიწილა. დამიჯდა, მიყურებდა და — გენაცვალოს ბებო, გენაცვალოს ბებოო, — ჩურჩულებდა. ჭიქაში ღვინოს რომ ჩამისხამდა, მაშინაც კი არ მაცილებდა თვალს, სასმისს არ შეხედავდა. ის ერთი წამი ენანებოდა დასაკარგავად, რომ ჩემთვის არ ეცქირა... ახლაც კი ცუდად გავხდი, რომ გავიხსნე... სითბო და სიყვარული რჩება, არ იკარგება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს... იმიტომ იზრდებიან კაცის მკვლელები, ეს რომ აკლდებათ. ბავშვობიდანვე უნდა აგყვეს დედის, ბებიის, ბალახის, ყვავილის, ჩიტის გალობის სითბო...

რაჭაში, ის ჩემი მამაპაპისეული დიდი წაბლის სახლი ბუხრებითა და აივნით, მიწისძვრამ გაანადგურა: დაინგრა, დაიმარხა. ერთი დიდი სამოვარი ამოვიღე მიწიდან მხოლოდ, არც გამიწმენდია, ისე შევინახე... სახლის მშენებლობა დავიწყე, ზამთარმა მომისწრო, მერე აქ ომი ატყდა... რაც მასალა დამრჩა ეზოში დაწყობილი, მოიპარეს... ვერ დავამთავრე მშენებლობა... ისეთი გულისტკივილი დამრჩა, იქით გახედვა არ მინდა. ქვემო რაჭაში ვიყავი. მითხრეს, თუ გინდა აგიყვანთო შენს ეზოში, ზემო რაჭაშიო. არ მინდა-მეთქი. გული ვერ გაუძლებდა იმის ყურებას.

— თქვენ თურმე ყველაფერი უსაზღვროდ გიყვართ, ქართული მიწა, უბრალო გლეხი... წისქვილსაც კი ეფერებაო, ამბობენ.

— ო, წისქვილი ჩემი დიდი სიხარული, ტკივილი და სიყვარულია. ამ რამდენიმე წლის წინ სამი დღით ვიყავი ამბროლაურთან ახლოს სოფელში. იქ საკალმახე მდინარეა და პატარა წისქვილები. მიცნეს. მითხრეს, — დილისათვის წითელფორეჯა კალმახებს დაგიჭერთ. და თავისსავე წყალში მოვხარშავთო... მე ვუთხარი: მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წისქვილში გავშლით სუფრას-მეთქი. პატარაა წისქვილი, შიგ 4 კაციც ვერ დაეტევითო. არა უშავს, დანარჩენი გარეთ დავდგებით-მეთქი. იქ, სარეკელას კაკუნის ხმის მოსმენას არაფერი მერჩია... „მალე გაზაფხული მოვა“ რომ არის, იმის გადაღებაზე ლამაზ სოფელში, ყოფილ ბაღვაშთა სამკვიდროში — კაცხში ვიყავით. იქ არის ერთი ეპიზოდი: ვსხედვართ წისქვილში მე და სერგო ზაქარიაძე. გადაღების შემდეგ მეწისქვილეს ჩამოვატანინებდით მჭადს, ყველს, დოქ ღვინოს... გვიყვარდა იქ ყოფნა. ტბეთში ერთხელ სუფრა გაგვიშალეს. ისეთი მჭადები დაგვიცხვეს, ვერ მოვცილდი. სულ სხვა გემო ჰქონდა. მჭადის მეტი არაფერი გამისინჯავს... წისქვილიც იმიტომ მიყვარს: ნედლი ფქვილის სუნი აქვს. განსაკუთრებით მჭადის ფქვილის სუნი

ისეთი მშობლიურია... გადაგათეთრებს თავისი თეთრი მტვრით წისქვილი.

— კიდევ რა გიყვართ ასე ძლიერად?

— პიონერთა სასახლე მიყვარდა. იქ დრამწრეში დავდიოდი ხატვაზე. გრიგოლ მესხი მასწავლიდა ხატვას.

— როგორი მსახიობი გახდით, ყველამ იცის, მაგრამ თქვენი ნახატები არ მინახავს.

— ნახატები... ნახატები ერთხელ გაჯავრებულმა ჩამოვიტანე ეზოში და დავხიე.

— თქვენს პროფესიას რაც შეეხება, დიდი ცხოვრებით იცხოვრეთ;

— დიახ, გეთანხმებით, მაგრამ ძალიან რთული იყო. რომ მახსენდება, აღარ ვუსურვებ არავის, ყოველ შემთხვევაში, ჩემიანს... ჩემი უფროსი ქალიშვილიც — ნატოც მსახიობია. აქ სულ ვიღაცაზე ხარ დამოკიდებული. მხატვარი კი თავისი თავია მხოლოდ... მინდიაც მარტოა ბაღში... იცით, მინდიას ვის ეძახდნენ? მცხეთაში რომ მრავალფეროვანი ბაღი ჰქონდა მამულაშვილს, იმას. მამაჩემს პოემაც კი აქვს თეთრ ლექსად დაწერილი სოლეიდორ მამულაშვილისადმი. დაბალი კაცი იყო. ყველაფრის ენა ესმოდა ბალახიდან დაწყებული. მართლა ვაჟას მინდია იყო. პატარა მიწა ჰქონდა სვეტიცხოვლის უკან, მტკვრისაკენ... ყვავილებით სავსე. ერთი საოცარი ინგლისელი წერს: ყვავილები იმიტომ არის ფერად-ფერადი, ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ ფუტკარს მოაწონონ თავიო. ერთი ყვავილი თუ თეთრია, მეორე გრძნობს ამას და თვითონ უკეთესი უნდა გახდეს. ასეთი საკვირველი რამ ხდება ბუნებაში. ჰოდა, მამულაშვილი ფუტკარს მაგონებს, ყვავილებს რომ დასტრიალებს. მას ხელს ხომ არავინ უწყობდა. მენშევიკების დროს ყვავილების მაღაზია ჰქონია თბილისში, დაუკეტავთ. ბოლოს ამ ბაღის ამარა დარჩა. ხომ შეეძლო, რაღაც მოეყვანა: სიმინდი, საზამთრო ან პამიდორი... არაფერი შეუცვლია. ერთი გრძელი სახლი ჰქონდა და სამოთხის ბაღი. მე ხატვა მიყვარდა, ლექსი, თეატრი, აი ყვავილების მოვლა რომ გიყვარდეს, მიწასთან ურთიერთობის სკოლა უნდა გაიარო. ადრე წინამძღვრიშვილს ჰქონდა წინამძღვრიანთკარში სკოლა. იქ თურმე, ბავშვებს მიწასთან მუშაობას აჩვევდნენ. ეს ურთულესი კულტურაა. ჩვენ ისტორიულად ვფლობდით ამას. მსოფლიოში არსებული პურის კულტურიდან უმრავლესობა ჩვენი ქართული ჯიშებია, ვაზიც ასე იყო...

სულს აღზრდა უნდა. დღეს ვერ იცლიან ამისთვის, თუ არ იცლიან, არ ვიცი. კუნთების ჩამოყალიბება ადვილია, სულისა — ძნელი... ამის გარეშე კი... ერთ მეგობარს ვუთხარი: რა არის, სულ ღორივით (არ მიყვარს ეს სიტყვა, მაგრამ უნდა ვთქვა) ძირს რომ იყურები, საშოვარზე, აიხედე, ნახე, რა ზეცაა, შენ ისე ცხოვრობ, ცა არ გინახავს-მეთქი!

მე სულ ზეპირად ვიცოდი ცარგვალის განლაგება; ირმის ნახტომი, დიდი დათვი, პატარა დათვი... თუშეთში ცეცხლს დავანთებდი, ნაბადში გავეხვეოდი და გარეთ ვწვებოდი დასაძინებლად. იმიტომ კი არა, რომ სახლში არ შემეძლო ღამის გათევა, გარეთ ცას მივჩერებოდი. ვუყურებდი, როგორ მოგზაურობდა ცისკრის ვარსკვლავი. მეც მათთან ერთად ვსერავდი ცის კაბადონს.

— „უნაგირის ქვეშ“ კი წიგნებს ატარებდით, არა?

— წიგნები სულ თან მქონდა მეგზურად. მერე ერთსახოვან ლიტერატურას კი არ ვკითხულობდი, რამდენიმენაირს ერთად. მეკითხებოდნენ, როგორ ახერხებ ამასო? ძალიან კარგად ვახერხებდი... განწყობილების მიხედვით ვკითხულობდი... ეს მხოლოდ მეხმარებოდა ჩემს საქმიანობაში.

— ამბობენ, შეყვარებულ მანდილოსანთა ყურადღებაც მუდამ თან სდევდაო.

— შეიძლება, მაგრამ მე ერთი ქალი ავირჩიე და ის მყავდა ცხოვრებაში სულ... მე ერთგული კი არ ვიყავი, იძულებული ვიყავი ასეთი ვყოფილიყავი... ჩემს თავს ვერასოდეს ვუღალატებდი.

— მინდა იმ ფილმის შესახებ გკითხოთ, რომელიც საქართველოში უმრავლესობას არ უნახავს: „პოლკოვნიკს არავინ არ სწერს“. გიყვართ ეს ფილმი, თქვენი როლი?

— როგორ არ მიყვარს, თვითონ წიგნი მიყვარს მარკესისა — „პოლკოვნიკს არავინ არ სწერს“, „მარტოობის ასი წელი“... იცის, იმ პოლკოვნიკმა, რომ არავინ მისწერს, მაგრამ არ შეუძლია, არ ელოდოს. ამ ფილმმა გერმანიაში პრიზები მიიღო. დღეს რაც ამერიკული ფილმები შემოვიდა, ყველა მაღალი ტექნიკით არის გადაღებული, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარია ფილმი შიგნით იყოს სავსე, სათქმელი ჰქონდეს... პოლკოვნიკის ამბავი კი ეს სათქმელია.

— ალბათ, შვილებსაც სულ ცისკენ ახედებდით.

— ძალიან ბევრს ვმუშაობდი და ვერ ვიცლიდი, რომ შვილებისათვის მეტი ყურადღება დამეთმო. მსაყვედურობენ, — არ გეცალა ჩვენთვისო, აბა ვის ემუშავა... ერთ წელიწადს 5-6 ფილმში მიღებდნენ ერთად. შატილიდან მურმანსკში გადავფრინდი, იქიდან გემით პოლუსზე წავედი, იქიდან ყარაყუმის უდაბნოში მომიხდა გამგზავრება. აი, როგორ მიწევდა მოგზაურობა.

— ალბათ იმისი თქმა გინდათ, რომ დღეს ერთმანეთს ალარ ეწერთ. წერილის ლოდინმა კი ბევრი რამ შეიწირა...

— ეს ასეა...

— ვიცი, ბევრმა მსახიობმა რეჟისორობა დაიწყო, ალბათ იმიტომ, რომ სხვაზე ალარ ყოფილიყო დამოკიდებული.

— მარჯანიშვილმა თქვა: უნიჭო მსახიობი ვიყავი და რეჟისორობა იმიტომ დავიწყეო... მე არ შემიძლია ორგანიზაციაზე ვიზრუნო, ბუღალტერიაზე ვიფიქრო, ლურსმანზე ვირბინო... ლურსმანი შინაც კი არ მიმიჭედებია, იმიტომ, რომ ეგეც მეჯავრება, ფინანსებიც... ფული არასოდეს დამითვლია. იცით, რაზე ვოცნებობდი? ერთი პატარა სახლი მქონოდა სადმე. ყოფილიყო ვაჟას რომ ჰქონდა ისე, მიწის იატაკით, შუაცეცხლით. აი იქ, ტახტზე ნაბადში გახვეული დავიძინებდი... ეს უზარმაზარი სიამოვნებაა. ჩემი ადგილი იქ არის.

— კომფორტი არ მოგწონთ?

— არა, რატომ... მიყვარს კომფორტული მანქანა, კიდევ ლამაზად ჩაცმული ქალი მომწონს... ჩემი სული კი მაინც იქ, იმ მიწის იატაკიან სახლში რჩება. მეცინება ხოლმე, სახლი რომ გამოჭედილი აქვთ ნივთებით... შინ უნდა ტრიალებდეს იქ მცხოვრები ადამიანების სული. მათი ურთიერთობების სილამაზე უნდა იგრძნობოდეს... ნივთი კი მტვერს აგროვებს, მეტს არაფერს. ამიტომ მომწონს იაპონელთა ცხოვრების ყაიდა, მაქსიმალურად მცირე ნივთები აქვთ. დანარჩენი ადგილი სივრცეს ეთმობა და კიდევ, ბაღი უყვართ, როგორც მამულაშვილს უყვარდა. იაპონელებმა ვულკანურ ნიადაგზე ასეთი ქვეყანა ააშენეს, ჩვენ კი აქ, სამოთხეში, დავანგრიეთ...

— წლების გადასახედიდან მაინც რა არის ყველაზე ღირებული?

— თვითონ სიცოცხლეა ღირებული... პირობებია საზიზღარი. არსებობს ყოველდღიურობა — გაუსაძლისი ფიქრი ლუკმაზე, მაგრამ უნდა შეძლო, თავი დააღწიო ამას. სიცოცხლე და აზროვნების უნარი უდიდესი ღირებულებებია. ახლა რომ გაჰკივიან, თავისუფლები არ ვიყავითო, მე სულ თავისუფალი ვიყავი. ეს შეიძლება პატიმარმაც იგრძნოს: შინაგანი თავისუფლება.

— და ვინც სასოწარკვეთის ზღვარზეა და არ იცის საით გაიხედოს?

— სამზეოსკენ უნდა გაიხედო. იცით, რა არის სამზეო? მე კუს ტბაზე დავდიოდი ფეხით. იქ, ზევით, კაკლები ხარობს... უძოზეც ავიდოდი ხოლმე. იქიდან კოჯრამდე კილომეტრ-ნახევარიღა რჩება... მზის ამოსვლას ვასწრებდი იქ ასვლას. რომ გადმოიხედავ და მზე რომ ამოდის — ეს არის სამზეო. აბსოლუტურად არაფერს არა აქვს მატერიალურს მნიშვნელობა. ყველაფერი რომ წამართვან, ამისი ნახვის უფლებას თუ დამიტოვებენ, უბედნიერესი კაცი ვიქნები. ეს უნდა შეიგრძნო. ბედნიერებას დანახვა უნდა. უნდა განასხვავო ღირებული და ნაკლებად ღირებული.

ბატონი თენგიზის სიტყვებმა სულიერი სისავსე მაგრძნობინა და მინდა გითხრათ, რომ ზემოთ დაწერილი მხოლოდ ერთი წვეთია მისი სულის კამკამა ზღვიდან წამოღებული...

ლელა ჯიყაშვილი

Tacis

ყურადღება!

თბილისისა და საქართველოს მოსახლეობის გათბობისა და ცხელწყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით

„ტასის“-ის ენერგოეფექტურობის ცენტრი

იწყებს ESCO-ს (ენერგოსერვის კომპანია) ჩამოყალიბებასა და ხელშემწყობ ღონისძიებათა ციკლს.

პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ავტონომიური გათბობის სისტემით აღჭურვა. ამ მიზნით „ტასის“-ის ენერგოეფექტურობის ცენტრი ეძებს პოტენციურ გაძახლისუნარიან მომხმარებლებს სადარბაზოთა გაერთიანების ან მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებლების სახით, რომლებიც უზრუნველყოფილნი იქნებიან გათბობითა და ცხელწყალმომარაგებით საფასურის ყოველთვიური გადახდის საფუძველზე.

გთხოვთ მოგვმართოთ (10.00-18.00სთ.) მისამართზე:

„ტასის“-ის ენერგოეფექტურობის ცენტრი
თბილისი
დაჯით აღმაშენებლის გამზ. 61
ტელ: 94-30-76; 94-19-70
ფაქსი: 92-15-08
ელ. ფოსტა: eecgeo@eecgeo.org
საკონტაქტო პირი: თამუნა აბაზაძე

დიდი ფეხბურთი ბელგიასა და ჰოლანდიაში

ბელგია - შვედეთი 2:1

შაბათს, ბრიუსელში „მეფე ბოდუენის“ სტადიონზე ოფიციალურად გაიხსნა წლის უმთავრესი საფეხბურთო ტურნირი, ევროპის 2000 წლის ჩემპიონატი. ტურნირი 22 დღე გაგრძელდება, გაიმართება 31 მატჩი, 2 ივლისს კი „ძველ კონტინენტს“ ახალი ჩემპიონი მოეკლინება. მსოფლიოს წამყვანი საფეხბურთო ტოტალიზატორები ჩემპიონობის უმთავრეს ფავორიტად თანამასპინძელს, ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებს ასახელებენ, შემდეგ მოდიან იტალიის, ინგლისისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები. ჩემპიონობის ყველაზე არარეალურ ფავორიტად თურქეთისა და სლოვენიის გუნდები ითვლებიან. ასეა თუ ისე, პროგნოზების დრო დასრულდა და ახლა ყველაფერი ბელგიისა და ჰოლანდიის მოედნებზე უნდა გადაწყდეს. მთელი სპორტული მსოფლიოს ყურადღება ევროპის ამ ორი ქვეყნისკენაა მიმართული. როდის მოვა ის დრო, კონტინენტის უძლიერეს ნაკრებთა შორის საქართველოს ნაკრებსაც რომ ვიხილავთ? ვინაიდან ეს არცთუ ახლო მომავლის პერსპექტივაა, ჯერჯერობით, სხვათა გუნდების გულშემატკივრობა გვიწევს. რას იზამ, ლამაზ და დაუვიწყარ საფეხბურთო სანახაობას გისურვებთ!

გაზეთის ბეჭდვის დროს მხოლოდ პირველი ორი მატჩი იყო დასრულებული. ჩემპიონატის მასპინძლებმა, ბელგიელებმა ურთულეს ბრძოლაში 2:1 მოუგეს შვედებს. კვირას კი ჩვენ მიერ ფავორიტად მოხსენიებულმა იტალიის ნაკრებმა უდიდესი ენერგია შეალია თურქებთან ბრძოლას და იმავე ანგარიშით მოიგო, როგორითაც ბელგიელებმა სძლიეს სკანდინავიელებს.

ვის სჭირდება ევრო-2000?

მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის წინ, ბელგიურმა პრესამ საკმაოდ მწვავე საკითხი დააყენა. რამდენად მომგებიანია ქვეყნისათვის ასეთი ტურნირის მასპინძლობა? როგორც ირკვევა, ბელგიის ხელისუფლებას დიდად სულაც არ ეპიტნავება მასპინძლის როლში ყოფნა. ქვეყნის ყველაზე პოპულარულმა ეკონომიკურმა გაზეთმა კი ამგვარი განცხადება გააკეთა: „კონტინენტის საფეხბურთო პირველობა XIX საუკუნის „ველური“ კაპიტალიზმის საუკეთესო ნიმუშია, როდესაც მონოპოლისტი (ამ შემთხვევაში უეფა) მთელი მოგების სრული ბატონ-პატრონია, ბელგიელ ჟურნალისტთა აზრი მართლაც საკმაოდ ახლოა სიმართლესთან. უეფა ევრო-2000-ის ყველა საორგანიზაციო უფლების მფლობელია. სავარაუდოა, რომ მხოლოდ სპონსორული კონტრაქტებიდან მოგება 7 მილიარდ ბელგიურ ფრანკს შეადგენს, ამას ემატება 3,5 მილიარდი ტელეტრანსლაციებიდან და ადვილი წარმოსადგენი ხდება, რა მასშტაბებს აღწევს უეფას მოგება ევრო-2000-დან. შემოსავალთან შედარებით, გასავალი სასაცილო თანხად ჟღერს. ჩემპიონატის გამარჯვებული გუნდი 360 მილიონს მიიღებს, ფინალისტი — 330-ს, ნახევარფინალისტები კი 225-225-ს. ეროვნულ ფედერაციებზე გასაცემი თანხა ჯამში 2 მილიარდს შეადგენს, 875 მილიონი კი ფეხბურთის განვითარებას მოხმარდება, დანარჩენ თანხას კი უეფა მიისაკუთრებს.

ბელგიის ხელისუფლებას, მცირეოდენი მოგების იმედი გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხიდან აქვს. ბილეთები კი ჯერ მთლიანად არ გაყიდულა. გარდა ამისა, ეჭვგარეშეა, რომ ქვეყანას ასიათასობით ტურისტი მიანყდება, მათ კი ადგილობრივ ბარებსა და რესტორნებში არცთუ მცირე თანხის დატოვება მოუწევთ, მაგრამ უეფას მოგებასთან შედარებით ეს ყველაფერი ზღვაში წვეთია.

* * * * * *

თითქმის დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, ჰოლანდიელთა და ბელგიელთა უმრავლესობას წარმოდგენაც არა აქვს, რა არის ევროპის ჩემპიონატი. გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანათა მოსახლეობის უმრავლესობას, ევრო-2000, ევროსაბჭოს მიერ უმუშევრობის წინააღმდეგ მიმართული აქცია ჰგონია. გამოკითხულთა ერთი ნაწილი კი ევროპის ჩემპიონატს ახალი ათასწლეულის შესაგებებელ ფესტივალად აღიქვამს.

* * * * * *

ბელგიისა და ჰოლანდიის იმ ქალაქებში, სადაც ევროპის ჩემპიონატის მატჩები იმართება, პოლიციელები ისეთ მზადყოფნაში არიან, როგორც ჯარი საბრძოლო ოპერაციების წინ. დაძაბულობის ცენტრად ბელგიის ქალაქი შარლერუა იქცა, სადაც 17 ივნისს ერთმანეთის პირისპირ გერმანიისა და ინგლისის ნაკრებები წარდგებიან, 30-30 ათას გულშემატკივართან ერთად. რას ნიშნავს 30.000 ინგლისელი ფანი ამდენივე თავზე ხელაღებული გერმანელის წინააღმდეგ, კარგად მოგეხსენებათ. ქალაქის ხელისუფლების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველაფრისათვის მზად უნდა იყვნენ, ამიტომ ბელგიელებმა ჭკუა იხმარეს და 17 ივნისისათვის წინასწარ „დაჯავშნეს“ ადგილები ქალაქის... მორგში. ღმერთმა ნუ ქნას და, თუ რაიმე უბედურება დატრიალდა, ინგლისელთა და გერმანელთა გვამებს სხვადასხვა პროზექტურაში მოათავსებენ, რათა ახალი სისხლის ღვრა აიცილონ თავიდან.

* * * * * *

სახელგანთქმული ჰოლანდიელი მეძავები „ღირსეულად“ მოემზადნენ ევროპის ჩემპიონატისათვის. იქაური პრესის ცნობით, ჰოლანდიური საროსკიპოებისა და სექს-კლუბების ხელმძღვანელებმა კატეგორიულად აუკრძალეს თანამშრომლებს, ევრო-2000-ის დროს შვებულებაში გასვლა, საროსკიპოების შეფები ამასაც არ დასჯერდნენ და დამატებითი შტატებიც მოიწვიეს. გარდა ამისა, იქ მომუშავე ქალბატონებმა სპეციალური მითითებებიც მიიღეს ხელმძღვანელთაგან, — ისინი ვალდებულნი არიან უმოკლეს დროში გაერკვიონ საფეხბურთო საკითხებში, რათა კლიენტებთან თავისუფლად შეეძლოთ მსჯელობა მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე, ფეხბურთის შედეგებით განაწყენებულ გულშემატკივარს კი სანუგეშო სიტყვა მაინც შეაშველონ.

«დინამო» ინტერტოტოზე

თუმცა ჯერ ისევ უმწვრთნელია

მოგეხსენებათ, საქართველოს ჩემპიონატში მესამე ადგილზე გასულმა თბილისელ „დინამომ“ ინტერტოტოს თასის გათამაშების საგზური მოიპოვა, თუმცა თავიდან ქვეყნის ათგზის ჩემპიონმა, ამ არცთუ პრესტიჟულ ტურნირში მონაწილეობა იუარა და თითქოს ასპარეზი ბათუმელ თანაკლუბელებს დაუთმო. გასულ კვირას თბილისელთა ხელმძღვანელობამ აზრი შეიცვალა და უეფას აღნიშნულ ტურნირზე თამაშზე თანხმობა შეუთვალა. თბილისელების პირველი მეტოქე ჩვენთვის კარგად ნაცნობი ბელგიური „სტანდარტია“, სწორედ ის კლუბი, რომელმაც დიდების ზენიტში მყოფი მაშინდელი „დინამო“ ნახევარფინალიდან გამოთიშა თასების მფლობელთა თასის გათამაშებას. ეს იყო 18 წლის წინ, 1982 წელს. დღეს დრო შეიცვალა და განგებამ ეს გუნდები სულ სხვა დონის შეჯიბრში გადაჰყარა ერთმანეთს. „სტანდარტთან“ პირველ შეხვედრას ჩვენები შინ გამართავენ 18 ივნისს, ერთი კვირის შემდეგ კი ბელგიას ესტუმრებიან. აღსანიშნავია, რომ ამ ტურნირისათვის მაინც და მაინც არც ბელგიელები იკლავენ თავს და თბილისში სათადარიგო შემადგენლობის გამოგზავნას აპირებენ. ბელგიური ბარიერის დაძლევის შემთხვევაში, თბილისელების მომდევნო მეტოქე იტალიური „პერუჯა“ იქნება, სწორედ ის „პერუჯა“, „იუვენტუსს“ რომ იტალიის ჩემპიონობა დააკარგვინა.

ინტერტოტო ინტერტოტოდ, მაგრამ „დინამოს“ ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია მთავარი მწვრთნელის პრობლემა. ოთარ კორღალიძის წასვლის შემდეგ, კლუბს ჯემალ ჩიმაკაძე ავარჯიშებს. თავიდან საუბარი იყო, რომ ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან კლუბს, ამავე კლუბის ყოფილი კაპიტანი ალექსანდრე ჩივაძე უნდა ჩასდგომოდა სათავეში, თუმცა ბოლოს ახალი ვარიანტი გამოჩნდა. მოსალოდნელია, რომ ეროვნული ნაკრების მსგავსად, „დინამოც“ მწვრთნელთა ტანდემმა ჩაიბაროს — ლაპარაკია მურთაზ ხურცილავასა და სერგო კუტიავაძეზე. თავის დროზე ორივე მათგანს უმუშავია „დინამოს“ მწვრთნელად, თუმცა ცალ-ცალკე. საბოლოო გადაწყვეტილებას გუნდის ხელმძღვანელობა, სავარაუდოდ, მიმდინარე კვირაში მიიღებს.



თურქეთის „გალათასარაის“ და რუმინეთის ნაკრების ფლეიმეიქერს 35 წლის გეორგე ჰაჯის, რომელიც საფეხბურთო კარიერის დასრულებას აპირებს, „გალათასარაის“ მთავარი მწვრთნელობა შესთავაზეს. მოგეხსენებათ, კლუბი დატოვა თურქთა ტრიუმფატორმა მწვრთნელმა ფათიჰ თერიმმა, რომელიც იტალიურ „ფიორენტინაში“ გადავიდა სამუშაოდ. უკვე მეოთხე წელია, რაც ჰაჯი თურქულ კლუბში თამაშობს და იქაური პუბლიკის კერპია. თურქული პრესის ცნობით, ფეხბურთელსა და კლუბს შორის თითქმის ყველა შეთანხმება მიღწეულია და კონტრაქტი ალბათ, უახლოეს დღეებში გაფორმდება. არის იმის შესაძლებლობაც, რომ რუმინელი მოთამაშე მწვრთნელის რანგშიც მოგვევლინოს. მანამდე კი „კარპატების მარადონა“ რუმინეთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე დაეხმარება. ევრო-2000 „რუმინეთის საუკუნის ფეხბურთელის“ ბოლო დიდი ტურნირია.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ საიდუმლო

„მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ განწყობილი ბრიტანელი გულშემატკივრები თვლიან, რომ ფარდა აეხადა ამ გუნდის ძლევამოსილების მთავარ საიდუმლოს. თურმე უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე, კლუბში უაღრესად გასაიდუმლოებული ექსპერიმენტი ტარდება, რომელსაც ხელმძღვანელობს ცნობილი თვალის სპეციალისტი გეილ სტეფენსონი, რომელიც „იუნაიტედის“ პარალელურად ლივერპულის უნივერსიტეტშიც მოღვაწეობს. გეილი იმისათვის დაიქირავეს, რომ მოთამაშეთათვის განევითარებინა სპეციფიკური, ჩვეულებრივი ადამიანებისაგან განსხვავებული თვალთახედვა. სწორედ მისი რეკომენდაციით მოხდა ის, რომ 1996 წელს კლუბმა ნაცრისფერი მაისურები წითლით შეცვალა, თურმე ნაცრისფერი ცუდად ჩანდა ტრიბუნების ფონზე და ფეხბურთელებს ზუსტი პასების გაკეთება უჭირდათ. „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეფმა ალექს ფერგიუსონმა უარი განაცხადა, კლუბში თვალის სპეციალისტის მოღვაწეობის კომენტირებაზე. ბრიტანელი ექიმები კი ადასტურებენ, რომ გეილი მოთამაშეთა თვალთახედვის არეს აფართოებს. მისი ვარჯიშების საშუალებით სპორტსმენებს გაცილებით სწრაფი რეაქცია აქვთ ირგვლივ მოძრავი ობიექტების მიმართ. ამ აღმოჩენას სწრაფი რეაქცია მოჰყვა ამერიკაში. ამერიკული ფეხბურთისა და ბეისბოლის კლუბთა შეფები სასწრაფოდ მოითხოვენ გეილის მეთოდის თავიანთ გუნდებში დანერგვას. უახლოეს მომავალში მოსალოდნელია, რომ ევროპული სუპერკლუბის ფეხბურთელებს გაუკეთებენ სპეციალურ ოპერაციას, თვალში ჩაუდგამენ ელექტროსტიმულატორებს და მოთამაშეთა რეაქციაც ერთიორად სწრაფი გახდება.

ჯჩუიფი და გულიტი დანათესავდნენ

ჰოლანდიური ფეხბურთის ორ ლეგენდას — იოჰან კრუიფსა და რუუდ გულიტს თავიანთი ნაკრების ევროპის ჩემპიონატისათვის მზადებაში არცთუ დიდი წვლილი მიუძღვით, მაგრამ ტურნირის დაწყების წინა დღეებში, მაინც ყურადღების ცენტრში მოექცნენ.

საქმე ის გახლავთ, რომ ამ დღეებში გულიტმა ცოლი მოიყვანა, მისი რჩეული დიდი იოჰან კრუიფის ქალიშვილი ესტელ კრუიფი გახლავთ. მეუღლის დაჟინებული თხოვნით, გულიტი თავის ცნობილ კიკინებსაც შელევია, პატარძლის თაიგული რომ ფეხბურთის ბურთის ფორმისა გახლავთ, აბა, რა გასაკვირია.

ტაისონს ფსიქოზი განუვითარდა

მაიკ ტაისონი გამალებით ემზადება 24 ივნისისათვის. ამ დღეს ყოფილმა ჩემპიონმა შოტლანდიის ქალაქ გლაზგოში უნდა იჩხუბოს ლუ სევარეზესთან. ბრძოლაზე დასასწრები 60.000 ბილეთი თითქმის სულ გაყიდულია. შოტლანდიელმა ნაციონალისტებმა კი ნამდვილი აჯანყება მოაწყვეს. მათი მოთხოვნა იყო, რომ ნაციხარი ტაისონი ქვეყნის ტერიტორიაზე არ შეშვათ. „ეგ რომ შოტლანდიაში ჩამოვიდეს, ქვეყანაში გაუპატიურებათა რიცხვი იმრავლებს“, — ასეთია ნაციონალისტთა აზრი, რომელიც შოტლანდიის ხელისუფლებს არც ისე აღელვებს. გადაწყვეტილია — 24-ში ბრძოლა სწორედ გლაზგოში გაიმართება. „რკინის მაიკი“ ლასვეგასში ემზადება საჩხუბრად. მისი ბანაკიდან მოსული ინფორმაციის თანახმად, ექსჩემპიონს მანიაკური დეპრესიული ფსიქოზი განვითარებია. „რკინის მაიკი“ თავისივე მენეჯერს გამოუყვანია მდგომარეობიდან, შედეგად მენეჯერი ნოკაუტში აღმოჩენილა. ასეთი გამოხდომები მაიკს მაშინ ახასიათებს, როდესაც დამანყნარებელ ტაბლეტებს არ იღებს, ეს ტაბლეტები კი ხელს უშლის სრული დატვირთვით ვარჯიშში. მენეჯერის ცემის შემდეგ ტაისონს კინალამ ერთ-ერთი რესტორნის მომსახურე პერსონალი შემოელახა — მირთმეული კერძი არ მოწონებია.

საჭადრაკო კლუბი

„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.



თეთრები იწყებენ და ორ ნაბიჯში ავკეთებენ სვლაში.

შავების დამამათება არ უნდა გაგიკვირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ღ8ა5

ულამაზესი ყვავილი ახრჩობს ტბას



იღუპება აფრიკის სიამაყე — ტბა ვიქტორია. ამ წყალსაცავს მტკნარი წყლის ფართობის მოცულობით (68 000 კმ²) მსოფლიოში მეორე ადგილი უკავია. მოსალოდნელი კატასტროფის მიზეზი ერთი შეხედვით თითქოს ლამაზი და „უწყინარი“ წყლის ჰიაცინტია. ამ ყვავილის მწვანე ფოთლები და იასამნისფერი ყვავილები სქელ ხალიჩასავით ეფინება ტბის ზედაპირს და „ახრჩობს“ მას. ჰიაცინტი ოდესღაც აღმოსავლეთ აფრიკაში შემოიტანეს, როგორც დეკორატიული მცენარე. კენიის, ტანზანიის და უგანდის 30 მილიონი მცხოვრები ვიქტორიაზე არის დამოკიდებული. ტბა მათი მარჩენალია.

შრომისუნარიანი მამაკაცები უკვე ტოვებენ სანაპიროზე გაშენებულ სოფლებს და სამუშაოს სხვაგან ეძებენ. იქ დარჩენილ მოხუცებს, უმწეო ბავშვებს და ქალებს კი სიღარიბე და ავადმყოფობა ემუქრებათ. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ მოცურავე ყვავილების კოლონები მზის სხივებსა და ჟანგბადს ტბამდე არ უშვებენ. იღუპებიან პლანქტონები და თევზები. მეთევზეობა ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი საქმიანობაა. უფრო უარესი ის არის, რომ ყვავილთა ღეროები ტბამდე არ უშვებენ წყალქვეშა დინებებს, რაც წყლის დიდი მასების უძრაობას და ლპობას იწვევს. ეს, თავის მხრივ, ხელსაყრელ პირობებს უქმნის კოღოებისა და სხვა პარაზიტების გაჩენას. იწვევს ისეთ დაავადებებს (მაგ. შისტოსტომაზს), რომლებიც პრაქტიკულად უკურნებელია. ისინი შლიან ადამიანის შინაგან ორგანოებს. ადრე, ტბის ბუნებრივი ფილტრაციის წყარო იყო მთა-გორებიდან ჩამონადენი მდინარეები და სანაპიროზე გაშენებული ხე-ბუჩქნარი. მათმა მასობრივმა ჩეხამ ხელი შეუწყო ტბაში ფოსფორითა და აზოტით გაჯერებული მიწის ჩატანას. ეკოლოგთა აზრით, აუცილებელია ხეებისა და ბუჩქების ხელახალი გაშენება სანაპიროზე და ჩამდინარე წყლების გასწვრივ, რაც დიდ ხარჯებს არ მოითხოვს. ამით ვიქტორია, შესაძლოა, გადარჩეს.

ფავორიტი №9

ებრაელები და არაბები ძმები ეოფილან

ძველი აღთქმის მიხედვით, ახლო აღმოსავლეთის მკვიდრთ, არაბებს და ებრაელებს, საერთო წინაპარი ჰყავდათ, მამამთავარი აბრაამი. ებრაელები — აბრაამისა და მისი მეუღლის, სარას, შთამომავალნი არიან, არაბები — აბრაამისა და მისი მხევლის, აგარისა, სწორედ ამიტომ უწოდებენ მათ აგრეთვე აგარიანთაც.

ეს ბიბლიური თქმულება მეცნიერულად დაამტკიცა ამერიკელმა გენეტიკოსმა, არიზონის უნივერსიტეტის პროფესორმა მაიკლ ჰამერმა. მან შეისწავლა ისრაელის ებრაელთა 7 ძირითადი და ხმელთაშუა ზღვისპირეთის 16 ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა გენეტიკური კოდი. გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ისრაელელებს „გენეტიკური ნათესაობა“ ყველაზე უფრო აქვთ პალესტინელებთან. Yქრომოსომების მიხედვით, რომელიც პასუხს აგებს მემკვიდრეობითობაზე, ებრაელებსა და პალესტინელებს შორის განსხვავება 1% თუ იქნება, მაშინ, როცა ებრაელების დნმ-ის შემადგენლობა სამხრეთ ევროპელი ხალხებისგან — 5-ზე მეტი პროცენტით განსხვავდება.

ამა თუ იმ ეთნოსის გენების ერთიანობაში მუტაციის სიჩქარის ცოდნის საფუძველზე ჰამერმა გამოითვალა, რომ 4 ათასი წლის წინ პალესტინაში ცხოვრობდა ხალხი, რომელთაგან წარმოიშვნენ თანამედროვე ისრაელელები და მათი არაბი მეზობლები.

ნიუზუიქი

...და ბოჯყერიეებიდან დარჩება

რა უფრო გიზიდავთ — ცეცხლოვან (უფრო სწორად, კოსმოსურ) გეენაში ჩანთქმა თუ ყინულად ქცევა? კარგად დაფიქრდით. დრო ბევრი გაქვთ. დაახლოებით 500 მილიონი წელი.

დაწვის ან ყინულის ლოდად ქცევის პერსპექტივას უწინასწარმეტყველებენ დედამიწას სწავლული-პლანეტოლოგები. ისინი ამ პროგნოზებს წინასწარმეტყველებენ იმიტომ, რომ დედამიწა დამოკიდებულია მზეზე, რომელიც ნებისმიერი ვარსკვლავის მსგავსად არ არის მარადიული. როგორც პენსილვანიის შტატის უნივერსიტეტის პროფესორი ჯეიმს კესტინგი შეგვახსენებს, მზე ნელა, მაგრამ ულმობლად ცხელდება. შედეგად ეს, ბუნებრივია, გამოიწვევს დედამიწაზე ტემპერატურის მატებასაც. კესტინგმა ერთ-ერთ კონფერენციაზე აღნიშნა, რომ როცა პლანეტის საშუალო ტემპერატურა ცელსიუსის 60 გრადუსს მიაღწევს, იგი დაიწყებს წყლის დაკარგვას. ამგვარი ტემპერატურის პირობებში პლანეტის ატმოსფეროს შემადგენლობაში 10-20 პროცენტი ეჭირება წყლის ორთქლს და იგი დაიწყებს მოხვედრას სტრატოსფეროში, სადაც დაიშლება და განთავისუფლებული მოლეკულები კოსმოსში „გაიქცევიან“.

დიდი ხანია, რაც მეცნიერებმა იციან, რომ საშინელი ცვლილებები დაახლოებით 5 მილიარდი წლის შემდეგ მოხდება. მაგრამ კომპიუტერული მოდელირების სამუშაოები აჩვენებს, რომ ეს პროცესები შესაძლოა გაცილებით ადრე დაიწყოს. ყველაზე პესიმისტური პროგნოზით, 1,2 მილიარდი წლის შემდეგ დედამიწა უწყლო უდაბნოდ გადაიქცევა. კესტინგს მიაჩნია, რომ ეს ვადა 500 მლნ წლამდე შემცირდა.

მიჩიგანის უნივერსიტეტის ფიზიკოსი მეცნიერის ფრედ ადამსის აზრით, დედამიწა ან დაიწვება ან კოსმოსურ სივრცეებში გაიყინება. პირველი ვარიანტი უკავშირდება იმას, რომ მზე ამოწურავს რა ბირთვული საწვავის მთელ მარაგს, 3,5 მილიარდი წლის შემდეგ აფეთქდება და ცეცხლოვანი ბურთი ჩაყლაპავს მერკურს, ვენერას, დედამიწას და მარსს.

რაც შეეხება მეორე სცენარს, როგორც კომპიუტერული გამოთვლები უჩვენებს, არსებობს ალბათობა, რომ იუპიტერი — მზის სისტემის ყველაზე დიდი პლანეტა — მოსწყდება თავის ორბიტას, რომელიც ვარსკვლავის გვერდით ჩაივლის. მაშინ დედამიწა ცეცხლოვან აფეთქებაში კი არ დაინთქმება, არამედ გაიყინება, რადგან სამყაროს ზოგიერთი ფორმა, მაგ. ბაქტერიების ტიპისა, კიდევ მილიარდობით წელი იარსებებს — ისინი არსებობენ ოკეანის ფსკერზე გეოთერმული წყაროების მახლობლად.

ადამსის აზრით, საბოლოო, თუმცა წარმოუდგენლად შორეული ფინალი ცნობილია — გაყინული და სრულ წყვდიადში ჩაფლული სამყარო, სავსე ელექტრონებით და პოზიტრონებით.

ამავე დროს, გვინდა შეგახსენოთ იმ მეცნიერთა პროგნოზები, რომლებსაც „სწამთ კაცობრიობის გონიერებისა“ და მიაჩნიათ, რომ დროთა განმავლობაში მას დაემორჩილება ვარსკვლავთა სიღრმეში მიმდინარე პროცესები და, ამავე დროს, წარმოუდგენლად დიდი მასშტაბის მქონე პროცესებიც.

ეხო პლანეტი №9

ტრადიცია, რომელიც 6 ასწლეული გრძელდებოდა

ფილმ „გლადიატორის“ გამოსვლის შემდეგ ევროპაში, სადაც მას დიდი წარმატება ხვდა წილად, აღაპარაკდნენ თეატრალური სანახაობის — გლადიატორთა სისხლიანი ორთაბრძოლის აღორძინებაზე. ერთ-ერთი ფირმა მზად არის ამ მიზნის განსახორციელებლად რომის კოლიზეუმი აღადგინოს.

მაგრამ ეს უძნელესი საქმეა და ალბათ ვერც მოხერხდება, თუნდაც მილიონობით დოლარი დაიხარჯოს. ძველი რომის იმპერატორების თვალწინ დამყარებული რეკორდების მოხსნაც გაჭირდება. მაშინ ხომ მხოლოდ ერთ დღეში ხდებოდა 3.000 სისხლიანი შერკინება, რომელშიც მონაწილეობდნენ მამაკაცები, ქალები, ბავშვები და ჯუჯებიც კი. თამაშები 100 დღე გრძელდებოდა. მათთან შედარებით დღევანდელი ოლიმპიადები საბავშვო გართობას ჰგავს. ადამიანებთან ორთა ბრძოლის დროს ყოველდღიურად 10 ათასობით ეგზოტიკური ცხოველი კვდებოდა. ამიტომ დიდი მოთხოვნა იყო მათზე. ჰიპოპოტამებს, ჟირაფებს და ლომებს ერეკებოდნენ ჩრდილო აფრიკიდან, მესოპოტამიიდან... ერთ-ერთ ასეთ შოუში ხმლებით აკუწეს 20 სპილო. აუცილებლად უნდა დაღვრილიყო რაც შეიძლება მეტი სისხლი, ვინაიდან ორთა ბრძოლა, იმავდროულად, ითვლებოდა იმპერატორთა მიერ გარდაცვლილი ნათესავების სულებისათვის მსხვერპლის შეწირვად.

იმპერატორ ნერონს ძალიან მოსწონდა ქალი-გლადიატორების ორთა ბრძოლა, დომიციანეს უყვარდა ქალებისა და ჯუჯების შერკინება.

კალიგულა ძალიან წუხდა, როცა არენაზე ცოტა მსხვერპლი იყო. ერთხელ მან ჯარს მინდორში გაადევნინა მაყურებელთა ნახევარი და მშიერი ლომები მიუსია. არც თვითონ იყო უარზე შერკინებოდა ვინმეს, ოღონდ მის მოწინააღმდეგეს ხის ხმალი უნდა სჭეროდა.

6 ასწლეული გრძელდებოდა გლადიატორული ბრძოლების ტრადიცია, რომელმაც ასიათასობით სიცოცხლე შეიწირა...

პოსლედნიე ნოვოსტი №22

პროსტიტუციის დღეც ქოფილა...

რამდენიმე დღის წინ მსოფლიომ აღნიშნა პროსტიტუციის დღე. ეს გახლავთ დასავლეთის ნახევრად ოფიციალური დღესასწაული. ევროპის უდიდესი ქალაქების ქუჩებში ტყავის ქვედაბოლოებში გამოწყობილი ინტიმური სერვისის მუშაკთა პროფკავშირი მარშით მიაბიჯებდა, ხოლო დემოკრატიულად განწყობილი საზოგადოება „მათ არჩევანს მხარს უჭერდა“.

რუსმა თანამოაზრეებმა დემონსტრაციის ჩატარება ვერ გაბედეს, მაგრამ ერთი-ორი სირჩა კი გადაკრეს — მაინც ხომ დღესასწაულიაო და ტვერის ბულვარზე „კლიენტის“ მოლოდინში გამოეფინნენ. სამწუხაროდ, მათ არავინ მიულოცა ეს ღირსშესანიშნავი დღე. არადა ეს უძველესი ხელობა, ერთ დროს მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში ერთობ გაფურჩქვნილი გახლდათ. აბა რას წარმოიდგენს დღეს ამა თუ იმ ძველებური, ლამაზი სახლის რომელიმე ბინადარი ან თანამშრომელი, რომ ასიოდ წლის წინ აქ საროსკიპო იყო. მაშინდელი მეძავები სრულიად ლეგალურად იყვნენ ბიზნესში ჩაბმულნი. მათ მფარველობდა შინაგან საქმეთა სამინისტრო. 1889 წლის 1 მარტის სტატისტიკის მიხედვით, მოსკოვში 111 საროსკიპო არსებობდა, რომელშიც 942 მეძავი „მუშაობდა“. საროსკიპოთა შესასვლელში წითელი ფარანი ციმციმებდა.

ყოფილ საროსკიპოს შენობაში იყო მოთავსებული საბჭოთა კავშირის გენპროკურატურა, ხოლო საბჭოთა მეცნიერების აკადემია — ყოფილ მეძავთა სახლში; პროლეტართა სასახლეში, სადაც ადრე ფეშენებელური საროსკიპო იყო, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კომკავშირელი აქტივისტები და რევოლუციონერები იკრიბებოდნენ. მათ ამ შესანიშნავი ნაგებობის კედლები ააჭრელეს ლოზუნგებით „ხელისუფლება საბჭოებს!“, „გაუმარჯოს რევოლუციას!“, „უარი საროსკიპოებს!“ და სხვა მისთანანი.

მოსკოვში აკრედიტებული ბევრი უცხოური საელჩო ოდინდელ საროსკიპოებშია მოთავსებული.

კომსომოლსკაია პრავდა №99

ენტონი ჰოპკინსმა სამშობლოს უღალატა

ცნობილი მსახიობი ენტონი ჰოპკინსი ამერიკის მოქალაქე გახდა. ამის აღსანიშნავად მან პატარა წვეულება გამართა, რომელზეც სტივენ სპილბერგი, მსახიობის დედა და მისი მეგობარი ქალი ფრანსინ ქეი იყვნენ. საერთოდ, ჰოპკინსი კარგა ხანია ცხოვრობს ამერიკაში და მოქალაქეობის გაფორმება მისი ბუნებრივი სურვილის — აშშ-ში ყოფნისათვის კანონიერი სახე მიეცა — ბუნებრივი შედეგი გახლდათ. მსახიობმა ყოველმხრივი შემოწმება გაიარა ძფბ-სა და საემიგრაციო სამსახურში. ასევე უარი თქვა „სერ!“-ის ტიტულზე, რომელიც 1993 წელს დიდი ბრიტანეთის დედოფალმა უბოძა. ამერიკაში ხომ კინოვარსკვლავს კატეგორიულად ეკრძალება თავადაზნაურული ტიტულის დემონსტრირება. ჰოპკინსი გახარებულია, რომ ბოლოს და ბოლოს, ამერიკის მოქალაქეობა ეღირსა.

ამ ამბავმა ბრიტანელი პატრიოტები აღაშფოთა და ჰოპკინსს მაშინვე „მოღალატის“ იარლიყი მიაკერეს (ზოგიერთ გაზეთში დიდი ასოებით დაწერეს „ჰანიბალი-მოღალატე“, მხედველობაში ჰქონდათ მისი ცნობილი როლი ჰანიბალ ლექტორისა „კრავთა დუმილიდან“). მიუხედავად იმისა, რომ მისი პრესაგენტი ქეთრინ ოლიმპი თავგამოდებით ირწმუნება, ჰოპკინსს „სერ“-ის ტიტულის ინგლისის საზღვრებს გარეთ გამოყენება არ შეუძლიაო, ბუკინგემის სასახლემ აგრძნობინა მსახიობს, ჯერ არ ყოფილა პრეცედენტი, რომ „სერ“-ის ტიტულის მქონეს, სხვა ქვეყნის მოქალაქეობა მიეღო. რეპორტიორებმა მსახიობს ისიც გაუხსენეს, რომ ტიტული მხოლოდ ცოლის გულისთვის მიიღო. ისინი კი კარგა ხანია ერთად აღარ ცხოვრობენ, თუმცა ოფიციალურად არ გაყრილან.

ვოტ ტაკ №22



ასოცია

თარაზულად: 7. ნივთი, ოჯახი; 8. მარიონეტი, „ბარბი“; 10. „პანასონიკი“, „დეუ“; 11. კაცუნა, არტემონი; 12. ბავშვი, მოუსვენრობა; 17. „ლესი“, უცხოპლანეტელი; 18. საყელო, ნაკეცი; 19. გოგლა, ნიკოლოზ ბარათაშვილი; 20. ჩაი, კივი; 21. ტროფეი, ქონება; 25. ეგზემა, ბღერი; 26. სან-ფრანცისკო, ჯორჯია; 27. ქამანდი, ცხენი; 28. ტელევიზია, ტალღები; 30. ბიჭვინთა, თურქეთი; 33. მემკვიდრეობა, ხასიათი; 34. იგრიკა, ივნისი; 35. ეკლესია, სახურავი.

შვეულად: 1. მეფე, ელისაბედი; 2. მწვერვალი, საათი; 3. კილომეტრი, ზღვა; 4. პეკინი, ინდოეთი; 5. გემი, ტილო; 6. ჩანასახი, ბუშტი; 9. წიწმატი, გოჭი; 13. სასადილო, პიცა; 14. დინოზავრი, სპილო; 15. ნატო, ევროპა; 16. ჭარხალი, კურდღელი; 22. დედოფალი, ვარსქენი; 23. მსხალი, ტყე; 24. საბერძნეთი, პირენე; 29. ხველა, სიროფი; 31. თემზა, პეტერბურგი; 32. ცხვირსახოცი, დეზდემონა; 33. წვიმა, ტბორი.

წინა კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 7. შოლოხოვი, 8. ნიკოტინი; 10. შუკი; 11. კამელია; 12. ასლი; 17. თითა; 18. კორკოტი; 19. რენო; 20. ეთიკა; 21. ტესტი; 25. დოლი; 26. ალგებრა; 27. ნეკი; 28. ელვა; 30. ღრუბელი; 33. ზერო; 34. აკუსტიკა; 35. შარვალი.

შვეულად: 1. კოლუმბია; 2. ჰობი; 3. სვია; 4. პიკი; 5. ეტნა; 6. ანალგინი; 9. ბერიკა; 13. მატერია; 14. ბორკილი; 15. ქტიტორი; 16. კრეტინი; 22. სოლოლაკი; 23. ბექობი; 24. აკვარელი; 29. არსი; 31. როკი; 32. ლეში; 33. ზავი.

№23 (192) ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

რეიტინგს 590 მკითხველი გამოეხმაურა. 5 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 209 ქალმა და 376-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„თანამედროვე პოლიტიკოსთაგან ვის უწოდებდით ყველაზე იღბლიანს?“**

მკითხველთა 83-მა ყველაზე იღბლიან პოლიტიკოსად ედუარდ შევარდნაძე დაასახელა. რესპონდენტთა მხოლოდ 3-მა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა. **7,41** საშუალო ქულით პრეზიდენტი შევარდნაძე პირველ ადგილზეა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე მეორე ადგილზეა, საშუალო ქულაა 6,44. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ცოტა მინიმალური ქულა სწორედ ზურაბ ჟვანიამ დაიმსახურა — მხოლოდ ერთმა მკითხველმა (0,17) დაუწერა მას 1 ქულა. მკითხველთა უმრავლესობის აზრით, ასევე იღბლიანი პოლიტიკოსია ასლან აბაშიძეც. 5,55 საშუალო ქულით იგი მესამე ადგილზეა.

თუ ძველი რეიტინგის შედეგებს გადავხედავთ, სადაც ჩვენმა რესპონდენტებმა „უიღბლობა“ ერთ-ერთ ყველაზე ხელის შემშლელ ფაქტორად დაასახელეს ცხოვრებაში, მაშინ დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ აღნიშნული სამეული საქართველოში პოლიტიკოსთა შორის ყველაზე ბედნიერია.

გია არსენიშვილი, მიხეილ მაჭავარიანი და ვახტანგ რჩეულიშვილი, ჩვენი მკითხველების აზრით, აქ ჩამოთვლილთა შორის ნაკლებად იღბლიანი პოლიტიკოსები არიან, განსაკუთრებით №1 სოციალისტი, რომელსაც მინიმალური — 1 ქულა რესპონდენტთა 53-მა დაუწერა, მაქსიმალური ქულით კი მხოლოდ 1-მა შეაფასა. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ცოტა მაქსიმალური ქულა (0,51) მიხეილ მაჭავარიანს ხვდა წილად.



საპრიზოს ზუსტად 8 ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან: 21 წლის კასპელი **ზურაბ ნიპარიშვილი,** 65 წლის რუსთაველი **გერმანე კუპრეიშვილი** და თბილისელები — 52 წლის **ლერი რუხაძე,** 33 წლის **დავით მამალაძე,** 58 წლის **დიმიტრი ფერაძე,** 22 წლის **სათუნა გვიშიანი,** 27 წლის **გ. ლოგჯანიძე** და 28 წლის **დავით ცაგარეიშვილი.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 13 ივნისს, 17 საათზე.

№24 (193) ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

100 ᲚᲐᲠᲘ

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ **მკითხველის რეიტინგში.**

№24 (193) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 14 ივნისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 15 ივნისის 13 საათამდე.

© თბილისი, 1997

თემა №24 (193) — კინო

რომელი ძველი კინოსკოლას (მხატვრული თვალსაზრისით) ანიჭებთ უპირატესობას (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს 8— და ა.შ. 1-მდე.

№24(193) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

№	კინო	ქულა
1	ფრანგული	
2	იტალიური	
3	ესპანური	
4	ინგლისური	
5	ქართული	
6	ამერიკული	
7	რუსული	
8	ინდური	
9	იაპონური	

მკითხველის რეიტინგი *

დაასახელეთ ყველაზე კოლორიტული ქართველი პარლამენტარი

✓ _____

_____

თქვენი სახელი, გვარი

_____

ქალაქი (რაიონი)

_____ _____

ასაკი ტელეფონი

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის თემა შემოგვთავაზა ჩვენმა მკითხველმა

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ ᲧᲣᲗᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲒᲕᲘᲐᲜ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲡ

მკითხველის რეიტინგის ᲫᲚᲔᲕᲘᲡᲘ

მკითხველის რეიტინგში 535-მა რესპონდენტმა დაასახელა **ყველაზე უიღბლო თანამედროვე პოლიტიკოსი საქართველოში.**

ერთ-ერთმა მკითხველმა გაკვირვება ვერ დაფარა და ასეთი კითხვა დაგვისვა: „პოლიტიკოსი და უიღბლო?“ ერთმაც განაცხადა, რომ ყველა პოლიტიკოსი იღბლიანიაო.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲘᲦᲑᲚᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ ᲐᲡᲔ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲣᲠᲔᲑᲐ:

1. შალვა ნათელაშვილი	20,2%
2. ზვიად გამსახურდია	17,4%
3. ჯუმბერ პატიაშვილი	13,8%
4. ნოდარ ნათაძე	13,1%
5. ირინა სარიშვილი-ჭანტურია	8,2%
6. ვაჟა ლორთქიფანიძე	3,4%
7. ბაჯერ გულუა	2,6%
8. ირაკლი წერეთელი	2,4%
9. მერაბ კოსტავა	2,2%
10. გურამ შარაძე	2,1%

მკითხველთა 1-ს უიღბლო პოლიტიკოსის დასახელება გაუჭირდა.

© · ᲤᲝᲢᲝᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ · ᲤᲝᲢᲝᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ · ᲤᲝᲢᲝᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ · ᲤᲝᲢᲝᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ ·

გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.

რას ᲓᲐᲐᲠᲥᲛᲔᲕᲓᲘᲗ?

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

თქვენი სახელი, გვარი _____

ქალაქი (რაიონი) _____

ჯამლეთ ბაბილაშვილი, რევაზ ყიფიანი

ტრანსპორტის მინისტრი

მ.ა. — მოიცადე, ვახო, ფეხით სად მიდიხარ, ახლავე ლიფტს გამოვიძახებ, ალო, ლიფტი...

ლეო დ., თბილისი

მ.ა. — ბატონო ედუარდ, ცოტა თუ არ შემომეშველეთ, ცუდადაა საქმე, ვახტანგი უკვე ისე დამცქერის ზემოდან, თითქოს გულუა ვიყო, პარლამენტში რაღაც თვითმფრინავებიო, ფლოტიო, ვერაფერი გავიგე.

იკუნა, ლიხაური

ვ.ძ. — მერაბ, კაბინეტში ხარ?

მ.ა. — არ ვიცი, დავრეკავ და გავიგებ.

მზია ფიცხელაური, ქარელი

საქართველო სოციალური აფეთქების შემდეგ.

ᲕᲐᲮᲢᲘᲝᲠᲘ Მ.Ა. — ბატონო შალვა, თქვენი მილის გასარემონტებლად, ჩემი ძველი ნაცნობი, უმუშევარი სანტექნიკოსი გამოგიგზავნეთ.

ვ.ძ. — ბიჭო მერაბ, უთხარი ელექტრობაც იცის-თქო.

გურამ რეხვიაშვილი, „მარკშეიდერი“, თბილისი

მ.ა. — ალოო... ლარისუ ივანოვნუ ხაჩუ!..

ვ.ძ. — ლიოტჩიკ!... გრუზინ!... ტავარიშჩ!... სკაჟი პუსტ პადრუგუ ვაზმიოტ!

(კ/ფ „მიმინო“) თამაზ მჭედელი, თბილისი

ვახტანგ ქუთათელაძე, მერაბ ადეიშვილი

წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 141 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.

მ.ა. — მოაჯირს ხელს ნუ კიდებთ, შეღებილია, ბატ. ვახტანგ!

ვ.ძ. — როგორ???

მ.ა. — შავად! შავად!

ბიძინა ბიძინაშვილი, თბილისი

მ.ა. ტელეფონზე საუბრობს: ჰო, მე ვარ. ჩემი ახალი მერსედესი ხვალ ჩამოდის... არა ნიუ-იორკში ზეგ მივდივარ, მერე ჰავაის კუნძულებზე პლაჟები და ლამაზი გოგოები... უცბად მობილურის რეკვის ხმა ისმის. მერაბი არ დაიბნა და ტელეფონში ჩასძახა: ერთი წუთით, მეორეზე მირეკავენ.

ცისკარა ჯალაბაძე, რუსთავი

ეს ცხოვრება მართლაც კიბეს ჰგავს. ზოგი თამამად მიემართება მაღლა, მინისტრის სავარძლისაკენ, ზოგი დაბლიდან კითხულობს: „ამოვიდე თუ... დავრჩეო“.

თენგიზ თალაკვაძე, ოზურგეთი

უშიშროების მიერ თანამდებობის პირთა სატელეფონო საუბრების მოსმენა ქართული მეთოდით.

ირაკლი და გიორგი ჭანტურიები, თბილისი

მ.ა. — (ტელეფონით) ბატონო ნიკო, მაინაა თუ ვირა?

ნ.ლ. — (ტელეფონით) ვირაა, ვირა.

მ.ა. — ვახო, დამელოდე, მეც ვირა ვარ, ამოვდივარ.

პაატა ნაზლაიძე, რუსთავი

მ.ა. — (ურეკავს პრეზიდენტს) ამბროსიჩ, ვახტანგი მოვიდა სამსახურში, მაგრამ მთვრალია. რაში ვატყობ? მოაჯირებს ებღაუჭება და თან ერთ ფეხზე თეთრი „ნასკი“ აცვია, მეორეზე შავი.

მურმან გიგანი, თბილისი

(პარლამენტში მინისტრების დამტკიცების წინ)

მ.ა. — ვახტანგ, რომ მეუბნებოდი პარლამენტი ხელში მიჭირავსო, მიშველე ახლა რამე...

ვ.ძ. — ამოდი კიბეზე და ერთ ღერს მოგაწევინებ.

მ.ა. — შენ რა, სიგარეტ „პარლამენტზე“ მეუბნებოდი???

ვ.ძ. — აბა, შენ რომელ პარლამენტზე გეგონა?

მ.ა. — არა, ძმაო, შენ იმედზე მტერი იყოს, ისევ ზევით უნდა დავრეკო...

სოსო ჩაჩანიძე, ჭიათურა



— ᲖᲔᲛᲝᲗ ᲐᲛᲝᲘᲮᲔᲓᲔᲗ, ᲖᲔᲛᲝᲗ...

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘ ᲒᲔᲝᲛᲐ�გᲜᲘᲢᲣᲠᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ

16/VI — 21-23 სთ
18/VI — 16-17 სთ
17/VI
სავსე მთვარე

ᲜᲐᲛᲐᲚᲘ „ᲡᲐᲚᲮᲘᲜᲝ“ — ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲚᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲝᲪᲠᲔᲑᲐ

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წმალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წმალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲐ: ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲕᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ 115, ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲔᲖᲝᲨᲘ, ᲤᲘᲠᲛᲐ „ᲡᲐᲚᲮᲘᲜᲝ“

„კვირის პალიტრის“ **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე“** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).

„კვირის პალიტრაში“ კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში. ***ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან.*** *მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიღუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ნაძალადევში კ/თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. მილიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.*

ქალაქებში და რაიონებში: *მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური; სურამი; ზესტაფონი; ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი; აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი; ქობულეთი, გათუმი; ოზურგეთი, ლანჩხუთი; რუსთავი, საგარეჯო, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა; ბორჯომი, ახალციხე; დუშეთი, ჟინვალი;* ***არსებული „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.***

ᲧᲣᲠᲐᲓᲚᲔᲑᲐ: „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ (ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ) ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ (ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ) ᲧᲣᲗᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲠᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ.©

(24) ᲣᲤᲐᲡᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲘᲗᲐᲠᲘ

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ

განცხადების ტექსტი

გთხოვთ, ტექსტი გარკვეყით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)
გაურკვეყლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№24 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 15 ივნისის (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.



1) სახალისო გამოცანები
ა) სახელი;
ბ) მშრალი;
გ) 1961;
დ) 70 წუთი იგივეა, რაც ერთი საათი და ათი წუთი;
ე) ჭიქა მშრალი ჩაით იყო სავსე.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1) იასამანი; 2) ედელვაისი; 4) შროშანი; 6) ია; 9) ვარდი.
ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 3) მიხაკი; 5) ენძელა; 7) მიმოზა; 8) გვირილა; 10) ზამბახი; 11) ტიტა; 12) ალიანდრა.

კარნავალი
ა) სპონსორი („პ“ „ო“) ბ) პორტრეტი („რ“, „ტ“)
V. ა) „თუთი“ „ბალი“
ბ) „მამა“, „დარი“;
გ) „პენ“;
დ) „სურ“;

***
სეროჟა რესტორნიდან დაბრუნდა, ცოლს ეტრაბახება — ისეთი რამე ვჭამე, აზრზეც არა ხარ.
— მაინც, რა არის ეგეთი?
— რა და!... ისა: ტი მენია, ია ეგო, ანა-იხ, ჩე ტო!.. ხო, გამახსენდა — ანა-ნას-ი.



ტონი ბლერი ოჯახის უბედურებად 79 წლის სიმამრს — ყოფილ მსახიობს ენტონი ბუტას მიიჩნევს. გამოუსწორებელი მექალთანის რეპუტაციის მქონე მოხუცი დღემდე სჭრის თავს მაღალჩინოსან სიძეს თავისი უწესო თავგადასავლებით. ახლა

კიდევ გადაუწყვეტია ერთ-ერთ ტელესერიალში გადაღება, სადაც იდიოტისა და გაიძვერას როლს შეასრულებს. ეს კი, ნამდვილად იქნება კულმინაციური წერტილი სიძესთან ისედაც დაძაბულ ურთიერთობაში.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲚᲐᲚᲘ ᲒᲣᲜᲗᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲗ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲔᲑᲘ:
ᲜᲣᲪᲐ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲔᲗᲕᲓᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ.
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ **რედაქცია**: 33-39-54
რეკლამა: 98-74-44
palitra@access.sanet.ge
palitra@geo.net.ge
ᲡᲐᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ 1518
„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“
ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.